

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის,  
ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი

**ნუგზარ ჰაკუაშვილი**

**კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული  
ქიზანის გაზეთ „დროების“  
მასალების მიხედვით**

**გამოკვლევა და კატალოგი**



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2008

UDC (უკ) 070 (479.22)+091(479.22)

პ – 189

წიგნში განხილულია ძველი ხელნაწერების მოძიების, აღნუსხვის, დაცვისა და შესწავლის საკითხები; გაზეთ „დროების“ წვლილი და ის ინტერესი, რომელიც XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულმა საზოგადოებრიობამ ამ მიმართულებით გამოავლინა.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგებისა და ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებული წრეებისათვის.

რედაქტორი *ანრიკო გაბიაშვილი*  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

რეცენზენტები *ნინო მახათაძე*  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

*ზურაბ ჭუმბურიძე*

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

*თამაზ ჯოლოგუა*

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

დაიბეჭდა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის  
სამოციქულო ადმინისტრაციის თანადგომით

© ნ. პაპუაშვილი, 2008

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2008

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-334-4

## წინასიტყვა

სამეცნიერო წრეებში ცნობილია, რომ ძველ ქართულ პერიოდიკაში, XIX ს. და XX ს-ის პირველი ათწლეულების ჟურნალებსა და გაზეთებში, მოიპოვება მასალები ხელნაწერი წიგნებისა და საბუთების შესახებ. აღნიშნულია ისიც, რომ ეს მასალები ბევრ შემთხვევაში ერთობ ანგარიშგასაწევ ინფორმაციას შეიცავს, თუმცა ისინი სპეციალისტებისთვისაც კი მეტწილად ხელმიუწვდომელია. ამას ორი მიზეზი აქვს: ა) აღნიშნული პერიოდის პრესა დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა; მისი ნახვა ტექნიკურ სირთულეებს უკავშირდება და ბ) ეს ინფორმაცია ზოგჯერ იმდენად გაურკვეველი ფორმითაა მოცემული, რომ მას სჭირდება გაშიფრვა, რათა გაირკვეს, რომელ წერილობით ძეგლზეა იქ ლაპარაკი. ამდენად, ჩვენ წინაა ნედლი მასალა, რომელიც პროფესიულ დამუშავებას მოითხოვს.

ამ შინაარსის სამუშაო კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში 1984 წლიდან დაიწყო. იდეის ავტორი და თაოსანი გახლდათ ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი – აკადემიკოსი ელენე მეტრეველი. შეიქმნა ჯგუფი რუსუდან კაშიას, მაია კარანაძის, ნიკო ხუციშვილისა (†) და ნუგზარ პაპუაშვილის შემად-

გენლობით. ხელმძღვანელები სხვადასხვა დროს იყვნენ: ვალერი სილოგავა, ლამარა ქაჯაია (ხანგრძლივად) და ენრიკო გაბიძაშვილი. ჯგუფს ძველი პერიოდული და ერთჯერადი გამოცემებიდან ხელნაწერების შესახებ მასალის ამოკრეფა და იდენტიფიკაცია დაევადა. დამუშავდა რევოლუციამდელი ქართული და რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთების გარკვეული ნაწილი და რამდენიმე მკვლევრის წერილობითი მემკვიდრეობა; შედგა კატალოგი და კარტოთეკა; გამოვლინდა ისეთი ცნობები, რომლებიც მეცნიერულ მიმოქცევაში არ ფიგურირებდა. მხედველობაში გვაქვს ინფორმაციები ამა თუ იმ ხელნაწერის, ანდა კოლექციის რეგისტრაციამდელი დაცულობის პუნქტების, მფლობელების, მკიდველების, გამყიდველებისა და შემწირველების შესახებ. ჩამოყალიბდა ახრი თითოეული პერიოდული ორგანოსა და ცალკეული მკვლევრის მონოგრაფიულად შესწავლისა ხელნაწერთმცოდნეობის კუთხით. იმის მიუხედავად, რომ ამ მიმართულების მნიშვნელობა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ აღიარა, მასალის მოძიების, იდენტიფიკაციისა და კატალოგიზაციის პროცესი შეფერხდა, რადგან ჯგუფის წევრებს სხვა დავალებები მიეცათ. ამ პროფილით საქმიანობას შედარებით ხანგრძლივად მხოლოდ მე. ამ სტრიქონების ავტორი, განვაგრძობდი. აკადემიკოსმა ელენე მეტრეველმა, როდესაც წინამდებარე ნაშრომის სადისერტაციო მაცნე წაიკითხა (1998 წ.), მოხოვა, რომ ამ დარგში მუშაობა გამეგრძელებინა; დამუშავებულიყო ის ჟურნალები და გაზეთები, რაც დასამუშავებელი დარჩა; შევსებულიყო კატალოგები და მათ გამოცემაზე გვეზრუნა. ეს იყო ერთგვარი ანდერძი, რომელიც ნაწილობრივ ჩემი და ნაწილობრივ ჩემგან დამოუკიდებელი მიზ-

ეზების გამო ყურადღების მიღმა დარჩა; ოპტიმიზმის საფუძველს არც დღევანდელი ვითარება გვიტოვებს.

ჩვენი არჩევანი “დროებაზე” შეჩერდა. ფაქტობრივად, ესაა პირველი ქართულენოვანი საზოგადოებრივ-კულტუროლოგიური გაზეთი, რომლის დაარსება წარმოადგენს საქართველოში იმ სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღორძინების ნაყოფს, რაც სამოციანელების (თერგდალეულების) სახელს უკავშირდება. ამ მოძრაობის მთავარი მიზანი ეროვნული ერთიანობისა და მთლიანობის მიღწევა იყო. ეს კი პირველ რიგში სხვადასხვა აღმსარებლობისა და ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეების საერთო მიზნისა და იდეალის გარშემო გაერთიანებას ითვალისწინებდა. ამიტომ არაა შემთხვევითი, რომ აღნიშნული გამოცემის სათავეებთან ქართველი კათოლიკეებიც დგანან და ისინი ამ წამოწყების სულისჩამდგმელებად გვევლინებიან. ლაპარაკია ცნობილი ქართველი კომერსანტისა და მეცენატის გრიგოლ პეტრეს ძე მელიქიშვილის ოჯახზე, რომელმაც სამშობლოს ოთხი შესანიშნავი პიროვნება აღუზარდა – ეკატერინე, სტეფანე, იოსები და პეტრე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი). სწორედ ამ ოჯახის მოქალაქეობრივი დეაქლისა და ქველმოქმედების წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ საქართველოში სასტამბო-საგამომცემლო საქმე ევროპულ დონეზე დამდგარიყო. ამ საქმეში ყველაზე თვალსაჩინო სიტყვა სტეფანემ თქვა. იგი ჩავიდა ვენაში, იქ დაამზადა ქართული შრიფტი (ე.წ. „ვენური“), შეიძინა სტამბის მთელი მოწყობილობა და თბილისში ჩამოიტანა. 1866 წელს მან, გიორგი წერეთელთან ერთად, დააარსა გაზეთი “დროება” და მისი გამომცემლის მისია თავად იტვირთა.

რელაქციაც მის სახლში განთავსდა და ეს ადგილი კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა თანამშრომლობის კერად გადაიქცა (შდრ.: რ.სურმანიძე, მელიქიშვილები, თბ., 2003, გვ. 18-29).

თანამშრომლობის სარბიელი ფართო და მრავალფეროვანი იყო. გაზეთს მკაფიოდ გამოხატული კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულება ჰქონდა. მან ბევრ კარგ ინიციატივას მისცა სტიმული. მათ შორისაა ხელნაწერების გამოვლენის, რეგისტრაციისა და კატალოგიზაციის პროცესი, რის თაობაზეც მოწოდებები და ინფორმაციები საზოგადოების ფართო ფენებამდე “დროების” მეშვეობით აღწევდა. ამ მოწოდებების საფუძველზე საქართველოში იმხანად საერთო-სახალხო მოძრაობა გაიშალა, რომელმაც მოსახლეობის დიდი სპექტრი მოიცვა სარწმუნოებისადმი კუთვნილების განუსხვავებლად. ჩამოყალიბდა ეროვნული თვითშეგნება, რომ ქვეყნის კულტურული წარსულის მემკვიდრე და მესაკუთრე ამავე ქვეყნის თითოეული მოქალაქეა. ამის გამო საქართველოს სიძველეთა მოძიებისა და შესწავლის საქმეში თვალსაჩინო სიტყვა არა მარტო მართლმადიდებლებმა, არამედ კათოლიკეებმა, გრიგორიანებმა და მუსლიმებმაც თქვეს; ამ ფრონტზე ქართველების გარდა სომხები, ოსები, აფხაზები, რუსები, ებრაელები და გერმანელებიც იღვწოდნენ.

გვინდოდა გვეჩვენებინა, თუ რამდენად სრულყოფილად აისახა ეს შემკრებლობით-არქეოგრაფიული მუშაობა “დროებაში” და რას სთავაზობს იგი თანამედროვე მეცნიერებას.

წინამდებარე გამოკვლევა და კატალოგი ზემოთ აღნიშნული მიზნის და მეთოდის კვალდაკვალ ხელნაწერების ისტორიის შესწავლის პირველი ცდაა. იგი 1998 წელს წარდგენილ იქნა სა-

პაექროდ სამეცნიერო ხარისხისათვის (ხელმძღვანელი პროფ. ენრიკო გაბიაშვილი).

მადლობას ვწირავ ყველა კოლეგას, ვინც მუშაობის პროცესში ხელი გაგვიმართა. ზემოთ მოხსენიებულ პიროვნებათა გარდა, განსაკუთრებულ პატივისცემას გამოვხატავ პროფ. მიხეილ ქავთარიასადმი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლებისადმი და წუთისოფლიდან ნაადრევად გასული ნიკო ხუციშვილისადმი, რომელმაც პირველად გადადგა ნაბიჯი ქართული ხელნაწერების მონაცემთა ბაზის კომპიუტერიზაციისათვის.

*შლიდა ჟურნალებს დღის მყუდროება,  
მას ახსოვს გაზეთი „დროება“.*

*გალაკტიონი*

## **შესავალი**

ძველ პერიოდიკასა თუ ცალკეულ გამოცემებში — გამოკვლევებსა თუ პუბლიცისტიკაში, „მოგზაურობებსა“ და მემუარებში — ხელნაწერებზე ცნობების აღნუსხვასა და ანალიზს აქვს კულტუროლოგიური და მეცნიერული მნიშვნელობა. პირველი გულისხმობს მასალების მომზადებას შესაბამისი ეპოქის და საზოგადოების სულიერ-ინტელექტუალური კლიმატის, მაშინდელი მკითხველების გემოვნების, ინტერესებისა და აზროვნების სტილის წარმოსაჩენად, მეორე კი — მეცნიერების კონკრეტული დარგის სამსახურს. ესაა არქეოლოგია ფართო პროფილით და თვალსაზრისით, ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით, რომლის განუყოფელი ნაწილი ხელნაწერი და მისი მცოდნეობაა.

ქართული წიგნის ისტორია ჯერ არ დანერილა. თუმცა ცალკეული საკითხები დამუშავებულია და მოგვეპოვება განმაზოგადებელი ნაშრომიც — ზურაბ ჭუმბურიძის სამეცნიერო-პოპულარული წიგნი „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“ (თბ., 1983; მე-3 გამ. 2000), რომელშიც ბევრი პირველხარისხოვანი ხელნაწერის თავგადასავალია ასახული. ეს ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია იმ გზაზე, რომელმაც



საბოლოოდ „ქართული წიგნის ისტორიის“ სრულყოფილი კურსი უნდა შვას. „ფართო კულტურულ-ისტორიულ პლანში ამ საკითხის განხილვა, — აღნიშნავს ელენე მეტრეველი, — თხოულობს ძალიან დიდ წინასწარ მუშაობას: ქართული — როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთის — სკრიპტორიუმების გაღრმავებულ შესწავლასა და აღწერას. ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაიწეროს ქართული წიგნის ისტორია“ („ლიტერატურული საქართველო“, 1978, 4.VIII, N32).

პატივცემული აკადემიკოსი აქ, უეჭველია, იმ სახის კვლევა-ძიებასაც გულისხმობდა, რასაც ჩვენი შრომა ითვალისწინებს და რომელსაც თავად ჩაუყარა საფუძველი. ესაა ძველ პუბლიცისტურ და სამეცნიერო ლიტერატურაში ხელნაწერების შესახებ ცნობების მოძიება, აღწერა და დამუშავება, კერძოდ კი — XIX ს-ის პრესის კოდიკოლოგ-არქეოგრაფის თვალთ წაკითხვა და გაანალიზება.

პრესის საზოგადოებრივი მისიის ხაზგასმა ზედმეტია. იგი არის საყოველთაო განათლების ბერკეტი, რომელმაც საქართველოში ეროვნული ფუნქციაც იტვირთა და გაითავისა. ეს უპირატესად წარსულთან დამოკიდებულებაში გამოიხატა. ისტორია პოლიტიკურად დაძაბული საზოგადოების სალბუნად და ეტალონად იქცა, რის გამოც პრესას არქეოლოგიური ინტერესების გამოვლენის სტიმული მიეცა. მის ფურცლებზე დროდადრო გარდასულ დღეთა ბევრი მეტყველი ხატი აღიბეჭდა და ბუნებრივია, რომ ამ სახის კორესპონდენციებში ცნობები გზადაგზა წერილობითი ძეგლების თაობაზეც გვხვდება.

XIX ს-ის პრესის მასალათა გამოწვლილვისა და შესწავლის მეცნიერული მნიშვნელობა მკვლევრებმა ადრევე შენიშნეს და აღიარეს. ამის დასტურია ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის ინიციატივა ქართული ბიბლიოგრაფიის განხრით, რასაც ქვემოთ შევხებით. ამჯერად გავიხსენებთ სარგის ცაიშვილის სიტყვებს, 38 წლის წინათ თქმულს: „უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ცნობებით, ძიებებითა და

საინტერესო მასალებით სავსეა მე-19 საუკუნის პერიოდული პრესა. მათი შესწავლა და საბოლოო გაშიფრვა უეჭველად საყურადღებო შედეგებს მოგვცემს შემდგომ კვლევა-ძიებაში“ (141:19)<sup>1</sup> ეს სიტყვები ვეფხისტყაოსნის ხელნაერთა შესწავლის პროცესში წარმოითქვა, მაგრამ მათ განმაზოგადებელი შინაარსი ახლავს და მიგვანიშნებს ძველი პერიოდიკის როლზე ისტორია-ფილოლოგიისა და, შეიძლება ითქვას, კულტურის ნებისმიერი დარგის წინაშე.

პრესა ინფორმაციებს ძირითადად მასობრივი მკითხველისათვის ამზადებს. ასეთი მკითხველი კი, როგორც წესი, აკადემიური სტატიებისათვის მოუმზადებელია. მას, ეფრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლიტონობისა“ და „სიჩჩოებისა“ გამო სჭირდება რძე და მხალი, წყლით განზავებული ღვინო. ეს ფაქტი, ზოგ შემთხვევაში, პუბლიცისტაგან ცნობიერსა თუ ქვეცნობიერ კომპრომისებს მოითხოვს, რაც გავლენას ახდენს კორესპონდენციების მეცნიერულ დონესა და აზროვნების სტილზეც. ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ, ვალდებული არიან, მკითხველების გემოვნების გათვალისწინებით წერონ. ეს მეტადრე გაზეთის მისამართით ითქმის, რადგან გაზეთი ჟურნალზე უფრო მასობრივია და მეტი გამავლობა აქვს იქ, სადაც კითხვისა და შემეცნების კულტურა მოიკოჭლებს. ასე მსჯელობდნენ გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენტები და საზოგადოების ფართო ფენებთან მისასვლელად გაზეთს ამჯობინებდნენ (44:9).

მასალის სახელდახელოდ შედგენა, რიგითი მკითხველების დაინტერესებისა და მიზიდვის ჟინი, სათქმელის ყველაზე მომხიბლველი, ზოგჯერ სენსაციური მხარის წინ წამოწევის სურვილი ნიშანდობლივია XIX ს-ის ქართული პრესისთვისაც, განსაკუთრებით — გაზეთებისთვის. აქ, როდესაც საქმე სიძველეთა მიკვლევასა თუ განხილვას ეხება, უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს ზედაპირულობას, ტყუ-

---

<sup>1</sup> სქოლიოში წარმოვადგენთ შენიშვნებს და „დროების“ სტატიებს.

ილისა და მართლის ერთმანეთში აღრევას, რის გამოც მეცნიერის დღის წესრიგში დგება მათი გაცხრილვა, ჭეშმარიტისა და მცდარის განცალკევება. ეს კი პროფესიული კვლევის უნარს მოითხოვს.

ძველი პუბლიცისტური და სამეცნიერო ლიტერატურის აღნიშნული მიზანდასახულებით დამუშავების საკითხი პირველად ხელნაწერთა ინსტიტუტში დაისვა. აქ 1984 წელს ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელსაც დაევალა რევოლუციამდელ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში ხელნაწერების შესახებ ცნობების აღნუსხვა და, შეძლებისამებრ, იდენტიფიკაცია. დასამუშავებლად გადმომეცა წინა წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის დაკვეთით ქართული პრესიდან ამოკრეფილი მასალა. ესაა: ჟურნალები: „ცისკარი“ (1852-1853, 1857-1875); „საქართველოს სასულიერო მახარებელი“ (1864-1868); „ივერია“ (1877-1885); „მწყემსი“ (1883-1910); „მოამბე“ (1894-1905); „მნათობი“ (1869-1872); „მოგზაური“ (1901-1904); გაზეთები: „დროება“ (1866-1885); „ივერია“ (1886-1906) და „ცნობის ფურცელი“ (1896-1906). მასალა, თაბახებზე წარმოდგენილი, სრული არ აღმოჩნდა: იყო იმ სტატიების კომპენდიუმი, რომლებიც მხოლოდ ხელნაწერებს ეხება. დაგვჭირდა ყოველი ნომრის გადასინჯვა, მასალის შევსება და დეტალების დაზუსტება. გაირკვა: შესაძლებელია, ჩვენთვის საინტერესო ცნობა დადასტურდეს იმ ჟანრისა და თემატიკის სტატიაშიც, სადაც, ერთი შეხედვით, მოსალოდნელი არაა. იდენტიფიკაციის პრობლემამ კი მასალები-სადმი კრიტიკული მიდგომა მოითხოვა. ამ ფაქტმა დღის წესრიგში კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული კუთხით თითოეული პერიოდული ორგანოს მონოგრაფიულად შესწავლის საჭიროება დააყენა, მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენ წინაშე ერთობ საინტერესო სურათია გადაშლილი: ცნობები ხელნაწერების შესახებ მრავლადაა წარმოდგენილი როგორც „დროებამდელ“, ე. ი. 1866 წლამდელ, ისე მომდევნო ეპოქის, განსაკუთრებით XIX-XX სს-ის მიჯნის, ქრთულ და საქართველოში გამომავალ რუსულ პერიოდიკაშიც.

ყურადღება პირველ რიგში „დროებამ“ და მისმა მასალებმა მიიქცია. ამ გაზეთის მოღვაწეობის ხანას დაემთხვა ქართული ხელნაწერებისა და, ზოგადად, სიძველეთა შესწავლის გზაზე გარდამტეხი მონაკვეთი — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ (ქმწკგს) შემკრებლობითი კამპანია, რომელმაც ძველი წერილობითი ძეგლებისათვის ახალი ცხოვრება დაასაძირკვლა. „დროება“ ამ თვალსაზრისით ორივე ეპოქის მოწამე და მესაიდუმლეთა. იგი ასაჩინოებს ქართული ხელნაწერების ბედს მათზე მზრუნველი დანებსებულების შექმნამდეც და შექმნის შემდეგაც და, ამდენად, ქართული წიგნის ისტორიის მკვლევრებს საყურადღებო მასალებს სთავაზობს.

**საკითხის ისტორია.** პერიოდიკაზე დაყრდნობით ნებისმიერი კვლევა-ძიების ფუნდამენტია სტატიების ბიბლიოგრაფია. ამ მიმართებით პირველი სიტყვა ჩვენს სინამდვილეში პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ თქვა. მისმა წევრებმა, აკაკი შანიძის ინიციატივითა და ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ქართული პერიოდიკიდან (1910 წლამდე) ამოკრიფეს მასალა და გაანაწილეს დარგების მიხედვით. მათ მხოლოდ პირველი ტომის გამოქვეყნება მოახერხეს 1916 წელს იოსებ ყიფშიძის რედაქტორობით (113). ეს გამოცემა, ერთობ პატივსაცემი შრომა, სრული არაა. „დროების“ მონაცემები იქ მწირადაა.

ქართული პერიოდიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გამოცემა დაიწყო 1940 წლიდან. დღემდე გამოცემულია: „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (ექვსი ტომი) და „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (სამი ნაკვეთი) 1905 წლამდე.

„დროების“ მასალა წარმოდგენილია გაზეთების ბიბლიოგრაფიის მეორე ტომში (თბ., 1952), სადაც ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი სტატიები ხელნაწერების შესახებ (გვ. 42-45), სულ — 39 სტატია.

ეს სოლიდური შრომაა და გზამკვლევი, რაც განსვენებულ თამარ მაჭავარიანის დამსახურებად ითვლება, მაგრამ ხელნაწერების შესახებ ყველა ცნობა კონცენტრირებული არაა. მიზეზი ნათელია: ამგვარი ცნობები ხშირად ჩართულია სულ სხვა თემატიკის (მხარეთმცოდნეობა, ხელოვნება და ა.შ.) სტატიებსა თუ კორესპონდენციებში. ამის გამო დაგვჭირდა გაზეთის მთელი კომპლექტის დამუშავება (ყველა ნომერი შემორჩენილი არაა. 11:7). დადასტურდა ბევრად მეტი (200-მდე) ინფორმაცია, ვიდრე ზემომითითებულ პარაგრაფშია.

დიდი ხანია, რაც XIX ს-ის პრესა ქართველოლოგიის ყურადღებას იქცევს. მისი მონაცემები ცალკეული საკითხების კვლევის დროს, ზოგჯერ, გათვალისწინებულიცაა. ეგევე ითქმის კოდიკოლოგიური და, ზოგადად, არქეოგრაფიული შინაარსის სტატიებზეც, რომელთა დამონშებას, თემატიკის შესაბამისად, არცთუ იშვიათად ვხვდებით ძველი ქართული ფილოლოგიისა თუ ისტორიოგრაფიის უბნებზე, მეტადრე — ლევან მენაბდის მონოგრაფიაში „ძველი ქართული მწერლობის კერები“ (ორი ტომი). ასევე — სოლომონ ყუბანეიშვილის, სარგის ცაიშვილის, გივი მიქაძისა თუ გურამ შარაძის შრომებში, რომლებიც მეტწილად ვეფხისტყაოსნის პრობლემატიკას მოიცავს.

ხელნაწერთმცოდნეობის კუთხით ჩვენი პერიოდიკის არც ერთი ორგანო განხილული არაა. ამ მხრივ გამონაკლისია, და ისიც ნაწილობრივ, ჟურნალი „ცისკარი“. ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა მისეული პუბლიკაციები შეისწავლა ლუიზა ჭუმბურიძემ (179) და გამოარკვია მათი დედნების საკითხი, მაგრამ ეს შრომა უფრო ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება. კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული მასალები თუ მონაცემები, დადასტურებული სხვადასხვა სტატიაში, აქაც ყურადღების მიღმა დარჩენილი.

ამდენად, წინამდებარე შრომა ძველი პერიოდიკის ამ პროფილით გამოკვლევის პირველი ცდაა.

**შედეგები, სიახლე და პერსპექტივები.** ცნობები, რაც ხელნაწერ-

თა ინსტიტუტის ჯგუფმა (იხ. ზემოთ, გვ. 3) გამოავლინა, გადატანილია ბარათებზე და შედგენილია კატალოგები: ანბანური ა) იდენტიფიცირებულთა და ბ) არაიდენტიფიცირებულთა და საძიებლები: 1. მფლობელთა; 2. შემწირველთა; 3. დაცულობის პუნქტთა; 4. დამუშავებული სტატიების და ნიგნების.

რადგან მონოგრაფიულად ჯერჯერობით მხოლოდ „დროება“ შესწავლილი და დამუშავებული, ამ ეტაპზე მისეული ბარათები საერთო კატალოგიდან გამოვყავით და წარმოვადგენთ მოცემული გამოკვლევის დანართად, რომელსაც ეწოდება „დროების ხელნაწერთა კატალოგი“. ზოგიერთ ცნობას, რომელმაც მწირი შინაარსის გამო ჩვენი შრომის კვლევით ნაწილში ადგილი ვერ პოვა, მკითხველი იხილავს ამ კატალოგში.

„დროების“ მასალათა საფუძველზე 374 ბარათი შეივსო, ე.ი. მოძიებულ იქნა ცნობა ამდენივე ხელნაწერის, ანდა ხელნაწერთა კოლექციის შესახებ. მათგან ჯერჯერობით 221-ის იდენტიფიკაცია მოხერხდა. სავარაუდოა, რომ სამომავლო კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ხელნაწერების რიცხვი გაიზრდება. თითოეული ბარათი ამა თუ იმ დოზით შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას ხელნაწერის ან ხელნაწერების კოლექციის (კოდექსების, გრაგნილების, საბუთების) მიკვლევაზე, გამოვლენაზე, დაცულობაზე, შეწირვაზე, შემადგენლობაზე, ანდერძ-მინაწერებზე, თავგადასავალზე. დროებაში აქა-იქ მოცემულია ხელნაწერთა აღწერილობა ან აღწერის ცდა, რაც შესაბამის ბარათში და, ცხადია, კატალოგშიც აისახა.

ეს ცნობები მეტწილად ბუნდოვანია, მაგრამ მათი, როგორც პირველადი ინფორმაციების, ანალიზი მეცნიერებას ბევრ სიახლეს სთავაზობს. ივსება ჩვენი ცოდნა იმ ხელნაწერებზე, რომლებიც აღწუსხულია და კვლევის ობიექტად ქცეული; ფართოვდება ამ სფეროში მხედველობის ველი, რადგან აქ ის ნუსხებიც შემოდის, რომელთა შესახებ არაფერი ვიცოდით; ირკვევა მიმკვლევეთა, მფლობელთა და

შემწირველთა ახალი სახელები, ადრინდელი დაცულობის ადგილები; ხერხდება სამეცნიერო, სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაში დაფიქსირებული ზოგიერთი ფაქტის შემონახვა და დაზუსტება; ამა თუ იმ კოდექსის შედგენილობაზე ადრინდელი ცნობების შეჯერება ამჟამინდელ ვითარებასთან, რის შედეგადაც ზოგჯერ სახეზეა სხვაობა; შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ანონიმური სტატიის — მონინავისა თუ ინფორმაციის — ატრიბუცია, ფსევდონიმებისა თუ ფსევდონინიციალების გახსნა, ანდა ამ მიზნით ახალი არგუმენტების წამოყენება და, რაც მთავარია, იკვეთება პერსპექტივა გაუჩინარებული თუ დაკარგულად მიჩნეული ნუსხების ძიებისა და პოვნისა ძველი მონაცემების კვალდაკვალ.

ასე რომ, ძველ მასალებზე დაყრდნობით კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული კვლევა-ძიება ავსებს და ამდიდრებს ქართული და საქართველოში დაცული არაქართულენოვანი ხელნაწერების „აღწერილობებს“, რომელთა დიდი ნაწილი გამოცემულია, ნაწილი — სასტამბოდ გამზადებული. სიახლენი, რაც „დროების“ მასალათა შექმნის-გვარმა ანალიზმა წარმოაჩინა, ასახულია ჩვენი შრომის სათანადო პარაგრაფებში, დასკვნით ნაწილსა და დანართში (კატალოგში).

ძველ პუბლიცისტურ და, არც თუ იშვიათად, სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული მასალები ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო სინამდვილეს ყოველთვის ვერ შეესატყვისება, რაც მცდარი დასკვნების საფუძველი ხდება და საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს (ამის დასტურად „სვანეთის სულთა მატინაზე“ პირველი ცნობის გახსენებაც იკმარებს). ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული კატეგორიის ინფორმაციები საჭიროებს პროფესიულ ანალიზს და კვალიფიკაციას გაუგებრობათა თავიდან აცილებისა და რიგითი მკითხველების დაკვალიანების მოტივით.

## თავი 1

# „დროება“ ხელნაწერების შეკრებისა და შესწავლის სამსახურში

### 1.1 კულტურულ-საგანმანათლებლო კოზიციი

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში „დროების“ ადგილი, პროფილი და როლი გარკვეულია (15:263-282;44). იგი წარმოგვიდგება საყოველთაო და ფართო პროფილის ორგანოდ, რომელიც ცხრამეტი წლის მანძილზე (1866, 4,III—1885, 14.X) ეხმიანებოდა საზოგადოების სულიერსა თუ პრაქტიკულ ინტერესებს. „დროება“, აღნიშნავს ალექსანდრე კალანდაძე, „იყო პირველი ევროპული ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა ახასიათებდა და რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა“ (44: 11).

„დროებამ“ რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა განვლო. ცენზურის წნეხი მძიმე ტვირთად დაარსების დღიდანვე აწვა, რამაც იმსხვერპლა კიდევ თავისუფალი აზროვნებისა და მართლმხილების გამო (შდრ. გვ. 119). ამის მიუხედავად იგი პირნათლად ემსახურა ეროვნულ იდეალებს, რომლის შემადგენელი ნაწილი მოქალაქეთა განათლების დონის ამაღლება გახლდათ.

გაზეთმა ხუთი რედაქტორი გამოიცვალა: გიორგი წერეთელი (1866-1869), სერგეი მესხი (1869-1873 და 1874-1883), კირილე ლორთქიფანიძე (1873, 8.X — 1874, 3.X), ილია ჭავჭავაძე (ს.მესხთან ერთად) (1880-1882) და ივანე მაჩაბელი (1883-1885), მაგრამ იდეური მიმართულება, მსოფლმხედველობა და ჟურნალისტური პრინციპები არ გამოუცვლია (15:276;44:19). მაგისტრალურ ხაზს — საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სალიტერატურო მისიას — იგი უხამებდა



მეცნიერულ თემატიკას; ეწეოდა სხვადასხვა კულტუროლოგიური დარგის პოპულარიზაციას; ახერხებდა ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების დასმას და ანალიზს, რადგან გაცნობიერებული ჰქონდა წინაპართა მემკვიდრეობის შესწავლის მნიშვნელობა დღევანდლობის გაუმჯობესებისათვის და ამ გზაზე მასობრივი ბეჭდვითი სიტყვის მისია. „დროება“ მიესალმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის გამდიდრების ფაქტს და გამოთქვა იმედი: „...იქნება მოკლე დროში ეს წიგნთ-საცავი შეიქმნეს იმისთანა დაწესებულებად, სადაც თამამად შეგვეძლოს უცხო-ქვეყნელთა შეყვანა და თქმა: ჩვენ მოვლეთ კიდი-კიდედმე ჩვენი ბუნებით-შემკული ქვეყანა, არ დავაგდეთ განუჩხრეკელი არც ერთი სახლი, არც ერთი კუთხე, სადაც კი შესანიშნავი რამ გვეგულებოდა და აქ შევკრიბეთ ყოველივე, რითაც ვამაყობთ და რასაც შეუძლიან მოჰფინოს მცირედიც არის სხივი ჩვენს მრავალ-ტანჯულს ისტორიას“ (1884, 19.VIII, N 180).

ეს სიტყვები, წარმოდგენილი მონინავეში, რომელიც, შესაძლებელია, ეკუთვნის რედაქტორს — ივანე მაჩაბელს, გაზეთის პოზიციას გამოხატავს და გულისხმობს ღვანლს ძველი წერილობითი ძეგლების გამოვლენისათვის. საამისო კამპანია, შეიძლება თამამად ითქვას, საქართველოში „დროებაში“ წამოიწყო, რაც, ვფიქრობთ, ჩვენი მასალა-ბითაც დადასტურდება.

თემებისა და საკითხების ნაწილი, რომელიც მეცნიერების რიგ უბანს შეეხება და რაც „დროებაში“ აისახა, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დამუშავებულია (დავიმონმებთ ზოგიერთს) (37;172-175;183). უკვე აღვნიშნეთ, რომ ამა თუ იმ საგნისა და პრობლემის მკვლევრებს იქ წარმოდგენილი კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ინფორმაციებიც აქვთ გათვალისწინებული, მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევებია და იქაც კი ბევრი პირველხარისხოვანი მასალა შეუმჩნეველია. ჯერაც არ მოკლებია აქტუალობა პროფ. იოსებ ბოცვაძის

სიტყვებს: „დროების“ მონოგრაფიული შესწავლა მომავლის საქმეა, საქმე საკმაოდ რთული, მაგრამ გადაუდებელი. ამასთან, ძნელია ერთი ადამიანის მიერ ყველა იმ საკითხის სრულყოფილი გაშუქება, რომელიც „დროებას“ დაუყენებია, თუ გადაუჭრია თავისი არსებობის მანძილზე, რადგან ეს საკითხები მეცნიერების სხვადასხვა სფეროს ეხებიან“ (15:282).

## 1.2 მოამბენი და მკვლევარი

ქართული ხელნაწერების სამსახურში „დროების“ ყველა თანამშრომელი იდგა, რაც რედაქტორების ღირსებად უნდა ჩაითვალოს. დაკვირვება ცხადყოფს, რომ არქეოლოგიურ-კოდიკოლოგიური პრობლემებისადმი გაზეთის დამოკიდებულებაზე ხელმძღვანელთა ცვალებადობა გავლენას არ ახდენდა და თანაბარი სისშირით ქვეყნდებოდა ცნობები ძველი წერილობითი ძეგლების მიკვლევის, შესწავლისა თუ პუბლიკაციის შესახებ. ცნობილია ამ დარგში გიორგი წერეთლის საგამომცემლო-კოლექციონერული საქმიანობა (იხ. გვ. 35). აგრეთვე — მისი არქეოგრაფიული შრომები (71:222 და შ.). პერიოდის მასალების მათთან შეჯერება, ვფიქრობთ, საინტერესო დეტალებს გამოავლენს, მაგრამ ეს ცალკე თემაა. ილია ჭავჭავაძის, როგორც კოლექციონერისა და შემწირველის შესახებ მომდევნო თავში ვისაუბრებთ. გზადაგზა სერგეი მესხის დამსახურებაც გამოიკვეთება. არც კირილე ლორთქიფანიძისა და ივანე მაჩაბლის სიძველეთადმი ინტერესები იწვევს ეჭვს. პირველისაგან უმდიდრესი ბიბლიოთეკა და საარქივო ფონდი შემოგვენახა (63:5-6). რაც შეეხება მეორეს, მაჩაბელს, — იგი სიყრმეშივე ეზიარა საეკლესიო-ლიტურგიკულ პრაქტიკას, საღვთო წერილის კითხვის ტრადიციას და ქართული სიტყვის მადლს. (163:19-21,27). მაჩაბელთა წიგნსაცავისეულია S 1211 (ს-ს ორბელიანი, ლექსიკონი, XVIII-XIX), რომელიც, როგორც ირკ-

ვევა „ივერიის“ ერთ კორესპონდენციაზე დაყრდნობით (1889, 16.VI, N124), ივანე მაჩაბელს შეუწირავს.

„დროების“ ოფიციალური თუ შტატგარეშე თანამშრომლებიდან, რომლებმაც ხელნაწერების ძიებისა და კვლევის ასპარეზზე სიტყვა თქვეს, პირველ რიგში აკაკი წერეთელს, დიმიტრი ბაქრაძეს, პეტრე უმიკაშვილს, პოლიევქტოს კარბელაშვილს, მოსე ჯანაშვილს, მიხეილ საბინინს, ალექსანდრე ყაზბეგსა და, კიდევ, რამდენიმე ავტორს ვიხსენებთ. თითოეულის კონკრეტული ღვაწლი გამოკვლევის სხვადასხვა მონაკვეთში აღინიშნება. აქ შედარებით ვრცლად ორი მკვლევრისა და მოამაგის დამსახურების წარმოჩენას ვცდით, რადგან მათი შემოქმედების ეს ასპექტი სრულყოფილად „დროების“ ფურცლებზე გამოიკვეთა.

**ზაქარია ჭიჭინაძე** (1854-1931) ადრიდანვე შეუდგა ბუკინისტ-კოლექციონერის საქმეს; გაეცნო სხვადასხვა წიგნთსაცავსა და კატალოგს; შეკრიბა ცნობები ქართული მწერლობის ნიმუშებზე და შექმნა ხელნაწერთა ფონდი (6:337;67:134-138;105:33).

უდავოა ზ.ჭიჭინაძის მიერ 1878 და 1880 წლებში დაარსებული წიგნის მალაზიების მნიშვნელობა ქართული კულტურის წინაშე (24:152;38:262-263). მათმა მეპატრონემ ფეხით შემოიარა საქართველო და თავი მოუყარა სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ნუსხებს. მან ქმნკგს-ს დაუთმო 170 ხელნაწერი წიგნი („დროება“, 1881, 26.II, N42); რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობისათვის დაგეგმილ გამოფენაზე წარსადგენად მოიძია რამდენიმე ხელნაწერი (იხ. გვ. 40) და შემოგვინახა ცნობები იშვიათი ნუსხების შესახებ.

აუცილებელია გავითვალისწინოთ: ზ.ჭიჭინაძის შრომები მოიცავს ფანტაზიისა და სინამდვილის ნაზავს. ამიტომაც „მათი ხელში აღება შესაძლებელია მხოლოდ პრინციპული წინასწარი უნდობლობით მათდამი“ (49:22-23).

ამ მითითების კვალობაზე წარმოებულმა ანალიზმა, — მართლის

ტყუილისაგან გაცხრილვამ და ზ.ჭიჭინაძის წყაროების დადგენის მცდელობამ, ახალი ფაქტები გამოავლინა ზოგიერთი ძეგლის თავგადასავლის, ანდა გამოცემის ისტორიიდან.

ზ.ჭიჭინაძის პირველი პუბლიკაცია, ჩვენი დაკვირვებით, არის „სია ძველი ქართული წიგნებისა“, რითაც წარმოაჩინა საკუთარი ბიბლიოთეკის ძველ წიგნთა ფონდი (იხ. ქვემ.). ამ ფონდზე ზრუნვა მას არქეოგრაფიულ საქმიანობას შთააგონებდა, რის გამოც დიდძალ ინფორმაციას მოუყარა თავი.

თბილისში წიგნით ვაჭრობის ცენტრი, გადმოცემის თანახმად, სიონის გასწვრივ ყოფილა (XVIII ს.) (24:149-150). ამ გადმოცემის პირველ ჩამწერად უნდა მივიჩნიოთ ზ.ჭიჭინაძე. მხედველობაში გვაქვს მისი ინფორმაცია ვახტანგ VI-ის „ხელნაწერთა საცავის“ შესახებ<sup>2</sup>. მეფეს სათანადო ბრძანება დაუბეჭდავს და გაუვრცელებია. მართალია, ამგვარი საცავის არსებობა ჯერჯერობით არ დასტურდება და არც ბრძანების ტექსტია მიკვლეული, მაგრამ ზ.ჭიჭინაძის ცნობები კათოლიკე მისიონერთა, „ვინმე ამილახვარისა“ თუ მუხრანბატონის, გაიოზ რექტორისა და ანტონ მეორის მიერ ხსენებული ბიბლიოთეკიდან ძვირფასი წიგნების გატანის შესახებ უთუოდ შეესაბამება სინამდვილეს (შდრ. 72:46-47,49-51).

ანგარიშგასანევია ზ.ჭიჭინაძის ცნობები ხელნაწერების მფლობელებზე, კოლექციონერებსა და მოამაგეებზე. ესენია: 1. იასე ჩუბინოვი (დ. ჩუბინაშვილის ბიძა); 2. ადრიანოვი (თბილისის ბერძნების ეკლესიის მღვდელი) და მისი შვილი; 3. დავით რექტორი და 4. მისი ბიბლიოთეკის მემკვიდრე სფირიდონ მესხიევი; 5. პ.იოსელიანი; 6. გ.ჩიქოვანი (თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მმართველი); 7. გაიოზ რექტორი; 8. ორბელიანები; 9. მუხრანბატონიშვილები; 10. თარხნიშვილები; 11. ალ.წულუკიძე; 12. ნ.ტ. დადიანი; 13. ი.ჭავჭავაძე;

---

<sup>2</sup> ზ. მთანინდელი, მეთვრამეტე საუკუნის მწიგნობრობა საქართველოში, „დროება“, 1878, 9.VI, N 111; 10.VI, N 112.

14. შალიკაშვილი<sup>3</sup>. აგრეთვე, სურამელი ორჯონიკიძეები („დროება“, 1882, 20.VIII, N 174); სოფ. წალასყურელი ჯორაშვილები („დროება“, 1885, 30.VII, N 162); მღვდელი სამხარაძე (იხ. ქვემ. გვ. 82) და სხვა.

აქ გავანალიზებთ ზ. ჭიჭინაძის იმ სტატიებს, რომლებშიც მოცემულია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევა.

ა) *სიტყვისგება ექვთიმე გრძელისა სოსთენის მიმართ.*

ზ.ჭიჭინაძემ პირველად გამოაქვეყნა სტატია<sup>4</sup> ხსენებული ძეგლის<sup>5</sup>, ე.ი. ღრტილას ანუ არტანუჯის ადგილობრივი კრების აქტის შესახებ.<sup>6</sup>

„... ამ საგანზე აი რას სწერს კათალიკოზი ანტონი თავის „წყობილსიტყვაობაში“: „სწერენ კვლად ისტორიის მემატიანენი... ბაგრატ მეოთხის მეფის თანა მოვიდა სომეხთა წინამძღვარი და სჯულის მეცნიერი მათი. ქადაგებდა, რათა არწმუნოს წვალება მათი ქართველთაც, რომელსა ეწოდება სოსთენ. ამას ვერავინ წინ აღუდგა, არამედ გამოიკითხა მეფემან და მოიყვანა მთავარეპისკოპოზი ევთიმე გრძელი. ესე წინ აღუდგა სოსთენსა“...“

ამ ევთიმე გრძელმა და შემდეგ იოვანე ხახულელად წოდებულმა აღსწერა წიგნი ერთ ბუნებთან მწვალებელთა (მონოფიზიტთა) და საზოგადო „ხალკიდონი“ კრების წინააღმდეგ (!) დასარღვეველად, რომელიც ესლა უკვე მოიპოვება...

ეს ხელნაწერი წიგნი... ამ ჟამად ვიპოვნეთ... თ.ორბელიანის მოურავის დავითის ხელნაწერს წიგნებში, რომლიდანაც გარდინერება ერთი პირი და გაიგზავნება სანკტ-პეტერბურღს უფ. საბინინთანა, სადაც იქნება განიხილონ კიდე... იქ ქართველთა მამათა ცხოვრება იბეჭდება სურათებით სამ დიდ ტომათ...“

ექვთიმე გრძელის „სიტყვისგება“ წარმოდგენილია, უმთავრე-

<sup>3</sup> ზ. ჭიჭინაძე, ძველი ხელნაწერი წიგნების შეგროვების თაობაზე, „დროება“, 1880, VII. 20, N 175.

<sup>4</sup> ზ.მთაწმინდელი, ბერი ევთიმეს მიგე(ბ)ა სოსთელ სომეხთა მოძღვრისადმი (თხზულება უცნაურის მწერლისა), „დროება“, 1878, 13.VII, N 139.

<sup>5</sup> გამოცემები: 97:615-621;57: 278-287.

<sup>6</sup> ამ კრებას ზოგი ბაგრატ მესამის ზეობის წლებთან (975-1014) აკავშირებს, ზოგი — ბაგრატ მეოთხესთან (1027-1072) (48: 95-99). ზ.ალექსიძე მხარს უჭერს ტრადიციულ, ე.ი. X ს-ით დათარიღებას. იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 12, თბ., 1986: ღრტილა.

სად, სასულიერო-აპოკრიფული შინაარსის კრებულში — „მარგალიტში“, რომელმაც ჩვენამდე რამდენიმე ნუსხით მოაღწია<sup>7</sup>. მათგან ერთ-ერთზე ზ.ჭიჭინაძეს ხელი მიუწვდა, ჩანს, 1878 წლის ივლისამდე. მის მფლობელად, ზ. ჭიჭინაძის ზემოთ ციტირებული სიტყვების საფუძველზე, უნდა ვიგუღვოთ ცნობილი გადამწერი და მწიგნობარი დავით ივანეს ძე ამირიძე, — ორბელიანთა მოურავი, რომელსაც მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა და, შესაძლებელია, მანვე იღო თავს ზემოხსენებული „ერთი პირის“ გადამწერა. მისი ბიბლიოთეკის ნაწილი, მფლობელის გარდაცვალების შემდეგ (1890) (გაზ. „თეატრი“, 1890, 11.II, N7), გადაეცა ქმნკვს-ს. დღეს იგი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში 2384-2400 ნომრებს შორის. „მარგალიტის“ ეგზემპლართაგან, „აღწერილობებზე“ დაყრდნობით, ამირიძეების ოჯახში ადრე მათ დაცულობას არც ერთი არ გვაგვარაუდებინებს.

დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომელი ნუსხა გამოაქვეყნა მიხეილ საბინინმა „საქართველოს სამოთხეში“, ამირიძისეული ხელნაწერის „პირი“, თუ მარგალიტის ის ნუსხა, რომელიც მან 1880 წელს შეიძინა იოსებ ახალშენიშვილისაგან თბილისში (208:428-429). უნდა ვიფიქროთ, „საქართველოს სამოთხის“ შედგენილობაზე (გვ. 629-635) დაყრდნობით, რომ მ.საბინინს ხელთ ჰქონდა „მარგალიტის“ ის ნუსხა, რომელშიც ექვთიმეს „სიტყვისგებას“ მოსდევს შემდეგი თხზულებები: „უწყება პეტროს მკანრველისათვის და ალაჯორისათვის და ალაჯორთა მარხვსა“, „უწყება სუბალისძის სუფსარქისისათვის“, „თარგმანება სომეხთა წუალებათათვის, თუ რომლითა შეიჩუენებინან სომეხნი“. 1880 წელს შეძენილი ნუსხის ამჟამინდელი დაცულობა ვერ გავარკვეით. ა.ხახანაშვილის ცნობაში კი „სიტყვისგების“ მომდევნო ნაწარმოებები მითითებული არაა. თუ ამ ფაქტის მიზეზი იოსებ ახალშენიშვილისეული ხელნაწერის შედგენილობა იყო, შესაძ-

<sup>7</sup> კ. კეკელიძის მიერ ჩამოთვლილი ხელნაწერებიდან (49: 413) ე.წ. ლოპატინსკისა უდრის სცსსა 153-ს. მათ რიცხვს უნდა დაემატოს: S 951 ე, 3620, 3727, H 377, 1246, Q 707, სცსსა 113.

ლებელია, მართლაც ორბელიანთა მოურავის ბიბლიოთეკის ნუსხა ვივარაუდოთ მ.საბინინის პუბლიკაციების წყაროდ. ეს ნუსხა რომ ზემოჩამოთვლილ თხზულებებსაც შეიცავდა, გვაფიქრებინებს შემდეგი: ზ. ჭიჭინაძე იცნობს „სიტყვისგების“ მომდევნო ტექსტებსაც, მაგრამ, გაუგებრობისა თუ მცდარად დამახსოვრების გამო, წყაროს ზუსტად ვერ გადმოსცემს<sup>8</sup>.

ზ.ჭიჭინაძის თანახმად, იმდროინდელ მკვლევართათვის „სიტყვისგების“ სხვა ნუსხა ცნობილი არ ყოფილა, თუმცა „საქართველოს ისტორიის მწერლებს“ ექვთიმე გრძელის მოღვაწეობაზე წარმოდგენა ჰქონიათ. ვფიქრობთ, აქ ზაქარია ჭიჭინაძეს მხედველობაში აქვს, სხვათა შორის, არსენ იყალთოელის „დოგმატიკონი“ და ვახუშტის ისტორიის ერთ-ერთი ნუსხის შემდეგი მინაწერი: „სწერენ კვალად ეკლესიის მემატანიანი: ამ ბაგრატ მეფესთანა მოვიდა სომეხთა წინამძღვარი და სჯულისა მეცნიერი მათი ქადაგებად, რაჟთა არწმუნოს სარწმუნოება მათი ქართველთაცა, რომელსა ეწოდა სოსთენ. ამას ვერავინ წინ აღუდგა, არამედ გამოიკითხა მეფემან და მოიყვანა ხახულისა მთავარეპისკოპოზის თანა მყოფი ეფთჳმე გრძელი. ესე წინააღუდგა სოსთენსა...“ (S 186, გვ. 113). ცხადია, „დროების“ პუბლიკაციაში ციტირებული ტექსტის ავტორია არა ანტონ კათალიკოსი, არამედ S 186-ის გადამწერი. მისი შენიშვნა პირველად გამოაქვეყნა პ.იოსელიანმა. მან „ხახულის მთავარეპისკოპოსად“ მიიჩნია ოქროპირად წოდებული იოანე და აღნიშნა: „ამან აღჰსწერა ვრცლად ნიგნი ერთბუნებინთა მწუალებელთა (მონოფიზიტთა) და საზოგადოდ ხალკიდონისა კრებისა წინააღმდეგთა დასარღუეველად...“ (3:337-338). ჩანს, ზ.ჭიჭინაძემ ისარგებლა პ.იოსელიანის კომენტარით, რამაც მის ხელში ტრანსფორმაცია განიცადა: „ხახულის მთავარეპის-

<sup>8</sup> გაუგებრობა, შესაძლებელია, იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ „პეტრე ანტიოქელი ქართულ მწერლობაში აღრეულია სომეხ-ქართველთა განხეთქილების ხანის სომეხ ეპისკოპოსთან, რომელსაც ტრადიციის მიხედვით ქართველები პეტრე მგელს უწოდებდნენ“ (5:107-108 ლიტერატურა იხ. იქვე).

კოპოზის თანა მყოფი ეფთჳმე“ ექვთიმე მთავარეპისკოპოსად იქცა და გამოცხადდა იოანე ხახულელის წინამორბედად ანტიმონოფიზიტური მწერლობის დარგში. შესაძლებელია, ზ.ჭიჭინაძის ამ ბუნდოვან ფორმულირებას, — პ.იოსელიანის ცნობის განვრცობას, აპირობებდეს არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის“ ერთ-ერთი მინაწერი, — „შეისწავე“, რომელიც ეხება ექვთიმე გრძელის დოგმატურ-ცენზორულ საქმიანობას (92:125-126;47:XV-XVII;48:97). „დოგმატიკონში“ წარმოდგენილია იოანე დამასკელის თხზულებანი „დასამჯობელად“ სხვადასხვა წვალებათა, მათ შორის — „სიტყვსგება უარისმყოფელთა მიმართ წმიდისა კრებისა ხალკიდონისათა“. ეს ფაქტი, შესაძლებელია, არც ზ.ჭიჭინაძისათვის იყო უცნობი, რამაც მის ინფორმაციაზე გავლენა იქონია.

ამრიგად, ზ.ჭიჭინაძის ძირითადი წყაროა პ.იოსელიანი, მაგრამ ხელი მიუწვდება სხვა დოკუმენტებზეც: 1) „დოგმატიკონზე“, 2) S 186-ზე და, რაც მთავარია, 3) საკუთრივ ტექსტზე, თუმცა მისეული ანალიზი მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს. გვაქვს საფუძველი, ამირიძეების ოჯახში დაცული ეგზემპლარი ვიგულვოთ მ.საბინინის პუბლიკაციების დედნად.

ბ) „ამირანდარეჯანიანი“. 1896 წელს ზ.ჭიჭინაძემ „ამირანდარეჯანიანი“ სრული სახით პირველად გამოაქვეყნა და მიუთითა შესაბამისი ხელნაწერების გამოვლენის, შეკრებისა და ურთიერთშეჯერების აუცილებლობაზე (გვ. 392-393).

ირკვევა, რომ წყაროების მოძიების თვალსაზრისით მას სერიოზული შრომა გაუწევია; 1885 წელს მკითხველებისათვის შემდეგი ინფორმაცია მიუწოდებია („დროება“, 30.VII, N 162):

„ამ დღეებში მე შემთხვევით მომიტანეს ერთი ხელნაწერი წიგნი, რომანი მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში დანერილი, რომლის გადამწერად მოსე ხონელს ასახელებენ. იგი დანერილია თაბახის ჩარეჳიანს ქალაღღზე და შეიცავს 600 გვერდს. დანერილია ნუსხურის ხელით... თავში ერთი ფურცელი აკლია და ბოლოში რამდენიმე.

ამის სრული ეგზემპლარი ჯორაშვილების ოჯახშია დაცული, სომხე-



თის (სამხრეთის) მხარეს სოფელს წალასყურს. ამ წიგნის გულისათვის 1880 წელს სოფ. წალასყურშიაც წავედი, მსურდა იგი შემეძინა, მაგრამ ვერ შევიძინე, რადგანაც 25 მანეთნაკლებ არ დამითმეს. ეს ეგზემპლარი კი სრულია და ყდაში შეკრული. ამის მეტი მე სხვა ეგზემპლარი არსად არ მინახავს, რომ თავში ან ბოლოში არა ჰკლებოდეს რა... ამიტომ ვსთხოვ ჩვენს „წერა-კითხვის საზ. გამგეობას“ მიმართონ პატივცემულ ჯორაშვილებს ... ხმები ისმის, რომ ერთ საპატიო ქართველს გენერალს „ამირანდარეჯანიანის“ დაბეჭდვა ჰსურსო, მაგრამ ხელნაწერებს ვერსად შოულობენო“.

ბოლო წინადადება ზურგს უმაგრებს სპეციალურ ლიტერატურაში შემუშავებულ თვალსაზრისს, რომ 1885 წლის ახლო ხანს დღის წესრიგში იდგა ხსენებული თხზულების კრიტიკულად გამოცემის საკითხი (2:26). ამას ადასტურებს დაახლოებით იმ პერიოდში მომზადებული ხელნაწერი, S 435, რომლის არსებითი ნიშანია ვარიანტული სხვაობების აღნუსხვა. შემდგენელი, ცხადია, ნუსხებს ეძებდა, რაც, როგორც ჩანს, ზ.ჭიჭინაძემაც იცოდა. მისი ინფორმაციით, ამ წამოწყების სულისჩამდგმელი ვინმე გავლენიანი სამხედრო პირი ყოფილა.

მართალია, აღნიშნული იდეა მაშინ ვერ განხორციელდა და, ჩანს, ზ. ჭიჭინაძესაც არ მიუწვდა ხელი ზემომითითებული ნომრით დაცულ ნუსხაზე, მაგრამ საზოგადოების ინტერესი XII ს-ის ძეგლისადმი გაცხოველდა. თხზულების პირველ გამომცემელს 1885 წლის ივლისისათვის ხელმეორედ წაუკითხავს იგი, შეუმუშავებია თვალსაზრისი მისი ორიგინალობის შესახებ და შეუკრებია ცნობები რამდენიმე ეგზემპლარზე. მათ შორის: 1. 600 გვერდიანსა და 2. ჯორაშვილების ოჯახში დაცულზე.

დღეისათვის აღნუსხულია „ამირანდარეჯანიანის“ 38 ხელნაწერი (82:094-0103), მაგრამ მათგან ზ.ჭიჭინაძის მიერ მოხსენიებულ ნუსხებთან არც ერთის გაიგივება არ ხერხდება. ცნობილი არაა ადრინდელი მფლობელი და დაცულობა იმ ხელნაწერებისა (S 1119 და 1623), რომლებიც საფუძვლად დაედო ზემომითითებულ გამოცემას (პირველი — ძირითად ტექსტს, მეორე — დამატებას) (2:094,0101;34:51-53) და ჩვენც მხოლოდ ვარაუდის დონეზე ვამბობთ, რომ 1885 წელს

ზ.ჭიჭინაძის მიერ შემთხვევით მიკვლეული ხელნაწერი იდენტური უნდა იყოს S 1119-ისა: მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს გვერდების რაოდენობა, მაგრამ საერთო ჩანს შემადგენლობა (S 1119-საც აკლია თავფურცელი და ბოლო გვერდები).

ბუნდოვანია სოფ. ნალასყურში აღმოჩენილი ნუსხის ბედი: არ ვიცით, შეიძინა თუ არა იგი ქშნკვს-მ. როგორც ინფორმატორი გვამცნობს, მის ფურცლებზე მოსე ხონელის ტექსტი სრულად ყოფილა წარმოდგენილი. ასეთებად კი დღეისათვის ცნობილია ხუთი ხელნაწერი (2:095-097), მაგრამ ვერ ვიტყვით, მათგან რომელი იყო დაცული სოფ. ნალასყურსა და, კერძოდ, ჯორაშვილების ოჯახში.

გ) „ნარგიზოვანი“. სატრფიალო ლექსების კრებულის — „ნარგიზოვანის“ — ხელნაწერების შესახებ პირველად ცნობები „დროებაში“ გამოქვეყნდა. ესენია: 1) „სია ძველი ქართული წიგნებისა“ (იხ. ქვ.), რომელშიც 33-ე ნომრით შეტანილია „ნარგიზოვანი პოემა (ოთხი კარი)“ და 2. ინფორმაცია ერთ-ერთი ნუსხის აღმოჩენაზე (1878, 22.1, N16)<sup>9</sup>, სადაც ნათქვამია: „ამ წიგნიდამ სჩანს, რომ ეს პოემა მეფე არჩილს დაუნერია“.

მკვლევართა შორის „ნარგიზოვანის“ ავტორად მეფე არჩილს მხოლოდ ზ.ჭიჭინაძე ასახელებდა მის ხელთ არსებული ეგზემპლარის საფუძველზე (169;22-23;50:619;79:5-6) ამიტომ ვფიქრობთ: ზემომითითებული ინფორმაცია რედაქციას მიანოდა ზ.ჭიჭინაძემ. იგი გულისხმობდა იმ ხელნაწერს, რომელზეც აღბეჭდილი იყო არჩილ მეფის სახელი.

1888 წელს ზ.ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა ფრაგმენტი „ნარგიზოვანიდან“ (109:22-23), რომლის დედანი, ა.ბარამიძის დაკვირვებით, არის S 1087. ამ ხელნაწერში არჩილ მეფის ავტორობა აღნიშნული არაა, რის გამოც მას ვერ ჩავთვლით ზემომითითებულთაგან მეორე ინფორმაციის საფუძველად. იგი იდენტური უნდა იყოს „დროების“ სიის 33-ე

<sup>9</sup> მთლიანად გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ (86:8;10:475).

ნომრისა.

„ნარგიზოვანის“ მეორე ეგზემპლარი, რომელიც ზ.ჭიჭინაძეს უპოვია 1878 წლის 22 იანვრის ახლო ხანს, ალ.ბარამიძის დამონმეზულ შრომებზე დაყრდნობით, იდენტური ჩანს S 118-ისა. მართალია, ის მინანერი, რის საფუძველზეც ზ.ჭიჭინაძემ საკუთარი თვალსაზრისი შეიმუშავა („პოემა მეფე არჩილს დაუნერია“), ხელნაწერში არ მოიპოვება და არც „აღწერილობაში“ მის შესახებ რაიმე ნათქვამი, მაგრამ ამგვარი მინანერის არსებობა აღნიშნულია ალ.ბარამიძის 1933 წლის გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში. იქ ვკითხულობთ: „ხელნაწერს (S 118-ს, ნ.პ.) ალბეჭდილი აქვს ზ.ჭიჭინაძის კუთვნილება. მისი (ხელნაწერის) საერთო სათაურია: „არჩილ მეფის ლექსები. მიჯნურთ ბადე“... ამავე ხელნაწერს დაუცავს აგრეთვე მინანერი: „პოემა ნარგიზოვანი მეფე არჩილის დაწერილია...“

საფიქრებელია, რომ ეს მინანერი წარმოდგენილი იყო ხელნაწერი წიგნის ყდაზე, რომელიც დღეისათვის დაკარგული ჩანს. ეს უნდა მომხდარიყო 1933-1959 წლებში.

შეიძლება დავასკვნათ: ზ.ჭიჭინაძემ „ნარგიზოვანის“ ტექსტის შემცველი ორი ნუსხა (S 118, 1087) 1878 წლამდე მოიძია.

გ) *ბესარიონ გაბაშვილის თხზულებანი*. ზ.ჭიჭინაძემ წიგნაკის სახით პირველად გამოაქვეყნა ბ.გაბაშვილის ავტორობით ცნობილი ლექსები (59 ერთეული) (თბ., 1885). პუბლიკაციას უძღოდა ნარკვევი, რამაც სათავე დაუდო პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის ბიოგრაფიის დამუშავებას.

ამ ნარკვევში არაფერია თქმული გამოცემის ბიბლიოგრაფიულ-შემკრებლობით წანამძღვრებზე.

ირკვევა, რომ ზ.ჭიჭინაძე 1880 წლიდან აგროვებდა მასალებს ბ.გაბაშვილის ნაწარმოებთა კრებულის გამოცემისათვის („დროება“, 1883, IV, 14. N77) და 1883 წელს საზოგადოებას აუწყა:

„...შევჰკრიბე სულ ოცდაათ ლექსამდის. მაგრამ დაბეჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს ლექსები ერთობ მცირე ნაწილს შეადგენენ ბე-

სიკის ნაწერებისას. ბესიკის ნაწერების ერთი ვეება ტომი ყოფილა და დაცული იყო გიორგი თუმანიშვილის ოჯახში...“ („დროება“, IV, 27, N83).

„ამ ბოლო დროს რამდენიმე ძვირფასი მასალა აღმოჩნდა ბესიკის გვარის გაბაანთ ოჯახში, რომელთაც არ დაიშურეს და ყველა ესენი გადმომცეს. ამ მასალებში ბევრი იმისთანა რამ მოვიპოვეთ, ახალციხეში რუსის კონსულის დასმაზე 1785 წ. და ფოთში ქართველების ნავთსაყუდელის დაარსებაზე, რომელზედაც აქამდის არა ვიცოდით რა. ბესიკს თვით უმეცადინია ამ ამბების გამო და ამიტომაც უმოგზაურია რუსეთში...“ („დროება“, 1885, 17.VII, N152).

ეს ცნობები ზურგს უმაგრებს მკვლევართაგან შენიშნულ ფაქტს, რომ „ბესიკის“ ზ.ჭიჭინაძისეული პუბლიკაცია არაა რომელიმე ჩვენთვის ცნობილი ხელნაწერის ასლი (14:22-36;16:215-219). როგორც ჩანს, კრებულის შემდგენელ-რედაქტორი სხვადასხვა წყაროდან კრებდა შესაბამის მასალას. ამგვარი ძიების გზაზე მას მოუპოვებია ცნობა ერთ-ერთ საყურადღებო ხელნაწერზე. იგულისხმება დავით რექტორის 1821-1823 წწ-ის კრებული — S 1511-1512, რომელიც სწორედ გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის საკუთრება იყო. მინაწერი გვამცნობს, რომ ხსენებული ოჯახის მემკვიდრეს, ალექსანდრეს, დაუთმია იგი მიხეილ ყიფიანისათვის. ზ.ჭიჭინაძის განცხადების თანახმად ეს უნდა მომხდარიყო 1883 წლამდე და, ცხადია, ბესიკის თხზულებათა ნიგნის პირველ გამომცემელს აღარ მიუწვდა ხელი მასზე.

სამაგიეროდ ზ.ჭიჭინაძეს გაბაშვილების ოჯახში მიუკვლევი და კიდევ შეუძენია საბუთი, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, უდრის ცნობილ დოკუმენტს, — იმერეთის დესპან ბესარიონ გაბაშვილის მოხსენებით ბარათს გრიგოლ პოტიომკინისადმი, დათარიღებულს 1789 წლის 5 დეკემბრით, რომელიც შემონახულია ორი პირით (65:295-297): 1. შავით(98:14-15;16:198-199) და 2. თეთრით.(148:293-294;65:294-295). ზ.ჭიჭინაძის მიერ მოძიებულ ეგზემპლარად უნდა მივიჩნიოთ პირველი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-13916). იმავე ფონდში [Hd] დაცულია ბ.გაბაშვილის ავტოგრაფული საბუთები: N 10365-13913. ზემონარმოდგენილი იდენტიფიკაციის შემდეგ ბუნებრივია, ეს დოკუმენტები გავაიგივოთ 1885 წლის 17 ივლისამდე მიკვ-

ლეულ „რამდენიმე ძვირფას მასალასთან“ და ვიფიქროთ, რომ ისინი, Hd-13916-ის მსგავსად, ზ. ჭიჭინაძემ გადასცა საქართველოს საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებას.

დ) „მემხოლოეთა სარკე“. ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ამ თხზულებას, ზ. ჭიჭინაძეს უნახავს 1885 წლის ზაფხულში, 13 აგვისტომდე<sup>10</sup>. გაცნობია შინაარსს, მეტადრე — წინასიტყვაობას, რის საფუძველზეც წარმოუჩენია დამატებითი საბუთი რუსთველის ქართველობისა და ქრისტიანობის სასარგებლოდ.

მკვლევარი ავტორის — „იონა ბერის“ — ვინაობას არ აზუსტებს. აქ იგულისხმება XVIII-XIX სს-ის საეკლესიო მწერალი იონა ხელაშვილი და მისი ნახევრად ორიგინალური შრომა „სარკე სულიერი მემხოლოეთი“ ანუ, იგივე, „მემხოლოეთა სარკე“, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ადრე ირიბი წყაროებით იყო ცნობილი (49:406). ამ ძეგლის ერთადერთი, თანაც ავტოგრაფული ნუსხა ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოავლინა ავთანდილ იოსელიანმა 1947 წლის ზაფხულში და სათანადო გამოკვლევა უძღვნა მას (42).

ა. იოსელიანი ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციას არ იცნობს და, ცხადია, არც შესაბამისი იდენტიფიკაციის საკითხს სვამს. მისი ვარაუდით, ამ ნუსხის ცაგერის მუზეუმში დაცულობა მიგვანიშნებს იონა ხელაშვილის საქმიან კონტაქტზე ლეჩხუმის საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრებთან (42:151).

იონა ხუცესმონაზონის ცხოვრება, რამდენადაც დღემდე შესწავლილია (49:403-406;66;69), ამგვარი დაშვების უფლებას ნაკლებად გვაძლევს. არა გვაქვს საფუძველი აგრეთვე ზ. ჭიჭინაძისა და ა. იოსელიანის ცნობების წყაროდ სხვადასხვა ხელნაწერი ვიგულოვით. ქართულ ხელნაწერებზე ზ. ჭიჭინაძის მრავალრიცხოვან ინფორმაციათა

<sup>10</sup> ზ. ჭიჭინაძე, ამოთან თუ შოთა? „დროება“, 1885, 13.VIII, N137; [მისივე] რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთველზე — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ჟრნ. „თეატრი“, 1886, N49. გვ. 581-582 (ამ სტატიის ატრიბუცია 116: 196).

შორის ესენი („დროებისა“ და „თეატრისა“) ერთ-ერთ საფუძვლიან სტატიებად უნდა მივიჩნიოთ და გამოვუცხადოთ ნდობა „მემხოლოეთა სარკის“ თბილისში აღმოჩენის საკითხში.

სავარაუდებელია შემდეგი: ნიგნი, რომელზეც ზ.ჭიჭინაძეს ხელი მიუწვდა 1885 წლის ზაფხულში, შეიძინა ვინმე ლეჩხუმელმა. შემდეგ კი ცაგერის მუზეუმში აღმოჩნდა.

ე) *ზოგიერთი ხელნაწერი ძეგლის გამოცემის ისტორიისათვის.* ზ.ჭიჭინაძის „დროებისეულ“ კორესპონდენციათაგან ზოგი შუქს ჰვენს გამომცემლობითი საქმიანობის ისტორიას XIX ს-ის საქართველოში.

პირველად მან აუწყა მკითხველებს ამბროსი ნეკრესელის კრებულის გ.ზალიკანოვის სახლში აღმოჩენა (იხ. გვ. 126). ეს ნუსხა [S 177] დაედო საფუძვლად დიმიტრი ჯანაშვილის რედაქტორობით მომზადებულ გამოცემას (124:243).

ზ.ჭიჭინაძის ცნობით, იმხანად „ერთმა პატივცემულმა ქართული მწერლობის მოყვარე პირმა იკისრა, გამოსცეს თავისი ხარჯით“ ანტონ კათალიკოსის „მარტირიკა“ („დროება“, 1881, I, IX, N181). ეს პიროვნება უნდა იყოს ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე), რომელმაც საკუთარი საფასით, ძველი მწერლობის მრავალ თხზულებათა შორის, დასტამბა ანტონ I-ის „მზამეტყველება“ ამ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ. შესაძლებელია, ზ.ჭიჭინაძეს აქ სათაური ერევა და მისი სტრიქონების მიღმა იგულისხმება სწორედ „მზამეტყველების“ გამოცემის პროცესი. თუმცა ფაქტია: საზოგადოებისადმი მიმართვამ, — „თუ ვინმეს ეს ნიგნი [ე.ი. „მარტირიკა“, ნ.პ.] მოეძებნება სახლში... გამოგზავნონ თფილისს „დროების“ რედაქციაში ან ჩემი ნიგნის მაღაზიაში“ — ხელი შეუწყო ამ ძეგლის ნუსხათა გამოვლენას, რის საფუძველზეც ჩვენს დროში შესაძლებელი გახდა მისი კრიტიკული ტექსტის დადგენა და გამოცემა (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, თბ., 1980).

ვ) *სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი.* ზ.ჭიჭინაძის თხოვნის

საფუძველზე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ სილოვან ხუნდაძეს, „ბ.ბერიძის შემწეობით და მუშაობით“, აკადემიის წიგნთსაცავში მოუძიებია ხელნაწერი, საიდანაც გადმოუხატავს და საქართველოში გამოუგზავნია სულხან-საბას პორტრეტი („დროება“, 1882, 18.VIII, N172).

ეს ხელნაწერი უნდა იყოს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების P 2 („ქილილა და დამანა“), ვინაიდან ცნობილია, რომ ფართოდ გავრცელებული პორტრეტი სულხან-საბა ორბელიანისა სწორედ ამ ნუსხიდან მოდის (122:166).

ბუნებრივად ჟღერს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მოწოდება, დანერილი გალაკტიონ ტაბიძის მიერ და გამოცემული 1922 წლის 3 თებერვალს: „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა: გადახდით იქნას ქალარით შემოსილი მწიგნობრის ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე და დაუკავშიროს მას ქართული წიგნის დღესასწაული. ქართული წიგნი სულია საქართველოს შემოქმედებისა. როდესაც მისი ისტორია დაიწერება, იგი იქნება არა მარტო წიგნის, არამედ საქართველოს კულტურის ისტორიაც. იყვენ და არიან საქართველოში მწიგნობრობის რაინდები. ისინი უანგაროდ ემსახურებიან მისი აყვავებისა და აღორძინების საქმეს. მათ შორის ყველაზე უფრო თავდადებული არის ზაქარია ჭიჭინაძე“ (105:22).

**იონა მეუნარგია.** ჩვენი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი იონა მეუნარგია (1852-1919) ღვაწლი ქართული კულტურის სარბიელზე. მან წერილობითი ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეს წარუშლელი კვალი დაატყო. იყო: 1. ინიციატორი ქშნკგს-ის ხელნაწერთა ფონდის დაარსების(26:22-24;93:561;143:186); 2. ორგანიზატორი ნიკო დადიანის კოლექციის თბილისში ჩამოტანისა(144:106); 3.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის თაოსანი და მდივანი (127:88-91; 136:41); 4. მან ქართულ პრესაში პირველად გამოაქვეყნა ცნობა ვახუშტი ბატონიშვილის ატლასის შესახებ და აღნიშნა მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (ი.მეუნარგია, ჩვენებური საქართველოს გერბი, „დროება“, 1880, 14.VIII, N171. შდრ. 30:54).

იონა მეუნარგია ქართული ხელნაწერებით ადრევე დაინტერესდა. პირველი პუბლიკაცია — „დროების“ კორესპონდენცია ქუთაისიდან, რომელიც დათარიღებულია 1874 წლის 22 აგვისტოთი („დროება“, 1874, 30.VIII, N438), საყურადღებოა რამდენიმე ასპექტით. ვიცით, რომ იგი თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელი კურსიდან პოლიტიკური მოტივით გარიცხეს იმა წლის 21 მარტს. ვხედავთ, ამ ფაქტს ჭაბუკი მორალურად ვერ დაუმარცხებია. მისთვის კარი გაუღია „დროებას“.

კორესპონდენცია ეხება მშობლიური ენისა და ლიტერატურის პრობლემებს. „ეხლანდელი ჩვენი ენა და ლიტერატურა რომ დაცემულია, ეჭვი არ არის... საჭიროა მივაქციოთ ყურადღება ძველი წიგნების ბეჭდვას და გავრცელებას, რადგანაც იმათში ყველანაირი სწავლა დანყებულია და ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ენით და ტერმინებით“, — აღნიშნავს ავტორი და გვაუწყებს ფაქტს:

„ამ მოკლე დროში არის ნახული შემდეგი წიგნები ერთს ლეჩხუმელი თავადის ოჯახში, რომელს დიდ საუნჯედ ჰქონდა შენახული. აი სია ამ წიგნებისა: ა) „წიგნი საზღვართა დავით უძლეველისა ფილოსოფოსისა“, თარგმნილი ჰარმანულ ენითგან ფილოსოფოსი ფილიპესაგან და ნეკრესის ეპისკოპოსის დოსითეოსისაგან, მეფობის დროს ირაკლისა, ჩღნ წელსა; ბ) წიგნი უსათაუროდ, მოთხრობა იუსტინიანეს მეფობის დროისა. იმავე წიგნში, ტრაგედია „ეფიგენია“ თქმული ... დავით ჩოლოყაშვილისაგან...; გ) „ესტეტიკებრნი განსჯანი“... ნათარგმნი მეფის ძის მემკვიდრის დავითის მიერ...; დ) „ჰაერსა შინა მროკველი ანუ მრონიწე“ ზეცას მფრინავი გუნდის სურათითურთ...; ე) ღრამმატიკა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა...“

ამ ინფორმაციიდან არ ჩანს, კერძოდ რომელი თავადის ოჯახში ინახებოდა წიგნები და ჯერჯერობით ვერც იდენტიფიკაცია ხერხდება, თუმცა ეს თხზულებანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია და თითოეული შემონახულია რამდენიმე ეგზემპლარით.



რეგისტრირებულია ლეჩხუმიდან ჩამოტანილი ხელნაწერებიც (A 1496,1579; Q 271-273, 409-418), მაგრამ დამონმებული კოლექციის კვალი არ ჩანს.

საზოგადოებრივ ასპარეზზე ინტენსიურ მოღვაწეობას ი.მეუ-ნარგია 1878 წლიდან, ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, შეუდგა: ასრულებდა ქშნკვს-ის გამგეობის მდივნის მოვალეობას; მუშაობდა „დროების“ კორესპონდენტისა და თანარედაქტორის თანამდებობაზე (44: 167). ამიტომაც მისი საქმიანობის ყველა მნიშვნელოვანი მხარე, განსაკუთრებით კი წვლილი ხელნაწერების შეგროვებისა და დაცვის თვალსაზრისით, მხარდაჭერა საეკლესიო-სამონასტრო კოლექციების გაერთიანებისათვის, თანმიმდევრულად აისახა „დროებაში“, რაც ჩვენი შრომის მომდევნო პარაგრაფებში წარმოჩნდება.

### 1.3. ხელნაწერების პოპულარიზაცია

„დროება“ გამოეხმაურა ყველაფერს, რაც მის დროს ქართული კულტურის სარბიელზე აღინიშნა ჩვენი წერილობითი ძეგლების გამოვლენის, აღნუსხვის, შესწავლისა თუ გამოცემის განხრით.

1) *დედნები და პუბლიკაციის თეორია.* „დროებაში“ წარმოდგენილია ცნობები იოანე ბატონიშვილის „ბუნებისმეტყველების“,<sup>11</sup> „ვახტანგის“, „სარიდონიანის“, კათალიკოს ნიკოლოზ მესამის (ორბელიანის) თხზულებათა, „დილარიანის“, „ქართლის ცხოვრების“, ვახტანგ VI-ის „გვარ-ტომობის ხის“, „დავითიანის“, „ქილილა და დამანას“, „აღლუზიანისა“ და სხვათა გამოცემის მცდელობასა თუ გამოცემებზე (შდრ. 114:794-801). ზოგიერთ შემთხვევაში დედანზე მითითებასაც ვხვდებით. მათი იდენტიფიკაცია, რაც კი მოხერხდა, იხილეთ კატალოგში. აქ ყურადღებას გავამახვილებთ კამპანიაზე, რამაც ქართული წიგნის ბეჭდვისა და ტექსტოლოგიის ისტორიაში

<sup>11</sup> ამ თხზულების ავტორის დაზუსტებისათვის იხ. 53 ა: 109-126

კვალი დატოვა და ხელნაწერებზე მოთხოვნილება გაზარდა.

XIX ს. 60-იან წლებში ქართული წიგნის ბეჭდვის ცენტრად კვლავ თბილისი ხდება (24:XIV). დღის წესრიგში დგება ძველი ქართული წერილობითი ძეგლების გეგმაზომიერად გამოქვეყნების პრობლემა, რის აქტუალურობა და მნიშვნელობა პლატონ იოსელიანმა ცხადყო. მან 1869 წლის 20 თებერვალს დაწერა „სიტყუა საყოველთაოდ საუნყებელი წიგნთა ქართულთა ბეჭდვსა გამო“, რომელიც მთავრდება მოწოდებით: „ნუ მივჰსცემთ დავიწყებასა მამა-პაპისა ჩუენისა კალმისა შრომათა... ნუ დაუკარგავთ კაცთა ნათესავსა ძუჭლთა და წარსულთა დროთა მწერლობისავე ღვანლთა... გავმხნევდეთ და განვძლიერდეთ იმედითა და სასოებითა; შეუდგეთ შრომას...“ („დროება“, 1869, 27.II, N9).<sup>12</sup>

იმავე წელს ნ.ბერძნიშვილმა, პ.უმიკაშვილმა და გ.წერეთელმა ჩამოაყალიბეს საზოგადოება, რომელსაც ძველი ქართული მწერლობის ნიმუშთა გამოქვეყნებაზე უნდა ეზრუნა. ამისათვის მათ შეიმუშავეს გეგმა და მეთოდი, რაც წარმოდგენილია სტატიაში „ძველის წიგნების გამოცემაზე“ („დროება“, 1869, 20.XII, N52). საკითხის ისტორიიდან იქ საყურადღებო დეტალებია მოყვანილი. აღნიშნულია გრიგოლ ორბელიანის ღვანლი; ნათქვამია, რომ მან პირველად ითავა კეთილშობილი ადამიანებისაგან თანხის შეგროვება და გამომცემლობა პ.იოსელიანს ჩააბარა, მაგრამ, ავტორები ამბობენ — პ.იოსელიანი ძალიან დატვირთული იყო და ეს საქმე ჩვენ მოგვენდოო. ამჯერად ხელთა გვაქვს 260 მანეთი, რითაც პირველად დავით გურამიშვილის თხზულებებს დავბეჭდავთ.

ესაა ახალგაზრდა მკვლევართა ერთგვარი მანიფესტი, სადაც ხაზგასმულია წარსულის ცოდნის აუცილებლობა მერმისისათვის; „ლიტერატურა“ გააზრებულია ფართო პროფილით, — „რაც კი არის ქალაქდზე ნაწერი ანუ ხალხის მეხსიერებაში დარჩენილი“; ნათქ-

<sup>12</sup> გამოქვეყნდა სხვაგანაც ქართულ და რუსულ ენებზე (24:129).

ვამია: ძველ მწერლობას უნდა მივცეთ „ბექდვითი მკვიდრობა“ და დავიცვათ „დროთა შერისხვისაგან“. აქ ჩამოყალიბებულია ტექსტოლოგიის პრინციპი და კულტურა, რაც ითვალისწინებს წყაროთა დამუშავებას, უკეთესი ვარიანტის შერჩევას, ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევისა და შენიშვნების დართვას; პირველ რიგში კი — ხელნაწერთა შეგროვებას.

მკვლევარ-გამომცემლები სტატიას მოწოდებით ამთავრებენ:

„ძველი მწერლობის თხზულებანი დაიბეჭდებიან შეუცვლელათ და ხელშეუხებლივ. ამისათვის ვთხოვთ, ვისაც ძველი წიგნები აქვთ, წარმოგზავნონ, რომ ერთმანეთთან შედარებით ის წიგნი დაიბეჭდოს, რომელიც უფრო სრული და ნამდვილი თხზულებაა რომლისამე მწერლისა. პასუხის გებას ჩვენ თავს ვიდებთ, რომ წიგნები წაუხდენელათ ისევ უკანვე დაუბრუნდებათ თავის პატრონებსა... მართლწერა დარჩება ძველი“.

მინერილია მისამართიც; „В Тифлис, в контору редакций „Сельской газеты“, при типографии Меликова и Ко“, მაშასადამე, „საზოგადოების“ ოფისის მოვალეობას იმხანად მელიქიშვილის ტიპოგრაფია ასრულებდა, სადაც, სავარაუდებელია, თავს უყრიდნენ ხელნაწერებს.

მოქალაქეების ნაწილმა ამ წამოწყებას თანადგომა აღუთქვა, რაც „დროების“ ერთი სარედაქციო განცხადებიდანაც ჩანს (იხ. გვ. 98). უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებულმა პირებმა ძირითადად იმ პერიოდში მოიძიეს ძველი ხელნაწერები, რითაც შემდეგ პირადი ბიბლიოთეკები შეავსეს. ნ.ბერძნიშვილის კოლექცია ცნობილი არაა. პ. უმიკაშვილისეულია S 171, 1503-1551, 1553, 1555, 1560-1598, 1558-1584, 1586-1588, 1590-1629, 4541, 4906, 4909-4921, 4982-4987; გ.წერეთლისეული — H 996-1016. სამივე პიროვნების ამაგი კულტურის, მეცნიერებისა და, კერძოდ, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოცემათა ასპარეზზე აღიარებულია(13:183-184;71:220-224).

გამოკვეთილია პეტრე უმიკაშვილის როგორც ტექსტოლოგ-რედაქტორის ღვაწლი, რამაც აღნიშნული საზოგადოების პუბლიკაციათა დონე განაპირობა (21:50,52-55).

განხილული „მიმართვა“ ჩვენს პერიოდიკაში არის ხელნაწერი ტექსტების კრიტიკულ გამოცემათა საჭიროების დასაბუთების პირველი ცდა. შესაბამისად, „ძველი ქართული წიგნების გამომცემელი საზოგადოება“ საქართველოში ტექსტოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის მცოდნე პიროვნებათა პირველ გაერთიანებად უნდა მივიჩნიოთ. მან ქართული ხელნაწერების თანმიმდევრულ შესწავლას ნიადაგი მოუმზადა.

ამასთანავე: ჩვენთვის ცნობილია, რომ ნ. ბერძენოვა [ბერძენიშვილმა?] 1865 წლიდან ძველი ქართული ლიტერატურის მიმართ ცინიკური და სკეპტიკური დამოკიდებულება გამოამჟღავნა (67ა: 162-165). აღნიშნულ განცხადებაზე მისი ხელმოწერა კი ცხადყოფს, რომ ასეთ პოზიციას იგი მყარად არ იცავდა.

2) *ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების კვალზე*. რუსთველოლოგიურ პრობლემები, რასაც გამოეხმაურა „დროება“, სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად განხილულია (178). ჩვენ აქ კოდიკოლოგიური ცნობების აღნუსხვითა და მოკლე განმარტებებით შემოვიფარგლებით.

ხელნაწერებს ორ კატეგორიად ვაჯგუფებთ: I — კორესპონდენტებისა და მკვლევრებისაგან გამოვლენილი და II — 1880 და მომდევნო წლებში სარედაქციო კომისიის მიერ აღნუსხული.

1. 1. *წერეთელთა ხელნაწერები*: ა) პელაგია წერეთლის (S 5006), ბ) გრიგოლ წერეთლის (XV ს.; ეტრატი) (?), გ) დავით წერეთლის (?) და დ) ბეჟან წერეთლის (H 757) (ვრცლად იხ. „წერეთელთა ხელნაწერები“).

2. *კარბელაშვილისეული*. იგულისხმება ის ხელნაწერი, რაზეც გვიამბობს პ. კარბელაშვილი გურჯაანში დაწერილსა და 1880 წლის 11

ინისით დათარიღებულ სტატიაში — „შოთა რუსთველის „ვეფხვის ტყაოსნის“ განგრძობა“ („დროება“, 1880, 21.VI, N130; 6.VII, N 143). ეს ინფორმაცია მკვლევრებისთვის ცნობილია, მაგრამ იდენტიფიკაცია დღემდე ვერ მოხერხდა (141:20). ამ შემთხვევაში ყურადღებას ორ სავარაუდებელ გარემოებაზე გავამახვილებთ: 1) ხელნაწერი გურჯაანში იქნა მოძიებული და 2) მფლობელმა არ ისურვა ვინაობის აფიშირება ამ, პ.კარბელაშვილის თქმით, — „მე-XVII საუკუნის (მგონია უფრო ცოტა ადრინდელი)“, ნუსხის უსაფრთხოების გამო. ეს ნუსხა მას ადრე ფალავანდიშვილისთვისაც ვერ უნათხოვრებია, — „დაკარგვისა მემინოდაო“, რაც კოდექსის მომხიბვლელობაზე მიგვანიშნებს. ჩანს, პატრონმა იგი კარბელაშვილისგანაც მალე გამოითხოვა.

3. *ბეგთაბეგიშვილისეული*. გაზეთის შეფასებით, ესაა „ერთი კარგი ხელნაწერი“, რომელიც იპოვება ქართლში, დავით ბეგთაბეგოვის სახლში. იმედია, მფლობელი მას ვეფხისტყაოსნის რედაქციას ათხოვებსო (1880, 13.XII, N263). არ ვიცით, გამართლდა თუ არა ეს იმედი. ხელნაწერი კი H 3061-ის იდენტური უნდა იყოს(128:312).

4. *ჩოლოყაშვილისეული*: „დანერილია ტყავზედ და ფურცლებზედ გარშემო არშიათ არის დაბასმული ყვითელის ვარაყით ყვავილებათ“(!); ინახება კახეთში, ახმეტაში, თ.რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში (1881, 11.I, N7).

დღეს ეს ნუსხა ცნობილია შიფრით H 54. დანერილია არა ტყავზე, არამედ სპარსულ ქაღალდზე და აქვს ტყავგადაკრული ყდა. მისი თავგადასავალი შესწავლილია(128:301-302), თუმცა „დროების“ ინფორმაცია დამონმებული არაა.

II. ტექსტის დამდგენი კომისია, რომელიც 1880 წელს ჩამოყალიბდა და ქართველიშვილისეული გამოცემა მოამზადა, უპირატესად „დროების“ მეშვეობით ესაუბრებოდა ფართო საზოგადოებრიობას. მისი მოღვაწეობის დეტალები სოლომონ ყუბანეიშვილმა სწორედ ამ გაზეთის მონაცემთა საფუძველზე წარმოაჩინა. მან დაადასტურა ამ

საკმეში იონა მეუნარგიას თაოსნობა; გააცხადა კომისიის მუშაობის სტილი და მეთოდი, მიზანი და მნიშვნელობა(127:88-111).

ი.მეუნარგიას, კომისიის მდივნის, და გრიგოლ ორბელიანის, კომისიის უზუცესი წევრის, მონოდებების შედეგად კერძო პირებმა რედაქციაში ეგზემპლარების გამოგზავნა იწყეს. ხელნაწერების რიცხვმა 1881 წლის 6 თებერვალს 22-ს მიაღწია.

ი.მეუნარგიას ინფორმაციით („დროება”, 1881, 11.II, N31), ესენია: 1) ელისაბედ ქავთარაძის, 2) დავით თუმანიშვილის, 3) ალექსანდრე თუმანიშვილის, 4) კონსტანტინე მამაცაშვილის, 5) გიგო მუხრანსკის, 6-8) ზაქარია ჭიჭინაძის, 9) ალექსანდრე მელიქიშვილის, 10) დიმიტრი ბაქრაძის, 11) ეფრემ მარჯანიძის, 12) ბეჟან წერეთლის მემკვიდრეების (1671 წლისა), 13) ნესტორ წერეთლის (XVIII ს.), 14) იოსებ მერკვილაძის (XVIII ს.), 15) ნ.კორინთელის (1646 წლისა), 16) რაფიელ ერისთავის, 17) გიორგი თუმანიშვილის, 18) ალალო თუთაშვილის, 19) პეტრე უმიკაშვილის, 20) კეზელის (XVII ს.), 21-22) იონა მეუნარგიასი. შემდეგ მიუღიათ 23) ერთი ეგზემპლარი, რომელიც თელავიდან ნინო ივანეს ასულ ყარალაშვილს („ყარალოვს”) გამოუგზავნია.

სპეციალურ ლიტერატურაში იდენტიფიცირებულია ოთხი ერთეული: ბეჟან წერეთლის — H 757, ნესტორ წერეთლის — S 5006, ნინო კორინთელის — H 599 და კეზელის — H 740 (127:95). დანარჩენთა ამჟამინდელი დაცულობის საკითხის განხილვა მიზანშეწონილია კომისიის მოღვაწეობის მთლიან კონტექსტში, რაც „დროების” ქრონოლოგიურ ფარგლებს სცილდება და იმდროინდელი პერიოდიკის სხვა ორგანოებსაც მოიცავს. ამ ეტაპზე ჩვენთვის არსებითია სარედაქციო კომისიის დამსახურების აღიარება, — მან „პირველად თავი მოუყარა პოემის ჯერ კიდევ აქა-იქ გაფანტულ ნუსხებს, რაც შემდეგში გახდა საფუძველი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შეკრება-აღრიცხვისათვის”(178:255).

3) *რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობა ქართული ხელნაწერების შესახებ*. ეს იყო მეცნიერებისა და კულტურის დიდი ფორუმი

(1881 წლის 8-22 სექტემბერი, თბილისი), რომელმაც ჩვენს ქვეყანასა თუ მის საზღვრებს გარეთ ქართველოლოგიური კვლევა-ძიება წაახალისა და გამოაცოცხლა.

გამოქვეყნებულია ამ ღონისძიების ზოგიერთი დოკუმენტი და მოხსენებათა ტექსტები ( 4:91;28:50-54;54:179-184). ცნობილია მისი მსვლელობის ძირითადი ეტაპები და შედეგები (203;206). ვიცით, რომ მომხსენებლები ქართულ წერილობით ძეგლებზეც ამახვილებდნენ ყურადღებას და ხშირად იმონებდნენ (იხ. გვ. 129). დავძენთ: რუსეთის V არქეოლოგიურმა ყრილობამ ქართული ხელნაწერების გამოვლენისა და პოპულარიზაციის გზაზეც თქვა სიტყვა, რაც „დროება-შიც“ აისახა.

ირკვევა, რომ წინასაყრილობო სამუშაოების ერთ-ერთი მიზანი ძველი ხელნაწერებისა და სხვა არქეოლოგიური ნივთების მოძიება, თავმოყრა და ყრილობაზე მათი წარმოჩენა იყო. დ.ბაქრაძეს ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის 1879 წელს შეუდგენია პროგრამა, რომლის თანახმადაც ხელნაწერების საკითხს სათანადო ყურადღება უნდა მიქცეოდა, და გამოუთქვამს იმედი, რომ მომავალი ყრილობა ამ იდეის ხორცშესხმას გაუმართავდა ხელს („დროება“, 1879, 17.X, N214). დ.ფურცელაძე ვარაუდობდა, რომ მისი კატალოგებით (იხ. გვ. 62) დაინტერესდებოდა „თბილისის არქეოლოგიური კრება“ („დროება“, 1880, 25.III, N66) და, რაც მთავარია, ა.ცაგარელი ამ დღისათვის ქართული ხელნაწერების გამოფენას გეგმავდა („დროება“, 1881, 9.VII, N 142).

ქართული ხელნაწერების პრობლემით დაინტერესდა რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი ალექსი უვაროვი (1825-1884) და 1880 წელს ქართველ საზოგადოებას მიმართა თხოვნით: თუ ვინმეს ძველი წიგნები ან ნივთები გაქვთ, შეინახეთ და არქეოლოგიურ კრებაზე წარმოადგინეთ. ზ.ჭიჭინაძე, რომელმაც ეს მოწოდება გამოაქვეყნა, მაძლობას უძღვნის მღვდელ სამხარაძეს,

რომელმაც ეტრატის ხელნაწერები წარმოადგინა („დროება“, 1880, 9.VIII, N167). მათგან ერთ-ერთი, ჩვენი დაკვირვებით, ქსნის ოთხთავი იყო (იხ. 3.1).

ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომები თბილისშიც იმართებოდა. ერთხელ გაზეთმა საზოგადოებას წინასწარ აუწყა: 8 მაისს განიხილავენ ყრილობაზე „წარსადგენ გამოკვლევებს“ და დ.ბაქრაძე „იტყვის რამდენიმე სიტყვას მერვე თუ მეცხრე საუკუნის ძველს ქართულ დაბადებაზე, რომელიც მან იპოვნა ართვინში (იქაურ სომეხ კათოლიკეთ მონასტერში)“ („დროება“, 1881, 8.V, N95). ეჭვი არაა, თარიღის ორი თუ სამი საუკუნით უკან გადაწევისა და სახელწოდების სხვაობის მიუხედავად, აქ იგულისხმება ართვინის ცნობილი ხელნაწერი. ეს სხდომა, იმავე ინფორმაციით, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში უნდა შემდგარიყო. მაშასადამე, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ: დ.ბაქრაძემ ართვინიდან 1880 წელს ბათუმში გამოთხოვილი ხელნაწერი თბილისში 1881 წლის მაისამდე ჩამოიტანა და საჯარო ბიბლიოთეკას წარუდგინა; გააანალიზა იქ კომპეტენტური აუდიტორიის წინაშე და ფონდში მისი ჩაბარების პირობა დადო, რაც შეასრულა კიდევ (შდრ. გვ. 44).

ყრილობას ესწრებოდა „დროების“ კორესპონდენტი „ლელი“ — იონა მეუნარგია, რომელიც ოპერატიულად აშუქებდა მოვლენებს. იგი გვამცნობს: გახსნის საზეიმო ცერემონიალი შედგა 8 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღეს, 1 სთ-ზე, მთავარმმართველის სასახლის დიდ დარბაზში. იქვე, „დიდი ზალის გვერდით, ორს მახლობელ ზალაში, იყო გამოფენილი სხვადასხვა არქეოლოგიური საგნები“ („დროება“, 1881, 10.IX, N188). ჩვენ გვავინტერესებს, რა ბედი ეწია ქართული ხელნაწერების გამოფენის იდეას? პირდაპირ პასუხს ვერ ვპოულობთ. სავარაუდებელია, რომ „ორს მახლობელ ზალაში“, „სხვადასხვა არქეოლოგიურ საგნებს“ შორის, ძველი ქართული ხელნაწერებიც იყო წარმოდგენილი, ალბათ, მეტწილად ქმნკვს-ის,



სასულიერო სემინარიის, საჯარო ბიბლიოთეკისა და კავკასიის მუზეუმის ფონდებიდან, თუმცა რაოდენობაზე, თემატიკაზე, ასაკსა და მასალაზე ვერაფერს ვიტყვით. სამაგიეროდ ვიცი, რომ ყრილობის მონაწილეებმა დაათვალიერეს მცხეთისა და გელათის წიგნსაცავები. მათი ყურადღება განსაკუთრებით გელათის სახარებამ მიიპყრო. პროფ. ხვოლსონს უთქვამს: „მთელს ევროპაში ამის მსგავსი არა არის რაო და ეს სახარება რომ ბრიტანეთის მუზეუმს მოუტანოთ, არა ერთათას გირვანქა სტერლინგს დაიშურებს მისთვის“. ეს სიტყვები ი/წ 14 სექტემბერსაა თქმული გელათში („დროება“, 1881, 18.IX, N 194). ესაა პირველი ინფორმაცია ქართულ პერიოდიკაში ამ უნიკალური ხელნაწერის (Q 908) შესახებ.

შეიძლება დავასკვნათ: რუსეთის V არქეოლოგიურ ყრილობაზე, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა წინაშე, ქართული ხელნაწერების მეცნიერული მნიშვნელობა წარმოჩნდა და სტიმული მიეცა მათ გეგმაზომიერ შესწავლას.

## თავი 2

# კველი და ახალი ხელნაწერთსაცავები

ქვეყნის მძიმე ხვედრი სიძველეების შენახვასა და პატრონობასაც დაეტყო. საქართველოსა თუ მის საზღვრებს გარეთ, ოჯახებსა თუ დაწესებულებებში, ეკლესიებსა თუ მონასტრებში, ქართული ხელნაწერები ფუჭდებოდა და იკარგებოდა. ამ პრობლემას „დროება“ ბევრჯერ გამოეხმაურა. მის პუბლიკაციებში გვხვდება ცნობები ხელნაწერების დაცულობის ადგილთა, ოჯახთა, კოლექციანთა თუ მათი გაერთიანება-ნაციონალიზაციის თაობაზე. ჩვენ უმეტესად ისეთ ფაქტებზე შევჩერდებით, რასაც დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება არ მიქცევია და საკითხის კვლევის ისტორიაში სიახლედ გვესახება.

### 2.1. დაცულობის პუნქტები

1) **სამცხე-საათაბაგო.** ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილის ანუ, როგორც XIX ს-ის პრესაში იხსენიებენ, „სამუსლიმანო საქართველოს“ მიმართ საზოგადოების ინტერესი გაიზარდა იქ გიორგი ყაზბეგისა და დიმიტრი ბაქრაძის მოგზაურობათა შემდეგ, რასაც, ცხადია, ერთვოდა პატრიოტულ-პოლიტიკური მისწრაფებებიც. გ.ყაზბეგის წიგნის — „Три месяца в Турецкой Грузии“, Тиф., 1874 — მიმოხილვის ავტორი „ბ.ჯ.“ (ბესარიონ ჯაფარიძე) ამბობდა: „ჩვენი საქართველო იმდენი არ არის, რომ ამდენი ქვეყანა (ე.ი. სამცხე-საათაბაგო, ნ.პ.) არაფრათ ჩააგდოს და არც ისე დაცემულა ჩვენი ნაციონალური გრძნობა, რომ ამდენი მოძმეები დავივიწყოთ!.. ოსმალო დღეს თუ ხვალ დაიშლება

და ვინ იცის, რა ბედი მოელის ჩვენ მოძმეებს” („დროება”, 1875, 14.XI, N130).

მამულიშვილურმა სულისკვეთებამ შეაძლებინა დ.ბაქრაძეს შემოეცლო ქობულეთი (ჩურუქ-სუ), ბათუმი და ზემო აჭარა 1873 და 1879 წლებში. მეორე მოგზაურობის დეტალები და შედეგები „დროებაშიც” აისახა. გამოქვეყნდა დ.ბაქრაძის საანგარიშო მოხსენება<sup>13</sup>, სადაც აღნიშნა: რუსეთის მიერ ბათუმის და ყარსის შემოერთების შემდეგ დაიწყო ამ მხარის კომპლექსური შესწავლა; შექმნილია კომისიები; ადგილ-მამულების შემსწავლელ კომისიაში თავად ვმუშაობ; 1879 წლის ნოემბერში შემოვიარე ბათუმის, აჭარისა და ართვინის ტერიტორია, სადაც საინტერესო არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ მასალებს მივაგენიო.

დ.ბაქრაძის მივლინების მიზანი, ოფიციალური თანამდებობის შესაბამისად, მინათმფლობელობის „ძველი ქართული აქტების” მოძიება იყო. იგი გვამცნობს: იქ „იმათი კვალიც აღარსადა სჩანს, ამბობენ, ვითომც მოეგროვებინოს ოსმალეთის მმართველობას და მიეცეს კონსტანტინოპოლის არხივში. იმათ მაგივრათ ეხლა იქ იპოვებიან ოსმალეთის სულთანის ფირმანები, რომელნიც აქვთ მიცემულნი ათაბაგების ჩამომავლებს... ეს ფირმანები მე ხუთი მაქვს” („დროება”, 1880, 12.IV, N80).

ამის მიუხედავად მოგზაურობა ხელნაწერთმცოდნეობის ასპექტითაც ნაყოფიერი გამოდგა. მოხერხდა ტოპონიმ“კორიდეთის” ლოკალიზაცია და, შესაბამისად, გაირკვა კორიდეთის ოთხთავის წარმომავლობა (იხ. ქვ.); დოკუმენტურად დაფიქსირდა ეროვნული კულტურის მრავალი ძეგლი. მათ შორის — ტბეთის მონასტერი, რომელმაც მკვლევარს გაახსენა, მისივე თქმით, „შესანიშნავი ტრაქტატი ქართული პასხალიის შესახებ”<sup>14</sup> და ათქმევინა: „ყველაზე ძვირფასი

<sup>13</sup> დ. ბ. ბაქრაძე, ბათუმის მაზრა, „დროება”, 1880, 4.IV, N74; 10.IV, N78; 12.IV, N80; 15.IV, N82.

<sup>14</sup> ესაა, ჩვენი იდენტიფიკაციით, ცნობილი კრებული — A 85, რომელიც ბოლოს სვეტიცხოველში ინახებოდა. შდრ. „ივერია”, 1889, 30.III, N68.

მონუსკრიპტები, რომელნიც ეხლა ჩვენა გვაქვს, საათაბაგოდამ არიან მოტანილნი” („დროება”, იქვე).

ართვინში დ.ბაქრაძემ ორი ხელნაწერი ნახა:

1. დანერილი ქალაღზე; დაცული სომეხ კათოლიკეთა ეკლესიაში; ეკუთვნოდა „ფარხლის” მონასტერს; იხსენიებიან კავკასიელები.

2. დანერილი ტყავზე; დაცული სომეხ გრიგორიანთა ეკლესიაში. „ძლიერ შესანიშნავია თავის გარკვეული წმინდა ნაწერი... მშვენივრად და საუცხოვოდ არიან დახატულნი ჯვარცმა, ღვთისმშობელი, იოანე ღვთისმეტყველი, ორი ანგელოზი და მაცხოვარი. არ ვიცით, რომელ საუკუნეს ეკუთვნის ესა და საიდან გაჩნდა ართვინში, თუმცა ერთი ზედწარწერილთაგანი მარწმუნებს, რომ ეს ოთხი თავი სახარებისა იდო იშხნის კათედრის ეპისკოპოსის ტრაპეზზედ”.

მკვლევარი ამავე ცნობას იმეორებს ნარკვევში „ქართული საეკლესიო ხელნაწერები ხელოვნობის მხრით” (ჟ. „ივერია”, 1884, „#11-12, გვ. 108) და რუსულენოვან სტატიებშიც (72:144, სქ.1), რომელთა მეშვეობით ართვინის ორი ხელნაწერის ამბავი და მათი მოკლე აღწერილობა სამეცნიერო წრეებმა შეიტყვეს. ქ.შარაშიძემ 1949 წელს გაარკვია, რომ მათგან პირველი უდრის თბილისის საჯარო (ამჟამად — საქართველოს ეროვნული) ბიბლიოთეკის რარიტეტის ფონდის S-110-ს (საჯ. 1): 1241 წლის ხელნაწერს. მეორე კი იმ სახარებას, რომელიც ნ.მარმა ნახა და აღწერა 1904 წლის 22-23 აგვისტოს (134:64-66;200:189-202).

მოგვიანებით უკანასკნელის იდენტიფიკაციაც მოხერხდა (72:444,620). იგი აღმოჩნდა ის ქართული ხელნაწერი, რომელიც ბოლო დრომდე ეჩმიაძინში, სომხეთის ეკლესიის მუზეუმში, ინახებოდა, მაგრამ ართვინიდან მისი გატანის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. რაც შეეხება პირველს, ქ.შარაშიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი დ.ბაქრაძემ 1880 წელს გამოითხოვა ბათუმში უკეთ გაცნობის საბაბით.

XIX-XX სს-ის ქართული პრესა აღნიშნული ხელნაწერების ისტო-

რიაზე დამატებით ცნობებს გვთავაზობს.

„დროების“ მონაცემის თანახმადაც, პირველი ხელნაწერი 1881 წელს თბილისშია, დ.ბაქრაძის ხელში (იხ. 1.3.1). „ივერიის“ 1888 წლის 7 ოქტომბრის ნომერში (209) ვკითხულობთ: „დ.ბაქრაძეს აქვს ართვინიდან მოტანილი ქაღალდზე დაწერილი სახარება 1295 წლისა“. ცხადია, განსხვავებული თარიღის მიუხედავად, აქაც ამავე ხელნაწერზეა ლაპარაკი და, მამასადამე, ქ.შარაშიძის ვარაუდი სინამდვილეს შეესაბამება. ჩანს, დ.ბაქრაძემ ართვინიდან გამოტანილი ხელნაწერი უკან აღარ დააბრუნა; ჩამოიტანა თბილისში და დროებით პირად სარგებლობაში დატოვა საჯარო ბიბლიოთეკისათვის გადაცემის განზრახვით.

სავარაუდებელია: დ.ბაქრაძემ მეორე ხელნაწერიც გამოითხოვა, მაგრამ ართვინელმა გრიგორიანებმა იგი არ დათმეს. მართლაც, ჩვენი მონაცემების თანახმად, XIX-XX სს-ის მიჯნაზე ეს ძეგლი ისევ ართვინშია. იგი, ნ.მარის გარდა, ბევრ სხვა ქართველსა თუ არაქართველს ხიბლავს და ეკლესიიდან გამოტანის სურვილს აღუძრავს. ზ.ჭიჭინაძე, რომელიც ართვინში 1901 წლის 15 აგვისტოს ავიდა და სომხური ეკლესია დაათვალიერა, ამბობს: „ამ ეკლესიაში ინახება ერთი ძვირფასი ქართული ძველი სახარება, ხუცურად ნაწერი ძვირფასს პერგამენტზედა და ძვირფასადვე შემკული. იგი ძვირფასი განძია ჩვენის ისტორიისათვის ლიტერატურისა და ნამეტურ პალეოგრაფიის მხრივ“. გრიგოლ გურიელს მისი ყიდვა უნდოდა; 500 მანეთიც შეაძლია, მაგრამ არ დათმეს („ივერია“, 1901, 13.IX, N198). ეს ხელნაწერი 1902 წლის ზაფხულში, დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის დროს, უნახავს ფრანგ ედუარდ ლიოზენს და, როგორც „ბერის“ [ეპ. კირიონის (საძაგლიშვილის)] ინფორმაცია გვაუწყებს, კვალიფიციურად შეუფასებია იგი („ივერია“, 1903, 13.II, N39).

სავარაუდებელია, ქართველებმა აღნიშნული პუბლიკაციების შთაგონებით გააჩაღეს კომპანია ართვინის სახარების თბილისში

ჩამოტანაზე. ამას კი სომეხთა კონტრრეაქცია მოჰყვა, რაც ქართული ეტრატის სომეხთა პატრიარქ-კათალიკოსის რეზიდენციაში ევაკუაციით დამთავრდა.

ასეა თუ ისე, ფაქტია: ფილოლოგიურ ლიტერატურაში სხვადასხვა ნუსხებად მიჩნეული ართვინისა და ერმიადინის ოთხთავები (161:11,13) სინამდვილეში ერთი და იგივე ხელნაწერია. ესაა განთქმული ვანის ოთხთავის პირი (64:154), რომელიც ერმიადინიდან მატენადარანში გადაიტანეს და დღეს იქ ინახება შიფრით M 161.

“დროების” ავტორ-თანამშრომელთაგან „სამუსლიმანო საქართველოში” ხელნაწერებს ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე მღვდელი ივანე გვარამაძეც ეძებდა. მას უნახავს ქართული კარაბადინის ძველი ნუსხა, — ნაპოვნი შავშეთში; მხედრული; საყურადღებო იშვიათი „ლექსებით”, ე.ი. სიტყვებით (ტერმინებით). იხსენიებიან ქართველი მკურნალები: ბალარტა და ბაგრატი. მთავრდება ასე: „მას ჟამსა შინა იყო ცილობა ქართველთა და სომეხთა სჯულისა და მარხვისა, ხოლო მე ვსთქვი გულსა შინა ჩემსა: ამათისა ხმისა ჯერ არს ჩემგან დაჯერება, და აჰა ესერა მესმა მე ხმა: არა შეწყნარებულ არს ქრისტიანეთაგან...” („დროება”, 1882, 26.III, N63).

ამ ხელნაწერის იდენტიფიკაცია არ ხერხდება. ვვარაუდობთ: იგულისხმება ი.გვარამაძის მიერ გადანერილი და დღეს მისსავე ფონდში დაცული წიგნის — „ძველი მესხური კარაბადინის” — დედანი (8:104), რომელიც, გადანუსხვის შემდეგ, შესაძლებელია, უკანვე დააბრუნეს — შავშეთში.

XIX ს-ის 80-იან წლებში ქართული ხელნაწერები ბათუმელი ბეგების ოჯახებშიც იპოვებოდა. ლორის მელიქოვისათვის, როდესაც იგი ახალშემოერთებულ აჭარას ეწვია, ერთ წარჩინებულ ბეგს უცნობებია: ბებიაჩემს, გურული აზნაურის — მევარკაცი ჭყონიას — დას, ორი ქართული წიგნი ჰქონდა: „დავითი [დავითნი]” და „მოციქული [სახარება]”, რომელთაც ყოველდღე კითხულობდა და ჩვენც გვე-

საუბრებოდაო. ბეგს დაუმახსოვრებია ლაზარეს აღდგინების ამბავი ასეთი ინტერპოლაციით: „როდესაც იესომ დაუძახა — ლაზარე, გამოდი გარეთ, ეს ხმა ჯოჯოხეთში ადამს მოესმა და ადამი გამხიარულდა და უთხრა იქ მყოფთა... ეჰა, მოვიდა გამომხსნელი ჩვენიო” („დროება”, 1880, 14. XI, №240). ეს ფაქტი საყურადღებოა ჩვენი პრობლემის თვალსაზრისითაც: უეჭველია, რწმენაშეურყვეველი ქალი სულიერ საზრდოს ხელნაწერი წიგნებით ეზიარებოდა, რაც სამუსლიმანო საქართველოში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს.

**2) საინგილო.** ქართული ხელნაწერები აღმოსავლეთ საქართველოს გამუსლიმანებულ ნაწილშიც — საინგილოშიც — იპოვებოდა. ეს ფაქტი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მ.ჯანაშვილის („ესომ“) წერილით „საინგილო“, რომელიც 1894 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“ (15. X, N219) (72:58, სქ.4).

სასურველია დაზუსტდეს, რომ ცნობა საინგილოს ერთ-ერთ ოჯახში გადამალული წიგნების შესახებ პირველად „დროებამ“ აუნეცა საზოგადოებას 1866 წლის 30 დეკემბერს (N44). ესაა უსათაურო და ანონიმური (თუმცა მეცნიერული) სტატია საინგილოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხებზე, რომლის ავტორად გამოვლინდა დიმიტრი ბაქრაძე (28:195).

... სოფ. კახში, მოსე ხუციშვილის სახლში, კიდობანში, ფარულად ინახება წიგნები და საეკლესიო ჭურჭელი. მათ შორის — ორი ხელნაწერი: ჟამნი, რომლის მინაწერში აღნიშნულია ერეკლეს გამეფების ფაქტი და ქორონიკონი — ტოზ (1689) და კონდაკი, გადანერილი 1596 წელს, რომელშიც მოხსენიებულია ნეკრესელი მთავარეპისკოპოსი.

კოლექციის მთავარი სიწმიდეა ვახტანგის სტამბის სახარება. წერილში ვკითხულობთ: „გამაჰმადიანებულნიც კი ამ სახარებაზე იფიცებენ, აღდგომა დღეს სანთლებს უნთებენ და ღორის ხორციით იხსნილებენ. მოსეს პაპის მამა თვითონ მღვდელი ყოფილა. დანიელ-სულ-

თანნი ცდილა, რომ ეს საუნჯე დაეტყვევებინა, მაგრამ დაუმაღავთ და არ გატეხილან. ამისათვის მოსეს მამა ზაქათაღის შარა-გზაზე ჩამო-  
უხრჩვია ხეზე (სულთანს, ნ.პ.), რომელსაც ეხლაც უჩვენებენ. მეორე  
ძმა ალავერდა გაქცეულა. ის ახლაც ცოცხალია”.

შენიშნავთ: ხუციშვილების სახლ-კარი ერთ ხანს კიდევ ინარ-  
ჩუნებდა საკულტო ცენტრის ფუნქციას ნახევრად კონსპირაციული  
ფორმით. მისი სინმიდენი ბაქრაძის პუბლიკაციიდან 28 წლის შემდეგ  
კვლავ აღწერა მ.ჯანაშვილმა (იხ. ზემ.). დღეს კი მათი კვალი აღარ  
ჩანს (29:163). უცნობია აგრეთვე იმ გუჯრის დედნის ბედი, რომელიც  
„ინგილომ“ ანუ მღვდელმა დ.ჯანაშვილმა სწორედ კახში, ზურაბიშ-  
ვილების ოჯახში, იპოვა და გადმოწერა 1867 წლის 19 ოქტომბერს  
(„დროება“, 1868, 17.V, N20; 21.V, N21).

**3) სპარსეთი.** ქართველები, რომლებიც იქ გადაასახლეს, კარგა  
ხანს ინახავდნენ სარწმუნოებას (7:198-204;133:59-60) და, ცხადია,  
სასულიერო ლიტერატურასაც მშობლიურ ენაზე. ჩვენი მონაცემე-  
ბით, ისინი საღმრთო და სამღვდელო წიგნებს გამაჰმადიანების შემ-  
დეგაც ეთაყვანებოდნენ და ქართული ხელნაწერები აქა-იქ XIX ს-ის  
მეორე ნახევრამდეც შემორჩენოდათ.

1877 წლის 6 ნოემბერს „დროება“ (N187) გამოაქვეყნა თბილისის  
სომხური ჟურნალის — „არარატის“ — ერთი პუბლიკაციის თარგმა-  
ნი.

... სპარსეთის სამხრეთით, სულთანაბადის სათემოში, ქართულის  
მცოდნე კორესპონდენტი შეხვედრია გურჯებს. გასაუბრებია მათ და  
გაურკვევია, რომ მლოცველთა ჯგუფი მეზობელ სომხურ სოფელში  
მიდის. უთქვამთ: იქ, ეკლესიაში, „ერთი ძველი ხელნაწერი სახარება  
ძევს... და ვლოცულობთ. ადრე თათრებიც დადიოდნენ სალოცავად  
ამ სახარებასთან და ახლა კი აღარ დადიან და ჩვენ მუდამ დავდი-  
ვართო“. კორესპონდენტი თეირანში ფერეიდნელ ქართველ ჯარის-  
კაცებს გამოლაპარაკებია, რომელთაც თანამემამულეებთან შეხ-



ვედრის სურვილი გამოუთქვამთ და შეხვედრიან კიდეც რუსეთის სა-  
ელჩოს მღვდელს. მათ საუბარს კორესპონდენტიც დასწრებია, რო-  
მელიც დეპორტირებული ქართველების შესახებ წერს: „სუყველას  
მტკიცეთ და შეურყევლათ შეუწახამთ თავიანთი სამშობლო ენა და  
ქართული წესები“.

სავარაუდებელია ხსენებული ხელნაწერის ქართულობა და ისიც,  
რომ მისი არსებობა ეცნობებოდა საელჩოს ქართველ მოძღვარს.

ეს მოძღვარი არის ხუცესმონაზონი ევსევი, გვარად ცაბაძე, რო-  
მელიც არქიმანდრიტის ხარისხში აღესრულა 1898 წელს. ზ.ჭიჭინა-  
ძე გვაუწყებს, რომ იგი — განათლებული, აღმოსავლური ენებისა  
და მშობლიური ლიტერატურის რიგიანი მცოდნე, ქველმოქმედი და  
მამულიშვილი — სპარსეთის სომეხ ეპისკოპოსთან ერთად მოგზაუ-  
რობდა ქართულ და სომხურ სოფლებში (165).

ამ ინფორმაციას ჩვენ ასე განვავრცობთ: არქ. ევსევი სპარსეთ-  
ში წინაპართა კულტურულ კვალსაც ეძებდა, რასაც ადასტურებს  
„დროების“ ინფორმაცია: მღვდელმონაზონმა ევსევიმ 1883 წელს  
„სპარსეთში გადასახლებული ქართველების სოფელში იპოვა ერ-  
თი ძველი ქართული სახარება, რომლის ყიდვა განიზრახა და სამოც  
თუმნად კიდეც შეურიგდა სახარების პატრონსა. მაგრამ ამ დროს  
საფრანგეთის კონსული შესცილებია და ას თუმნად უყიდნია. კარგი  
იქნებოდა, რომ ვიცოდეთ ამ სახარების ისტორია და აწინდელი მისი  
მდგომარეობა“ (1884, 30.IX, N211).

ვფიქრობთ, წარმოდგენილ ინფორმაციებში საუბარია ორ ქარ-  
თულ ხელნაწერზე: სომხურ ეკლესიისეულსა და მაჰმადიანი ქართ-  
ველისაგან გასხვისებულზე. ისინი ჯერჯერობით ვერ დაიძებნა. ჩვენ  
დახმარებისათვის მივმართეთ ფრანგ ქართველოლოგს ბერნარ უტი-  
ეს, რადგან მოსალოდნელია, რომ მისმა თანამემამულე დიპლომატმა  
ირანში შეძენილი ანტიკვარი სამშობლოში წაიღო და შესაძლებელია,  
იგი დღეს ამ დიპლომატის მემკვიდრეების ხელთაა.

სპარსეთის ქალაქებსა და სოფლებში ქართული ხელნაწერების არსებობას, A 388 და 425-ის თავგადასავალთა გარდა, ადასტურებს ცნობილი საზოგადო და კულტურული მოღვაწე ლადო აღნიაშვილი, რომელმაც 1894-1895 წლებს შორის პატრიოტული მიზნით იმოგზაურა ირანში და ისპაჰანში ნახა ეტრატის გრაფილი ჟამისწირვის ტექსტით ქართულ ენაზე (7: 226-229). არც ამ ნუსხის თავგადასავალია ჩვენთვის ცნობილი, მაგრამ XIX-XX სს-ის მიჯნაზე ქართული ხელნაწერებით ზოგიერთი სპარსელი რომ ხელს ითბობდა, გვამცნობს ექვთიმე თაყაიშვილი: 1911 წლის 7 თებერვლის წინა დღეებში ოლივერ უორდროპმა „ერთი სპარსელისაგან“ ხუთი ქართული ხელნაწერი შეიძინაო („თემი“, 1911, 7.II, N5).

შეგვიძლია დავასკვნათ: აღმოსავლეთის რეგიონების გამუსლიმანებულ თანამემამულეთა შორის ეროვნული კულტურისადმი ინტერესი მუდამ ღვიოდა და იქ ქართული ხელნაწერების გამოვლენა დღესაც არ უნდა იყოს მოულოდნელი.

**4) გორი.** XIX ს-ის მე-2 ნახევარში გორის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ რგოლს ძველ ხელნაწერებზე ზრუნვა წარმოადგენდა და მათგან ზოგიერთის გამოვლენის ფაქტი „დროებაშიც“ აისახა.

1. გორში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწერალი თეოფილე კანდელაკი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მისმა წერილმა „მატიანე ტროადის ბრძოლისა ქართულ ენაზე“, დაწერილი სოფ. მეჯვრისხევში 1879 წლის 20 ნოემბერს. სავარაუდებელია, მან იქ მოიპოვა ხსენებული თხზულების ნუსხა, გადაწერილი 1817 წელს „ხელითა უცოდინარისა მწერლისათა“. მისი ინფორმაციით, წიგნი შეიცავს 252 გვერდს; დაწერილია ძველ სქელ ქალღებზე; არის ილუსტრირებული. კორექპონდენტი მოხიბლულია კალიგრაფიით და, განსაკუთრებით, მხატვრობით, ბატალური სცენების გაფორმებით. იგი აღნიშნავს: ხელნაწერი „მე დღეს ხელთა მაქვსო“ („დროება“, 1879, 28.XI, N246).

უნდა ვიფიქროთ, რომ წიგნი დიდხანს დარჩა თ.კანდელაკის გან-

კარგულეებაში. ბოლოს კი გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადაეცა, რომლის ხელნაწერთა ფონდში ამჟამად დაცულია ნომრით — 43. რეგისტრაციის დავთარში აღრინდელი მფლობელი — თეოფილე კანდელაკი — ნახსენები არაა. ამ ხარვეზის შევსება გამოსაცემად მომზადებულ „აღწერილობაში“ სასურველია.

2. ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი იოსებ დავითაშვილი (1850-1887), წარმოშობით გორელი, „დროების“ ფურცლებზე საეკლესიო არქეოლოგიისა და ეპიგრაფიკის განხრითაც საინტერესო მასალებს აქვეყნებდა. ჩვენი თემისათვის გამორჩეულია ინფორმაცია, ჩართული გაზეთის „დღიურში“ („დროება“, 1883, 5.III, N47). კორესპონდენტს 1883 წლის ზამთარში, გორში ყოფნის დროს, შემთხვევით ჩავარდნია ხელთ „ხელნაწერი ძველი წიგნი“, ვაჭარ ისაკ ამირალოვის საკუთრება. ი.დავითაშვილის აღწერით, ესაა ასტროლოგიური, აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული და სამედიცინო ტექსტების კრებული, რომელშიც წარმოდგენილია შიო მღვიმელის „ლექსიკ“.

იდენტიფიკაცია ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, მაგრამ აქ ბევრი საგულისხმო მონაცემი იყრის თავს, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ (3.11.ა).

3. მეტეხის სატუსალოს ეკლესიის მღვდელმა ივანე ლომოურმა 1880 წლის 20 აპრილს შეადგინა წერილი — „კაცთმოყვარე საზოგადოებისადმი“, რომელშიც დაასაბუთა პატიმართათვის ბიბლიოთეკის შექმნის აუცილებლობა და კეთილშობილ ადამიანებს შემოსწორულობათა გაღებისაკენ მოუწოდა („დროება“, 29. IV, N89; 2. V, N92). მთავრობა, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები ამ ინიციატივას დადებითად გამოეხმაურენ და წიგნები შემოსწორეს („დროება“, 1880, 26.IX, #204; 1881, 5.IV, N73). მათ შორის ხელნაწერიც — „მიცვალება წმ.ღვთისმშობლისა მარიამისა“, რომელიც გორიდან გამოუგზავნიათ მიხეილ მურადოვსა და მის მეუღლეს („დროება“, 1880, 8.VI, N120).

ჩვენი იდენტიფიკაციით, ეს ხელნაწერი დღეს წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტსაცავში #50 (S-60) (55:36). ხელნაწერს პირველ გვერდზე აზის რევეკომის ბეჭედი და თარიღი — 1935 წელი, რაც ნიშნავს: იგი რევეკომმა გადასცა ბიბლიოთეკას 1935 წელს. სურათი ნათელია: „ღვთისმშობლის მიძინების“ ხელნაწერი, რომელიც 1880 წელს გამოგზავნეს გორიდან, ინახებოდა მეტეხის ციხეში. შემდეგ გადაეცა რევეკომს, ბოლოს კი — კ.მარქსის სახელობის საჯარო (ან ეროვნულ) ბიბლიოთეკას.

4. სავარაუდებელია, რომ S 195 არის ის ხელნაწერი, რომელიც ქმნკვს-ს „გორიდამ მოსვლია“ (გვ. 126).

## 2.2. კოლექციები

### 1) საეკლესიო-სამონასტრო

ა) ათონისა და ახლო აღმოსავლეთის კერები. XIX ს-ის შუა წლებში ათონის მთის სხვადასხვა მონასტერში მცხოვრებმა ქართველმა ბერებმა გაააქტიურეს ღვანლი ივერთა სავანეზე ანუ ივირონზე მათი უფლებების ცნობისა და რეალიზაციისათვის. ისინი თანამემამულეთა მხარდაჭერას იმედოვნებდნენ და ერთ-ერთი პირველი სიტყვა მათ „დროება“ შეაწინა; გამოაქვეყნა ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვები და კორესპონდენციები კულტურის ამ კერის ეროვნული მნიშვნელობის გაცნობიერებისა და კანონიერი უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმის მიზნით. დღის წესრიგში დადგა ათონსა და საზღვარგარეთის სხვა სამონასტრო-კულტურულ ცენტრებში დაცული ქართული ხელნაწერების იურიდიული მეპატრონის საკითხი.

ამ თემაზე „დროების“ პირველი კორესპონდენცია — „ათონის მთა“ (1866, 8.IV, N6) — სამწუხარო ცნობას შეიცავს — ივერთა მონასტრებში გაჩნდა ხანძარი, თუმცა, ამბობენ, უმთავრესი ტაძარი და

ძველი ნივთები გადარჩაო.

სტატია ანონიმურია. დაწერილია კვალიფიციურად. იმონებს ფრანგულ გაზეთს, მიანიშნებს სხვადასხვა წერილობითსა თუ ზეპირ წყაროზე და საინტერესოდ აღწერს ივირონის წარსულსა და დღევანდელობას, მისი ბიბლიოთეკის სიმდიდრეს, მნიშვნელობას და შესწავლის ისტორიას ქართველთა თუ უცხოელთაგან. ავტორმა იცის, რომ ბროსე აპირებს ათონის ქართული ხელნაწერების კატალოგის გამოკვეყნებას, რასაც ინტერესით ელოდება და დარწმუნებულია, რომ „ეს ბროსეს შრომა ჩვენ გადმოგვცემს ცნობას ისეთის თხზულებებისას, რომელნიც აქამომდე ორიენტალებს არ გამოუძიებიათ და რომელნიც შეამსებენ საქართველოს ლიტერატურას. ჩვენ ვიცით, რომ ქართველები... სთარგმნიდნენ ბერძნულ წიგნებს და იმათ დაგვიტოვეს ძვირფასი ნაწყვეტები კლასიკურის ბერძნულის თხზულებებისა, რომელნიც ახლა ამ ენებზე დაკარგულია. იმედაა, რომ ათონის მთის ქართულ მანუსკრიპტებში იპოვება იმგვარი ნაწყვეტები, რომელნიც ბევრს შემატებენ იმას, რაც რომ ამ უკანასკნელს დროს აღმოსავლეთის ლიტერატურაში აღმოუჩენიათ”.

ციტირებული წინადადებები უნდა მივიჩნიოთ ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ზოგადკულტუროლოგიური ასპექტით გააზრებისა და შეფასების გზაზე სერიოზულ განცხადებად, რომლის ჭეშმარიტება ანუ ქრისტიანული მწერლობის ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლის მხოლოდ ქართული თარგმანებით შემონახვის ფაქტი შემდგომ დადასტურდა და საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

სტატიის ატრიბუცია ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც აქტუალურია. ცნობილია, რომ ივირონის პრობლემეტიკაზე მონინავეებს ხელმოუწერლად ილია ჭავჭავაძე აქვეყნებდა (173:11-12), მაგრამ მასალების შეჯერებამ გვიჩვენა, რომ განხილულ პუბლიკაციას სტილის მხრივ ილიას სტატიებთან საერთო არა აქვს. ამასთანავე, ჩანს, 1866 წელს ი.ჭავჭავაძე პუბლიცისტიკაში არ მუ-

შაობდა (შდრ. 84:19) და ამ წელს მოღვაწე ანონიმი პუბლიცისტის მასთან გაიგივება საეჭვოა. ავტორად ვერც გაზეთის რედაქტორს, გიორგი წერეთელს და ვერც პლატონ იოსელიანს ვიგულისხმებთ, ვინაიდან 1. პუბლიკაციას ახლავს რედაქტორის შენიშვნები და 2. პ.იოსელიანი იქ მესამე პირშია მოხსენიებული. ჩვენი ვარაუდით, ეს სტატია დიმიტრი ბაქრაძეს ეკუთვნის. მხედველობაში შემდეგი გარემოება გვაქვს: 1. ვიცით, რომ დ. ბაქრაძეს ათონის სავანესთან პროფესიული ინტერესები აკავშირებდა (იხ. ქვემოთ), რაზეც, სხვათა შორის, ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი მეტყველებს — ხელნაწერი N 2788, რომელსაც დ. ბაქრაძის კომენტარი ახლავს (67ა: გვ. 178); 2. იმხანად, გ.წერეთლის რედაქტორობის დროს, იგი იყო „დროების“ „უმთავრესი თანამშრომელი“ (44:53) და 3. „დროებაში“ სტატიებს 1866 წელს ხელმოუწერლადაც აქვეყნებდა (44:118). ვფიქრობთ, საგანგებო კვლევა საკითხს მეტ სინათლეს მოჰფენს.

ამჯერად არსებითია შემდეგი: ქართველმა ბერებმა და მათმა თანამდგომმა ერისკაცებმა წინაპართა სავანეების დაბრუნების იდეა დაუკავშირეს იქ დაცული ქართული ხელნაწერების ბედს და „დროებაში“ ამ მიმართებით განუთქმული შრომის ყოველი მონაკვეთი ასახა (72 II:420-423, სქ.373-380). ყურადღების გარეშე არც ზემოხსენებული ხანძრის შესაძლებელი შედეგი დაუტოვებია; გამოაქვეყნა ანთიმოზ [ჯუღელის] „წერილი რედაქტორთან“ (1876, IV.18, N38) და საზოგადოებას ხელნაწერების გადარჩენის ამბავი ახარა. მათი ადგილსამყოფელის შესახებ ანთიმოზისათვის ინფორმაცია ათონელ ბერს იონას მიუწოდებია, რაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობია; უთქვამს, რომ „ივერიის მონასტრის გვერდით არის ერთი დიდი გამოქვაბული კლდე, რომელიც კანცელარიათ ქონიათ უწინდელ ჩვენ მამებს და რომელშიაც ქონიათ შენახული წიგნები. ეს გამოქვაბული ისეთნაირათ არის გაკეთებული, რომ მთელი ქვეყანა დაიწვას, იმას არა უშავს რა. აქ ახლაც არის ურიცხვი ხელნაწერი

წიგნები, რომელიც თვალთ გვინახამს, მაგრამ არ წაგვიკითხავს. ან კი რაფრათ წაგვიკითხავდით, მაშინ როდესაც ხელს არავინ გვაკიდებინებს...”

ცნობა კლდეში გამოკვეთილ ბიბლიოთეკაზე შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს. რაც შეეხება იქაური ხელნაწერების ქართული ფონდის მაშინდელ მდგომარეობასა და გაცნობის პირობებს, ჭეშმარიტებისათვის თანაბრად საინტერესოა ორივე მხარის — როგორც ქართველების, ისე ბერძნების — ბრალდებები და კონტრბრალდებები.

ათონის მთის ქართველმა ბერებმა 1866 წლიდან, ასპარეზზე სკიმ-მონაზონ ბენედიქტეს (ვახტანგ ბარკალაიას) გამოსვლის შემდეგ, ზემდგომ სასულიერო და საერო ინსტანციებს თურქეთსა თუ რუსეთში მრავალჯერ მიმართეს თხოვნით ივირონის მართვა-გამგეობისა და ადგილ-მამულთა შემოსავლის ნაწილობრივ მაინც მათთვის გადაცემის თაობაზე. 1878 წელს თბილისში შედგა თავადაზნაურთა კრება, რომელმაც მხარი დაუჭირა ათონისა და იერუსალიმის ქართული სავანეების დაბრუნების იდეას იქ დაცული ბიბლიოთეკებითურთ და რუსეთის მთავრობას თანადგომა მოსთხოვა („დროება”, 1879, 6.V, N 95; 1880, 18.VI, N127).

საქმე სასამართლომდე მივიდა. სარჩელს შემდეგი არგუმენტებით ამაგრებდნენ: 1) მონასტერი ქართველების დაარსებული და გამშვენებულია და 2) იგი ეროვნული კულტურის ძეგლია, სადაც ინახება ქართული ხელოვნების ნიმუშები: ჭედურობა, ფერწერა, ნაქარგობა და, რაც მთავარია, ხელნაწერები, რომელთა მიმართ ბერძნები შესაფერის ყურადღებას არ ამაუღავნებენ. მეტიც, — მათი დაუდევრობით ფუჭდება, ლპება, იფანტება და იკარგება ძველი ქართული წიგნები და სიგელ-გუჯრები. ნაციონალისტი ბერძნები ათონზე ქართველთა კვალის გაქრობას ლამობენ და შესაბამის მასალას — ფრესკებს, წარწერებსა თუ ეტრატებს — საგულდაგულოდ ანადგურებენო. კონ-

სტანტინოპოლში ახალციხელ ვაჭრებს, გასაყიდად გამოტანილ ხელნაწერებს შორის, ქართული „ძველი ხუცური წიგნებიც“ უნახავთ, რომლებიც, ბ. ბენედიქტეს ფიქრით, ქართული მონასტრების საკუთრება უნდა ყოფილიყო (მისივე, ათონის მთიდან წერილი რედაქტორთან, „დროება“, 1882, 30.X, N226).

არც ბრალდებული მხარე იყო ჩუმად. ბერძენმა არქიმანდრიტმა გერასიმემ „დროებას“ ათონიდან გამოუგზავნა წერილი და საკუთარი პოზიცია გააცნო („დროება“, 1882, XI. 12, N 236). მან აღიარა ივირონის ქართული წარმომავლობა და დაადასტურა, რომ ისტორიული მეპატრონეები ამ მონასტრის მართვის სადავეებს მხოლოდ XVIII ს-ის ბოლოს ჩამოშორდნენ, მაგრამ, მისივე თქმით, ამის მიზეზი არის არა ბერძენების სიძულვილი ქართველებისადმი, არამედ — „პოლიტიკური გარემოებები“. აქ, ცხადია, საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის დაკარგვა იგულისხმება. თუ რატომ უნდა მოეხდინა მას გავლენა სამონასტრო ცხოვრებაზე და ისიც სხვა ქვეყანაში, გაურკვეველია. არქიმანდრიტის თქმით, ქართველების მონასტერში მიღება გამკაცრებულია უკანასკნელთაგან მართლმადიდებლური ტიპიკონის არცოდნისა და საბერო ცხოვრებისათვის მოუშადადებლობის გამო. ამასთანავე: ხმები „ქართულის წიგნების დაფანტვაზე, გასყიდვაზე და თითქმის იმათ ფურცლების პრობკის ბაღლად ბოთლების დაცმაზე — ცხადი სიცრუეა“. ასეთი რამ ძველ დროშიც არ ხდებოდა და მით უფრო არ მოხდება ახლა, XIX ს-ში, როდესაც „თითქმის ყოველ მხარეში საინტერესო საგნად შეიქმნა ყოველგვარი სიძველენი“. წინამძღვარი იქვე საიმედო სურათს გვიხატავს: ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკაში არის არა მხოლოდ ქართული, არამედ ბერძნული, ლათინური და სხვა ენოვანი წიგნები, რომელთაგან „ყველას თავთავისი განყოფილება უჭირავს; ეს ბიბლიოთეკა აბარია ერთს კეთილსაიმედო პირს, რომელსაც არ შეუძლიან ერთი მარტოკა შევიდეს; წელიწადში რამდენჯერმე არის დანიშნული დრო, როდესაც თა-



ნა-დასწრებითა ამორჩეულთა კეთილსაიმედო პირთა უნდა შევიდნენ დასასუფთავებლად”. მისი კარი ღიაა ყველა სწავლულისათვის ეროვნების განუსხვავებლად. მაგალითად დასახელებულია პლატონ იოსელიანი.

რაც შეეხება საჩივარს მონასტრის „კუთვნილებისამებრ დაბრუნებაზე”, არქიმანდრიტი დასძენს: „მასზედ არას ვიტყვი, რადგან სასამართლოს ქვეშ სწარმოებსო”.

ბ. ბენედიქტეს პასუხის პასუხი („დროება”, 1882, 21.XII, N267; 22.XII, N268) შეიცავს კონტრარგუმენტებს და საყურადღებო მასალას ათონის ქართული კოლონიის ძველი თუ ახლო წარსულიდან, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ გვაინტერესებს იქაური ბიბლიოთეკის საკითხი. წიგნსაცავი, რასაც ახსენებს ბერძენი არქიმანდრიტი, ბ. ბენედიქტეს თქმით, გააკეთეს იმ საჩივრის გამო, რომელიც პ. იოსელიანმა წარადგინა თესალონიკის კონსულთან და ფაშასთან. ამის მიუხედავად ქართული ეტრატებით კვლავ „იჭერენ თევზებს და ბოთლებსაც უცობენო”. ერთმა ბერმა, ვენედიქტემ, დაშლილ-დაფლეთილ ქართულ წიგნს წაანერა: „ეჰა რა უქნია სულის მტერს!” — გვამცნობს პასუხის პასუხი.

რუსი დიპლომატები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და კონსტანტინოპოლის პატრიარქიც ერთი შეხედვით ქართველების მხარეზე იდგნენ, მაგრამ მოვლენები სასურველი გზით ვერ განვითარდა: კამათი გამწვავდა და, სავარაუდებელია, პროცესი გაინელა, შემდეგ კი დაკონსერვდა და გაიყინა. თუმცა ბრძოლამ მაინც გამოიღო ნაყოფი: რუსეთის სამეცნიერო წრეები დაინტერესდნენ საზღვარგარეთის ქართული სიძველეებით და მათ დაცვასა და აღრიცხვაზეც იზრუნეს. „პალესტინის მართლმადიდებლურმა საზოგადოებამ” ამ მისიით იერუსალიმში, სინასა და ათონზე სპეციალისტების მისავლენად სახსრები გამოყო. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია და „დროების” მასალებიც ადასტურებს (1882, 14.X, N214; 1883, 13.III,

N54), რომ ეს დავალება პირველად დ.ბაქრაძეს შესთავაზეს, — „იანვარში დაიწყე აღწერა და ოთხ თვეში დაამთავრო“. ხარჯად ორას თუმანს დაპირებიან. დ.ბაქრაძეს კი მოუთხოვია, „არავითარი ვადით არ შეეკრათ იგი“, რაზეც, ჩანს, არ დაეთანხმნენ<sup>15</sup> და კანდიდატად ა.ცაგარელი შეარჩიეს. ამის თაობაზე „დროების“ რედაქცია შენიშნავს: ა.ცაგარელს, ქართული ენისა და ლიტერატურის ღვანლმოსილ სპეციალისტს, არ შესწევს სათანადო ცოდნა და გამოცდილება ხელნაწერების რიგიანად აღწერისა, — ეს ისტორიკოსის საქმეაო („დროება“, 1883, 13.III, N54).

პროფესორმა ა.ცაგარელმა ექვსი თვე დაყო ახლო აღმოსავლეთსა და ათონზე და პროფესიულად გაართვა თავი მის წინაშე მდგომ ამოცანებს (72:16,172-174,242;177:34-35), პირველ რიგში — ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა კატალოგის შედგენას, რასაც ინტერესით აშუქებდა „დროება“. კვლავ გამოქვეყნდა (1883, 7. IX, №176) ბერ ბენედიქტეს ინფორმაცია, გამოგზავნილი ათონიდან, რომლის თანახმადაც ა.ცაგარელი, არაბეთსა და პალესტინა-სირიაში მოგზაურობის შემდეგ, გადასულა სტამბოლში და სწვევია წმიდა მთას. ქართველთა სამომ მას გულთბილად შეხვედრია. ბერძნებს კი არ უჩვენებიათ ზოგიერთი წიგნი, რომელიც ბერ ბენედიქტეს 1866 წელს საკუთარი თვალით უნახავს. მისი თქმით, ცაგარელმა 100-მდე ერთეული აღწერა, რომელთაგან იგი ორ ხელნაწერს ასახელებს: „დაბადება“ და „საქართველოს ისტორია ვახუშტისა“. შევნიშნავთ: პირველი დღესაც ადგილზეა (Ath. 1), ხოლო მეორე, რომელიც ა.ცაგარელმა აღწერა 86-ე ნომრით (207, т.1, вып.1:84), 1931 წელს ათონზე რ.ბლეიკმა ველარ იპოვა (210:165) და ბოლო დრომდე მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა, მხოლოდ 2000 წელს გახდა ცნობილი, რომ იგი კვლავ ათონის მთაზეა (ვ. სილოგავა, ათონის ქართული სიძველეებიდან —

---

<sup>15</sup> დ.ბაქრაძის არგამგზავრების მიზეზად ავადმყოფობის მიჩნევა (28:166), ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს.

„ლიტერატურული საქართველო“, 2000, 3-II, №5, გვ.7; ე. ხინთიბიძე, უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები ივირონის წიგნსაცავში. მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2005, გვ. 191).

ჩვენს პრესაში ჯვარის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის შესახებ პირველი ცნობაც ბენედიქტე ბარკალაიას ეკუთვნის. მან აღნიშნა იქ ქართული წიგნების „არასაკმაოდ დაცვის“ ამბავი. 1866 წელს მას ისინი არქიმანდრიტ გერასიმეს (დოგრაშვილის) ლოცვა-კურთხევით შედარებით დიდ ოთახში გადაუტანია, მაგრამ ამით მდგომარეობა არ გამოსწორებულა („დროება“, 1880, 18.VI, N127).

„დროებაში“ გამოიკვეთა საზღვარგარეთ დაცული განძის სამშობლოში გადმოტანის პრინციპი. შესაბამისად, — დაიგმო ამ განძის საქართველოს ფარგლებს მიღმა გადაადგილების ნებისმიერი ფაქტი. რედაქციამ ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციის საფუძველზე წყრომით მოიხსენია გიორგი ავალიშვილის სახელი და მის მიერ იერუსალიმიდან ხელნაწერების რუსეთში გატანას ქურდობა უწოდა (1882, 11.VIII, N166). ეს კვალიფიკაცია, რეალურ სურათს თუ გავითვალისწინებთ (74:251), ცილისწამებაა, მაგრამ მისასაღმებელია ქართული ხელნაწერების თითქმის უპატრონოდ დარჩენილი კოლექციების დასაცავად საზოგადოების ფეხზე დაყენების ცდა.

შესაძლებელია, ქართველები ბერძნების პოზიციას ზოგჯერ ამუქებდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ არც ათონზე და არც სხვაგან — სინასა თუ იერუსალიმში — ხელნაწერების დაცვის პირობები დამაკმაყოფილებელი არ იყო და იქიდან წიგნების ნაწილი 1883 წლის შემდეგაც გაიფანტა.

ბ) *ბოდბე და ხირსა*. ეროვნული ცნობიერების გაღვივებასთან ერთად წმიდა ნინოს საფლავისადმი — ბოდბის მონასტრისა და კათედრალისადმი — ინტერესი კულტურული ასპექტითაც გაიზარ-

და და ყურადღება იქაურმა წიგნსაცავმა მიიპყრო.

1880 წლის ივნისში კახეთს სერგეი მესხი ეწვია. მონასტერთაგან მან ჯერ ხირსა მოიხილა და შეიტყო, რომ იქიდან „ძველი ხელნაწერი წიგნები თბილისის სასულიერო სემინარიის მოთხოვნით კანტორამ (ე.ი. საეგზარქოსოს სამმართველომ, ნ.პ.) წააღებინაო“. იგი შემდეგ ბოდბეში გადავიდა და გვამცნო: „ხირსაზე უფრო მომეტებული ავე-ჯეულობა და ძველი ხელთ-ნაწერი ქართული წიგნები, როგორც აქა-ურ ერთმა ბერმა დამარწმუნა, წმ. ნინოს მონასტერს ჰქონია. მაგრამ, საუბედუროთ, აქედამაც ყველაფერი განსვენებულ ეგზარხოსსა და სემინარიის გამგეობას გაულაგებიათ. დროებით წაიღესო, სთქვა ბერმა, ბევრი ვითხოვეთ, უკან დაებრუნებინათ მონასტრისათვის, მაგრამ ხმაც აღარ გაგვცესო“<sup>16</sup>.

ხირსის ხელნაწერებზე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არა-ფერია თქმული. ბოდბის წიგნადი ფონდის შესახებ კი ვიცით შემდე-გი: 1) მოგვეპოვება მისი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების (40 დასახე-ლების) აღწერილობა (H 2876), რომელიც შესრულებულია ნიკოლოზ გამრეკელის მიერ, და 2) 14 ხელნაწერი წიგნი, რომლებიც, თანამედ-როვე „აღწერილობათა“ მინიშნებით, ბოდბის წიგნსაცავიდანაა გა-მოტანილი(72 I:356).

დიმიტრი ჯანაშვილის კორესპონდენცია (გვ. 181) გვარწმუნებს: 1) ნ.გამრეკელს „აღწერილობა“ 1871 წლის აგვისტომდე შეუდგე-ნია და 2) იმხანად ბოდბის სამონასტრო წიგნებს შორის იპოვებოდა „კათალიკოს არსენის წმიდა ნინოს ცხოვრება“. იგულისხმება არსენ იყალთოელისეული (იგივე არსენ ბერისეული) რედაქცია.

„ცხოვრება წმიდა ნინოსი“ ნ.გამრეკელის ნაშრომში აღწერილია მე-2 ფურცელზე. აღნიშნულია, რომ თხზულებას ახლავს შესხმა ვინ-მე დიმიტრისაგან; ხელნაწერი XVIII საუკუნისაა. ავტორის შესახებ იქ

---

<sup>16</sup> ს.მ. [სერგეი მესხი], სამი კვირა კახეთში (გაკვირთი შენიშვნები მოგზაუ-რისა), III, ქიზიყი, „დროება“, 1880, 17.VII, N151.

ნათქვამი არაფერია. ამის მიუხედავად მისი გაიგივება დ.ჯანაშვილის კორესპონდენციაში ნახსენებ ნუსხასთან საეჭვო არაა. არსენის რედაქცია შემონახულია სამი ხელნაწერით: Q 762, A 518, 707(155:211). მათგან ბოღბის მონასტრისეული, ჩვენი დაკვირვებით, არის A 518, გადანერილი დიმიტრის მიერ 1708 წელს. ამდენად, ამ ხელნაწერის ადრინდელი დაცულობის ადგილად ბოღბის მონასტერი უნდა ვიგულოვოთ.

თუ როდის დააცარიელეს ტაძარი ამ და დანარჩენი ხელნაწერებით, ძნელი სათქმელია. ს.მესხის ცნობით, ეს მოხდა 1880 წლის ზაფხულამდე. მართლაც, დ.შამხალაშვილმა 1882 წლის სექტემბერში იქ ხელნაწერები ველარ ნახა („დროება“, 1882, 19.IX, N196). ამასვე ადასტურებს არქ. მაკარი (გვ. 173; სქ. 49), რომლის თანახმადაც მონასტრებიდან ხელნაწერების გამოტანა დაიწყო 1876 წელს.

ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ: ბოღბის მონასტრიდან ხელნაწერები 1876-1880 წლებს შორის გაიტანეს და თბილისის სასულიერო სემინარიაში დააბინავეს. მათ შორის ნმ. ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქციის ნუსხაც იყო.

გ) *მცხეთა, სვეტიცხოველი*. საქართველოს ეკლესიის ემბაზი — სვეტიცხოველი — ძველ და ძვირფას წერილობით ძეგლებსაც ინახავდა (72 I:14,202-203), რის გამოც მას განათლებული საზოგადოების ყურადღება არ აკლდა.

დიმიტრი ფურცელაძე გვამცნობს: სვეტიცხოველის ბიბლიოთეკა მეცნიერთაგან პირველად მარი ბროსემ და პლატონ იოსელიანმა დაათვალიერეს.

აქვე დავაზუსტებთ: ეს უნდა მომხდარიყო 1847-1848 წლებს შორის, ბროსეს საქართველოში მოგზაურობის ჟამს. პ.იოსელიანმა კი სვეტიცხოველის ბიბლიოთეკა ადრე, 1839 წელს, აღდგომის მომდევნო დღეებში, ნახა და ბროსეს რამდენიმე ხელნაწერის თაობაზე მის-

წერა (129: 167).

დ.ფურცელაძე განაგრძობს: 1852 წელს თავად აღწერაზე იქ დაცული ნაბეჭდი წიგნები და ხელნაწერები, დავნომრე ისინი და შევუდგინე კატალოგი, რომელშიც „სახელწოდებათა გარდა ჩანერილია თითოეული სტატიის სათაურებიც“ („დროება“, 1880, 25.III, N66).

ამდენად, მკვლევარს მასალის ანალიტიკურად აღწერა უცდია. თუ რა მეთოდით და მასშტაბით, ჩვენთვის უცნობია.

„დროების“ მონაცემით, 1879 წელს სვეტიცხოვლის საკუთრებად 73 ხელნაწერი ითვლებოდა (1879, 23.VIII, N175). სავარაუდოა, რომ ეს ინფორმაცია ეკუთვნის ზ.მთანმინდელს (ზ.ჭიჭინაძე), რომელიც 1879 წლის 19 აგვისტოს იყო სვეტიცხოველში და 29 აგვისტოს „დროებაში“ შედარებით ვრცელი კორექსონდენცია წარმოადგინა (N179), რომელშიც აღნიშნა: ხელნაწერები იქ „მტკიცედაა დაცული ისე, როგორც 1835 წელში დარჩენილა... აქაა ანტონ კათალიკოზის და დომენტი კათალიკოზის ოქმები“. ადგილობრივი მღვდელი მადლობის ღირსიაო.

საეკლესიო მუზეუმის წიგნსაცავი სვეტიცხოვლის კოლექციის ბაზაზეც დაარსდა. ამის გამო ეს კოლექცია დღეს ძირითადად წარმოდგენილია ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში NN-ით 1, 30, 37 — 49, 51 — 86, 122, 202, 235, 382, 426, 490, 491, 707, 734, 755, 763, 782, 783, 800, 824, 832, 833, 834, 844, 852. თითო-ოროლა სხვა ფონდშიც გვხვდება: S 1277 და Q 762, 968. ჩამონათვალის რიცხვი უდრის 73-ს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დროებაში“ აღნიშნული რაოდენობა — 73 ხელნაწერი — უკლებლად შემოგვენახა. უმრავლესობას ახლავს მინაწერი: „ეკუთვნის დიდს მცხეთის სობოროს, ჩყნე-საწელსა“, რაც დ.ფურცელაძის ინფორმაციას გვახსენებს და გვაფიქრებინებს: 1880 წელს მან „დროებაში“ მსუბუქი შეცდომა დაუშვა, — სვეტიცხოვლის ხელნაწერები, 1852-ში კი არა, 1855 წელს აღწერა და ეს მინაწერებიც მისი ავტოგრაფია. A 382-ს ახლავს მინაწერი:

„დიმიტრი ფურცელაძე, 1855 года, августа 9” (381 V), რაც ამ ფაქტის ზედმინვენით დათარიღების საშუალებას გვაძლევს, — 1855 წლის 9 აგვისტო.

იკვევია, რომ სვეტიცხოვლის კოლექცია თბილისში ერთბაშად არ გადმოუტანიათ. ტაძრის მსახურები, ჩანს, მას ადვილად არ თმობდნენ. ჯერ, 1887 წელს, პირველი ნაწილი გადმოუზიდავთ (ვთქვათ, A 86-მდე), შემდეგ — მეორე და ა.შ. პ.ცხვილოელი (პ.კარბელაშვილი) ერთ პუბლიკაციაში („ივერია”, 1900, 26.VII, N160) ჩამოთვლის ხელნაწერებს, ჩვენი იდენტიფიკაციით, — A 707, 755, 782, 783, 800, 824, 832, 833, 834, 844, 852, რომლებიც მცხეთიდან 1889 წელს ჩამოუტანიათ. ისინი სვეტიცხოვლის კუთვნილ წიგნთა მორიგ პარტიად უნდა მივიჩნიოთ, რაც საკრებულომ დათმო.

დ) ვეჯინის ღვთაება. ამ ეკლესიის მნიგნობრული წარსულიდან ლ.მენაბდე ორ ხელნაწერს ასახელებს (72 I: 377). ხელნაწერთა ინსტიტუტის მზარდ ფონდში (Q) სოფ. ვეჯინიდან შემოსულია ოთხი წიგნი — NN 1023-1025 (შედარებით ახალი). ესაა და ეს. ჩვენი მონაცემები იქაურ ბიბლიოთეკაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

1879 წლის 8 ივლისს „დროებაში” (N 142) გამოქვეყნდა ცნობა: „რამდენიმე წლის წინათ სოფელ ვეჯინში ყოფილა მდიდარი ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა; განსაკუთრებით ბევრი ძვირფასი ხელნაწერი... მაგრამ დღეს თითქმის ერთი წიგნიც აღარ მოიპოვება; სულ ერთიან ადგილობრივ ბლალოჩინის ხელში გაიღვარცლაო და ზოგიც უცხოთ მოსულ მღვდლებმა გაზიდესო”.

ინფორმაცია საინტერესო, მაგრამ ბუნდოვანია, რადგან არ ჩანს, კონკრეტულად სად მდებარეობდა და ვის ეკუთვნოდა ეს ბიბლიოთეკა — ეკლესიას თუ კერძო პირს?

ბესარიონ ფურცელაძის კორესპონდენცია, გამოქვეყნებული ფსევდონიმით „ვეჯინელი ბ.ს.” („დროება”, 1884, 19.VIII, N180), ასეთ სურათს გვიხატავს: ვეჯინის ღვთაების ეკლესიაში არის რამდენიმე

ხელნაწერი წიგნი. მათ შორის — ამბროსი ნეკრესელის „ქადაგება აღდგომის დღეს“, რომელსაც ერთვის წერილი მღვდელ იოსებ მათიკაშვილისადმი. კორესპონდენტი გვაუწყებს: „ამ წერილში ამბროსი ბოდიშს იხდის მათიკაშვილთან, რომ ქადაგება მხედრულად დაწერე და არა ხუცურადო. ეს იმიტომო, სწერს ამბროსი, რომ მე ვარ ბნელს ციხეში და არც საჭირო ნივთები მაქვს, რომ ხუცურად დაწეროო... ამბროსის ბიოგრაფიაში, რომელიც შეუდგენია დიმ. ჯანაშვილს, არ არის ნათქვამი, იყო თუ არა ამბროსი ციხეში დამწყვედული“.

ამბროსი ნეკრესელის ბიოგრაფია უკვე მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული (89:124), მაგრამ ბ. ფურცელაძის ინფორმაციისათვის დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება. არც მითითებული ხელნაწერის იდენტიფიკაცია ხერხდება ჯერჯერობით და დამონმებული მინაწერის შემონმების საშუალება არ გვეძლევა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ლაპარაკია ამბროსი ნეკრესელის ცხოვრების დრამატულ ეპიზოდზე, — დავით ბატონიშვილთან პოლიტიკურ დაპირისპირებასა და იულონის ბანაკში ყოფნაზე, რის გამოც იგი თანამდებობიდან დროებით გადააყენეს (124:239-241). საძიებელი ხელნაწერის ბ.ფურცელაძისეულ მონაცემებს თუ ვერწმუნებით, ამბროსი ნეკრესელი დაუპატიმრებიათ და ციხეში ჩაუსვამთ, სადაც მას შეძლებისამებრ გაუგრძელებია სამოძღვრო პრაქტიკა და ტრადიცია: ამა თუ იმ ქადაგების ტექსტის იმ ეკლესიაში გაგზავნა, ვის სახელზეც იყო წარმოთქმული თუ დაწერილი (შდრ. 89: 65). ჩანს, მღვდელი იოსებ მათიკაშვილი ვეჯინის ღვთაების ანუ იგივე წმიდა აღდგომის ტაძრის წინამძღვარი იყო და, ბუნებრივია, ეს ქადაგება, თემატიკის მიხედვით, სწორედ მას გაეგზავნებოდა სააღდგომო მსახურების სრულყოფილად წარმართვისათვის.

*ე) ნათლისმცემელი და დავითის ლავრა. XIX ს-ის შუა წლებში გარეჯის მრავალმთას ორი მონასტერი მოქმედებდა — ნათლისმცემელი და დავითის ლავრა, რომლებშიც უნიკალური წიგნები და ისტო-*



რიული საბუთები ინახებოდა. ბერმონაზონთა მცირე კრებული მათი მოვლის პრობლემას თავს ძნელად ართმევდა, რასაც ბევრი გაუგებრობა და უსიამოვნება მოჰქონდა.

ჩვენი თემისათვის საყურადღებოა სტატიები, რომლებიც შეიცავს XIX ს-ის საეკლესიო მოღვაწეების — მიხეილ საბინინის, ივანე ბერძენოვისა და არქ. მაკარის — პირადი ურთიერთობის ამსახველ მასალებს და რომელთა კვალდაკვალ რამდენიმე ხელნაწერის ბედის გარკვევა ხერხდება. ესენია: „ჯვარშემოსილი“ და ანტონ კათალიკოსის „ღვთისმეტყველება“. პირველზე ვრცლად ვისაუბრებთ ქვემოთ (3.9). აქ მოკლედ ვიტყვით: ეს ხელნაწერი ნათლისმცემლის წიგნსაცავში ინახებოდა 1865 წლამდე და იქიდან გამოუტანია მორჩილ ივანე ბერძენოვს, რომელიც მონასტრიდან არქ. მაკარის გაუძევებია. კონფლიქტი გაღრმავებულია და სასამართლომდეც მისულა. დავის ერთ-ერთი საფუძველი ხელნაწერების დაცვის პრობლემა ყოფილა.

ი. ბერძენოვმა 1871 წელს არქ. მაკარის<sup>17</sup> ბრალად დასდო სამონასტრო ნივთების გასაჩუქრება: ძველი წიგნები თბილისში თავის დას გაუგზავნაო. გამოძიებამ საწინააღმდეგო დასკვნა გამოიტანა: ყველაფერი ადგილზეა, გარდა ანტონ კათალიკოსის „ღვთისმეტყველებისა“, რომელიც „ვილაცას წაულია“, და ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც, მოპასუხის სიტყვით, თვით მომჩივანს გაუტანია და აღარ დაუბრუნებია. ოლქის სასამართლომ მოსარჩელე ცილისმწამებლად აღიარა და ოთხი თვით პატიმრობა მიუსაჯა („დროება“, 1878, 14. V, N93).

ამ საქმის წვრილმანები ჩვენთვის უცნობია. რაც შეეხება დასახელებულ ხელნაწერს, შეგვიძლია ვთქვათ: ნათლისმცემლის მონასტრის ხელნაწერთა კატალოგში, რომელიც მღვდ. მიხეილ ხელაშვილის ხელმოწერით გამოქვეყნდა 1886 წელს („ივერია“, 25.IX, N207), მე-18 ნომრის გასწვრივ ვკითხულობთ: „ღვთისმეტყველება ანტონ ქათა-

<sup>17</sup> არქიმანდრიტი მაკარი (მიხეილ მატათაშვილი) 1892 წელს გარდაიცვალა (იხ.: თ. ჯოლოგუა, საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1997, გვ. 265-266).

ლიკოზისა, აღწერილია 1780 წ. თებერვლის 6-სა”.

ეს თხზულება შემონახულია ორი ხელნაწერით: სრულით (S 3657 — 3660) და ნაკლულით (S 402). პირველი, დ.ჩუბინაშვილისეული (# 34-37) (207, ტ.1, Вып.3:136-139), გადაწერილია 1780 წლის 21 ნოემბერს, მეორე, დადიანისეული, დაუთარილებელია. შეიძლება ვიფიქროთ, თვისა და რიცხვის სხვაობის მიუხედავად, რომ ჩუბინაშვილის ნუსხა ნათლისმცემლის N18-ის იდენტურია. ხელაშვილის სიას თარიღი არ ახლავს და არ ვიცით, რომელი წლის ვითარებას ასახავს იგი. დასაშვებია, — 1871 წლამდელს, როდესაც აღნიშნული ხელნაწერი ნათლისმცემლის ბიბლიოთეკის თაროზე იდო, ანდა: ეს ერთეული, დაფიქსირებული საინვენტარო წიგნში, მექანიკურად აღმოჩნდა გამოსაქვეყნებლად გამზადებულ სიაში. საეჭვოა, რომ იმ „ვილაცა“ სასამართლოს შემდეგ დაებრუნებინა იგი. გაურკვეველია: „ვილაცა“ პროფ. დავით ჩუბინაშვილია თუ ვინმე სხვა, რომელმაც ხელნაწერი ალბათ მას გადასცა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ნათლისმცემლის სავანეს ანტონ კათალიკოსის ძვირფასი ხელნაწერიც ამშვენებდა.

„დროების“ მკითხველებს 1879 წელს ისიც ეუწყა, რომ მრავალმთას, დავით გარეჯელის მონასტერში, ინახება „ოთხმოცამდინ ქართული ხელნაწერი, რომელნიც ჩვენს ლიტერატურაში კარგს ადგილს დაიკავენბენ“. კატალოგს შემდეგ გამოვაქვეყნებთო (4.III, N48). ნათლისმცემლისა და დავითგარეჯის კატალოგები გამოაქვეყნა „ივერიამ“ 1886 წელს: ნათლისმცემლისა — მ.ხელაშვილმა (იხ. ზემ.), დავითის ლავრისა — მღვდ. პოლიევქტოს კარბელაშვილმა (45;46). მათი ანალიზი ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს სცილდება. ვიტყვი, რომ დავითის ლავრის ხელნაწერთა რაოდენობა, პ.კარბელაშვილის სიით, 110-ს უდრის და, მასასადამე, „დროების“ მონაცემს ბევრად აღემატება. უნდა ვიფიქროთ, რომ ციფრი 80 აღებულია 1764 წლის დოკუმენტიდან (72 I: 318-319) და ასახავს მაშინდელ ვითარებას. XIX ს-ის მიწურულისათვის, ჩანს, იქაური ბიბლიოთეკა ხელნაწერებითაც გამდიდრებულია.

ვ) ქვათახევი. XIX ს-ის შუა წლებში ამ მონასტრის მიმართ არქეოგრაფიული ინტერესების გაღვივებას „დროებამაც“ შეუწყო ხელი. მან უამბო პირველად მკითხველთა ფართო წრეს იქ დაცული ხელნაწერების სიუხვე; აღნიშნა: ბერებს „ნიგნები ცხრაკლიტულში აქვთ შენახული და კაცს არ უჩვენებენ... ერთი ყმანვილი კაცი წავიდა აქედამ და თუ უჩვენეს, დაგვირდა, რომ ხელნაწერების სიას გვაცნობებს“ („დროება“, 1877, 20.X, N172).

„ყმანვილი კაცი“ „ზ.მთანმინდელი“ ანუ ზ.ჭიჭინაძეა, რომელმაც მალე გამოაქვეყნა კორესპონდენცია — „ქვათახევის ბიბლიოთეკა“ („დროება“, 1877, 11.XI, N190) და დაადასტურა, რომ იქ დაცულია უძვირფასესი ხელნაწერები, რომლებიც შეკრიბა მონასტრის ყოფილმა წინამძღვარმა — არქიმანდრიტმა ტარასიმ.

არქ. ტარასი — ტარასი სოლომონის ძე ალექსი-მესხიშვილი (1793-1874) — XIX ს-ის კულტურულ სარბიელზე დამსახურებული პიროვნებაა (13: 118-121)<sup>18</sup>. მისი ბიბლიოფილურ-შემკრებლობითი მოღვაწეობის ნაყოფია ქვათახევის ბიბლიოთეკა (19;80: 96-97) და ამ სავანეში მნივნილოვანი ტრადიციების აღორძინება. იქვე ცხოვრობდა ბერი ნიკონ ჯობინაშვილი, რომელსაც, თავის მხრივ, ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია ჰქონდა (20: 149-150).

კორესპონდენტი განაგრძობს: კარადა, რომელშიც ნიგნები აწყვია, ჩაკეტილია და გასაღები „მთავარ ბერს“ აქვს. იგი იმხანად ადგილზე არ იმყოფებოდა და მხოლოდ ორი ნიგნი ვნახე, — არქ. ტარასის შედგენილი და დანერილი: 1) „ქართული პროპისი“ და 2) „პროპისის მინაგვარად ნაწერი ქართული ასოები“.

შევნიშნავთ: არქ. ტარასის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში გა-

<sup>18</sup> არქ. ტარასის დაბეჭდილი შრომების ჩამონათვალი, რაც წარმოდგენილია მ.ბერძინიშვილის „მასალებში“, შეგვიძლია შევავსოთ: 1847 წელს მოსკოვში გამოცემული ნიგნი — „ეპისტოლე პატრიარხთა აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიისათა“ — არის არქ. ტარასის თარგმანი, რამაც დაგვარწმუნა ავტოგრაფული ნუსხის (A 323) დასახელებულ გამოცემასთან შედარებამ (იხ. „საღვთისმეტყველო კრებული“, 1988, N3, გვ. 53).

მორჩეული ადგილი უჭირავს ქართული ანბანისა და კალიგრაფიის სახელმძღვანელოებს (31: 25-27; 13: 120). კორესპონდენციაში აღნიშნული სახელმძღვანელოები, ია გაჩეჩილაძის იდენტიფიკაციით, უდრის S 3398 და 5127, რომლებიც შეიცავს წერის დედნებს (18: 105)<sup>19</sup>. ამ წიგნების ჩაკეტილი კარადის გარეთ არსებობა იმდროინდელ ქვათახეველ მონესეთა კულტურულ-კალიგრაფიულ ინტერესებზე უნდა მეტყველებდეს.

მონასტრის მკვიდრთ გამოუხატავთ პატივისცემა განსვენებული წინამძღვრისადმი და უთქვამთ, რომ ეგზარქოსი მისი თხზულებების გამოცემას აპირებსო... ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაზე (118) დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა.

ქვათახევეს ზ.ჭიჭინაძე 1882 წლის ზაფხულშიც სწვევია და ამჯერად ხელნაწერებიც აღუწერია. მათ შორის, „დროების“ თქმით, „ბევრი ისეთი წიგნები აღმოჩენილა, რომლებიც როგორც საქართველოს სამოქალაქო ისტორიაში, აგრეთვე სალიტერატუროშიც აღარსად იხსენიებიან“ (1882, 24.VII, N 152). სამწუხაროდ, ეს „აღწერილობა“ პრესაში არ გამოქვეყნებულა და დღეს მისი კვალი აღარ ჩანს. სამაგიეროდ ფაქტია, რომ განხილული პუბლიკაციების შემდეგ ქვათახევისადმი სიძველეთა მოყვარული საზოგადოების ყურადღება გაიზარდა და მისი ბიბლიოთეკის საიმედოდ დაბინავების პრობლემაც დაისვა.

მ.ჯანაშვილის ინფორმაციის თანახმად („ივერია“, 1898, 21.VIII, N170), 1898 წელს არქ. კირიონმა ქვათახევიდან ჩამოიტანა 96 ხელნაწერი, რომელთა ნაწილი არქ. ტარასის კოლექციისეულია, ნაწილი — ნიკონისეული. აქ სახელდებით მოხსენიებულია ოთხი: „კრებული იოანე პეტრინის იამბიკოებითურთ“ (=A 290), „კრებული დავითსა და სტეფანე მთარგმნელებზე ცნობებითურთ“ (=A 292), „დავითნი“ (=A 351) და „სახარება“ (=A 357).

---

<sup>19</sup> ტარასი მესხიშვილის შედგენილია აგრეთვე Q 975 („ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა“) (20: 149).

დანარჩენი 92-ის ნომერთა დაზუსტება, კონკრეტული მითითების არარსებობის გამო, ძირს. თუმცა ვფიქრობთ: ხელნაწერების ეს პარტია (96) წარმოდგენილია A 272-381-ს შორის. მათგან, „აღწერილობებზე“ დაყრდნობით, ტარასისეულია NN 276, 279, 285, 286, 288, 290, 292, 298, 299, 303, 306, 322, 323, 325, 326, 328, 329, 333, 337, 341, 342, 343, 344, 345, 347, 349, 351, 353, 356, 357, 362, 373, 374, 375, 376, 377, 381. ნიკონისეული კი — 272, 273, 275, 280, 281, 282, 283, 284, 287, 291, 293, 294, 295, 296, 300, 301, 304, 307, 308, 311, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 328, 330, 331, 334, 335, 338, 339, 340, 348, 350, 354, 355. ამ ნუსხით ორივე კოლექცია შეადგენს 76 ხელნაწერს. დანარჩენი 20-იც მათ მეზობლად უნდა იყოს. რაც შეეხება ამავე ფონდის სხვა ერთეულებს (584, 663, 847, 926, 937 (92:230), 1426, 1427, 1428, 1430, 1431, 1438, 1439, 1441, 1443, 1448, 1449, 1450), რომელთა ქვათახევისეულობა სადავო არაა, სავარაუდებელია: ისინი საეკლესიო მუზეუმმა 1898 წლის შემდეგ შეიძინა. მოგვიანებით ქვათახევის რამდენიმე ხელნაწერი სხვა ფონდებშიც შევიდა: H 284, ცენტრარქ. 211 (გადასცა პ.კარბელაშვილმა), 244 და Q 975.

ამდენად: მართალია, „დროების“ დაპირების მიუხედავად, ქვათახევის სანიგნობლის სია პრესაში არ გამოქვეყნებულა, მაგრამ იქაური ხელნაწერები შემოგვენახა და, სავარაუდებელია, — მცირედი დანაკარგით. ეს კი იმ ბერების დამსახურებაა, რომლებიც ცნობის-მოყვარე სტუმრების მიმართ სიფრთხილეს იჩენდნენ.

ზ) *შიომღვიმე და დარია*. ამ მონასტერთა ხელნაწერები ძირითადად წარმოდგენილია ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდსა და სახელმწიფო არქივში. „დროების“ პუბლიკაციებზე დაყრდნობით ზუსტდება მათი რეგისტრაციამდელი ისტორიის ზოგიერთი დეტალი.

1879 წლის სექტემბერში გავრცელდა ხმა: შიომღვიმეში რაც ძველი ხელნაწერი წიგნი ინახებოდა, არქიმანდრიტმა კესარიოსმა თბილისში გადმოიზიდა; მიზეზი გაურკვეველია, მათი დაკარგვის საშიშროება

— რეალური („დროება“, 1879, 13.IX, N189). ბრალდებას გამოეხმაურა ადრესატი (წერილი რედაქტორთან, „დროება“, 1879, 19.IX, N 193); განმარტა, რომ ხელმძღვანელობს საქართველო-იმერეთის უწმიდესი სინოდის 1876 წლის დადგენილებით ეკლესიათა და მონასტერთა ძველი წიგნებისა და არქეოლოგიური ნივთების თბილისის სასულიერო სემინარიაში თავმოყრის შესახებ (იხ. ქვემოთ).

იხატება შემდეგი სურათი: კესარიოსმა შიომღვიმის ხელნაწერთა აღნუსხვა განიზრახა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ადგილზე ვერ ჩავიდა. „ძველი წიგნები და ყოველივე ხელნაწერები“, მისი ბრძანების თანახმად, ფერიცვალების ანუ დარიის მონასტერში მღვდელმონაზონმა სიმეონმა ჩამოიტანა. აქვე დავაზუსტებთ: ეს ის პიროვნებაა, რომელსაც 1872 წლის 8 მარტს შეუდგენია შიომღვიმის ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების, 85 ერთეულის, კატალოგი, დაცული საქართველოს სახელმწიფო არქივში (25:25-27). გავითვალისწინოთ, რომ იმხანად, 1822-1887 წლებს შორის, შიომღვიმე თბილისის ფერიცვალების მონასტერს იყო მიწერილი (60:48;72 I:191) და, ამდენად, კესარიოსი ორივე სავანის წინამძღვრად ითვლებოდა. „წერილში“ იგი ამბობს, რომ წიგნების უმრავლესობა ავარიულ მდგომარეობაშია და ჩაუტარდა რესტავრაცია: აკინძვა და ყდაში ჩასმა; შედგა კატალოგი, რომელიც წარედგინა სინოდის კანტორას. კოლექცია კი დროებით ფერიცვალების მონასტრის ბიბლიოთეკაში დარჩა „გასაფრთხილებლად“. ე.ი. არქ. კესარიოსმა ჩათვალა, რომ შიომღვიმეში მათ უსაფრთხოებაზე პასუხს ვერავინ აგებდა.

საზოგადოების ნაწილი ამ არგუმენტაციამ არ დააკმაყოფილა და კოლექციის უკან დაბრუნება ითხოვა („დროება“, 1879, 20.IX, N194). დაჰყვა თუ არა მათ ნებას არქიმანდრიტი, ჩვენთვის უცნობია.

შიომღვიმისეულად ცნობილია 38 ერთეული: H 1336-1346, 1348, 1349, 1368-1372, 1704, 1768-1770; A 170, 202, 626; არქ. 301-315. მათგან A 170 ი.სულხანიშვილს მონასტრიდან ადრე გამოუტანია (104:212)

და, ჩანს, აღარ დაუბრუნებია. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ არქ. კესარიოსამდე შიომღვიმის ბიბლიოთეკის საკუთრებად, სულ მცირე, 37 ხელნაწერი წიგნი ირიცხებოდა. H 1348, 1368-1372 „აღწერილობათა“ მიხედვით მუზეუმში დარიის მონასტრიდანაა შესული. დანარჩენი ერთეულების უმრავლესობაზე ნათქვამია: „შიომღვიმიდან ჩამოტანილი. შემონიშნულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.“ ფორმულირება ბუნდოვანი და უცნაურია (მონასტრის ქონება კერძო პირმა შესწირა?!), მაგრამ ჩვენთვის აქ მთავარია ფაქტი: რეგისტრაციამდე, 1917 წლისათვის, შიომღვიმისეული ხელნაწერების ნაწილი დარიაშია, ნაწილი — ადგილზე, უდაბნოში. ვითარება ასე წარმოგვიდგება: 1879 წელს დარიის მონასტერში შიომღვიმის ხელნაწერების დიდი პარტია ჩამოიტანეს. გაასუფთავეს და დაშლა-გაფუჭებისაგან შეძლებისამებრ დაიცვეს. ზოგიერთს ახალი ყდა გაუკეთეს. შემდეგ უმრავლესობა უკანვე დააბრუნეს. ორი (A 202 და 626) საეკლესიო მუზეუმმა მოიპოვა, ალბათ, XIX-XX სს-ის მიჯნაზე. დანარჩენი კი მოგვიანებით, მონასტერთა გლობალური რეორგანიზაციის ფაზს, გადაეცა მუზეუმებს: ნაწილი — საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას (1917 წ.), ნაწილი — სახელმწიფო არქივს (1923 წ.).

თ) *შუამთა (ხახული)*. იგულისხმება ახალი შუამთა, რომელიც ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის გამო იპყრობდა ყურადღებას.

ირკვევა, რომ იგი კულტურულ-საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა, სადაც ხელნაწერებს ამრავლებდნენ, კაზმავენდნენ და აგროვებდნენ. საილუსტრაციოდ დავასახელებთ A ფონდის ნომრებს — 396, 403 და 481 (72 I:317,350,359), რომლებიც ამ მონასტრისეულად უნდა ჩავთვალოთ, თუმცა ფაქტია, რომ XIX ს-ის 70-80-იან წლებში სტუმრები იქ ძველ ხელნაწერებს ველარ ხედავდნენ. ამის მიზეზი წარმოდგენილია კორესპონდენციაში „ხახულის მონასტერი“, რომელიც ანონიმურად გა-

მოქვეყნდა „დროებაში“ 1879 წლის 24 ოქტომბერს (N 219). ეროვნული ბიბლიოთეკის F ფონდის ეგზემპლარზე ხელით მიწერილია „ზ. მთანმინდელი“, რაც ნიშნავს, რომ სტატიის ავტორია ზაქარია ჭიჭინაძე. ეს რომ ასეა, ამაში შემდეგი გარემოებაც გვარწმუნებს: ზ. ჭიჭინაძე 1879 წელს „დროებას“ ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელია და კორესპონდენციებს უფრო ხშირად „ზ. მთანმინდელის“ ფსევდონიმით აქვეყნებს. იმა წლის სექტემბერს მან თელავის მაზრა მოიარა. 27 სექტემბერს დაესწრო ალავერდობას და შთაბეჭდილებები „დროებაში“ 12 ოქტომბერს ამავე ფსევდონიმით გამოაქვეყნა. ანონიმური კორესპონდენცია ხახულის ანუ ახალ შუამთის მონასტერზე, 23 სექტემბრით დათარიღებული, იმავე გაზეთში 28 ოქტომბერს ქვეყნდება. ამ ორ კორესპონდენციას ენა და აღწერის მანერა ანათესავენ, რაც მათი ავტორის იდენტურობას ცხადყოფს.

ამდენად, ზ. ჭიჭინაძე შუამთას 1879 წლის 28 სექტემბერს სწვევია. მას იქ ორი ბერი დახვედრია — ხუცესმონაზონი მიტროფანე და „შიომღვიმის ბერი მ.წულუკიძე“. მათ უთქვამთ, — 1865 წელს სხვა მონასტრების მსგავსად ეს მონასტერიც გაქურდეს და ნივთები, ფული და ხელნაწერი წიგნები გაიტაცესო.

ასე რომ, ზ.ჭიჭინაძემ შუამთაში ხელნაწერები ვერ ნახა. ძნელი სათქმელია, მართლა აღარაფერი იყო, თუ ბერებმა, 1865 წლის ინციდენტით დაშინებულებმა, არ გამოაჩინეს. ვერც მოსე ჯანაშვილმა იპოვა იქ ხელნაწერები 1881 წლის აპრილში („დროება“, 1881, 6.VI, N115). თუკი ეჭვს არ შევიტანთ ღვთისმსახურთა გულწრფელობაში, გაძარცვის ფაქტით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ჩვენს სიძველეთსაცავებში შუამთიდან ჩამოტანილი ხელნაწერები არ დასტურდება. ასეთ შემთხვევაში სავარაუდებელია: ფონდის დასახელებული ერთეულები სწორედ აღნიშნული კრიმინალის გამო მოხვდნენ კერძო პირების (თუ პირის) ხელში, რომლებმაც მოგვიანებით ისინი საეკლესიო მუზეუმს მიყიდეს.



მასალის სისრულისათვის საჭიროა გავიხსენოთ ერთი დოკუმენტიც — მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის წერილი ეპისკოპოს კირონს (1910, 18.X)(ხელნაწ. ინსტ. კ. საძაგლოშვილი, 1255), რომლის თანახმადაც 1910 წელს შუამთაში ყოფილა ძველი ხელნაწერები, მაგრამ არა ამ მონასტრისეული, არამედ დავითგარეჯისა, რომელიც (ჩანს, თვითნებურად და უკანონოდ) გადაუტანია იქ ბერ იროდიონს. ისინი (მათ შორის — გიორგი მთანმინდლის ცხოვრება) ჩიჯავაძეს თბილისში ჩამოუტანია. მათი იდენტიფიკაცია ჯერ ვერ მოხერხდა.

ამრიგად, შუამთისეული ხელნაწერები დასაძებნია და ამ პროცესში 1865 წლის კრიმინალი — გასათვალისწინებელი.

\*\*\*

XIX ს-ის შუა წლებში ამა თუ იმ ეკლესიასა და მონასტერში ერთი ან ბევრი ხელნაწერის არსებობის ფაქტებს „დროების“ სხვადასხვა პუბლიკაცია გვაუწყებს. ეს ეკლესიებია: ქვემოჭალის, გერგეტის სამების, ახალგორის, ჩხარის და სხვა, რომლებზეც ქვემოთ გზადაგზა შევჩერდებით, სრულად კი კატალოგებში განვიხილავთ.

## 2.2. საოჯახო და საგვარეულო

ა) *იერონიმე მესხიშვილის წიგნები*. მესხიშვილთა პირადი ბიბლიოთეკების არსებობა ფართო საზოგადოებრიობას ეუწყა ივანე ალექსი-მესხიშვილის წერილებით „დროების“ რედაქტორს. პირველში (1881, 26.XI, N247) ჩამოთვლილია ავტორის ხელთ მყოფ თხზულებათაგან რამდენიმე, რომელთა გამოცემა, მისი თქმით, „ჩვენს ხალხს და ლიტერატურას მოუტანს ნაყოფს“.

ესენია (ჩვენი იდენტიფიკაციითურთ):

1. თხზულება მონტესკიესი (S 188)
2. ტროადის დარღვევა (S 5)
3. კატელორია (S 145)

4. პანტეონ (S 246)

5. განრჩევისათვის საზოგადო კაცთა სახისა (S 207)

6. თეატრონ-პოლიტიკა (S 205)

მეორე წერილით (1883, 6.IX, N175) ზუსტდება ამ ხელნაწერების დაცულობის ადგილი. ისინი ეკუთვნის მესხიშვილების ერთ-ერთ კოლექციას, რომელიც იმხანად, 1883 წლის ზაფხულამდე მაინც, თელავში ინახებოდა. ამ წლის ივნისში იქ ჩასულა მათი მფლობელი, ივანე ალექსი-მესხიშვილი, რომელსაც ადგილზე მხოლოდ 55 ერთეული დახვედრია. დანარჩენების თაობაზე კი შეუტყვია: „რომელიც უფრო საუკეთესო იყო, ადრევე წაეღო ერთ ბერს დროებით და ის დროება გადაქცეულიყო სამუდამოთ...“ ასევე დაკარგულია დავით რექტორის ფერწერული ტილო „კიბე ცხოვრებისა“ და მისი ბევრი ავტოგრაფული ნუსხა. თუმცა, რაც გადარჩა, უმეტესობაც დავით რექტორისეულიაო, — ამბობს ავტორი და დასძენს: „ამ ზემოხსენებულ წიგნებს ვუძღვნი მე საზოგადოებას, რომელიც ავრცელებს ქართულს ენას“. იქვე წარმოდგენილია მათი სიაც.

აქ იგულისხმება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რაც ამ სიის იდენტიფიკაციამაც ცხადყო.

სია	უდრის	S ფონდის N
1. „ზედ-დადგინება მეტაფიზიკისა“		178 ([ბაუმისტერი], ზედ-დადგინებანი მეტაფიზიკისანი. XVIII).
2. „პანტეონ“		246 (პანტეონ-დიდებულთა გვამთა ცხოვრება. 1824).
3. „თეატრონ პოლიტიკა“		205 (თეატრონი. 1811)
4. „განჩხრეკა საზოგადოდ კაცთა სახისა (ლეოლრაფია)“		207 (განრჩევისათვის საზოგადო კაცთა სახისა. 1815)

5. „ტროადის დარღვევა“	5 (ტროადის დაცემა. XVIII)
6. „იოანე დამასკელის კატელორია“	145 (იოანე დამასკელი, კატელორია. 1799)
7. „მონეოკუ I და II ნაწილი“	188 (მონტესკიე, გულისხმისყოფისათვის ჰსჯულთასა. 1816)
8. „აღწერა საცხოვრებელთა ადგილთა, ზნეთა, ჩვეულებათა, სჯულთა და სხვ. აფრიკელთა არაბთა, რომელნიცა იწოდებიან ბედუინად“	218 (აღწერა აფრიკელი არაბებისა. XIX)
9. „სულიერი სასარგებლო სწავლა“	215 (სულიერი სასარგებლო სწავლა. XIX)
10. „ფრიდოლინი“	222 (ფრიდოლინი. XIX)
11. „შემოკლებული მოთხრობა ცხოვრებისა და მოქმედებათა, მუსულმანთაგან წინასწარმეტყველად აღსარებულისა მახმედისა“	209 (შემოკლებული მოთხრობა ცხოვრებისა მახმედისა XIX)
12. „ანდაზები ბალაკირევისა“	194 (ანეკდოტები ბალაკირევისათვის. XIX)
13. „აღწერა დღეთა კვიმეტთა, რომელ არს პეტიკონი საეტლოთა და სამთვაროთა“	223 (აღწერა დღეთა კვიმატთა, საეტლოთა და სამთვაროთა. XIX)
14. „მოკლე მწყემსებრივი სწავლა აცრისათვის“	219 (მოკლე სწავლა აცრისათვის ყვავილისა. 1820)

15. „სიკვდილი დიდ მოურავისა სააკაძისა” 213 ([ბაგრატიონი თეიმურაზ], სიკვდილი დიდ-მოურავისა გიორგი სააკაძისა. XIX)
16. „ანტონისა მიერ არხიუპისკოპოზის თავითიანისა(!) კატელორიათა არისტოტელითად შეყვანილება” 129 (ანტონის შეყვანილება კატელორიათა, 1781)
17. „ტაძარი წმინდისა სოფიასი კონსტანტინეპოლში” 216 ბ (ტაძარი წმინდისა სოფიასი კონსტანტინოპოლში. XIX)
18. „აღწერა ქალაქისა ღვთისა იერუსალიმისა” 198 (აღწერა იერუსალიმისა. 1836)
19. „ძნელად საპოვართა ნივთთა სახსოვარი” 200 (სახსოვარი ძნელად საპოვართა ნივთთა. XIX)
20. „ძღვევისათვის მტერთა ზედა ქრისტესა მოსახელისა მხედრობისათა” 224 (ძღვევისათვის მტერთა ზედა. 1828)
21. „ელეონორა კასტილიური” 221 (ელეონორა კასტილიელი. XIX)
22. „შესხმანი სხვადასხვა დღესასწაულთა ზედა, გალექსილნი” 217 (შესხმანი დღესასწაულთა. XIX)
23. „სახსოვარი იშვიათთა საპოვართა ქმნულებათა” 200 ბ (სახსოვარი იშვიათთა საპოვართა ქმნულებათა. XIX)
24. „აღწერა აია სოფიას დიდებულისა ტაძრისა” 216 ა (აღწერა აია სოფიისა. XIX)
25. „რომელნიმე სულისა სასარგებლონი მოთხრობანი” 214 (სულის სასარგებლო მოთხრობები. XIX)

26. „სხვადასხვა მოთხრობა”	210 (მოთხრობები. XIX)
27. „ლილიმარა კურსი”	187 (კურასი ლილმარ, საყოველთაო ისტორია. 1776)
28. „აღწერა სამხედროთა მოქმედებათა ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა”	429 (ალექსანდრე მაკედონელის სამხედრო მოქმედებათა აღწერა. XIX)
29. „ქართლის ცხოვრება”	220 (?)
30. „განყოფილება ღვთის მეტყველებისა”	230 (საღვთისმეტყველო კრებული. XIX)
31. „იოანე ჯანბაკურიან ორბელიანისა ქართველთა მსაჯულისა მიერ სიტყვაება (კავშირი)”	192 (პროკლე დიადოხოსი, კავშირნი, 1809)
32. „საზოგადო რეგლამენტი”	124 (სასულიერო რეგლამენტი პეტრე დიდისა. XIX)
33. „აღწერა წამებისა ქეთევან დედოფლისა”	193 (ბაგრატიონი თეიმურაზ, წამება ქეთევანისა. XIX)
34. „ძუნმი (!) ისტორია ეგვიპტელთა, კართაგენელთა, ასსირიელთა, ბაბილონელთა და სხვათა ტომთა”	204 (როლლენი შარლ, ძველი ისტორია. 1792)
35. „ცხოვრება ესოპესი”	236 (ესოპეს ცხოვრება. 1877)
36. „მარნუხი (!) ანდერძი მშრომელისა”	189 (გაბაშვილი ტიმოთე, მარნუხი. 1810)

37. „მოსხენების წიგნი“ 201 (მოსხენებისათვის სულთა მიცვალებულთასა. XIX)
38. „ცხოვრება საქართველოს მეფისა ირაკლი II-ისა“ 197 ბ (ხერხეულიძე ომან, მეფობა ირაკლი მეორისა. 1842)
39. „აღწერა ვნებათა დარგვისის არხიმანდრიტის პაფნოტისა“ 1206 (არხიმანდრიტ პაფნოტის ტანჯვა მთიულთა მიერ. XIX)
40. „ისტორიული გამოხატულება საქართველოსი“ 186 (ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია და ისტორია)
41. „მოხრება ქალაქისა თბილისისა სპარსეთისა ყაჯარის აღა-მაჰმად-ხანისაგან“ 191 (ბაგრატიონი თეიმურაზ, მოხრება თბილისისა 1795 წელს. XIX)
42. „აღსნა პორფირისა შეყვანილებისა“ 203 (დავით სიბრძნისმოყვარე, ახსნა პორფირის შეყვანილებისა. 1807)
43. „ცხოვრება და მოქალაქობა ნეტარისა ანდრიასი, რომელი იქმნა სალოს ქრისტესთვის“ 1378 (ანდრია სალოსის ცხოვრება. 1835)
44. „ინსტრუქცია ჩვენდა მომართ მახლობელთა ადგილებთა“ 196 ([საქართველოს] მახლობელთა ადგილთათვის. XVIII-XIX)
45. „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“ 184 (ეფრემ მცირე, უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისა. 1809)
46. „ჩარდავრიშინი“ 61 (ჩარდავრიშინი. 1789)
47. „რიტორიკა სევასტიანისა“ 119 (?), 122 (?), 123 (?)

48. „დაუჯდომელი”	182 (დაუჯდომლები და გა- ლობანი. XVIII)
49. „წინასიტყვაობა ფი- ლოსოფოსისათვის და ნახულთა მისთა”	112 (ბაუმისტერი, ლოგი- კა. 1797)
50. „ალსარების წიგნი”	202 (პეტრე მოგილა, ალ- სარება სარწმუნოებისა. 1798)
51. „ეპისტოლე ავგა- როზ მთავრისა”	520 (ავგაროზი. XIX)
52. „მოკლე აზრი ყო- ველთათვის სწავლათა საკმარად ყრმათა საქარ- თველოისათა”	180 („მოკლე ჰაზრი ყო- ველთათვის სწავლათათა, საკმარად ყრმათა საქარ- თველოესათა. XVIII-XIX)
53. „სინიდისის წიგნი”	181 (მხილება სწინიდისისა. 1798)
54. „ვინ იყვნენ ეპის- კოპოზნი, ანუ საიღამ ინყებთან საქართველო- სა შინა”	220 (?)
55. „უსახელო ნარევი წიგნი”	?

ამრიგად, ივანე მესხიშვილს ქმნკგს-ისათვის გადაუცია საოჯახო ბიბლიოთეკის ხელნაწერები, რომლებიც დღეს დაცულია ნომრებით: 5, 61, 112, 123-124, 129, 145, 178, 180-182, 184, 186-189, 191-195, 197-198, 200-205, 207, 209-210, 213-224, 236, 246, 429, 520, 1206, 1378.

„დროების” სიის ოთხი ნომრის — 29, 47, 54, 55 — იდენტიფიკაცია ჯერჯერობით არ ხერხდება. ვარაუდს, რომ ეს ერთეულები საზოგადოების ბიბლიოთეკაში არ შევიდა, — მფლობელმა დათმო არა 55, არამედ 51, გამორიცხავს საარქივო საქმე (52:152) და ილია ჭავჭავა-

ძის ინფორმაცია (ჟ. „ივერია“, 1884. N8, გვ. 12-13), რომელთა თანახმად ი.მესხიშვილმა „საზოგადოებას“ სწორედ 55 წიგნი შესწირა. საფიქრებელია, რომ 1. ეს ხელნაწერები ან დაიკარგა ბიბლიოთეკიდან, ან 2. ბუნდოვანი და მცდარი დასათაურების გამო მათ ვერ ვძებნით. უფრო სარწმუნოდ უკანასკნელი მოტივი გვეჩვენება, რადგან სიას ნაჩქარევად შედგენის კვალი აჩნია და სახელწოდებანი მოცემულია გაურკვეველად. მაგალითად: N 49-ის სათაური — „წინასიტყვაობა ფილოსოფოსისათვის და ნახულთა მისთა“ — შეთხზულია ბაუმისტერის ლოგიკის პირველი წინადადების მცდარად ამოკითხვის შედეგად. იქ წერია: „წინასიტყუა ფილოსოფიისათს და ნაწილთა მისთა“.

იდენტიფიკაციას ართულებს ისიც, რომ ეს კოლექცია გაფანტულია ფონდის სხვადასხვა მონაკვეთში. თუმცა აქ რომ ერთი და იმავე ბიბლიოთეკის წიგნებთან გვაქვს საქმე, აშკარაა: უმრავლესობას ახლავს იერონიმე მესხიევის მინაწერები, რაც მათ ბოლოდროინდელ მფლობელს ამ კალიგრაფისა და მწერლის მემკვიდრედ წარმოაჩენს და ადასტურებს, რომ ეს წიგნები მესხიშვილთა საგვარეულოში იმ ბიბლიოთეკის ნაწილს შეადგენდა, რომელიც შექმნა იერონიმე მესხიშვილმა. მართლაც: ილია ჭავჭავაძე ივანეს იერონიმეს ძედ მოიხსენიებს და საუკუნო შესანდობარს უთვლის. მაშასადამე, ივანე მესხიშვილი მამულიშვილური ვალის მოხდიდან — 1883 წლის სექტემბრიდან — რამდენიმე თვის შემდეგ გარდაცვლილა. იერონიმე მესხიშვილი ანჩისხატის დეკანოზი, კალიგრაფი და ლიტერატურული მოღვაწე გახლდათ. მისი მდიდარი წიგნსაცავის ამბავი საზოგადოებაში ცნობილი იყო და ამ წიგნსაცავით ბევრი სარგებლობდა. ჩვენთვის საყურადღებოა ცნობა, რომ მისეული ფონდის ძირითადი ნაწილი იმხანად თელავში ყოფილა დაბინავებული.

ფაქტია, რომ ქმნკგს-მ მესხიშვილებისეული ხელნაწერებიდან პირველად — 1883 წლის სექტემბერში, იერონიმე-ივანეს კოლექცია მიიღო. ხუთი წლის შემდეგ კი — მეორე, რომლის შემწირველის



სახელი — მღვდელი დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი — სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ( 20:147). სამართლიანობა ივანე ალექსი-მესხიშვილის დამსახურების აღნიშვნასაც მოითხოვს.

ბ) ნიკო დადიანის ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნები. სამეგრელოს მთავართა წიგნსაცავის დიდი ნაწილის ქმნეგს-ისათვის შეწირვაზე ცნობები პირველად „დროებამ“ გამოაქვეყნა და მისი თბილისში ჩამოტანის ისტორია ძირითადად იქ დასტამბული წერილების საფუძველზეა დამუშავებული (140:110-114;142;164:24-26,28-29;138:16-17;77:86-87;68:54;71:80).

ცნობილია „დროების“ ერთი სარედაქციო მინაწერი (1885, 13.III, N60), რომლის თანახმად დადიანთა ბიბლიოთეკის კატალოგი პირველად აკაკი წერეთელს შეუდგენია. სოლომონ ცაიშვილის დაკვირვებით, ესაა ამჟამად ზუგდიდის მუზეუმში დაცული დოკუმენტი — დავით დადიანის ძველი წიგნების სია, რომელიც პოეტს სოფელ გორდში უნდა შეედგინა (71:152).

შეგვიძლია დავაზუსტოთ ამ დოკუმენტის თარიღი და მიზანი. მემუარში „ნადირობა“ აკაკი აღწერს სამეგრელოს მთავრის საზაფხულო რეზიდენციაში სტუმრობას და დასძენს, „მას აქეთ ოცდაათ წელიწადზე მეტიაო“ (157, ტ.11:584). ეს მოთხრობა დაუთარილებელია. დაიბეჭდა 1914 წელს. მაშასადამე, აკაკი 1884 წლამდელ ამბავს იხსენებს. საყურადღებოა მისი კორესპონდენცია — „სასიამოვნო ამბავი“, რომელიც გამოგზავნილია ქუთაისიდან 1872 წლის 2 თებერვალს („დროება“, 1872, 11.II, N6) (157, ტ.14:117-127). იქ ლაპარაკია თანამემამულეთა გულგრილობაზე, ახალგაზრდების არაინტელექტუალურ საქმიანობაზე და ამ მხრივ გამონაკლისზე, — „თ. მენგრელსკიზე“. ნათქვამია: როდესაც იგი სამშობლოში დაბრუნდა, ბიბლიოთეკა „გაბნეული დაუხვდა“. მას ახლა მისი აღდგენა და ხელნაწერების დაბეჭდვა განუზრახავს. კორესპონდენტი ურჩევს, რომ პირველ რიგში

რჩეული თხზულებანი გამოაქვეყნოს.

„თ. მენგრელსკი“ იგივე ნიკო დადიანია — დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი (1847-1903). თუ რამდენად განახორციელა მან ჩანაფიქრი, ანდა რამ შეუშალა ხელი, სხვა საკითხია. ჩვენ გვანტერესებს აკაკი წერეთლის გორდში ასვლის თარიღი. საფიქრებელია, ეს მოხდა 1872 წლის 2 თებერვლამდე, კორესპონდენციის დაწერამდე. კონკრეტულად, — 1871 წლის ზაფხულში. ამ დროს შეადგენდა იგი განიავების წინაშე მდგარი ბიბლიოთეკის კატალოგს და, როგორც ძველი ქართული მწერლობის მცოდნე, დაასახელებდა ტექსტებს, რომელთა დასტამბვას საშურ საქმედ მიიჩნევდა.

აკაკის კორესპონდენცია უნდა ჩაითვალოს პირველ წერილობით ინფორმაციად ხსენებულ წიგნსაცავზე,<sup>20</sup> რომელიც შეიცავს ცნობას იქიდან წიგნების გაფანტვის შესახებ. ეს სიმართლეა. ამიტომ ამ ბიბლიოთეკის ხელნაწერები დღეს სხვადასხვა ფონდში გვხვდება (25:122).

ინფორმაციამ დააინტერესა ქართული ხელნაწერების მოამაგენი და მათ წრეში დადიანისეული წიგნების ქშნკეს-ისათვის გადაცემის აზრი შვა, რასაც მფლობელი დადებითად გამოეხმაურა („დროებითი პეტერბურღელის“ ინფორმაცია, „დროება“, 1880, 21.XI, N248).

უნდა შევჩერდეთ ფსევდონიმ „ჭ“-ს ანუ კორესპონდენტ ილია ჭყონიას „შენიშვნებზე“ („დროება“, 1884, 2.VI, # 117) (114:821) ნესტორ წერეთლის, დავით დადიანის და ბარნაბა ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკებიდან ხელნაწერი წიგნების უკონტროლოდ გატანის შესახებ. კონკრეტულად ნახსენებია ორი: 1) „პონტოელი პილატეს მოხსენება იესო ქრისტეს ჯვარცმაზე“ — ნ.წერეთლისეული და 2) „ხრონოგრაფი“ — დ.დადიანისეული. ჩვენი იდენტიფიკაციით პირველი არის ნიკოდიმოსის აპოკრიფული სახარება ანუ Acta Pilati, რო-

<sup>20</sup> ალ. ცაგარელის კატალოგი 14 წლის შემდეგ გამოქვეყნდა (207, ტ.1, вып. 3:238-245).

მელიც დღეს დაცულია ნომრით Q 652. მეორე კი — S 314-ით. იგი მოთავსებულია დადიანისეულ ხელნაწერებს შორის, თუმცა „აღწერილობაში“ გრიგოლ წერეთლისეულადაა ჩათვლილი, რადგან ყდის საცავ ფურცელზე გვხვდება ავტოგრაფი „თ.გ.წ.“ თუ გავითვალისწინებთ წერეთლებისა და დადიანების კონტაქტებს, დასაშვებია, ამ წიგნმა გრიგოლ წერეთლის ხელშიც გაიარა. კუთვნილი ადგილი მან მამაპაპეული ბიბლიოთეკის რესტავრატორის — ნიკო დადიანის — მეშვეობით დაიბრუნა.

ჩვენთვის უფრო საყურადღებოა „შენიშვნების“ მიზანი, — მინიშნება, რომ კერძო ბიბლიოთეკებში ძველი ხელნაწერების დატოვება სახიფათოა, მეცნიერებისათვის — გამოუსადეგარი და სასურველია მათი საზოგადო საკუთრებად ქცევა.

ეს ჭეშმარიტება გაცნობიერა ნიკო დადიანმა და პეტერბურგიდან გასცა განკარგულება, რათა მისი „მთელი ბიბლიოთეკა“ თბილისში ჩაეტანათ „დროების“ რედაქტორთან, სადაც „წერა-კითხვის საზოგადოების“ წარმომადგენლები ჩაიბარებდნენ მეცნიერებისათვის საჭირო და სასარგებლო წიგნებს („დროება“, 1885, 19.III, #60). „საზოგადოება“, ცხადია, აღფრთოვანებით შეეგება ამ წინადადებას, მაგრამ მასალის ადგილზე შერჩევა ამჯობინა. ი.ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით შედგა კომისია, რომელმაც 1885 წლის 3 აპრილს აღნიშნული ფონდის დიდი ნაწილი სოფ. გორდიდან და ზუგდიდიდან თბილისში გადმოიხიდა (ვრცლად იხ. ს.ცაიშვილისა და ს.ჭილაიას მითითებული შრომები). ი/წ 6 აპრილს „დროებამ“ (N72) დაადასტურა, რომ სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკა, რომელიც 179 ტომისაგან შედგება, უკვე თბილისშია. „საზოგადოებამ“ იგი ოფიციალურად 16 აპრილს ჩაიბარა (22:266) და დააბინავა ცალკე კარადაში ნომრებით 247 — 426 (76: IV).

შენიშნულება 169 ხელნაწერსა და 10 ნაბეჭდ წიგნს მოიცავდა. მათ რიცხვში X-XI სს-ის ძეგლებიც ერია, რომელთა მეცნიერული მიმოხილვა პირველად დ.ბაქრაძემ შემოგვთავაზა („დროება“, 1885, 23.

IV,#85). სია გამოქვეყნდა ჟურნალში „ივერია“ (1885, #12, გვ. 89-97).

დ.ბაქრაძისათვის ცნობილი ყოფილა ამ ბიბლიოთეკის უწინდელი კატალოგი (უნდა ვიფიქროთ, — აკაკი წერეთლისეული), რომელიც თურმე „მომეტებულ ნომრებს უჩვენებს“. სავარაუდებელია, რომ დადიანთა წიგნების გატანა-არდაბრუნებას 1871 წლის შემდეგაც ჰქონდა ადგილი. შემორჩენილ ძეგლთაგან ბევრი, ავტორის დასკვნით, ჩვენი კულტურის მშვენიერებაა. სახელდობრ:

1. ოთხთავი (X; ეტრატი. S 405);

2. საგალობლები (მიქაელ მოდრეკილის იადგარი. 978-988; S 425), — „ერთი დიდი ფოლიანტი, ათონის მონასტრის ხელით, ამ მონასტერშივე ნაშრომი, რომელიც შეიცავს ... სანოტო ნიშნებს“. ესაა პირველი ინფორმაცია ამ ხელნაწერის შესახებ, სადაც, ზოგიერთი უზუსტობის მიუხედავად, მისი მნიშვნელობა ობიექტურადაა განსაზღვრული;

3. ქართლის ცხოვრება (დადიანისეული ნუსხა. XVIII; S 354);

4. ბიბლია (ათონური ნუსხის 1851 წლის პირი; S 422);

5. „ვისრამიანი“ არჩილ მეფისაგან გალექსილი (კრებული. 1701-1705; S 424);

6. „ამირანდარეჯანიანი“ (XVII; S 393).

შემონიშნულობის სრულყოფილ მიმოხილვას მკვლევარი სამომავლო საქმედ დებს. ამჯერად კიდევ ერთ სამაგალითო ფაქტს გვაუწყებს, — გრიგოლ გურიელმა ოზურგეთში ნაპოვნი სახარება შემოგვწირაო. ესაა S 962 (ოთხთავი. 1054).

დადიანების ხელნაწერ წიგნთა „ივერიისეული“ სია წარმოდგენილია ბიბლიოგრაფიული მოთხოვნების გაუთვალისწინებლად: ნუმერაციის გარეშე, უსისტემოდ, მეტწილად ბუნდოვანი სათაურებით, ავტორთა მოუხსენიებლად, ზომისა და ფურცელთა რაოდენობის მიუთითებლად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არც თანამედროვე „აღწერილობებისთვისა“ ყოველთვის ცნობილი ადრინ-

დელი მფლობელის ვინაობა, გასაგები უნდა იყოს ამ დოკუმენტის იდენტიფიკაციისათვის სირთულე. მაგალითად:

„ივერიისეული“	უდრის	„აღწერილობის“
[40] „მონოდება ცოდ- ვილთა“		ხელაშვილი იონა, მონო- დება ცოდვილთა. S 273.
[42] „დამაკავშირებელი ასოთა და გვამთა თავსა ზედა“		ხელაშვილი იონა, ცნობა თავისა და გვამთა. S 267.
[45] „ურიათ სიტყვის- გება“		დოგმატურ-პოლემიკური და კანონიკური კრებული. S 248.
[47] „სულიერი სჯულ- ვილება“		ხელაშვილი იონა, ათი მცნებისა და ცხრა ნეტა- რების წიგნი. S 277.
[60] „კედონტი“		ხელაშვილი იონა, მეფის ძის იოანეს ოცდაათობ- მეტი შეკითხვის წიგნი. S 306.
[68] „განსაზღვრა ხა- ტებისათვის ღვთისა და მსგავსებად კაცისა“		დიმიტრი როსტოველი (ტუპტალო), წვერთა პარ- სვისათვის. S 290.

„ქართულ ხელნაწერთა აღწერილობასა“ და, შესაბამისად, სამეც-  
ნიერო ლიტერატურაში დღემდე დადიანისეულად სახელდებულია  
ქმწკგს-ის ფონდის (S) მხოლოდ 247, 254, 256 — 262, 271, 276, 282,  
283, 288, 289, 291, 296-299, 315, 335, 337, 341, 347, 373, 374, 406, 419  
ერთეულები (72 l:561).

„ივერიის“ სიის ანალიზის შემდეგ ირკვევა და ზუსტდება:

1. იქ აღნუსხული ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები (ერთად —  
179) ფონდის 246 — 426 NN-ებს შორის სხვა თანმიმდევრობით გან-  
ლაგდა ( ნაბეჭდმა წიგნებმა დაიკავა NN 320, 325, 329, 331, 336, 356,

411, 412, 414, 426).

2. დადიანისეულად დღემდე ცნობილი ხელნაწერების რიცხვს (29 ერთეულს) უნდა დაემატოს S ფონდის NN 248, 249, 250, 251, 252, 253, 255, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 272, 273, 274, 275, 277, 278, 279, 280, 281, 284, 285, 286, 287, 290, 292, 293, 294, 295, 300, 301, 303, 304, 305, 306. 307, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 316, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 326, 327, 330, 332, 333, 334, 338, 339, 340, 342, 343, 344, 345, 346, 348, 349, 350, 351, 352, 353, 354, 355, 357, 358, 359, 360 — 366, 367 — 372, 375 — 405, 407 — 418, 420 — 425.

მათგან, სიძველის მიხედვით, გამოირჩევა:

<b>S ფონდის N</b>	<b>„ივერიის“</b>
269 დოგმატიკურ ასკეტიკური და მეცნიერული კრებული. XVII	[N 22] „ქმნილება წმიდათა მათა (ღვთისმეტყველება)“
300 აგიოგრაფიულ-მეტაფრასული კრებული. 1779	[2] „ცხოვრება წმიდათა მათა“
312 პოლემიკურ-დოგმატური და სამეცნიერო კრებული. 1541	[19] „სიტყვისგება ურიათა“
353 გიორგი ხუცესმონაზონი, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება. XI	[161] „ცხოვრება და საგალობელი წმიდისა გიორგი მთაწმიდელისა ეტრატზე“
354 ქართლის ცხოვრება. XVIII	[80] „ქართლის ცხოვრება“
383 კრებული. XII-XIII	[164] „ცხოვრება წმიდათა მათა ეტრატზე“

383 გრიგოლ ღვთისმეტყველი, კრებული. XI	[168] „ღვთისმეტყველება”
384 კრებული. XI-XII	[114] „წამება წმიდათა მონამეთა”
391 მარტვილის ოთხთავი. 1050	[165] „სახარება”
396 მაქსიმე აღმსარებელი. კრებული. XI	[99] „სწავლანი მაქსიმე აღმ- სარებელისა”
405 ოთხთავი. X	[163] „სახარება. ასომთავრუ- ლი, ეტრატზე”
407 სამოციქულო. X	[162] „სამოციქულო. უთავბო- ლო. ეტრატზე”
413 კრებული. XI	[86] „კითხვა, მიგება ხუცური — ეტრატზე დაწერილი”
417 კრებული. XII	[113] „ცხოვრება წმიდათა მო- წამეთა და სხვა და სხვა- ნი ცნობანი”
421 მაქსიმე აღმსარებელი, კით- ხვა-მიგება. XI	[167] „კითხვა-მიგება ეტრატ- ზე”
423 იოანე ოქროპირი. თარგმანე- ბაჲ იოანეს სახარებისაჲ. XII	[107] „განმარტება იოანეს სა- ხარებისა”
425 მიქაელ მოდრეკილი, იად- გარი. 978-988	[166] „საგალობელი ეტრატზე”

3. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ S ფონდის N 249 (სამხედრო ტიბიკონი და სამხედრო არტიკული. 1784) მიჩნეულია იოანე ბატონიშვილისეულად; 293 (ბაუმეისტერი ფ.ხ., დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა. XVIII) — დიმიტრი ყიფიანისეულად; 309 (ჰეროდოტე, ისტორია. 1836) და 314 (ხრონოლორაფი. XVIII) — გრიგოლ წერეთლისეულად; 312 (პოლემიკურ-დოგმატიკური და სამეცნიერო კრებული. 1541) — გელათიდან ჩამოტანილად. გაირკვა, რომ ისინი მუზეუმში ნ.დადიანის კოლექციასთან ერთად შევიდა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ დადიანების საგვარეულო ბიბლიოთეკის სურათი რამდენიმე დეტალით შეივსო. დღემდე ნ.დადიანისეულად ცნობილი იყო 29 ხელნაწერი. მათ რიცხვს 140 დაემატა.

გ) წერეთელთა წიგნები. გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის (1787-1843) წიგნსაცავი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა საზოგადოებას მის შემადგენლობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა და კარგად არც დღესაა ცნობილი. იგი, ჩვენი გაზეთის მონაცემების მიხედვით, განაწილდა ბიძასა და ძმისშვილს — ალექსანდრესა და ნესტორს — შორის და წარმოიქმნა ორი კოლექცია — ალექსანდრესეული და ნესტორისეული.

1863 წლის ახლო ხანს ნესტორ წერეთლის კარზე უმუშავია მწიგნობარ ალექსი ბაქრაძეს. მას იქ უნახავს ოსე გაბაშვილის კრებული, რომელიც მფლობელს 1883 წელს გაუსაჩუქრებია (ვრცლად: გვ. 188-189). მართლაც, წერეთლებისეული ხელნაწერები ამჟამად გაფანტულია სხვადასხვა ფონდში (25:123-131;136:58); ცალ-ცალკე კოლექციების სახით ისინი არ შემონახულა.

პირველი ცნობა „დროებაში“ 1871 წელს გამოჩნდა. მოწინავეში „ძველი წიგნების გამოცემაზე“ (14.V, N19) აღნიშნულია: „აუარებელი ძველი ქართული წიგნები“ დღეს თავად ალექსანდრე წერეთლის ხელშია და ინახება საჩხერეში, მის სახლში, ზანდუკებში, ბევრი სხვა



კოლექციის მსგავსად, რომელთა პატრონები არც თვითონ კითხულობენ და არც სხვას აკითხებენო.

წერილი ანონიმურია და, უნდა ვიფიქროთ, ეკუთვნის რედაქტორს — სერგეი მესხს. ალექსანდრე წერეთელს კი ეჭვი აკაკი წერეთელზე მიუტანია და უთქვამს: „თუ ნამდვილად აკაკის დაწერილი არ არის, მისი აზრი ხომ მაინც არისო“. აკაკი იძულებული გამხდარა და დაუწერია პასუხი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი პოზიცია ძველი ხელნაწერების გამომზევების აუცილებლობის შესახებ („დროება“, 1871, 17.VI, N28). იქვე წარმოდგენილია ამ ბიბლიოთეკის მოკლე ისტორია, რომლის თანახმადაც გრიგოლ წერეთელს, მამისეული მემკვიდრეობის გარდა, წიგნები შეუძენია: 1. აღმზრდელებისაგან — ზაქარია არქიმანდრიტისა და ანტონ კათალიკოსისაგან, 2. აგრეთვე — ნათესავებისაგან: დადიანების, აბაშიძეების, გურიელებისა და ბაგრატიონებისაგან. რაც შეეხება გრიგოლის ძეს — ალექსანდრეს, აკაკი ამბობს: არ ვიცი, გადაეცა თუ არა მას მამისაგან შეძენილი წიგნებო. „ეს კია, — დასძინა მან თავისებურად, გამკენწლავად, — რომ ქონებოდა, თ.ალექსანდრე წერეთელი, როგორც გამიგონია, ისეთი მტკიცე და გაბედული ხასიათის კაცია... უშიშრად და თამამად გამოაცხადებდა თავის აზრს ამ სიტყვებით: „წიგნები მაქვს, მაგრამ არავის არ ვათხოვებ, რადგანაც, ჩემი აზრით, წიგნები არიან ბოროტების და ცუდის იარაღიო...“ პოეტს მხოლოდ გრიგოლ წერეთლის რვეული — ანდაზების კრებული — უნახავს, რომელშიც მასალა ანბანის რიგზეა განწყობილი; იწყება: „ავი ძალღი არც თავისას ქამს...“ და ბოლოვდება „რუსთველის ლექსით“: „ფილოსოფოსნი შემოკრბენ...“ (ხელნაწერის იდენტიფიკაცია ჯერჯერობით არ ხერხდება. სპეციალურ ლიტერატურაში რუსთველისად ცნობილი სტროფის ეს ვარიანტი დამოწმებული არაა. შდრ. 90:76-81)

ამ ინფორმაციების გამოქვეყნებიდან მოკლე დროში ალექსანდრე წერეთელი გარდაიცვალა. მისი ბიბლიოთეკა, „დროების“ თანახმად

(1875, 13.VII, N79), „მემკვიდრეს ნ.წერეთელს წაუღია და ისიც ისე მაგრად უჭერს თურმე ჯერჯერობით ხელს, როგორც ცხონებული...” რედაქცია სთხოვს ნ.წერეთელს კატალოგის შედგენას და გამოგზავნას.

„ნ.წერეთელი”, ფსევდონიმ ზ-ს ანუ ილია ჭყონიას წერილს („დროება”, 1879, 22.VII, N151) თუ გავითვალისწინებთ, არის თავადი ნესტორ წერეთელი (†1883). ირკვევა, რომ ალექსანდრე წერეთლის ბიბლიოთეკა დაიფანტა: ნაწილი ნესტორს ერგო, ნაწილი კი — მეუღლეს, ნინო ერისთავს. უკანასკნელს ი.ჭყონიასათვის ძველი ხელნაწერების გაგზავნა აღუთქვამს იმ პირობით, რომ ისინი ჩაბარდებოდა „ივერიის” რედაქციას. მათგან ი.ჭავჭავაძე ზოგს დასტამბავდა, ზოგს კი „ქართულ არხივს” გადასცემდა.

არ ვიცით, შესრულდა თუ არა ეს დაპირება. ი.ჭყონიას სხვა „შენიშვნები” („დროება”, 1884, 2.VI, N117) გვარწმუნებს, რომ ნესტორ წერეთლის გარდაცვალების შემდეგ ბიბლიოთეკა განიავების საფრთხის წინაშე დადგა. ამის მაგალითია მისეული ხელნაწერის „პონტოელი პილატეს მოხსენების” „თ.დ.წ.”-ის ხელში ჩავარდნა (იდენტიფიკაცია იხ. გვ. 82).

საზოგადოებისათვის წერეთლების ბიბლიოთეკიდან მხოლოდ ვეფხისტყაოსნის ძველი ნუსხების არსებობა გახდა ცნობილი. ვინმე „კოტორი” სერგეი მესხს აუწყებს: პელაგია წერეთლისას აქვს ძველი წიგნები. მათ შორის — ვეფხისტყაოსანი: „სქელ პერგამენტზედ; მრავალი სურათებით შეკაზმული ხელნაწერი; ძველისძველი...” იქვე დასაბუთებულია ამ ვარიანტის გამოცემის საჭიროება და გამოთქმულია იმედი, რომ სურათებს მხატვარი როინოვი გადაიღებს („დროება”, 1879, 21.II, N38).

ინფორმაციას ალექსანდრე როინიშვილი გამოეხმაურა, მაგრამ მფლობელად „თ. ნინა დადიანისა” დაიმასხოვრა და მას ხელნაწერის თბილისში გამოგზავნა სთხოვა („დროება”, 1879, 3.III, N47). ერთი

კვირის შემდეგ ამავე გაზეთში შეცდომა აღიარა, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოასწორა: უნდა მეთქვა „ნინო წერეთლისა“-ო (11.III, N54). ნინო ერისთავი წერეთლისა, როგორც აღვნიშნეთ, არის ალექსანდრეს მეუღლე, პელაგია კი — ნესტორისა და „კოტორჩი“ სწორედ პელაგიაზე უთითებდა.

ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ილუსტრირებული ხელნაწერის მფლობელად რომ პელაგია წერეთელი უნდა ვიგულოვოთ, გვარწმუნებენ გრიგოლ გურიელი და დავით წერეთელი. პირველი აღნიშნავს: „მე როგორც მახსოვს, ბიძაჩემს ქაიხოსრო გურიელს ჰქონდა დანამთი მამიდგან ერთი კარგი ვეფხისტყაოსანი... შიგ გამოხატული მოქმედი პირებით, რომელიც უნდა იყოს, ჩემი აზრით, პირველით ანუ სწორით გადმოწერილი. დღეს ის, როგორც მე ვიცი, აქვს ჩემს ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ წერეთლის მეუღლეს...“ ამ შენიშვნის გვერდითაა წარმოდგენილი დ.წერეთლის ექსკურსი, რომლის თანახმადაც ვეფხისტყაოსნის სურათებიანი ხელნაწერი მეფე სოლომონს ეკუთვნოდა და მზითევში გაჰყვა მის ქალიშვილს — დარეჯანს, აბაშიძეების რძალს. როდესაც რუსებმა ივანე აბაშიძის სახლ-კარი გადაწვეს, ხელნაწერი უკვალოდ გაქრა. „დღეს იგი უშოვნია როგორღაც კნეინა პელაგია წერეთელს“ („დროება“, 1880, 9.XII, N259). კითხვას — როგორ „უშოვნია კნეინა პელაგია წერეთელს“ ეს ნუსხა — ქვემოთ დავუბრუნდებით.

თბილისში ამ დროს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობდა და ხსენებულმა მოღვაწეებმა პელაგია წერეთელს მისთვის ხელნაწერის თხოვება შთააგონეს, რამაც ნაყოფი გამოიღო და კნეინამ ქუთაისიდან ვეფხისტყაოსანი დიმიტრი ყიფიანს გამოატანა („დროება“, 1880, 21.XII, N270).

ეს ნუსხა იდენტიფიცირებულია — S 5006 (გასანთლული ქალაქი, XVIII ს.), რომლის თავგადასავალი, „დროების“ მონაცემების გათვალისწინებითაც, დეტალურადაა შესწავლილი (128:307-311;136:41-42).

პრობლემატურია მისი მიმართება გრიგოლ წერეთლის იმ ხელნაწერთან, რომელსაც იმონუმებს პლატონ იოსელიანი. დღეს ისინი სხვადასხვა ნუსხებადაა ჩათვლილი (141:15,17-18). ამ თვალსაზრისს „დროების“ მონაცემებიც უმაგრებს ზურგს. კერძოდ: 1881 წლის 16 ივნისს კომისიის საქმის მწარმოებელმა იონა მეუნერგიამ ამავე გაზეთით (N 123) მიმართა ნიკოლოზ ელიოზიშვილისა და გრიგოლ წერეთლის მემკვიდრეებს, დაეხმარონ იმ ეგზემპლარების მოძებნაში, რომლებიც პ.იოსელიანს მათი წინაპრების ოჯახებში უნახავს. ი.მეუნარგია, როგორც მისივე ანგარიში („დროება“, 1881, 11.II, N31) გვარწმუნებს, იცნობდა ნესტორ წერეთლის ნუსხას, მაგრამ, ჩანს, მას გრიგოლ წერეთლისეულთან არ აიგივებდა და, ამდენად, უკანასკნელის პოვნა რუსთველოლოგიის უპირატეს ამოცანად მიაჩნდა. ამ არგუმენტს პირველად გურამ შარაძემ მიაქცია ყურადღება (136:63;138:125-126). ჩვენ ასევე საგულისხმო ფაქტად გვესახება აღნიშნული ხელნაწერის მოვლა-შენახვის ასპარეზზე პელაგიას და არა მისი მეუღლის — ნესტორის — ინიციატივა და აქტიურობა, რაც, ვფიქრობთ, კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ეს რელიქვია პელაგია გურიელს მიუტანია სანერეთლოში და მის ხელთაა გასხვისებისა თუ განათხოვრების უფლება. სხვანაირად ვერ ვხსნით ნესტორ წერეთლის დუმილსა და მისდამი უყურადღებობას.<sup>21</sup>

„დროება“ ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული სხვა ხელნაწერების არსებობასაც გვაუწყებს: 1) თ.ა.დავითის ძე წერეთლის, რომელიც, თურმე, „ღირსებით და სიძველით“ აღემატება პელაგია წერეთლისეულს (1880, 21.XII, N270). რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში იგი იდენტიფიცირებული არაა. ვარაუდობენ, რომ ეს გრიგოლ წერეთლისეული ნუსხაა (141:18). ჩვენ ალტერნატიულ თვალსაზრისსაც ვუშვებთ: შესაძლებელია, აქ ის ხელნაწერი ვიგუღვოთ, რომელიც

<sup>21</sup> რეცენზენტმა, ბ-ნმა თამაზ ჯოლოგუამ, დამატებით მასალაზეც მიგვითითა: დ. ყიფიანის პირადი საარქივო ფონდი, 1472-1474, 1758, 1760, სადაც დაცულია მიმოწერა დ. ყიფიანს, ი. მეუნარგიას, პელაგია და ნ. წერეთლებს შორის ვეფხისტყაოსნის აღნიშნული ნუსხის გარშემო.

გ.მიქაძის გამოკვლევით(78:235-238) წერეთლებს ეკუთვნოდა და სიძველით პეღეგია წერეთლის ეგზეგეზლარს მართლაც აღემატება, — S 2829 (1688 წ.); 2) ბეჟან წერეთლის მემკვიდრეთა, რასაც ახსენებს ი.მეუნარგია დამონმებულ ანგარიშში. ეს ნუსხა დღეს ცნობილია — H 757 (1671 წ.).

დ) ილია ჭავჭავაძისა და იოსებ შალიკაშვილის ხელნაწერები. ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის სრული სურათის აღდგენა პრობლემური საკითხია (160: 4-5;139:40-42;172:85-87). იქ ინახებოდა ბევრი ხელნაწერი წიგნი (70), რომელთა ნაწილი ქმნკვს-ს მწერალმა სიცოცხლეშივე შესწირა, დანარჩენი კი შემდეგ გადაეცა (172:89-91). შეწირულთაგან. „აღწერილობებზე“ დაყრდნობით სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია: S 22, 23, 24, 25, 32, მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ი.ჭავჭავაძემ იმავე ფონდს სხვა ხელნაწერებიც უძღვნა.

გაზეთ „დროებისათვის“ (1880, 8.VIII, N166) იონა მეუნარგიას მიუწოდებია სია იმ ხელნაწერ წიგნთა, რომლებიც ქმნკვს-ის ბიბლიოთეკას შესწირეს თავადებმა: ი.გ. ჭავჭავაძემ და ი.ი. შალიკოვმა<sup>22</sup>. ამ სიის იდენტიფიკაციამ შემდეგი სურათი მოგვცა:

<b>„დროება“</b>	<b>უდრის</b>	<b>S ფონდის NN</b>
1. „ზედდადგინებანი მეტაფისიკისანი“		42 (მეტაფიზიკა. XVIII)
2. „შემოკლებითი ფიზიკა“		44 (ბაუმეისტერი, ფიზიკა. XVIII)
3. „ლოლიკა“		43 (ჯულფელი, დიალექტიკა. XVIII)

<sup>22</sup> ამ სიის ხელახალი პუბლიკაცია: 137:313-316

4. „მეტოლოღია ანუ ძველი ზღაპარსიტყვაობა”	115 (მითოლოღია. XIX)
5. „ღეოღრაფია”	141 (სამგზავრო გეოღრაფია. XIX)
6. „მოცემისაებრ და სარწმუნოებისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა”, კლემენტოსისა. ამავე წიგნში „მარტივთქმა იონე ოქროპირისა”	292 (კრებული. XIX)
7. „საუნჯე”	157 (კრებული. 1811)
8. „სიტყვანი ფსალმუნთანი”	163 (ფსალმუნთა თარგმანება. 1815)
9. „წინაბჭე სიტყვისა”	159 (დიონისე არეოპაგელი. XIX)
10. „ღოღმატიკა”	158 (ღოღმატიკონი. 1802)
11. „განმარტება იოანეს გამოცხადებისა”	113 (ანდრია კესარიელი, გამოცხადების თარგმანება. 1801)
12. „სამეფო ტომარი”	71 (ალაპიტ დიაკონი, სამეფო ტომარი. XVIII)
13. „სიბრძნე სიცრუე”	13 (კრებული. 1811)
14. „ვისრამიანი”	17 (?)
15. „ქილილა და მანა”	21 (ქილილა და დამანა. 1839)
16. „სხვადასხვა ამბების, არაკებისა და ლექსთა კრება”	62 (კრებული. 1823)

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ და ი.ი. შალიკოვმა 1880 წლის ივლისსა თუ აგვისტოს დასაწყისში ქმნკგს-ის ახლადდაარსებულ საბიბლიო-

თეკო ფონდს (გვ. ...) პირველებმა შესწირეს ხელნაწერები, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, დღეს დაცულია S ფონდში NN-ით: 13, 17 (?), 21, 42, 43, 44, 62, 71, 113, 115, 141, 157, 158, 159, 163. გაურკვეველია „დროების“ სიის N 6-ის ამჟამინდელი ადგილი. შედგენილობით მსგავსი კრებული ცნობილია ნ.დადიანის კოლექციიდან — S 292, მაგრამ ანალოგიური შინაარსის ძეგლი, რომელიც შეიძლება ი.ჭავჭავაძესა და ი.ი. შალიკოვს შეენირა, ჩვენ ვერ დავადასტურეთ ხელნაწერთა იმ მონაკვეთის აღწერილობებზე დაყრდნობით, სადაც მისი არსებობა მოსალოდნელია. ესაა S ფონდი N 246-მდე, საიდანაც ნ.დადიანის კოლექცია იწყება.

ბუნდოვანია სხვადასხვა კოლექციის ერთი სიით წარმოდგენის მოტივი და მიზეზი, მფლობელთა ვინაობის მოუხსენიებლობა საკანცელარიო წიგნსა და, შესაბამისად, „აღწერილობაში“.

„ი.ი. შალიკოვი“ არის იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი, პავლე ინგოროყვას ცნობით, — კახელი მემამულე, დიმიტრი და ეკატერინე სტაროსელსკების ოჯახის მეგობარი, შემდეგ მათი სიძე (მეუღლე ნინო დიმიტრის ასულისა) (158, ტ.10:554). მის შესახებ ცნობები მწირად შემონახულა. ვიცით, რომ იგი ილია ჭავჭავაძის არა მხოლოდ ნათესავი (ცოლის მზრიდან), არამედ მეგობარიც იყო. მას სეკუნდანტის მოვალეობა უნდა შეესრულებინა 1880 წლის 1 მარტისათვის დანიშნულ დუელში (123:71). იგი მოღვაწეობდა სოფლის მეურნეობის განხრით (159) და თანამშრომლობდა ი.ჭავჭავაძესთან; იყო ქმნ-კგს-ის თანადამფუძნებელი (22:32). შესაძლებელია ქმნკგს-ის გამგეობას მათ ერთად წარუდგინეს ზემოჩამოთვლილი ხელნაწერები, — გამოყვეს თავიანთი ბიბლიოთეკებიდან სამუზეუმო მასალა და საზოგადო საკუთრებად ერთდროულად აქციეს, რის გამოც მდივანმა, ი.მეუნერგიამ, პრესაში ერთი სიით წარმოადგინა ეს შემონიშნულობა.

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა იმის დადგენა, თუ შემონიშნული წიგნებიდან რომელი ეკუთვნოდა ერთს და რომელი — მეორეს.

ამისათვის შევამოწმეთ თითოეული იდენტიფიცირებული ხელნაწერი ადგილზე, გავითვალისწინეთ სხვა მონაცემიც და მივედით დასკვნამდე, რომ ილია ჭავჭავაძის ოჯახს ეკუთვნოდა და, მამასადამე, მას უნდა შეენირა S 13, 21, 44, 62 და 158, ხოლო შალიკოვს — 113.

S 62 ილიას დედის მარიამ ბებურიშვილის ნამზითვი კრებულია (137:40-41). მისივე ნამზითვი ჩანს, ჩვენი დაკვირვებით, ასევე ბებურიშვილისეული ხელნაწერი — S 21. ილიას ბებია — გრიგოლ ჭავჭავაძის დედა პელაგია — გვარად ანდრონიკაშვილი იყო და, დასაშვებია, იოსტოს ანდრონიკაშვილის გადანერილი „დოგმატიკონი“ (S 158) მისი კუთვნილება იყო. ეს წიგნები (S 21, 62, 158) ილია ჭავჭავაძეს ყვარლიდან, მამაპაპეული ბიბლიოთეკიდან, უნდა წამოეღო. შესაძლებლად მიგვაჩნია იმის დაშვებაც, რომ ილიამ დუშეთში სამსახურის დროს შეიძინა იქ დამზადებული ნუსხა — S 13 და თბილისში ჩამოიტანა. შემდეგ კი, საზოგადოებრივი მოვალეობის კარნახით, სხვა წიგნებთან ერთად ეროვნული კულტურის კერას გადასცა.

S 113-ის ქვედა ყდის შიდა მხარეზე გამოვავლინეთ მინაწერი: „ეს წიგნი იოანე ღვთისმეტყველისაგან თქმული ეკუთვნის კაპიტანს რაზდენ (!) შალიკოვს 1825, 3/30”, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს წიგნი „თ. ი. ი. შალიკოვს“ მემკვიდრეობით ერგო.

ქშნკვს-ის 1886 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში („ივერია”, 8. VII, N146) ჩამოთვლილია შვიდი ხელნაწერი, რომელიც ი.ჭავჭავაძეს „საზოგადოებისათვის” შეუწირავს. ჩვენი იდენტიფიკაციის თანახმად, ესენია: S 8, 20, 23, 24, 25, 32, 44. მათგან ოთხის ილიასეულობა „აღწერილობითაც” ცნობილია. „დროების” სიის გათვალისწინებითაც დგინდება, რომ მასვე ეკუთვნოდა N 44. S 8-ს (მხითარ სებასტიელი, რიტორიკა. XIX) ახლავს ადრინდელი მფლობელის რაჟდენ შალიკოვის მინაწერი, შესრულებული იმავე 1825 წლის 30 მარტს და სავარაუდებელია, იგი შემდგომ S 113-ის მსგავსად ილიას მეგობარს ი. ი. შალიკოვს ერგო წილად. უკანასკნელმა კი, ალბათ, ეს ხელნაწერი



გადასცა ილიას, რომელმაც მუზეუმში მიუჩინა ბინა. ილიას ხელით უნდა მოეპოვებინა „საზოგადოებას“ S 20 (ს-ს ორბელიანის ლექსიკონი), რომელიც დ.ერისთავს ეკუთვნოდა.

ამრიგად, „დროების“ სიის NN 2, 10, 13(?), 15 და 16 ანუ S 44, 158, 13, 21 და 62 ხელნაწერები ილია ჭავჭავაძისეულია. N 11 ანუ S 113 — ი.ი. შალიკოვისეული. დანარჩენთა ადრინდელი მფლობელის დაზუსტება (შალიკაშვილებისეულია თუ ჭავჭავაძეებისეული) ამ ეტაპზე არ ხერხდება. ესენია: „დროების“ სიის NN 1, 3 — 9, 12, 14 ანუ S 42, 43, 115, 141, 157, 163, 159, 71 და 17(?). შალიკოვებს ეკუთვნოდა S 8, რომელიც, „ივერიის“ მინიშნებით, ილიას ხელით გადაეცა მუზეუმს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძეს ქშნკგს-ის ბიბლიოთეკისათვის ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების შეგროვების პირველსავე ეტაპზე რამდენჯერმე გაუღია შესანიშნავი: ერთხელ ინდივიდუალურად, მეორედ ი.შალიკაშვილთან ერთად და, შესაძლებელია, მესამედაც (S 8, 10). ჩანს, ინვენტარიზაციის სისტემა მაშინ გამოკვეთილი არ იყო, რის გამოც კერძო კოლექციები საერთო ფონდში ადვილად იფანტებოდა. გაზეთ „დროების“ ზემოგამოფრული სიის ხელნაწერებსაც ასეთი ბედი ეწია.

### 2.3. სიუჰი

*ა) ავეტიქ ენფიანჯიანცის მალაზიის ქართული ხელნაწერები*

ესაა პირველი წიგნის მალაზია საქართველოში, დაარსებული 1846 წელს, რომლის საქმიანობა ცნობილია (24:150;81:129). მფლობელი ავეტიქ მკრტჩის ძე ენფიანჯიანცი განათლებული პიროვნება იყო და ხელნაწერების ფასი იცოდა. ამის დასტურია ქართული ხელნაწერი წიგნების კოლექცია, რომლის დიდი ნაწილი — 34 ერთეული — მას ხელთ ჰქონდა 1870 წელს. სია გამოაქვეყნა „დროებამ“ (1870, 16.X, N41) და საკითხით დაინტერესებული პირებისათვის იგი ცნობილი გახდა<sup>23</sup>.

<sup>23</sup> ხელახალი პუბლიკაცია: 207, ტ. 1, вып.3:247

სარედაქციო განცხადებაში აღნიშნულია: ახლახან, ე.ი. 1870 წლის 16 ოქტომბრის წინა დღეებში, ჩვენ მივიღეთ იმ ხელნაწერების სია, რომლებიც იყიდება ენფანჯიანცის წიგნის მაღაზიაში. „... ძალიან სასიამოვნო საქმე იქნება, რომ უფ. ენფიანჯიანცის წიგნები, თუკი იმათ რიცხვში არის რამ შესანიშნავი, იმისთანა პირმა შეიძინოს, რომელმაც ... არ დაკეტოს ზანდუკში... ყველაზე უკეთესი კი ის იქნება, რომ ისინი შეიძინოს ძველი წიგნების გამომცემმა საზოგადოებამ, რომელიც შარშან შესდგა თბილისში“.

„განცხადების“ ავტორი უნდა იყოს რედაქტორი სერგეი მესხი, რომელიც, ეტყობა, უშუალოდ არ იცნობს კოლექციას; ეყრდნობა სიას და მის საინფორმაციო დანართს და შეფასების საკითხში სიფრთხილეს ამჯობინებს. მას აფიქრებს სიძველეთა დაცვის პრობლემა და გამოთქვამს სურვილს, რაც არსობრივად შესრულდა. ირკვევა, რომ კოლექცია არ დაიშალა და კერძო პირების ხელში არ მოხვდა. ა.ენფიანჯიანცმა იგი შეინახა, 13 ერთეულით გაამდიდრა და, როგორც საარქივო საქმე მოწმობს, 1889 წლის 10 იანვარს ქშნკვს-ს მიჰყიდა 47 წიგნი. ნ.მთვარელიშვილსა და თ.ჟორდანიას ადგილზე გადაუსინჯავთ მასალა, გამოურჩევიათ 22 ხელნაწერი და მხოლოდ მათი შესყიდვა სდომიათ, მაგრამ მფლობელი კოლექციის დანაწილებაზე არ დათანხმებულა (ცენტრარქივი, ფ. 220, N 386, ფ. 1).

ქშნკვს-ის ხელნაწერთა ფონდის „აღწერილობაში“ ა.ენფიანჯიანცის, როგორც კოლექციის მფლობელის, სახელი გამოკვეთილი არაა. ამის მიუხედავად 47-ვე ხელნაწერის იდენტიფიკაცია ხერხდება. 1—34 საცავში იმავე თანმიმდევრობით განუთავსებიათ, როგორც წარმოდგენილია „დროების“ სიაში. მათი საინვენტარო ნომრებია 2560 — 2593. მომდევნო 13 ნომერი ლოგიკურად უნდა უდრიდეს 47 ხელნაწერის ბოლო 13 ერთეულს, რაც დოკუმენტურადაც დადასტურდა: ქშნკვს-ის სააღრიცხვო დავთარში (ხელნაწ. ინსტ.) ენფიანჯიანცის კოლექცია გატარებულია ნომრებით 2560 — 2605.

მასალის ადგილზე შემონმებამ ისიც ცხადყო, რომ სომხური მინაწერები, რომლებშიც ა.ენფიანჯიანცის მფლობელობაა აღნიშნული, ახლავს 2595, 2596, 2597 და მომდევნო ნომრებსაც 2605-მდე. ეს ფაქტიც ასევე S 2560 — 2605-ის ა.ენფიანჯიანცისეულობას ცხადყოფს, რაც, იმედია, „აღწერილობათა“ მორიგ გამოცემაში აღინიშნება.

შესაძლებელია ენფიანჯიანცის ქართული კოლექციის შექმნის ძირითადი ეტაპების წარმოჩენაც. ნომრებს: 2568, 2570, 2572, 2573, 2575, 2576, 2577, 2579, 2582 დასმული აქვთ ა.ენფიანჯიანცის ბიბლიოთეკის სააღრიცხვო ციფრები თარიღით — 1855 წელი. მათგან უმაღლესია N 23 (S 2582, 68 r.), რაც გვარწმუნებს, რომ ამ წელს ენფიანჯიანცის ქართული კოლექცია, სულ მცირე, 23 ერთეულს ითვლიდა. ეს რიცხვი თანდათან იზრდებოდა და „დროების“ სიის შედგენისას 34-მდე ავიდა. 1889 წელს კი — 47-მდე.

„დროების“ იმავე ინფორმაციით ა.ენფიანჯიანცს 100-მდე ძველი სომხური ხელნაწერი ჰქონია, ზოგიერთი — პერგამენტული. მათი ამჟამინდელი ადგილი ჩვენთვის ცნობილი არაა.

განსახილველი სიისა და ინფორმაციის ავტორის ატრიბუცია პრობლემატურია. ფაქტია: იგი განათლებული და საგნის მცოდნე პიროვნებაა. სია აღწერის ელემენტებს, ალაგ-ალაგ მეცნიერულ დაკვირვებებს და თითოსიტყვიან შეფასებებსაც შეიცავს (იხ. NN 3, 4, 6, 20, 30 და სხვ.). მცირე კომენტარს საჭიროებს ბოლოსიტყვა — „თითქმის ყველა ეს წიგნები დაწერილია ძველს, სქელსა და ლურჯ ქალაღზე, ან ცოტაოდ ნაწილი — პერგამენტზე და ზოგი იმათგან მშვენიერი ხელით არიან დაწერილი“. კოლექციაში ეტრადი არ დასტურდება, მაგრამ გვხვდება ძველი, XIII-XIV სს-ის, ნუსხები, — საყურადღებო შინაარსისა და პალეოგრაფიის მხრივ.

ჩვენს პერიოდიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ესაა ქართული ხელნაწერების პირველი სია და მას წარმოვადგენთ უცვლელად.

„დროება“	უდრის	S ფონდის
1. ლექსიკონი საბა სულხან ორბელიანისა. შედგენილია 1685 წ.		2560: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. 1819
2. წმ. დიონოსი არეოპაგელის წიგნი.		2561: დიონისე არეოპაგელი, თხზულებათა კრებული. XVIII
3. არისტოტელის კათილორია, პორფირის, დამასკელის, ამმონიოსი, პლატონისა და ხვრისაორეის [(!)] ფილოსოფოსთა წიგნი. თავში და ბოლოს რამდენიმე ფურცელი აკლია.		2562: კრებული. XIII-XIV
4. პერი არმენია — არისტოტელის მიერ (?) გადმოთარგმნილი დავითის მიერ არმანთა ფილოსოფოსისა. დაწერილია თფილისში 1764 წ.		2563: დავით უძლეველი, არისტოტელეს „პერი არმენიას“ განმარტება. 1764
5. წიგნი საზღვართა — დავით ფილოსოფოსისა. გადმოთარგმნილია ანტონ კათოლიკოზისაგან, მღვდ. ფილიპეს თანაშემწეობით. 1758 წ.		2564: დავით უძლეველი, წიგნი საზღვართა. XVIII-XIX
6. სრული სამართლის კანონი, დაბადება (?) ბერძული, სომხური, კათოლიკისა [(!)], მეფის გიორგისა, აღბულასი, მეფე ვახტანგისა		2656: ვახტანგ VI, სამართლის წიგნთა კრებული. XIX

7. ლავსაიკონი — წიგნი მამათა მეუდაბნოეთა, მოთხრობა და დამატება — ცხოვრება და ღვაწლი წმინდათა მამათა.

2566: კრებული. XVIII

8. ქართლის ცხოვრება სოლომონის [(!)] პირველადმდე.

2567: ვახტანგ ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია. XIX

9. აკროსტიხები ოცდაათ აღსავალთათვის — იოანესაგან სინელისა და საზღვრის დადებანი — გრიგოლ ღვთისმეტყველისა

2568: კრებული. XVIII

10. სახელმწიფო სვინაქსარი. ამაში არის სახელები: მეფეთა, პატრიარქთა, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა. დაწერ. ქართულად ქორონიკონს უ.მ.დ.

2569: სვინანქსარი. 1756

11. კალენდარი სასიზმრო: ძვრისა და ქუხილისა, ზედნადებისა, ცათმოხილვა. როგორც სჩანს, ფრიად ძველი წიგნი უნდა იყოს.

2570: კრებული. XVII-XVIII

12. წიგნი აღსარებისა

2571: კრებული. XVIII

13. სამოციქულო, ხელნაწერი. დაწერილია ქართ. ქორონ. უ.ნ.თ.

2572: სამოციქულო. 1771

14. პარაკლისი ყოველთა წმიდათა მოსაზავებელნი.

2573: პარაკლისები. 1800

15. კათიგორი [(!)] და იოანე დამასკელის ღვთისმეტყველება. დაწერ. 1810 წ. ქართ. ქორონ. ტ.ჟ.ჭ.

2574: იოანე დამასკელი, თხზულებანი. XIII-XIV

16. ჟამნი. გლახათ დაწერილია, შავ ქალაღდზე. 2575: ჟამნი. 1791.
17. სძლის პირნი ღვთისმშობლისანი, დან. 1784 წ. 1576: ძლისპირნი. 1784
18. კიდევ ჟამნი. პატარა წიგნია. 1577: ჟამნი. XVII
19. ტიბიკონი. 1578: საღღესასწაულო. XVIII
20. წიგნი ნე მესიოსი [(!)]. ძალიან ძველ წიგნსა ჩამოჰგავს. 1579: ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, XIV-XV
21. სიმეტნე (?) ღრამმატიკისა 1580: ანტონ I, სიმეტნე ღრამმატიკისა. 1822
22. ცნობა ისტორიული და ლეოღრაფიული (ზღაპარსიტყვაობა). რუსული-საგან ქართულათ გაღმოღებული საქართველოს მეფის და რუსეთის ღენერალ-მაიორის დავითისაგან. 1581: მეტალოღია (ზღაპარსიტყვაობა). XIX
23. მღვდელ მთავრის ლიტურღიის განმარტება და ათორმეტ წარწერიღებანი — მეფის ძის დავითისაგან ქმნიღნი და სჯუღლის კანონი იოანე მმარხვეღისა. 2582: კრებული. XVIII-XIX
24. სოგრატ ღიღოსოფოსის წიგნი რუსულიღამ ქართულათ გაღმოთარგმნიღი ერასტი თურქისტანოვისაგან. 2583: აპოვთეგმატა. XIX
25. ლოცვა და ღიღოსოფია 2584: ქ. ბაუმეისტერი, შემოკღებული ლოღიკა. XIX

- |  |   |
|--|---|
| 26. ქართული ღრამატიკა  | 2585: ი.ქართველიშვილი, ქართული გრამმატიკა. 1878   |
| 27. წიგნი კეისრის ფუნციანუსისა და ცოლისა და შვილისა და შვიდ ფილოსოფოსთა.     | 2586: კეისრის ფუნციანოსის ამბავი. XIX             |
| 28. ანდერძის წიგნი. ანტონი კათოლიკოზისა. 1793 წ.                             | 2587: ანტონ მთავარეპისკოპოსის ანდერძი. 1793       |
| 29. ქებითი წიგნი ირაკლი საქართველოს მეფისადმი, — ქმნილი იოანე დიაკონის მიერ. | 2588: იოანე ლარაძე, ქრისტეშობის მილოცვა. 1790     |
| 30. ბეჟან მანიჟავის (?) წიგნი — ლექსი, თქმული 1829 წ.                        | 2589: ბეჟანიანი. 1829                             |
| 31. სრული სამთვარიო  | 2590: სამთვარიო. XIX                              |
| 32. ეპისტოლე ნაპოლეონ ბონაპარტის პიოს VII პაპისა მიმართ.                     | 2591: ნაპოლეონ ბონაპარტე, სინანულის ეპისტოლე. XIX |
| 33. ერთი თაბახი ლექსი — დედისაგან შვილებზედ.                                 | 2592: ღვთისმშობლის ნაწა. XIX                      |
| 34. ერთი თაბახი მუხამბაზი. თ.გიორგის თუმანოვისა.                             | 2593 თუმანოვი გიორგი. მუსტაზადი და მუხამბაზი. XIX |

ბ) „სია ძველი ქართული წიგნებისა“

გამოაქვეყნა „დროება“ 1877 წლის 25 მაისს (N57) წანამძღვრით: „ეს სია ჩვენ ერთმა ძველი წიგნების მოყვარე პირმა გადმოგვცა დასაბეჭდათ და ჩვენც დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ, რადგან ამის

ცოდნა გამოსადეგია ჩვენი მწიგნობრობის მოყვარეთათვის. თითქმის ყველა ეს წიგნები ხელთნაწერები არიან. რედ.”

სია	უდრის
1. გეომეტრია, ნათარგმნი მიხეილ ელვიძესაგან და მეფე ვახტანგის გასწორებული. ქ.მოსკოვს, 1726 წელსა.	კრებული. 1725: S 167.
2. რიტორება მხითარისა, თარგმნილი სომხურით ანტონ არხიუპისკოპოზისა ყოვლისა საქართველოსა დავითიან-ბაგრატოვანთა. ქ. ტფილისი.	მხითარ სებასტიელი, რიტორიკა, 1774: S 48.
3. მეფე ირაკლის ბრძანებით ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურთა აღწერა დავით რექტორის მიერ. ქ.ტფილისი, 1783 წ.	შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. XIX: S 550.
4. არისტოტელის კატელოგია, გადაწერილი 1767 წელს.	ანტონ I, კატიგორია სიმეტნე, 1767: S 57.
5. მეტაფიზიკა გაიოსისაგან, გადაწერილი იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში მრავალმთას, 1781 წელსა.	ანტონ I, შეყვანილება კატელოგიათა, 1781: H 259.
6. ფილოსოფის ანტონ კათალიკოზისა, გადაწერილი არს თელავის სემინარიაში, 1783 წელსა.	ბაუმეისტერი ქრისტეან, ფილოსოფია ყოფაქცევათა მოძღვრებისა, თარგმანი ანტონ კათალიკოსისა; S 7.



7. არისტოტელის სწავლანათარგმნი რუსულიდამ, ერასტი თურქისტანოვისაგან, 1799 წ.

8. რელამენტი, თარგმნილი რუსულით, ქ.ტფილისს, 1801 წელსა.

9. საზოგადოებრივი ლოლიკა.

10. მოქმედება დღესასწაულობით, დაწერილი გაიოსისაგან ქ. თელავს, 1785 წელსა.

11. საზიარო ათ-თორმეტთა მოციქულთაგან, დაწერილი 1710 წელსა.

12. ნაბოძები ღრამატა ქართველთ თავად-აზნაურთადმი 1800 წელსა ქ.ტფილისს.

13. თქმული მარკ ავრილისაგან რომის კეისრისა, წიგნი პირველი, თარგმნილი ლათინურიდამ.

14. აღწერილობით გეოგრაფიული ლექსიკონი წმინდათა ადგილთ. 1800 წელსა.

15. წმ. მამა თესალონიკელის ცხოვრება.

სიტყვისგება სოკრატისა და არისტოტელისა, 1813: S 47.

სასულიერო რეგლამენტი, XIX: S 535 ა.

თელავის სემინარიის გახსნის ცერემონიის ამსახველი დოკუმენტი. (?)

საგალობლები. XIX: S 59.

კრებული, 1825: S 168.

16. ყარაბაღელი სომხები-  
საგან მირთმეული თხოვ-  
ნა მეფე ერეკლესთან  
სოფელს ბოლნისში გად-  
მოსახლების გამო (ერთი  
თაბახი არის).

17. სახარება ხელ-ნაწერი.

S 79.

18. შემოკლებული მართ-  
ლმადიდებლის რიგი.

19. მამა იოსების და  
სხვათა ბერძენთა მამათა  
ცხოვრება.

20. საეკლესიო წიგნი  
საკითხავი ერთა კათოლი-  
კეთა, თარგმნილი ლათი-  
ნურიდამ.

წიგნი გოდებისა, სათქ-  
მელნი და წარსაკითხნი  
ერთა კათოლიკეთათვის,  
XIX: S 533.

21. გარდაცვალებულთა  
მოსხენების რიგი.

S 201 ან 231.

22. წმიდა მამა იპოლიტე  
რომის პაპის ცხოვრება.

23. წესი ზიარების მიღე-  
ბისა.

ლოცვები, XIX: S 66.

24. საქრისტიანო მოძღვ-  
რება ყრმათათვის სასწავ-  
ლებელი.

S 147.

25. წმინდა მამათა ცხოვ-  
რება, გადაწერილია შუ-  
ამთის მონასტერში, 1767  
წელსა.

26. ანბანთქება, მეფე თეი-  
მურაზ პირველისა.

S 6, 1r-8v.

27. ვახტანგ ყაფლანის შვილის ლექსები. S 6, 9v-10v.
28. სარიდონიანი, პოემა გადანერილია ვლადიკავკაზს. S 549.
29. ქიჩიკნოვასი, ბუდალოლანისა და მესაზანდრე შირინის ლექსები, ერთი წიგნი არის. A 523 (?)
30. ლექსები ფრიად კარგი და სასიამოვნო მეფის ძის ბაქარის წიგნიდამ გადმონერილი ქ.პეტერბურლსა. ვახტანგ VI, ლექსები, XIX: S 526.
31. ხილთა ქება თქმული გიორგი ბატონისშვილისაგან ჟამსა მჭმუნვარე-ბისასა. ქ. მოსკოვს.
32. [გამოტოვებულია (?)].
33. ნარგიზოვანი პოემა (ოთხი კარი). S 1087.
34. მიჯნურთა ბადე-პოემა S 118 ან 1087.
35. შვიდი მეცნიერი, თარგმნილი სომხურით.
36. ვარშაყიანი, ზღაპრული მოთხრობა, მეფე ვახტანგის ბრძანებით ნათქვამი. S 2398.
37. ძველებური არაკები ანდაზებისამებრ მინაგვარი, გადანერილი 1790 წ. გულულანთ სოლომონასაგან.

38. ლოცვანი მეფე თეიმურაზის ანდერძით, დაწერილია 1744 წ.

კრებული, 1754: S 149.

39. იკორთა[ს] ხელთუქმნელი ხატის მოქმედება.

40. ქართული ღრამატიკა.

S 148.

41. საფიქრებელი სამართლის დღეს.

42. საქართველოს მეფის თეიმურაზის პირველის ცხოვრება.

43. თელავის სემინარიის დაარსების და კურთხევის გამო ანტონ კათალიკოზთან გაიოსისაგან მინაწერი ბარათები.

44. ქილილა დამან — ნათარგმნი სპარსულითგან მეფე ვახტანგისა და გალექსილია საბა სულხან ორბელიანისაგან.

ქილილა და დამანა, 1829: S 34.

45. კანონები ვახტანგ მეფისა, ალბულასი, გიორგი მეფისა, კათალიკოზისა, ბერძნული, სომხური და ურიული.

S 107 ა, ბ, გ.

46. ყარამანიანი სრული.

S 38.

47. არგონავატიკების მოგზაურობა კოლხიდაში, გადანერილია 1733 წელს.

48. მიმოსვლა პოლნიცისა, ისტორიული და გეოგრაფიული, თარგმნილი რუსულიდამ გაიოსისაგან ქ.მოსკოვს 1776 წელსა. S 88.
49. ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდისა და ღმერთ-შემოსილისა დავით გარეჯლისა და სხვათა მამათა. S 140.
50. ამომავებელი აღნაზო, ნაქცევთა ზედა მამულის თვისის, თარგმნილი თ. გიორგი ავალოვის მიერ ს.პეტერბურლს 1700 წელსა.
51. კლიტე სასუფეველისა, გადანერილი დავით ჩოლოყაშვილისა. S 127 (?).
52. საღმთო სწავლა და დარიგება გრიგოლ ღვთისმეტყველისა. S 77.
53. მღვთისმეტყველება, დოღმატიური სწავლა.
54. სჯა ქორწინებაზე მათესი. S 535.
55. ირმოლოგი, ძველია. S 68.
56. მღვთისმეტყველება, ძლიერ ძველი წიგნია.
57. ფირმილიანი, ლექსად.
58. გიორგი თუმანოვის ლექსები, სულ ოცდათოთხმეტი ლექსია. პეტრე ლარაძე, მრავალფერყუავილოვანი: S 155.

59. მიმოსვლა ქეროსი-  
სა და კალიორისა, წიგნი  
პირველი, სულ რვა წიგნი,  
ერთ წიგნათ არის შეკრუ-  
ლი. S 544.
60. ნამება წმიდათა დედა-  
თა სოფიოსი და ასულთა  
ელპიდის და ალაპისა, სექ-  
ტემბერს 1767 წელსა. S 233, ბ. გვ. 25-48.
61. კარაბადინი ცხენის  
ყოველგვარი სნეულე-  
ბისა, ნათარგმნი სპარ-  
სულით ბალინოვისაგან,  
1723 წელსა. S 14, 1v-4r.
62. საეტლო, ხელნაწერი  
1764 წელსა. იქვე, 47r-56r.
63. ასოთსამღერალი, გა-  
დანერილია 1750 წელსა. იქვე, 57r-59r.
64. სიტყვა ანტონ კათა-  
ლიკოზისა ქართველთა,  
იმერთა, ჯავახთა, რო-  
მელთა მათ ეწოდების  
ქართველი. ანტონ I, ექსცერპტები სა-  
ქართველოს ისტორიიდან:  
იქვე, 60r-62v.
65. სალმოზა, მოწვენა და  
ვით დაქცევა ზღვასა შინა  
მთვარისა და ქუხილისა. იქვე, 67v-68r.
66. მოთხრობა მცირე,  
ვასილი ღრაფისაგან,  
რიცხვთათვის დასაბამით  
დასასრულთა წელთა. იქვე, 78r-79r.
67. ჩაპარ დავრიშიანი  
(ჩარდავრიშიანი). S 451, გვ. 1-94.

68. დაუჯდომელი, ხელ-  
თნაწერი, მეტეხის  
მღვდლის ქრისტესიას  
გადაწერილი. H 897.
69. ანდერძის წიგნი ან-  
ტონ კათალიკოზისა, 1793  
წ. S 2587.
70. ქებით წიგნი ირაკლი  
საქართველოს მეფისად-  
მი, თქმული იოანე დიაკო-  
ნის მიერ. იოანე ლარაძე, ქრისტე-  
შობის მილოცვა: 1790; S  
2588.
71. ქება ანბანზე და სხვა  
ლექსები, ერთ წიგნად. S 1091.
72. უამნი. S 1096.
73. ბარამიანი, მეფე ვახ-  
ტანგის ბრძანებით არის  
ნათარგმნი, როგორც ბო-  
ლო ფურცლებშია მოხსე-  
ნებული. ბარამგულანდამიანი: S  
451, გვ. 90-155.
74. შვილდო ზირიანი, პო-  
ემა, პატარა წიგნია შვიდვეზირიანი: S 1668.

როგორც ვხედავთ, „ძველი წიგნების მოყვარის” სია მოკლებულია სისტემას: მასალა არაა დარგობრივად დაჯგუფებული და ანოტირებული; ბუნდოვანია და ზოგჯერ მცდარი ამა თუ იმ ერთეულის რაობა, რაც ანონიმი ავტორის არაკვალიფიციურობაზე მიგვანიშნებს. მიზანი ნათელია — არა საკუთრივ ხელნაწერების, არამედ ძველი ქართული მწერლობის თხზულებათა აღნუსხვა. მითითებულ საიდენტიფიკაციო ნომრებს თუ დავითვლით, ეს სია შედგენილია სულ მცირე 43 ხელნაწერში დაცული თხზულებების საფუძველზე. გასარკვევია, ერთი კოლექციის სია იგი, თუ სხვადასხვა „სანიგნობელში” დაცული ძეგლებისა?

მასალის იდენტიფიკაციის მცდელობამ მიგვიყვანა ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოთეკამდე, რომლის ძველი ნიგნები და ხელნაწერები ქშნკგ-მ 1880-1881 წლებში შეიძინა (გვ. 124). შემდეგ კი, როგორც ვრწმუნდებით, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ. ისინი დღეს დაცულია კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტსა (S და H ფონდებში) და ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტი: S 7 (159 r), 48 (1 V) და 66 (144r-145v) შეიცავენ მინაწერების სახით ზ.ჭიჭინაძის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა სიებს. მათგან I — 19 ერთეულს, II — 13-ს, III — 29-ს. ეს სიები, ჩვენი დაკვირვებით, შესრულებული უნდა იყოს ზ.ჭიჭინაძის ხელით სხვადასხვა დროს — 1881 წლამდე. ისინი შევადარეთ „დროების“ სიას და დადასტურდა მათი საერთო წარმომავლობა. მეტწილად ერთგვაროვანია ერთეულთა რაობა, რიგი და მოკლე ანოტაციებიც კი. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ დამონმებული „მინაწერებისა“ და „დროებაში“ წარმოდგენილი სიის ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა — „ძველი ქართული ნიგნების მოყვარე“ და ამაგდარი ზაქარია ჭიჭინაძე. როგორც ცნობილია, იგი ადრიდანვე შეუდგა ხელნაწერ ნიგნთა და საბუთ-დოკუმენტთა შეგროვებას და უნდა ვიფიქროთ, რომ 1877 წლისათვის მდიდარი ფონდი შექმნა. თუ რატომ არ მოიხსენია „დროების“ რედაქტორმა „ძველი ნიგნების მოყვარე“ საკუთარი სახელით, არ ვიცით.

ხელნაწერები, რომელთაც ახლავს მინაწერი „ზ.ჭიჭინაძისი“, არის: S NN 7, 14, 34, 38, 47, 48, 54, 56, 57, 60, 66, 68, 77, 78, 79, 90, 130, 168, 197, 233, 451, 525, 526, 533, 1084-1088, 1091, 1390, 1579, 1715, 2384, 2493, 2734, 3228, 5308; H NN 1053, 1992; საჯ. 3. სულ — 42. მათი რეგისტრაციამდელი მფლობელი უდავოდ ზ.ჭიჭინაძე იყო.

S ფონდის N7 უდრის „დროების“ N6-ს; 14 — 61- 66; 34 — 44; 38 — 46; 47 — 7; 48 — 2; 57 — 4; 59 — 11; 66 — 23; 68 — 55; 77 — 52; 79 — 17; 168 — 13; 233 — 60; 451 — 67; 526 — 30; 533 — 20; 1087 —



33-34; 1091 — 71. დანარჩენი ნომრების (54, 56, 60, 78, 90, 130, 197, 525, 1084, 1085, 1086, 1088 და ა.შ.) „დროების“ სიასთან მისადაგება არ ხერხდება.

ჩვენეული იდენტიფიკაცია ზ.ჭიჭინაძისაგან შეძენილი ხელნაწერების ნუსხის გაზრდის საშუალებას გვაძლევს. კერძოდ: ზ.ჭიჭინაძისეულად უნდა ჩაითვალოს, „აღწერილობებით“ ცნობილი ერთეულების გარდა, S ფონდის NN6 („დროების“ სია N 26-27), 88 (N 48), 100 (N48), 107 (N 45), 127 (N 51), 140 (N 49), 147 (N 24), 148 (N 40), 149 (N 38), 155 (N 58), 167 (N 1), 201 ან 231 (N 21), 526 (N 30), 535 ა (N 8), 535 ბ (N 54), 544 (N 59), 549 (N 28), 550 (N 3), 1096 (N 72), 1668 (N 74), 2398 (N 36), 2587 (N 69), 2588 (N 70), H NN 259 (N 5), 897 (N 68); A 523 (N 29) (?). ე.ი. ამ ხელნაწერების ადრინდელი მფლობელიც ზ. ჭიჭინაძე იყო. ეს ნიშნავს, რომ „აღწერილობების“ საფუძველზე ზ.ჭიჭინაძისეულად ცნობილ 42 ხელნაწერს უნდა დაემატოს 24 ხელნაწერი, გამოვლენილი „დროების“ „სიის“ ანალიზის შედეგად.

ამდენად, ხერხდება ზ.ჭიჭინაძის კოლექციის 24 ერთეულით შევსება. უკვე შეიძლება ითქვას, რომ დღემდე გამოვლენილია ზ.ჭიჭინაძის ბიბლიოთეკის 66 ხელნაწერი წიგნი (42+24). ესენია: S 6-7, 14, 34, 38, 47-48, 54, 56-57, 59-60, 66, 68, 77, 78-79, 88, 90, 100, 107, 127, 130, 140, 147-149, 155, 167-168, 197, 201, 231, 233, 402 (?), 451, 525-526, 533, 535, 544, 549, 550, 1084-1088, 1091, 1096, 1390, 1579, 1668, 1715, 2384, 2398, 2493, 2587-2588, 2734, 3228, 5308, H 259, 897, 1053, 1992; საჯ. 3; A 523 (?)

პრობლემატურია „დროების“ სიის არაიდენტიფიცირებულ ერთეულთა საკითხი. ესენია: NN 9, 10, 12, 14, 15, 16, 18, 19, 22, 25, 29, 31, 35, 37, 39, 41, 42, 43, 47, 50, 53, 56, 57.

ძიებას უმთავრესად აბრკოლებს ბუნდოვანი და მცდარი ფორმულირება, კოდოკოლოგიური მონაცემების უქონლობა, კრებულების სახელწოდებათა მექანიკურად და პირობითად შერჩევა. ჩვენთვის

გაუგებარია, რა ძეგლები იგულისხმება შემდეგი ნომრების ქვეშ: 14, 15, 18, 19, 22, 29, 35 (შვიდი მთიები?) და 39. ე.ი. რას უნდა ნიშნავდეს „აღწერილობით გეოგრაფიული ლექსიკონი“ (# 14) (გ.ავალიშვილის „მგზავრობა თბილისით იერუსალიმისადმი“? S-450); „შემოკლებული მართლმადიდებლობის რიგი“ (N 18); „იკორთა ხელთუქმნელი ხატის მოქმედება“ (N 39) და სხვა? ცხადია, აქ რეალურად არსებული ხელნაწერები იგულისხმება, რომელთაგან ზოგი, შესაძლებელია, შემდეგ დაიკარგა, ჩავარდა კერძო პირთა ხელში, გაიტანეს საქართველოდან და ჯერჯერობით მიკვლეული არაა.

განხილული სიის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ გვარწმუნებს ზოგი ისეთი დოკუმენტის ავთენტურობას, რომლის შესახებ დღეისათვის მხოლოდ ცნობა შემორჩენილა. ასეთია, მაგალითად:

1) „ყარაბაღელი სომხებისაგან მირთმეული თხოვნა მეფე ერეკლესთან“ (# 16). ეს საბუთი სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ირიბი წყაროებითაა ცნობილი: კოვალევსკის ჩანაწერების თანახმად, რასაც ეყრდნობა ი.ჯავახიშვილი, კრწანისის ომის შემდეგ მეფე ერეკლეს შეუწყნარებია ყარაბაღელი მელიქ-აბოვისა და მისი ყმების თხოვნა, დაუსახლებია ისინი ბოლნისში და დაუვალებია კოლპის გზის დაცვა (188:31;131:25). სავარაუდებელია, რომ მე-16 ნომრით მოხსენიებული დოკუმენტი („ერთი თაბახი“) წარმოადგენდა მელიქ-აბოვის თხოვნის ტექსტს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ზ.ჭიჭინაძემ თავად მოიძია 1877 წლამდე. დღეისათვის მისი კვალი აღარ ჩანს<sup>24</sup>.

2) „ფირმალიანი ლექსად“ (N 57). ჩვენამდე მოაღწია ამ სადევგმირო ეპოსის მხოლოდ პროზაულმა ვერსიამ. მოგვეპოვება ცნობა, რომ იგი გალექსა XVII ს-ის პოეტმა ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ (50:437).

<sup>24</sup> აღსანიშნავია, რომ „სიის“ გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ ზ. ჭიჭინაძე საზოგადოებას აუწყებდა („დროება“, 1878, 1. X, N 198): ჩემს ხელშია, აგრეთვე, 1. ბოლნისელი სომხების თხოვნა ერეკლე მეორისადმი თელეთში ჩასახლების შესახებ და 2. „თელეთზე ძველი გუჯრები“... მითითებული მასალების მოძიება და დამუშავება, იმედია, ნათელყოფს საქართველოსა და სომხეთის ისტორიის ზოგიერთ სადღეისო პრობლემას.

„სია ძველი ქართული წიგნებისა“ გვაფიქრებინებს, რომ ზ.ჭიჭინაძეს ხელთ ჰქონდა სწორედ ფეშანგის შრომის ხელნაწერი. თუ რა ბედი ენია მას შემდეგ, ჩვენთვის უცნობია.

3) „ამომავებელი აღნაზო“ თარგმნილი გიორგი ავალიშვილის მიერ (N 50). ჩვენამდე მოაღწია XVIII-XIX სს-ის გ.ავალიშვილის თარგმანების ერთ-ერთმა სიამ, რომელიც შედგენილია რუსულ ენაზე (1:018). ჩვენი ფიქრით, „ამომავებელი აღნაზო“ უნდა იყოს ქართული თარგმანი „*Сетующий Алонзо*“, რომელიც ჯერჯერობით მიკვლეული არ არის (53:25).

4) აქ მოხსენიებულია ის მწერლები და პოეტებიც კი, რომელთა შემოქმედებაზე დღეს ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს. ესენია XVIII-XIX სს-ის აშუღები: ბუდალ ოლლანი, ქეჩიკოვა (ქეშიშ დარდიმანდი) და მესაზანდრე შორინი (N29). აგრეთვე, ჩვენთვის უცნობი გადამწერის გულულაანთ სოლომონის ნაღვანი (N37) და სხვა.

თითოეული ერთეულის დაწვრილებითი ანალიზი ჩვენი შრომის მიზანს შორდება.

## 2.4. საერთო ზონდება

### 1) გრიგოლ ჩარკვიანის „ქართული წიგნის მაღაზია“

თანამედროვეთა შეფასებით ეს იყო ინტელიგენციის კლუბი, სადაც იხილებოდა ქართული წიგნისა თუ მწიგნობრობის პრობლემები (101:14). შესწავლილია მისი დაარსებისა და მუშაობის ისტორია (166:2-5; 85:57-70), კერძოდ — კატალოგები (103:81-83); ვიცით, რომ ზ.ჭიჭინაძე, როგორც მფლობელთან შეამხანაგებული პირი, ხელნაწერებს აგროვებდა, ხოლო დ.ბაქრაძე იქ მათთვის სპეციალური ბიბლიოთეკის გამართვაზე ზრუნავდა და წესდებაც შეედგინა (23:112).

შეგვიძლია, ეს ინფორმაცია ორი დეტალით დავაზუსტოთ და შევავსოთ:

1. „დროების“ „დღიურის“ თანახმად, 1879 წლის 23 აგვისტოს წი-

ნა დღეებში „... თუშეთიდამ მიიღო ერთმა, ძველი ქართული წიგნების შემგროვებელმა, რამდენიმე ძველი ხელნაწერი წიგნები, რომლებიც პერგამენტზეა ნაწერი და, როგორც გამოჩნდა, ორთოგრაფია მეცხრე საუკუნეს ეკუთვნის. სქელს ტყავზეა ნაწერი. ეს გარდაიცა დასაცავად იმ ბიბლიოთეკაში, რომლის წესდება უფ. ბაქრაძემ შეადგინა და ამ მოკლე ხანში უკვე დაარსდება კიდეცა“ (#175).

აქ რამდენიმე საკითხი იყრის თავს: ა) ვინ არის „ძველი ქართული წიგნების შემგროვებელი“? ვფიქრობთ, — ზ.ჭიჭინაძე, რადგან მის ძირითად საქმიანობას იმხანად ამ სიტყვებით ახასიათებდნენ; ბ) დასტურდება, რომ დ.ბაქრაძეს ასეთი ბიბლიოთეკის იდეა და წესდება 1879 წლის აგვისტოში ჩამოყალიბებული ჰქონია და, როგორც ვხედავთ, მიმდინარეობდა ფონდის შედგენა; გ) ძველი ქართული წიგნები, პერგამენტზე ნაწერიც კი, აღმოჩნდა თუშეთში. ამ მხრიდან ჩამოტანილი ხელნაწერები ცნობილი არაა და ეს ინფორმაცია თითქმის უნიკალურად უნდა ჩაითვალოს. უნებლიეთ გვახსენდება პ.იოსელიანის ცნობა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დუშეთში, ადგილობრივ დეკანოზებს აქვთ ძველი ხელნაწერები, მათ შორის — ეტრატები და გრაგნილები (129:#5).

დ.ბაქრაძეს ეს გეგმა 1879 წელსვე გაუფართოვებია და წიგნების გარდა „სხვა არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ნივთების“ დაცვა-აღნუსხვა და შესწავლაც განუზრახავს, საამისოდ კი — კომპეტენტური საზოგადოების შეკრება და „ბიბლიოთეკა-მუზეუმის“ დაარსება („დროება“, 1879, 17.X, N214). მასალებიდან არ ჩანს, შესრულდა თუ არა ეს განზრახვა. ფაქტია, რომ საამისოდ მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა, რაც ნიადაგს უმზადებდა საფუძვლიან არქეოგრაფიულ მოღვაწეობას. როგორც სერგეი მესხი აღნიშნავს (გვ. 123), ქმნკგს-ის ბაზაზე ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაარსების გამოთბილისში ანალოგიური დაწესებულების ფუნქციონირების საჭიროება აღარ არსებობდა და დ.ბაქრაძის ინიციატივამ ქმნკგს-ში ჰპოვა

ასპარეზი, რომლის წარმატებისათვის მოკრძალებული სიტყვა გრიგოლ ჩარკვიანის წიგნის მალაზიამაც თქვა.

2. „დროების“ საინფორმაციო-სარეკლამო ბლოკში ამ მალაზიიდან ორი ხელნაწერი ჩანს: „საქართველოს ისტორია ანტონ პირველი კათალიკოსის“ (1879, 9.III, #52) და „კანონი მალაქია კათალიკოსისა“ (1879, 14.III, #56).

ორივე თხზულება ცნობილია რამდენიმე ხელნაწერით. პირველი, უმეტესად, — დამოუკიდებლად<sup>25</sup>. მეორე კი ჩართულია ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულში (117:391-397,603-613). ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში ეს ძეგლები, როგორც საგაზეთო ინფორმაციები გვანიშნებს, ცალკეულ ხელნაწერებად შესულა, რაც თითოეულის პოპულარობაზე მეტყველებს და ცხადყოფს, რომ „კათალიკოსის სამართალიც“ ინუსხებოდა დამოუკიდებლად და ასევე ვრცელდებოდა. მისი აღნიშნული ეგზემპლარი იმ ნუსხას უნდა უდრიდეს, რომლის შესახებაც ზ.ჭიჭინაძე გვამცნობს: „გურიიდან ჩამოიტანა მღვდელმა სოლომონ შოშიევმაო“ (169:24-25). ხელნაწერი S 2411 (ბეჟანიანი. XIX) გვარწმუნებს, რომ მღვდელი სოლომონ გრიგოლის ძე შოშიევი ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ხელნაწერებში მკითხველი და შემფასებელი ყოფილა. თუმცა ქართული ხელნაწერების მოამაგეთა შორის მისი სახელი ცნობილი არაა, რაც ამ ინფორმაციისადმი ინტერესს აცხობევლებს.

მითითებული ხელნაწერების იდენტიფიკაცია არ ხერხდება. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ისინი გაიყიდა და კერძო პირების განკარგულებაში მოექცა.

გრიგოლ ჩარკვიანის ამ საგანმანათლებლო კერის მნიშვნელობა კი, განხილული მასალების გათვალისწინებით, შეიძლება ასე შევაჯამოთ: იქ საქართველოს სიძველეთა გამოვლენისა და შესწავლის საფუძვლიანი გეგმა მუშავდებოდა.

<sup>25</sup> გამოსაცემად მზად აქვს მ.ქავთარიას (110:23)

## 2) საეკლესიო ფონდი

საეკლესიო-სამონასტრო კოლექციების გაერთიანების ცდა ფართო კულტუროლოგიური მასშტაბითაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მისი ძირითადი ეტაპების წარმოსაჩენად გვეხმარება არქიმანდრიტ კესარიოსის წერილი, რომელიც მოიცავს ახსნა-განმარტებას შიომღვიმიდან ხელნაწერების გამოტანის გამო ატეხილ ხმაურზე (გვ. 69-70).

... საქართველო-იმერეთის უწმიდესი სინოდის კანტორას დადგენილება ეკლესიებიდან და მონასტრებიდან ძველი ხელნაწერი წიგნების, დოკუმენტებისა თუ ნივთების გამოტანის შესახებ მიუღია 1876 წლის 30 ივნისს. გაუთვალისწინებია თბილისის სასულიერო სემინარიის წინადადება, — „წიგნები და ყოველივე ისტორიული სახსოვარი“ დაებინავებინათ მის ბიბლიოთეკაში „ანუ დროებითად სარგებლობისათვის, ანუ საკუთრებად სემინარიისა“.

კამპანიას ახლდა ეჭვები და უნდობლობა, რასაც კვებავდა ინიციატორთა — ეგზარქატისა და სემინარიის — შელახული ავტორიტეტი ადგილობრივი მოსახლეობის თვალში. პოზიცია პირველად „დროებამ“ გამოხატა. 1877 წლის 1 ნოემბრის (N 182) საინფორმაციო სვეტში ვკითხულობთ: ეს განზრახვა „მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება კარგი, თუ... კეთილსინდისიანი ყურისმგდებელი ეყოლება“. ორი წლის შემდეგ იმავე გაზეთის მოწინავე — „ძველი წიგნებისა და ნივთების დაცვა“ (20.IX, N 194) — უკვე წყრომითაა სავსე: „ვერ გაგვიგია — რისთვის და რა უფლებით მოითხოვა სინოდის კანტორამ, სემინარიის გამგეობის წინადადებით, ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები? ... რა უფლებით აგროვებს ეს გამგეობა ისეთ წიგნებსა და ნივთებსა, რომელნიც ჩვენ წინაპართ, ვინ იცის რამდენის საუკუნეების შრომით შეუფაროვებია... ვინ იქნება პასუხისმგებელი, რომ... დაიკარგოს? ვის უნდა მოეთხოვოს, მაგალითად, სემინარიის გამგეობამ რომ ან დაისაკუთროს, ან გაჰყიდოს, ან შემთხვევით დასწვას ეს ძვირფასი წიგნები და ნივთები?“

აშკარაა ს.მესხის შეუნიღბავი უნდობლობა სემინარიის ხელმძღ-

ვანელებისადმი, რაც სწორედ 1879 წლიდან გამძაფრდა და გაზეთიც შეინირა (183:66,77-80). უნდა მკაფიოდ ითქვას, რომ რედაქტორის გულისწყრომის კონკრეტული ადრესატია სემინარიის ხელმძღვანელობა და არა თავად დადგენილება, ან რომელიმე სასულიერო პირი. ამ თემაზე პოზიტიური თვალსაზრისები იმავე გაზეთმა შემდეგში არაერთგზის გამოაქვეყნა.

ინფორმაციის თვალსაზრისით აღსანიშნავია არქიმანდრიტ მაკარის წერილი:

...1877 წლის 27 აპრილს სინოდის ბრძანებით შეიქმნა ოთხი კომისია, რომელთა თავმჯდომარედ არქ. მაკარი დაინიშნა. უნდა აენერათ „ეკლესიათა, სობოროთა და მონასტერთა ქონება“. მაკარი ამბობს: „მე თითქმის კიდეც შევასრულე ესრეთი მინდობილება. ყოველგან აღმოჩნდნენ როგორც ნივთეულობა და შესამოსელნი, ისე ხელნაწერნი წიგნნი მთლად და კარგად შენახულნი; ყველგან წიგნის საცავნი არიან შენახულნი წიგნებითურთ სინმიდით“. ავტორი ახსენებს არქ. ტარასის წიგნების კატალოგს, რომელიც მისსავე მონასტერში უნახავს, და ასკვნის, ს.მესხის ეჭვების საპირისპიროდ: „და ესრეთ საქართველოს ეპარხიის მონასტერთა, სობოროთა და ეკლესიებთა შინა არავითარმე დაუდევნელობა და მტარვალობა არა სუფევს“. რაც შეეხება სემინარიისათვის ხელნაწერების გადაცემას, მაკარის მიერ წარმოჩენილი სურათი ოდნავ განსხვავდება კესარიოსის ინფორმაციისაგან: სემინარიის „პრავლენიემ“ ამის თაობაზე სინოდს 1876 წლის 18 მაისს მიმართა განცხადებით, რასაც უკანასკნელმა 31 მაისს ასეთი რეზოლუცია დაადო: „მოეთხოვოს ყოველთა მონასტრების წინამძღვართა და ბლალოჩინთა და მათ შორის იმერეთის ეპისკოპოსს აზრი: თანახმანი არიან იგინი დაუთმონ ხელნაწერნი წიგნნი (სემინარიას, ნ.პ.) სრულიად საკუთრებად ანუ დროებით სარგებლობისათვის?“

არქ. მაკარი განაგრძობს: დღემდე მხოლოდ ზოგიერთმა წინამძღვარმა წარმოადგინა ცნობები მათსავე მონასტრებში დაცული ხელ-

ნაწერების შესახებ. ბოდიდან „რამდენიმე წიგნი“ გამოგზავნეს და ისიც დროებით. კანტორას ჯერჯერობით კატეგორიული დასკვნა არ გაუკეთებიაო („დროება“, 1879, 26.IX, N 199).

არქ. მაკარის წერილს მოსდევს სასულიერო სემინარიის მიმართვისა და სინოდის რეზოლუციის ტექსტები იმის დასამტკიცებლად, რომ მათში ეროვნული კულტურისათვის სახიფათო არაფერია.

1880 წლის აგვისტოში გავრცელდა ხმა: უკვე სამოქალაქო მთავრობას აქვს განზრახვა, ჩამოართვას „ქართულ მონასტრებს“ ხელნაწერები და თავი მოუყაროს ან მუზეუმში ან საზოგადო ბიბლიოთეკაში. „ამ საგანზე ქალაქი უკვე დამზადებულია... და ამ დღეებში მიუვა საქართველოს ექსარხოსოს“ („დროება“, 1880, 15.VIII, N 172). ჩვენი გაზეთი ამ ცნობას მიესალმა (იხ. ქვემ.). უნდა ვიფიქროთ, ეგზარქოსის მითითებებს ქართველი სამღვდელთა წინააღმდეგობას უწევდა და საჭირო გახდა ხელისუფლების ჩარევა.

ი.მეუნარგიას წერილიდან „კიდევ ქართულ ხელნაწერ წიგნებზე“ („დროება“, 1881, 4.VII, N 138) ჩანს, რომ ბერთა სავანეებიდან ხელნაწერების გამოტანის იდეა მამულიშვილთა შორის არგუმენტების ჭიდილსა და გაორებას იწვევდა, მაგრამ სასწორი კოლექციათა გაერთიანების სასარგებლოდ იხრებოდა.

ამავე პუბლიკაციის თანახმად, შესაბამისი დადგენილების ტექსტი 1882 წლის ივნისში დაუგზავნიათ და მიმდინარეობდა კამათი, თუ სად განეთავსებინათ მასალა, რომელსაც დღეს თუ ხვალ თბილისში ჩამოიტანდნენ. ქმნკვს და სემინარია ერთმანეთს ეცილებოდნენ. განზე არც საჯარო ბიბლიოთეკა იდგა. მის დირექტორს — გუსტავ რადეს (1831-1903) — ხაზინიდან 25 500 მანეთი გამოუთხოვია საცავის გაფართოებისა და თაროების გამართვის მიზნით, რადგან, ჩანს, ეკლესია-მონასტერთა წერილობითი საგანძურის ბიბლიოთეკისათვის გადაცემაში ეჭვი არ ეპარებოდა („დროება“, 1884, 14.XII, N 246). თუ რა ბედი ეწია ამ მოთხოვნას, არ ვიცით. ფაქტია, რომ ხელნაწერე-



ბის ჩამოტანის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა. მღვდელმსახურთა და მეტადრე ეროვნული ინტელიგენციის წარმომადგენლების ზენოლით კოლექციებს ზოგჯერ უკან აბრუნებდნენ (მაგ., შიომღვიმეში).

უნდობლობას საფუძველი ჰქონდა. ამას ადასტურებს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მოგონება, რომელიც სემინარიის იმდროინდელ ამბებს ეხება და ჩვენთვის საყურადღებოა იმის გასათვალისწინებლად, თუ რას ასახელებდნენ მაშინ ეგზარქატის ინიციატივის მიზეზად. „ევსევი ექსარხოსს (1858-1877), — ვკითხულობთ „მოგონებაში“ — შეემჩნია, რომ მღვდლები ხელნაწერების საშვალებით ღვთისმსახურების შესრულების დროს „ბორძიკობდნენ“, რის გამოც გაუცია ბრძანება, — ხელნაწერები ჩამოეტანათ ტფილისში და მათ მაგიერ დაეგზავნათ დასტამბული წიგნები... ხელნაწერებს მოუყარეს თავი სემინარიის ეზოში და ცეცხლი შეუკეთეს. როგორღაც გადარჩენოდათ ერთი უზარმაზარი წიგნი...” იგულისხმება „სვანური მრავალთავი“, რომლის შემონახვა კ-პ კალისტრატე ცინცაძის დამსახურებაა (91:106).

უნებლიეთ გვახსენდება ს.მესხის შიში, — ვაითუ სემინარიაში თავმოყრილი ხელნაწერები დაინვასო...

### **3) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერსაცავი**

ქმნკგს-ის ღვაწლი ხელნაწერების გამოვლენის, დაცვისა და შესწავლის თვალსაზრისით ცნობილი და დაფასებულია. აღნუსხულია მასალები მისი შემკრებლობითი საქმიანობისა ზოგადად და საბიბლიოთეკო-სამუზეუმოსი კერძოდ (146:267-270;22). მოგვეპოვება გამოკვლევები, რომლებშიც საარქივო საქმეებზე დაყრდნობით მოცემულია ძველი ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების „საზოგადოების“ კანცელარიაში თავმოყრის პროცესის წარმოჩენის ცდა (184:59-

67;52;185:37-39). „დროების“ პუბლიკაციები ახალი მასალებით ავსებს და ამდიდრებს ჩვენ ცოდნას ქართული კულტურის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი პროცესის შესახებ.

„დროება“ ასეთ სურათს გვიხატავს: ქმნკვს-ის კომიტეტმა ბიბლიოთეკა-მუზეუმის შექმნის თაობაზე გადანყვეტილება 1880 წლის 7 აპრილის წინა დღეებში მიიღო. კანცელარიაში გამოიყო კუთხე, სადაც პირველ რიგში ხელნაწერი წიგნები და საბუთები უნდა მოეგროვებინათ. მათი მოძიებისა და მფლობელებთან ურთიერთობის ორგანიზება დაევალა მდივან იონა მეუნარგიას. „დროება“ მიესალმა ამ ინიციატივას. მისმა ერთ-ერთმა რედაქტორმა სერგეი მესხმა აღნიშნა: მართალია, დ.ბაქრაძის განზრახვა არქეოლოგიური მუზეუმის დაარსების შესახებ ვერ განხორციელდა, მაგრამ ამ მისიას ახლა ხსენებული ბიბლიოთეკა კისრულობსო (1880, 8.IV, N76).

იმავე გაზეთის 14 ივნისის ნომერში (124) გამოქვეყნდა „წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის წესი“, რომლის თანახმად საზოგადოება წიგნებს იძენს შემოწირვითაც და სყიდვითაც. ამას მოჰყვა 19 ივნისით დათარიღებული წერილი, რომელიც გვაუწყებს, რომ ძველი წიგნების შეგროვების საკითხი დღის წესრიგში დიდი ხნის წინათ დადგა. წერილობითი ძეგლების აღნუსხვა და შესწავლა თანამედროვე ენისა და ლიტერატურის განვითარებისთვისაა აუცილებელი. დროა, ყველამ გააცნობიეროს ეს და გაუგზავნოს ხელნაწერები საზოგადოებას, რომელმაც მათ შესაძენად 500 მანეთი გადადო („დროება“, 1880, 20.VI, N 129). იაკობ გოგებაშვილის მითითებით ეს მოწინავე, დახვეწილი სტილით, ფორმით და შინაარსით, სერგეი მესხს ეკუთვნის (173:45). რადგან იქ აღნიშნულია „საზოგადოების“ გადანყვეტილება კონკრეტული ციფრებით, იგი ს.მესხს უნდა დანერა თანარედაქტორისა და იმხანად ხსენებული დაწესებულების თავმჯდომარის მოადგილის („ამხანაგის“) ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით. ილიამ პირველმა გადადგა ნაბიჯი შეწირულებათა

გაღების გზაზე და ბევრს მაგალითი უჩვენა.

ამრიგად, ქმნკგს-ის ხელნაწერსაცავი ფაქტობრივად 1880 წლის ზაფხულში გაიხსნა და მასალის ინტენსიური შეგროვება დაიწყო.

„დროების“ ფიქრით, ქართული ხელნაწერების გლობალური ფონდის შექმნის გეგმას მხარს უბამს მთავარსამმართველოს დადგენილება — ჩამოერთვას მონასტრებს ხელნაწერები და დაცულ იქნან ან მუზეუმში, ან საზოგადო ბიბლიოთეკაში. ლაპარაკია დადგენილებაზე, რასაც „დროება“ ფართოდ გამოეხმაურა და რაზეც ვრცლად უკვე ვისაუბრეთ. აქ ჩვენთვის საყურადღებოა რედაქციის რეკომენდაცია ნერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. ერთ-ერთ მონინავეში ვკითხულობთ: „ეს ბიბლიოთეკა, ეს ძვირფასი ბიბლიოთეკა, უნდა გახდეს ყველა ჩვენი მოზარდი ყმანვილობისათვის წმიდა ტაძრად, რომელშიც ის უნდა შევიდეს კრძალვით, რომლიდამაც იმან უნდა გამოიტანოს ქართული ჭკუისა და ენის თვისებათა ცნობა, ქართული ისტორია“ (1880, 15.VIII, N 172). აშკარაა ქმნკგს-ისა და მისი ერთგული გაზეთის მიზანი, მაგრამ, როგორც ირკვევა, საეკლესიო-სამონასტრო ფასეულობათა ნაციონალიზაციის პრობლემა მარტივად ვერ გადაიჭრა და ხსენებული საზოგადოების ფონდი უპირატესად კერძო პირებისა და სამოქალაქო უწყებების ბაზაზე დაკომპლექტდა.

„დროებაში“ ხელნაწერების დამთმობთა და შემწირველთა რამდენიმე სახელი დასტურდება, რაც ჩვენ ქმნკგს-ის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოჩენაში გვეხმარება და ამ მხრივ ზოგიერთი დეტალით ამდიდრებს იმ სურათს, რაც სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია.

1. პირველშემწირველად, „დროების“ მიხედვით, ილია ჭავჭავაძე წარმოგვიდგება. 1880 წლის ივლის-აგვისტოში მან ორჯერ გაიღო ძღვენი: ერთხელ ინდივიდუალურად — 5 ერთეული (S 22-25, 32) (რაც ცნობილია), მეორედ — იოსებ შალიკაშვილთან ერთად — 16 ხელნაწერი, რომელთაგან 15-ის იდენტიფიკაცია მოხერხდა (იხ. ზემოთ).

2. ზ. ჭიჭინაძის კოლექციით „საზოგადოება“ 1880 წლის ზაფხულ-შვივ დაინტერესდა. დაიწყო მოლაპარაკება. თავიდან ფასზე ვერ შეთანხმდნენ. შემდეგ კი მფლობელმა დათმო (ზ.ჭიჭინაძე, წერილი რედაქტორთან, „დროება“, 1880, 3.VIII, N 163) და, როგორც იმავე გაზეთის 1881 წლის 26 თებერვლის ნომერი (42) იუწყება ახალი ამბების ქრონიკაში, „საზოგადოებამ“ მისგან 170 ხელნაწერი წიგნი შეიძინა. ამ ფაქტს 1881 წლის 26 თებერვლამდე ახლო ხანს უნდა ჰქონოდა ადგილი.

ქშნკვს-ის ფონდში ზ.ჭიჭინაძისეულად ჯერჯერობით მხოლოდ 66 ხელნაწერი ამოვიცანით (გვ. 113). სამწუხაროდ, 170 ერთეულის სია ცნობილი არაა და, ამდენად, იქ ნაგულისხმევი ხელნაწერების საფონდო ნომერთა დადგენა არ ხერხდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს რიცხვი (თუკი ციფრის დასახელებაში კორექტურულ შეცდომასთან არა გვაქვს საქმე) მოიცავს იმ 74 თხზულების შემცველი ხელნაწერებიდან 43 ერთეულს მაინც, რომელთა იდენტიფიკაცია მოხერხდა (გვ. 112-113). მაშასადამე, შეგვიძლია დავუშვათ, რომ 170 ხელნაწერიან კომპლექტში შედიოდა ხსენებული 43 ხელნაწერიც (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა). მათგან „აღწერილობაში“ 19-ის ადრინდელი მფლობელი ცნობილია, — ზ. ჭიჭინაძე, 24-ისა კი — არა.

3. მიხეილ ყიფიანმა რვა ხელნაწერი შესწირა, რისთვისაც მას „მმართველობამ“ მადლობა გამოუცხადა და სია „დროებაში“ გამოაქვეყნა (1881, 10.XI, N136). ამ სიის იდენტიფიკაცია, რაც შედარებით ადვილად მოხერხდა, დღეს რვა ერთეულის ადრინდელი მფლობელისა და შემწირველის დადგენის საშუალებას გვაძლევს. ეს ერთეულებია: S 102 (ვისრამიანი. XIX), 103 (დავით გურამიშვილი, კრებული. 1822), 105 (დავით რექტორი. 1822), 106 (თეიმურაზ II, სარკე თქმულთა. 1821), 155 (პეტრე ლარაძე, მრავალფერყუავილოვანი. 1826-1834) (სავარაუდოა, რომ ეს წიგნი მ.ყიფიანმა ზ.ჭიჭინაძისაგან შეიძინა. შდრ. „სია ძველი წიგნებისა“, N55), 169 (ტროადის ისტორია, 1829),

1613 (კრებული. 1726), 4631 (ჩარდავრიშინი. 1829).

ამრიგად, ქართული ხელნაწერების შემწირველთა ნუსხას ახალი სახელი შეემატა — მიხეილ ყიფიანი. ამ სახელით და გვარით ერთ-სა და იმავე დროს ორი პიროვნება მოღვაწეობდა: ზაალის ძე (1833-1891) და ქაიხოსროს ძე (1846-1916). ძველ ხელნაწერებზე ორივე ზრუნავდა: პ.უმეკაშვილს მიხეილ ზაალის ძისაგან მიუღია და 1887 წელს მუზეუმისათვის გადაუცია S 1511 და 1512, ქაიხოსროს ძეს კი 1891 წლის იანვარში შეუწირავს ანტონ კათალიკოსის გრამატიკა (1784 წლის ხელნაწერი — S 1388). ქშნკვს-სთან საქმიანი კონტაქტები, განსაკუთრებით 1880-81 წწ-ში, ზაალის ძეს ჰქონდა და ჩვენც 8 იდენტიფიცირებული ხელნაწერის შემწირველად მას მივიჩნევთ.

4. 1883 წლის სექტემბერში ივანე მესხიშვილმა საოჯახო ბიბლიოთეკიდან, იერონიმე მესხიშვილის კოლექციიდან, 55 ხელნაწერი შესწირა, რომელთაგან ჯერჯერობით 52-ის იდენტიფიკაცია მოხერხდა (იხ. ზემ.).

5. „ერთ პირს“ 1884 წლის ივლისში ქშნკვს-ისათვის გამოუგზავნია: იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (დ.ბაქრაძის გამოცემა) და ერთი ხელნაწერი — „განსჯანი არისტოტელისანი“, თარგმანი თეიმურაზ ბატონიშვილისა 1818 წელს („დროება“, 1884, 1.VIII, N189).

გაურკვეველია მფლობელის ვინაობაც და მასალის მუზეუმში შემოტანის ფორმაც: აჩუქა თუ მიჰყიდა? თვით ხელნაწერი, ვარაუდით, S 142 უნდა იყოს.

6. ცნობილ იურისტს, საეკლესიო სამართლის მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილს (1851-1906) დავით ბატონიშვილის გრამატიკა შეუწირავს („დროება“, 1884, 18.VIII, N179), რომელიც, ჩვენი იდენტიფიკაციით, უდრის S 532-ს. ნ.ხიზანაშვილის სახელი როგორც შემწირველისა ცნობილი არაა და, ამდენად, ეს ფაქტი მის ბიოგრაფიაში სიახლედ უნდა ჩაითვალოს.

7. ქართულ ხელნაწერებს ამაგი დასდო საეკლესიო და კულტურ-

რულმა მოღვაწემ, ქაშვეთის ეკლესიის მედავითნემ გიორგი ვასილის ძე ზალიკიანმა. მას ძველი საოჯახო წიგნსაცავი ჰქონდა, სადაც, ზ.ჭიჭინაძის ცნობით („დროება“, 1880, 13.VIII, N170), გამოვლინდა უნიკალური კრებული ამბროსი ნეკრესელის ქადაგებათა. პატრონმა იგი ჯერ ალექსანდრე ეპისკოპოსს დაუთმო გამოსაცემად მომზადებისათვის და შემდეგ, 1884 წლის აგვისტოში, შესწირა ბიბლიოთეკა-მუზეუმს დანარჩენ ხელნაწერებთან ერთად. ეს ხელნაწერები „დროებაში“ (1883, 18.VIII, N 179; 19.VIII, N180) ჩამოთვლილია შემდეგი სათაურებით: 1) „მეტოლოღია“, 2) „ამეროსის ქადაგებანი“, 3) „საყოფაქცეო სჯა მარკოს ავრელისა“, 4) „გულანი ანუ სადღესასწაულო“, 5) „კიტაის სიბრძნე“. ჩვენი იდენტიფიკაციით მათი საინვენტარო ნომრებია: 10 (მითოლოგია. 1833), 177 (ამეროსი ნეკრესელი, ქადაგებანი. 1795-1808), 152 (მარკუს ავრელიუსი, საყოფაქცეო სჯა. XIX), 150 (სადღესასწაულო. XVII-XVIII) და 176 (კიტაის სიბრძნე. 1795). გ.ზალიკიანის შემოწირულად ცნობილია NN 152, 176, 177 და, კიდევ, 1387 (კრებული. XIX), რომელიც მფლობელს 1885 წლის 1 თებერვლის შემდეგ დაუთმია (შდრ. „აღწერილობა“, S II, გვ. 182). დღეიდან მათ უნდა დაემატოს NN 10 და 150 და, მაშასადამე, გ.ვ. ზალიკიანის კოლექციისეულად ექვსი ერთეული უნდა ჩაითვალოს: S 10, 150, 152, 176, 177 და 1387.

8. 1884 წლის 22 დეკემბრამდე გორიდან ორი წიგნი ჩამოუტანიათ: ერთი ნაბეჭდი და მეორე ხელნაწერი — „მოთხრობა ჩინეთის მეფის შვილზე ჯიმშედზე და აგრეთვე მეფე ხოსროზე“; 400-მდე გვ.; თავბოლონაკლული („დროება“, 1884, 22. XII, N 276).

გაურკვეველია, შეიძინა თუ არა „საზოგადოებამ“ ეს წიგნები. თუ შეიძინა, ხელნაწერი, შესაძლებელია იყოს S 195 (მირიანი. XIX).

9. გრიგოლ დავითის ძე გურიელმა ქმწკგს-ს რამდენიმე ხელნაწერი შესწირა სხვადასხვა დროს. პირველად 1885 წლის აპრილში — „ეტრატზე ნაწერი სახარება“, რომელიც დ.ბაქრაძემ X ს-ით დაათარიღა. ესაა S 962 (ოთხთავი. 1054).

10. ყველაზე დიდი და ძვირფასი კოლექცია 1885 წლის აპრილში ნიკო დადიანმა შემოსწირა: 169 ხელნაწერი და 10 ძველნაბეჭდი წიგნი. მათგან დადიანისეულობა „აღწერილობაში“ მხოლოდ 29 ერთეულზეა მინიშნებული. ძველი სიის იდენტიფიკაციის შედეგად დანარჩენი 140 ხელნაწერის ადრინდელი მფლობელისა და შემწირველის ვინაობაც დადგინდა — ნიკო დადიანი.

და ბოლოს: წარმოვადგენთ საინტერესო, მაგრამ ბუნდოვან და გაურკვეველ ინფორმაციას:

11. ქშნკგს-მ „ამ დღეებში მიიღო ერთი პირისაგან 15 ხელნაწერი და ძველად ნაბეჭდი წიგნი. მათ შორის ორი ეტრატზეა დაწერილი. ერთი ხელი სინურ ხელსა ჰგავს. ხოლო მეორესი უფრო ადგილობრივია და ეკუთვნის დაახლოებით XIII საუკუნეს. დაბეჭდილ წიგნთა შორის ზოგი მეფე ვახტანგის დროისანი არიან... ბევრს ხელნაწერს ძალიან საინტერესო მინეროლოგანიც აქვს. სათაურნი და ბოლო ფურცელნი დიდად ძვირფასნი არიან, როგორც ჩვენის განათლებისა და მწერლობის ისტორიისათვის, ისე მეფეთა და მაშინდელ გავლენიან პირთა უხვებისა და ქვეყნის სასარგებლოდ... არც დრო გვაქვს და არც ალაგი, რომ ეს მინეროლოგანი დაწვრილებით ამოვწეროთ და გავუზიაროთ ჩვენს მკითხველებსაც“ („დროება“, 1884, 7.VI, N121).

დეტალური ანალიზი სამომავლო ამოცანაა. თუ გაირკვა, 15 ერთეულიდან რამდენი იყო ხელნაწერი და რამდენი ნაბეჭდი, პრობლემა, ვფიქრობთ, გაიოლდება.

შეგვიძლია დავასკვნათ: „დროებაში“ გასაჩინოვდა 442-მდე ხელნაწერის ქშნკგს-ის ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის გადაცემის ფაქტი. მოხერხდა 295-ის იდენტიფიკაცია. მათგან 52-ის ადრინდელი მფლობელისა თუ შემწირველის სახელი „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ ცნობილია, 243-ისა კი დღეს გამჟღავნდა. დანარჩენი 147-ის საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

## თავი 3

# ნარკვევები ხელნაწერების ისტორიდან

### 3.1. რამდენიმე ახალი ცნობა ქსნის ოთხთავის შესახებ

1879 წლის 14 სექტემბერს „დროებაში“ (N 190) საზოგადოებას ამცნო: „გვითხრეს, რომ ახალგორის ხეობაში, ძველს ეკლესიაში ბევრი ძველი ხელნაწერი წიგნები და აგრეთვე ძველი ნივთები არისო, რომლებიც თითქმის მთლად უპატრონოდ ჰყრიანო და თუ მალე ყურადღება არ მიაქციეს, ეს წიგნები ... შეიძლება სულ მთლად გაქარწყლდეს ...” იმხანად არავინ იცოდა, რომ იქ ინახებოდა X ს-ის ნუსხა, უკვე დაშლილ-დაფანტული და დაჩრჩილული, რომელიც შეიცავდა სახარების ქართული თარგმანის ერთ-ერთ უძველეს, ე.წ. ქსნურ რედაქციას (39) და რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში შემდგომ ქსნის ოთხთავი უწოდეს. მისი ნაწილი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში — A 509; ნაწილი — პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების „ახალ სერიაში“, N8-9.

მკვლევრები (მ.ჯანაშვილი, ი.იმნაიშვილი, ც. ჭანკიევი) ამ ხელნაწერის თავგადასავალის მოთხრობისას ეყრდნობიან დ.ბაქრაძის სტატიას „Древние варианты грузинского четвероевангелия“<sup>26</sup>. ჩვენ კი ზოგიერთი მომენტის დაზუსტების მიზნით აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თუმცა გამოკვლევა დაბეჭდილია რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის შრომებში, ყრილობისა, რომელიც 1881 წლის სექტემბერს შედგა თბილისში, დ.ბაქრაძე იმ სახით, როგორადაც გამოქვეყნდა 1887 წელს, მას იქ ვერ წარადგენდა; სხვა არა იყოს რა,

<sup>26</sup> ავტოგრაფი დაცულია კ.კეკელეძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: დ.ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, N48



1881 წელს ვერ იტყოდა: 1880 წელს ნაპოვნი ხელნაწერის რამდენიმე ფრაგმენტი ორი წლის შემდეგ, ე.ი. 1882 წელს, ვიპოვეო.

12 სექტემბრის ხდომაზე დ.ბაქრაძეს თუმცა კი წაუკითხავს მოხსენება ბიბლიოლოგიის დარგში, მაგრამ ამ ცნობის თანახმად („დროება“, 1881, 13.IX, N191) ეს უნდა ყოფილიყო ინფორმაცია მხოლოდ ქსნის ოთხთავის შესახებ. ვფიქრობთ, სახარების ქართული თარგმანის ამ (ე.წ. ქსნური) ვარიანტის სხვა ვარიანტებთან მიმართების საკითხი მკვლევარს 1881 წელს ჯერაც არ ჰქონდა დამუშავებული.

ირკვევა, რომ ეს შრომა ავტორს თავდაპირველად ქართულ ენაზე დაუნერია „კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოების“ სხდომაზე წარსადგენად 1883 წელს, წაუკითხავს იქ და, როგორც ზ.ჭიჭინაძე გვამცნობს (იხ. ქვემოთ), მსმენელთა დიდი ყურადღებაც დაუმსახურებია. წინასწარ კი გამოუქვეყნებია ჟურნალში „ივერია“ (1883, # 5-6, გვ. 112-125), შემდეგ ჯერ სიტყვა-სიტყვით უთარგმნია რუსულად და, როგორც ამ თარგმანის ავტოგრაფი მიგვანიშნებს, გზადაგზა ტექსტში ზოგიერთი ადგილი დაუზუსტებია (იხ. ქვემოთ).

ასე რომ, ქსნის ოთხთავის ისტორიის ერთი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი, მომენტის გასათვალისწინებლად მკვლევართათვის უფრო საინტერესო უნდა იყოს დ.ბაქრაძის ხსენებული სტატიის ქართული ვარიანტი, რომელიც ოდნავ განსხვავდება რუსულისაგან. იგი გვამცნობს: „ქსნის ოთხთავი აღმოჩენილ იქმნა ერთ ახალგორის დანგრეულს ეკლესიათაგანში 1880 წ. შარშან ზოგიერთა ფურცლები ვიპოვე კიდევ მისი იმავე ადგილას, ეკლესიის გალავანში. რომ მას დიდი-ხანი გაუტარებია ცის ქვეშ, ქარსა და წვიმის ქვეშ გდებულა, ამას თვით მისი გარეგნობა ამტკიცებს; მაგრამ მისი უბედობა კიდევ ამით არ თავდება: თბილისში რომ იქმნა ჩამოტანილი, ერთმა ქართველმა სიძველეთა მოყვარულმა<sup>27</sup>, რომლის სახელიც ჯერ არ მინდა მოვიხსენ-

<sup>27</sup> რუსულ ავტოგრაფში დ.ბაქრაძეს სიტყვა любителей გადაუხაზავს და მიუწერია: искателей (დ.ბაქრაძის არქივი, N 48, გვ. 1).

ნიო, ამოგლიჯა იქიდან ერთი ნაწილი<sup>28</sup>, როგორც მე შემდეგ გავიგე, და წაიღო პეტერბურგს. ეხლანდელი მდგომარეობა ხელნაწერისა ასეთია: მათეს სახარებიდან უკანასკნელი თავია დარჩენილი, მთლიანად სახარება მარკოზისა, სახარება ლუკასი, გარდა IX-XVII თავისა, და სახარება იოანესი, თუ არ ჩავთვლით ძალზე დაჩრჩილულს და სინესტისაგან ნახევრად დამპალს უკანასკნელს თავს”.

თუმცა მეცნიერი ამბობს: ქსნის ოთხთავი 1880 წელს „აღმოჩენილ იქმნაო”, სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც გავრცელებულია აზრი, რომ ეს ძველი მოიპოვა დ. ბაქრაძემ. სინამდვილეში მან, როგორც თავად აღნიშნავს, ამ ხელნაწერის მხოლოდ რამდენიმე ფურცელს მიაგნო 1882 წელს.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც დღემდე მკვლევართაგან აგრეთვე შეუმჩნეველი იყო: დ. ბაქრაძის პუბლიკაციას გამოეხმაურა ზ. ჭიჭინაძე, რამაც სინათლე მოჰფინა რიგ საკითხს. მან აღნიშნა: „1879 წ. ახალგორის მღვდელმა მოიპოვა ზემოხსენებული სახარება და რამდენიმეც სხვა ძველი წიგნები, რომელთა მოპოვებაზე „დროების” საშუალებით ვაცნობეთ ჩვენს საზოგადოებას. ყველა ეს წიგნები ინახებოდა ჩემთან. ბ. დ. ბაქრაძე იმ დროს იქ არ იყო<sup>29</sup> და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოვიდა. მის ჩამოსვლამდის მე შემხვდა ერთი ქართველი ყმაწვილი კაცი, რომლის სახელის დასახელებას აქ არ ვსაჭიროებ; მან მთხოვა, რომ ხსენებული სახარება მისთვის დამეთმო; თუმცა ყველა ეს წიგნები თითქმის ჩემს გამგეობის ქვეშ იყო, მაგრამ მე ვერ გავებდე სრულად დათმობა და ამიტომ წიგნი გავყავი შუაზე; ნახევარი იმან წაიღო პეტერბურგში, რადგანაც ის იქ სცხოვრობს და ნახევარიც მე დავიტოვე, რომელიც შემდეგ გასინჯულ იქმნა და განხილულ ბ. დ. ბაქრაძისაგან. ბ. ბაქრაძემ მთხოვა, რომ წერილით მოსთხოვე, დააბრუნოსო.

<sup>28</sup> ეს ცნობა რუსულ ვარიანტში დაზუსტებულია: „вышел из него часть с рисунками евангелистов...” (190: 216).

<sup>29</sup> 1879 წელს დ. ბაქრაძე ბათუმში მუშაობდა ადგილმამულის კომისიის თავმჯდომარედ (მდრ. გვ. 43).

მე ეს ვერ გავბედე, რადგანაც ჩემის ნებით დავუთმე და ვსთხოვე ბაქრაძეს, რომ ისევ იმას მიენერა წერილი ამის შესახებ და არ ვიცი, მისწერა თუ არა. ამ წერილის დაწერა გამოიწვია იმან, რომ ბ. დიმიტრი ბაქრაძე წერს, პეტერბურღში მცხოვრებმა ქართველმა წაილოვო, რომელიც ძველ ნივთთა მოყვარულიაო. ამ შენიშვნით შეიძლება, რომ არამც თუ მარტო წამლები, არამედ ყველა ის პირნი იქონიონ სახეში, რომელნიც კი პეტერბურღში სცხოვრობენ და საქართველოს ისტორიის და არხეოლოგიის შესწავლას მისდევენ. ამიტომ მიმიქცევის ეს წერილი იმისაკენ, ვისიც რიგია და მოვალეობა და თვით იმან ახსნას ამ ძვირფასი საგვარტომო წიგნის განახევრების მიზეზი..." (ზ.ჭიჭინაძე, წერილი რედაქტორთან, „დროება“, 1883, 14.VIII, N160).

ვინ არის ახალგორელი მღვდელი სახელდობრ და „დროების“ რომელი პუბლიკაცია იგულისხმება აქ?

ირკვევა, რომ ზ. ჭიჭინაძეს მხედველობაში აქვს 1880 წელს „მთან-მინდლის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული და 6 აგვისტოთი დათარიღებული „წერილი რედაქტორთან“ („დროება“, 9. VIII, N 167), სადაც აღნიშნულია: „ამ მოკლე ხანში მღ. სამხარაძემ წარმოადგინა ორი სახარება პერგამენტზედ ნაწერები. ერთი მათგანი მეშვიდე საუკუნეში დაწერილი აღმოჩნდა და ბ. ბაქრაძემ გადასცა გენერალ ტრუბეტკოვის ქართული კალიგრაფიის შესასწავლებლად“.

დამონმებულ პიროვნებებს ქართული კულტურის ისტორია არ იცნობს. მათგან პირველი, ჩვენი იდენტიფიკაციით, არის მღვდელი ნიკოლოზ სამხარაძე, რომელიც მართლაც 1879 წლამდე უნდა განეწესებინათ მოძღვრად სოფ. ახალგორში, სადაც იგი საკუთარი ინიციატივით სახალხო განათლების სარბიელზეც იღვწოდა<sup>30</sup>. ვფიქრობთ, არაფერი გვიშლის ხელს, რომ მღვდელი ნიკოლოზ სამხარაძე მივიჩინოთ ქსნის ოთხთავისა და მეორე სახარების თუ, იმავე ზ.ჭიჭინაძის

<sup>30</sup> შდრ. ზ.ოსიტაშვილი, დუშეთი, „დროება“, 1879, 23.VI, N130; „ახალი ამბავი“, „დროება“, 1880, 4.IX, N186; ა.ჩოლოყაშვილი, წერილი რედაქტორთან, „დროება“, 11.II, N29.

თქმით, „რამდენიმე სხვა ძველი წიგნის“ აღმოჩენად. ასე რომ, სხე-  
ნებულ სახარებათაგან ქსნის ოთხთავად პირველი უნდა ვიგულოვოთ,  
რადგან დ.ბაქრაძე სწორედ ამ ხელნაწერს თვლიდა უძველესად (IX  
საუკუნემდელად) და არაა გასაკვირი, რომ ზ.ჭიჭინაძეს იგი მე-7 ს-ის  
ძველად გამოეცხადებინა. რაც შეეხება მეორეს — გენერალ ტრუ-  
ბეცკოის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ის პიროვნებაა, ვისაც დ.ბაქრა-  
ძე „ნ.ს. ტრუბეცკოის“ სახელით იხსენიებს და ქართული ხელოვნების  
მკვლევრად ასახელებს (ქ. „ივერია“, 1884, N11-12, გვ. 109).

ამდენად, ქსნის ოთხთავი და „რამდენიმე ძველი წიგნი“ ახალგო-  
რის ეკლესიაში აღმოაჩინა და 1879 წელს თბილისში ზ.ჭიჭინაძესთან  
მიიტანა მღვდელმა ნიკოლოზ სამხარაძემ. ზ. ჭიჭინაძემ ოთხთავის  
ნაწილი ერთ პეტერბურგელ ახალგაზრდა ქართველს დაუთმო, ნაწი-  
ლი კი — დ.ბაქრაძეს. ეს უნდა მომხდარიყო 1880 წლის 6 აგვისტომდე,  
დამოწმებული წერილის დაწერამდე. დ.ბაქრაძემ თავისი წილი ათხო-  
ვა ქართული დამწერლობის შემსწავლელ რუს გენერალს, რომელმაც  
დააბრუნა უკან 1881 წლის სექტემბრამდე, არქეოლოგიურ ყრილო-  
ბამდე. ჩანს, დ.ბაქრაძემ ხელნაწერის ნახვის დრო დაიმასხვორა მისი  
აღმოჩენის თარიღად.

რაც შეეხება ზ.ჭიჭინაძის ინფორმაციებიდან მეორე სახარებასა  
თუ „სხვა ძველ წიგნებს“, მათი შემდგომი ბედი ჯერჯერობით ბუნ-  
დოვანია. ქსნის ოთხთავის თავგადასავლი კი ცნობილია.

1882 წელს მოძიებული ფურცლები ანუ, ი.იმნაიშვილისა და ც.ჭან-  
კიევის დაკვირვებით (39:293;162:164), ის ნაფლეთები, რომლებიც  
შეიცავენ ფრაგმენტებს მათეს თავიდან: 6, 19-9,3; 12,32-40; 13,17-  
22, დ.ბაქრაძეს ძირითად ნუსხასთან გაუერთიანებია (დაურთავს  
ბოლოში, A 509, 183 r-192 V) და ამ სახით გადაუცია იგი საეკლესიო  
მუზეუმისათვის. ეს ხელნაწერიო, — იუწყებოდა იგი 1889 წელს, —  
„მსურველს შეუძლიან განიხილოს ახლად ტფილისის სიონის ეზოში  
დაარსებულს საეკლესიო-არხეოლოგიურს მუზეუმში“(9:174). მაგ-

რამ 1897 წელს მ.ჯანაშვილს ქსნის ოთხთავი იქ ვერ უპოვია (A 1723, გვ.XC). მართლაც, A 509-ის ბოლო გვერდზე (192 V) მინაწერი „სიონის საკრებულო ტაძრის ოთხთავი, 1899 14 მაისს, ანტონ“ — ცხადყოფს, რომ იგი ერთ დროს სიონის ეკლესიის კუკენილება ყოფილა და მხოლოდ 1899 წელს გადაუგზავნიათ საეკლესიო მუზეუმისათვის 15 ხელნაწერთან ერთად<sup>31</sup>. თანაც, გადაუგზავნიათ ისე, რომ ამ ხელნაწერის აღმოჩენისა და თავგადასავლის შესახებ, ვფიქრობთ, არა იცოდნენ რა. მისი იმჟამინდელი დაცულობა ცნობილი არ უნდა ყოფილიყო ალ.ცაგარელისათვის, რომელმაც დ.ბაქრაძის სტატიაზე დაყრდნობით ეს ხელნაწერი IX-XI სს-ით დაათარილა (202,ტ.1, წიგ. 2: XI-XIII). ჩანს, თვით თ.ჟორდანიასთვისაც კი უცნობი იყო, რომ მის მიერ 509-ით დანომრილი ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმისა, მიჩნეული X ს-ის ძეგლად და სახარების ქართული თარგმანის ერთ-ერთ უძველეს რედაქციად (192:62), სწორედ ქსნის ხეობაში ნაპოვნი და დ.ბაქრაძის მიერ აღწერილი ნუსხაა. ასე რომ, A 509-ის ქსნის ოთხთავთან იდენტიფიკაცია პირველად მ.ჯანაშვილმა მოახერხა 1907 წელს დ.ბაქრაძის გამოკვლევაზე დაყრდნობით. ამ იდენტიფიკაციით უნდა ესარგებლა კ.კეკელიძეს (198:XIII).

განსაკუთრებით დამაფიქრებელია და ჯერჯერობით გაურკვეველი, თუ რა გზით მოიძია ე.თაყაიშვილმა 2 ეტრატის ფურცელი — ფრაგმენტები მათეს თავიდან: 16,13-25; 18,12-22, რომლებიც მას 1916 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნსაცავისათვის შეუწირავს 1326-ე ნომრად. ვფიქრობთ, არც ე.თაყაიშვილს და არც ხსენებული ფონდისა და ნომრის აღმწერელ-რედაქტორს ქ.შარაშიძეს არ უნდა სცოდნოდათ, რომ მათ ხელთ იყო ქსნის ოთხთავის ნაწილი (თორემ მიუთითებდნენ კიდევ). მხოლოდ H ფონდის III ტომის გამოცემის (1948 წ.) შემდეგ გაირკვა, რომ H 1326 არის A 509-ის ფრაგმენტი და კიდევ გაერთიანდა მასთან (13 r.-14 v.).

<sup>31</sup> მ.ჯანაშვილი იქვე უთითებს საეკლესიო მუზეუმის კატალოგს: # 2, გვ. 11.

ამდენად, ქსნის ოთხთავი ნაწილ-ნაწილ გამოავლინეს ნ.სამხარაძემ, დ. ბაქრაძემ და ე.თაყაიშვილმა სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე ადგილზე — ახალგორის ძველ ეკლესიაში.

ვინ არის „ქართული სიძველეების მოყვარული“ თუ „მაძიებელი“, „ერთი ყმანვილი ქართველი კაცი“, „პეტერბურგში მცხოვრები“, რომლის დასახელებას ერიდებიან ხსენებული მკვლევრები? ანდა: რა ბედი ენია მისგან წაღებულ ფრაგმენტს? ეს კითხვა დიდხანს რჩებოდა უპასუხოდ, ვინაიდან „ამ ძვირფასი საგვარტომო ნიგნის გამანახვერებელმა“ არ (თუ ვერ) შეასრულა ზაქარია ჭიჭინაძის თხოვნა: პრესის საშუალებით წარმდგარიყო ქართველი საზოგადოების წინაშე და განემარტა თავისი საქციელის მიზანი.

სამაგიეროდ ც.ჭანკიევმა გაარკვია, რომ სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ეტრატის ხელნაწერი — *Грузинская новая серия # 8-9* — მოიცავს ქართული სახარების ერთ-ერთი უძველესი რედაქციის ფრაგმენტებს: მათე 11,22-12,3; 13,24-16,1; 16,25-17,6; 18,3-18,12; 19,20-21,4; ლუკა 8,52-17,20 (სულ 48 ფურცელი) და, ამდენად, ავსებს A 509-ის ზოგიერთ ნაკლულ ადგილს. მანვე შენიშნა: 1) შესაბამისი კატალოგის თანახმად, ეს დოკუმენტი საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკისათვის გადაუცია სასულიერო აკადემიის სტუდენტ საბინინს 1879 წლის 7 სექტემბერს; 2) ჟურნალში „Отчет Императорской Публичной библиотеки за 1879 г.“ გამოქვეყნებული ინფორმაცია, — პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატმა საიმპერატორო ნიგნოსაცავში ქართული სახარების სამი ფრაგმენტი (I — 12 ფურცელი მახარებელთა მინიატურებით; II — 16 ფურც.; III — 32 ფურც. ე.ი. სულ 60 ფურცელი) შემოიტანაო, — სწორედ ქსნის ოთხთავის გაუჩინარებულ ნაწილს გულისხმობს და 3) ამ ფრაგმენტთაგან პირველი ჯერჯერობით არ ჩანს (162:163-165).

ამ მიგნების შედეგად შესაძლებელი გახდა კოდექსის რამდენადმე აღდგენა: ლუკას თავისა თითქმის მთლიანად, მაგრამ კვლავაც გა-

უჩინარებულია მნიშვნელოვანი ნაწილი. ქსნის ოთხთავის შედგენი-  
ლობა დღეისათვის ამგვარია:

	მოგვეპოვება	აკლია
მათე		1,1-6,18
	6,19-9,13 (A 509)	9,14-11,21
	11,22-12,3 (პეტერბ.)	12,4-12,31
	12,32-12,40 (A 509)	12,41-13,16
	13,17-13,22 (A 509)	13,23
	13,24-16,1 (პეტერბ.)	16,2-16,12
	16,13-17,6 (A 509 და პეტერბ.)	17,7-18,2
	18,3-18,22 (პეტერბ. და A 509)	18,23-19,19
	19,20-21,4 (პეტერბ.)	21,5-21,28
	21,29-28,20 (ე.ი. მათეს თავი ბოლომდე) (A 509)	
მარკოზი	1,1-4,2 (A 509)	4,3-6,32
	6,33-12,6 (A 509)	12,7-12,19
	12,20-16,20 (ე.ი. მარკოზის თავი ბოლომდე) (A 509)	
ლუკა	1,1-24,43 (პეტერბ. და A 509)	24,44-24,53
იოანე	1,1-17,23 (A 509)	17,24-21,25

მ.საბინინის შეწირულობის პირველი ფრაგმენტი, 12 ფურცელი, ხელნაწერის ის მონაკვეთი უნდა იყოს, რომელიც, დ.ბაქრაძის სტა-  
ტიის რუსული ვარიანტის თანახმად, მოიცავდა მახარებელთა სურა-  
თებსა და, საგულეველია, მათეს თავის პირველ ნაწილს, 6,19-მდე  
მანც.

იმის დამადასტურებლად, თუ რაოდენ ზრუნავდა მ.საბინინი პე-  
ტერბურგის საიმპერატორო წიგნსაცავის ქართული კოლექციისათ-  
ვის და ზოგჯერ რაოდენ ეჭვს ბადებდა ამგვარი ზრუნვა თანამემა-

მულეთა თვალში, საყურადღებო ფაქტად გვესახება ინფორმაცია: „საიმპერატორო წიგნთსაცავისათვის ამ წლის მაისის დასასრულში ... დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ა.ვ. ზვენიგოროდსკის ... შეუნირავს ორი ეტრატის ფურცელი, რომელიც, როგორც ეტყობა XII ან XIII საუკუნის ქართულ სახარებას უნდა ეკუთვნოდეს. ერთს ფურცელზე დახატულია წამლებითა და ვარაყით მახარობელი ლუკა, რომელიც ამბიონთანა ჰზის და თავის სახარებასა სწერს. მეორე ფურცელზე გამობატულია მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლა ... ეს ორი სურათი ღირსეულს ალაგს დაიჭერს წიგნთსაცავის სხვა ძველთა აღმოსავლეთის ნაშთთა შორის, XI-XII საუკუნის „ბიჭვინთის სახარების“ ნახატთა და აგრეთვე სხვა ქართულის სახარების სურათებთან ერთად, რომელიც თითქმის იმავე დროს ეკუთვნის და შემონიშნულია ბ-ნ საბინინისაგან“ („ივერია“, 1886, 22.VI, N 133).

ბოლო წინადადების თანახმად, მ.საბინინს შეუნირავს ბიჭვინთის სახარების (H 2120) დროინდელი (ე.ი. XI-XII სს.) სურათებიანი სახარება. კარგი იქნებოდა, რომ ჟურნ. „მწყემსის“ გულისწყრომა — „საინტერესოა შეიტყოს კაცმა, თუ საიდან მოიპოვა ბ.საბინინმა ეს ძველი და ჩვენი ისტორიისათვის შესანიშნავი ნაშთი?“ (1886, N19, გვ. 11) — ყურადღელო ა.ვ. ზვენიგოროდსკისაც და საბინინთან ერთად დაეკმაყოფილებინა ქართველი საზოგადოების ინტერესი. ამჯერად უნდა შემოვიფარგლოთ ვარაუდით: შესაძლებელია, ა.ზვენიგოროდსკის „ორი ეტრატის ფურცელი“ უდრის იმავე წიგნსაცავში („ახალი სერია“, N17) წარმოდგენილ ორ ქართულ მინიატურას — მახარებელი მათე და ფერიცვალება, რომლებიც ა.ზვენიგოროდსკის სწორედ 1886 წელს შეუნირავს და ვასილი პუცკოს ლარგვისის ოთხთავის (A 26, XII ს.) ფრაგმენტებად მიაჩნია (202). რაც შეეხება საბინინისეულ სურათებს, ისინი ქსნის ოთხთავის გაუჩინარებული ფრაგმენტის მინიატურები ხომ არ არიან?

ვფიქრობთ, კვლევა ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს.



### 3.2. „კორიდეთის“ ლოკალიზაცია

„კორიდეთის ხელნაწერი“ მოიცავს ბერძნულ სახარებას, ძირითადად, ქართულ-ბერძნული მინაწერებით. დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში — Cr. 28, რომლის შესწავლის ისტორია და ბიბლიოგრაფია, რაც ცნობილია დღემდე (56:8-12,37-38;215:13), შეგვიძლია შევავსოთ და დავაზუსტოთ ორი დეტალით:

1. ამ ხელნაწერის შესახებ პირველ გამოკვლევას გამოეხმაურა გაზეთი „Тифлисский Вестник“ 1875 წლის 16 სექტემბერს (N 96) რუბრიკაში „Местная хроника“. იქ ნათქვამია: ორი თვის შემდეგ დაისტამბება კრებული „Записки Общества любителей Кавказской археологии“, რომელშიც, როგორც შევიტყვეთ, შესულია სტატია „Кавказ в древних памятниках христианства“ (იგულისხმება დ.ბაქრაძის ცნობილი შრომა). ამის გამო, აღნიშნულია „ქრონიკაში“, საჭიროდ ვთვლით, მკითხველთა და, კერძოდ, ხსენებული სტატიის ავტორის ყურადღება შევაჩეროთ კავკასიის სიძველეთა შესწავლის პრობლემებზე, ამ სფეროში მარი ბროსეს ღვაწლსა და, კერძოდ, პუბლიკაციაზე — „Note sur un manuscrit grec des quatre Evangiles, rapporte' du Souane'thie et appartenant au comte Panine...“ („Me'langes Asiatiques“, t. VI, livr. 3-4).

„ქრონიკის“ ეს მონაკვეთი წარმოადგენს მ.ბროსეს დასახელებული სტატიის მოკლე რეცენზიას, რომლის შინაარსი „დროებაში“ ქართველ მკითხველებსაც გააცნო (1875, 19.IX, N 107). აღნიშნა, რომ კორიდეთის ოთხთავი ბოლო დროს კალის წმ. კვირიკესა და ივლიტას მონასტერში ინახებოდა. ბროსე ფიქრობს, რომ იგი იქ სვანეთის რომელიღაც მონასტრიდან მიიტანეს და IX-X სს-ით ათარიღებს. ჩვენ კი, ვფიქრობთ, ეს უფრო ძველი ძეგლია, — დასძენს „დროების“ კორექსონდენტი.

„Тифлисский Вестник“-ის რეცენზია ანონიმურია; დანერილია პროფესიულად; ნომერში მოთავსებულია პირველ ადგილზე და „მო-

წინავედ” წარმოგვიდგება, რის გამოც ავტორად უნდა ვიგუღვოთ ან რედაქტორი — კ.ბებუთოვი (ბებუთაშვილი), ან რედაქციის თანამშრომელი. ჩვენ ყურადღებას ვაჩერებთ ცნობილ სწავლულსა და პუბლიცისტზე, „ტიფლისსკი ვესტნიკის” ერთ-ერთ დამაარსებელსა და კორესპონდენტზე — ნიკო ნიკოლაძეზე (193:22). იგი ფლობდა ფრანგულ ენას; სწორედ 1872 წელს, როდესაც ბროსეს მითითებული შრომა გამოქვეყნდა, მან პარიზში იმოგზაურა და მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა. გატაცებული იყო ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებით და სავარაუდებელია, ან თავად დაწერა აღნიშნული „ქრონიკა”, ან მისი ინფორმაცია რედაქტორმა „მონინავეში” ჩართო.

ფაქტია, რომ კორიდეტის უნიკალური ხელნაწერის არსებობა ქართველ მკითხველებს ადგილობრივ რუსულ პრესაზე დაყრდნობით პირველად „დროებამ” 1875 წელს აუწყა.

2. „კორიდეტის”, როგორც ტოპონიმის, ლოკალიზაცია და იდენტიფიკაცია დიმიტრი ბაქრაძემ შეძლო. თუ როდის და რა გზით, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არაა (მდრ. 56:9-10), რადგან მკვლევრებს ყურადღება არ მიუქცევიათ დ.ბაქრაძის „დროებისული” კორესპონდენციისათვის — „ბათუმის მაზრა” (1880, N 74, 78, 80, 82), რომელშიც გადმოცემულია 1879 წლის შემოდგომაზე საქართველოს ახალშემოერთებულ ნაწილში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი და საყურადღებოა მეცნიერული თვალსაზრისითაც. იქ გახაზულია „ჭემმარიტი გეოგრაფიული ნომენკლატურის” ანუ ტოპონიმის მნიშვნელობა. მაგალითად დასახელებულია ბროსეს მიერ შესწავლილ ხელნაწერში არაერთგზის დამონმებული ტოპონიმის — „კორიდეტის” — იდენტიფიკაციის პრობლემა.

დ.ბაქრაძე გვამცნობს: „მურღულის ხეობის სოფლების სიაში მე ვიპოვე სახელი სოფლის კორიდეტისა... შევადარე რა [კორიდეტის] სახარებაში ზედწარწერილებში მოხსენიებული სახელი კარიდეტი და სხვა ადგილი ჩემს სიაში მოხსენიებულ სახელებს, დავრწმუნდი,

რომ ის სახარება ეკუთვნოდა კარილეტის(!) („კორიდეთის“, ნ.პ.) მონასტერს მურულუში” („დროება“, 1880, 10.IV, N78).

ასე რომ, დ.ბაქრაძემ 1879 წელს გაარკვია: „კორიდეთი“, სადაც, თუ თავიდანვე არა, XI-XIII სს-ში განხილული ხელნაწერი ინახებოდა, მდებარეობს ქუთაისის მარცხენა შენაკადის — მურულულის — ხეობაში, ართვინის რაიონში, ძანძულის თემში, რომელიც ახლა თურქეთის შემადგენლობაშია.<sup>32</sup>

### **3.3. მინიატურული სახარება და გერგების სამეზის ხელნაწერი**

ხელმონერით „ა.კ.“ „დროებაში” (1880, 19.I, N14) გამოქვეყნდა 1880 წლის 4 იანვრით დათარიღებული კორესპონდენცია „ყაზბეგი ანუ სტეფანწმინდა”. ავტორის ვინაობა გაურკვეველია. არ ვიცით, „ა.კ.“ კრიპტონიმი თუ ფსევდონიმი, ე.ი. ფსევდონიმიციალი, თუმცა ამ ინიციალით XIX ს-ის პერიოდიკაში რამდენიმე კორესპონდენციაა წარმოდგენილი.

სტატია გამოირჩევა საქმის ცოდნით და განათლებით. საუბარია ხევის ეკონომიკურ-სოციალურ და საგანმანათლებლო პრობლემებზე, წარსულის ნაშთებზე, რომელთაგან ავტორი მოიხსენიებს ორს: სახარებას და წმ. სამეზის „ძველ ხელნაწერს”.

პირველი ძეგლის შესახებ ნათქვამია: ეკუთვნის გენერალ-მაიორის, მიხეილ ყაზბეგის, ქვრივს — კნეინა ელისაბედს. ესაა მინიატურული სახარება; „პერგამენტზე;” მოჭედილი ვერცხლით; შემკული ზურმუხტით და იაგუნდით (ლალით); უკანა გვერდზე გამოსახულია ჯვარცმა, ღვთისმშობელი და მარიამ მაგდალინელი; „სიგანე არის ერთ ვერშოკ ნახევარი და სიგრძე ორი ვერშოკი”; ნაწერია ორ სვეტად; გვერდზე 18 სტრიქონია; ხელი ერთია; აქვს ვარაყის აშია; გა-

---

<sup>32</sup> იხ. ჩვენი ნარკვევი: ნ. პაპუაშვილი, ახალი აღთქმა და მისი ქართული თარგმანი, თბ., 2007, გვ. 57-60, 233-235.

დანერილია კათალიკოს დომენტის ბრძანებით 1714 წელს; გადამწერი — „მაცხოვრებელი“. იქვე მოტანილია ნაწყვეტები დამკვეთისა და გადამწერის ანდერძებიდან.

იდენტიფიკაცია ადვილად მოხერხდა: იგი დაცულია კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში შიფრით A 1097. ჩვენ გავეცანით ხელნაწერს და აღმოჩნდა, რომ „დროების“ ინფორმაცია სწორია ორი დეტალის გარდა: 1) ხელნაწერი შესრულებულია არა ეტრატზე, არამედ კარგად დამუშავებულ ქალაღზე; 2) გადამწერის სახელია „მახარებელი“ („მაცხოვრებელი“ ან მცდარად ამოკითხვის შედეგია, ან კორექტურა). ესაა XVIII ს-ის ცნობილი კალიგრაფი — მღვდელი მახარებელი, რომელიც მოღვაწეობდა კათალიკოს-პატრიარქ დომენტის კარზე.

მინიატურული სახარება მაღალი ხელოვნების ნიმუშია. ამის მიუხედავად საგანგებოდ შესწავლილი არაა. ცნობები მისი ადრინდელი დაცულობის, მფლობელისა და საეკლესიო მუზეუმისათვის გადაცემის შესახებ სარეგისტრაციო დავთარში არ შემონახულა.

„კნენა ელისაბედი“ არის ცნობილი მწერლისა და კულტურის მოღვაწის ალექსანდრე ყაზბეგის დედა — ელისაბედ ესტატეს ასული თარხნიშვილი (შინაურულად — კეკე) (130:34-35), რომელსაც ქმარი მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგი 1866 წელს გარდაეცვალა და მას „ღენერალ-მაიორის ქვრივად“ იხსენიებდნენ. ელისაბედი სამეფო ოჯახის შთამომავალი იყო — ბატონიშვილ სოფიოს შვილიშვილი. საფიქრებელია, რომ მას მზითევად ძვირფასი ხელნაწერები ერგო და მათ შორის შთამომავლობით უფლისწულის, კათალიკოს დომენტის, ნაქონი სახარება.

ალ.ყაზბეგის მშობლებს, განათლებულებს და მწიგნობრებს, მდიდარი ბიბლიოთეკა უნდა ჰქონოდათ. სხვადასხვა წყაროდან ცნობილია ელისაბედის, ღრმადმორწმუნისა და რელიგიური პოეზიით შთაგონებულის, საღმრთო წერილით გატაცება, მეტადრე — სახარებით

და დავითნით. სავარაუდოა, რომ მათი საოჯახო წიგნის თაროზე ძველი ხელნაწერებიც ეწყობო, მაგრამ ცნობები და დოკუმენტები არ შემონახულა. თუ გავითვალისწინებთ ალექსანდრე ყაზბეგის რელიგიურ-თეოლოგიურ ინტერესებს, უნდა დაფიქსირდეთ, რომ მან დედის აღსასრულისა და დაკრძალვის (1888 წლის 26 ივნისის) შემდეგ მინიატურული სახარება თბილისში ჩამოიტანა. საეკლესიო მუზეუმს იგი მოგვიანებით გადაეცა, რის საბუთად ის გარემოებაც გამოგვადგება, რომ საინვენტარო ნომერი არის დიდი (ხელნაწერი რომ 1893 წლამდე, ა. ყაზბეგის გარდაცვალებამდე, შესულიყო მუზეუმში, პატარა ციფრით დაინომრებოდა). ეს ვარაუდი გამართლდა: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერმა თანამშრომელმა ლევან თაქთაქიშვილმა 1998 წელს მოიძია საარქივო მასალები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ მინიატურული სახარება ა. ყაზბეგს ქმნევისისათვის 1890 წლის 4 სექტემბრამდე (ახლო ხანს) 30 მანეთად მიუყიდა. საინვენტარო წიგნში (რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული) იგი 1346-ენომრით გაუტარებიათ (მომდევნო ნომრით დაცული ხელნაწერი გრიგოლ გურიელს სწორედ 1890 წლის 4 სექტემბერს შეუწირავს). ამავე საინვენტარო წიგნზე დაყრდნობით მტკიცდება, რომ ეს ხელნაწერი „საზოგადოების“ მუზეუმში მხოლოდ ექვს წელიწადს დარჩა. 1996 წელს იგი ალ. ყაზბეგის ბიძას, გიორგი ყაზბეგს, გამოუსყიდა.<sup>33</sup>

ხსენებულ დავთარში №1346-ის გასწვრივ ასეთი მინაწერია: „არ არის. ა. ყაზბეგის დედისეულია“. ეს მინაწერი, ცხადია, შესრულებულია 30 მანეთად შექმნილი ხელნაწერის მუზეუმიდან გატანის შემდეგ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სეიფების გამგის ქ-ნ ლამარა ქაჯაიას დაკვირვებით, ამ მინაწერის ავტორია ამავე ინსტიტუტის განსვენებული თანამშრომელი ლილი ქუთათელაძე. მაშასადამე,

---

<sup>33</sup> ბ-ნ ლევან თაქთაქიშვილს ამ ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვასხენებთ.

ამ ხელნაწერის ადრინდელი მფლობელის ვინაობა სპეციალისტთა წრეში ცნობილი ყოფილა, რაც A ფონდის „აღწერილობაში“, სადაც ეს ხელნაწერი ამჟამად ინახება, რატომღაც არ აისახა.

A ფონდის საინვენტარო წიგნით ირკვევა, რომ ალექსანდრე ყაზბეგისეული სახარება გიორგი ყაზბეგმა 1920 წლის 18 ივნისს საეკლესიო მუზეუმს მიჰყიდა. ეს ფაქტი ამ ფონდის ძველ დავთარში 1135-ე ნომრის ქვეშაა დაფიქსირებული, რაც ნიშნავს, რომ გ. ყაზბეგისაგან შეძენილი ნუსხა მუზეუმში მითითებული ნომრით შევიდა, მაგრამ ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების განცალკევების შემდეგ ის ხელნაწერების კოლექციაში 1097-ე ნომრით განათავსეს.

მეორე ძეგლი — სამეზბის „ძველი ხელნაწერი“ — კორესპონდენტს არ უნახავს და, ჩანს, არც ინფორმატორებმა იცოდნენ ბევრი რამ მის შესახებ.

ეს უნდა იყოს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ძეგლი, ეტრატის ხელნაწერი — „გერგეტის სამეზბის სულთა მატიანე“ (A 1085. XV-XVIII სს.). მისი მიკვლევისა და ხევიდან გამოტანის დეტალები დაზუსტებული არაა. იგი პირველად თ. ჟორდანიამ შეისწავლა და ისტორიული ცნობები ჩართო „ქრონიკების...“ მე-2 ტომში, რომელიც 1897 წელს დაიბეჭდა (გვ. 25, 203, 206, 245, 303, 517). მას მკვლევარი „ჩვენგან პოვნილს“ უწოდებს (გვ. 203). ქ. შარაშიძე, რომელმაც აღწერა და გამოიკვლია ეს ძეგლი, ვარაუდობს: „გერგეტის სულთა მატიანე“ თ. ჟორდანიამ 1897 წლის ახლო ხანებში ადგილზე, ხევში, გერგეტის სამეზბის ტაძარში, ნახა და თან წამოიღო. შემდეგ იგი მოხვედრილა კახეთში, საიდანაც დიმიტრი დეკანოზიშვილს ჩამოუტანია და გადაუცია მ. ჯანაშვილისათვის, რომელსაც საეკლესიო მუზეუმში დაუბინავებია (135:220-221).

თუ ჩვენი ვარაუდი სამეზბის „ძველი ხელნაწერისა“ და სამეზბის „სულთა მატიანის“ გაიგივების შესახებ სწორია, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სწორედ „ა. კ.“-ს კორესპონდენციამ აღუძრა თ. ჟორდანიას ინტერესი, საკუთარი თვალთ ეხილა და შეესწავლა 1880 წელს გერგეტის

სამებაში დაცული ხელნაწერი.

ვინ უნდა ყოფილიყო კორესპონდენტი „ა.კ.“-ს ინფორმატორი? ჩვენი ყურადღება უნებლიეთ მიიპყრო იმავე წელს ალ.მოჩხუბარიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებულმა ფელეტონმა „მოხევეები და მათი ცხოვრება“ („დროება“, 1880, NN 156, 157, 158, 159, 161, 164, 167, 169, 174, 177). ესაა ალ. ყაზბეგის ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია, რაც საყურადღებოა მრავალი ასპექტით. იგი ენათესავება „ა.კ.“-ს კორესპონდენციას ხევის პრობლემატიკასთან, მეტადრე მღვდლებისა და ბლალორჩინების საქმიანობასთან დამოკიდებულებაში. ორივეგან აღნიშნული და დაგმობილია დეკანოზთა მიერ გადამალული განძის ბლალორჩინებისაგან გატაცებისა და წმ. სამების „ძველისაგან ძველი მხატვრობის შედეგის“, ე.ი. გათეთრების ფაქტები. შესაძლებელია ორი ვარაუდის დაშვება: 1. გაზ. „დროების“ კორესპონდენტი თავადაა ალ.ყაზბეგი და, მაშასადამე, „ა.კ.“ ფსევდონიმიციალია, ან-და 2. ალ.ყაზბეგი მშობლიურ მხარეში თან ახლდა „დროების“ წარმომადგენელს და ინფორმატორის მოვალეობას ასრულებდა. ვფიქრობთ, საგანგებო კვლევა-ძიება, რაც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის სფეროა, სიმართლეს დაადგენს.

### 3.4. აკაკის გულსაკიდი სახარება

აკაკი წერეთელი ქრისტიანული მწერლობის რიგიანი მცოდნე იყო (71: 152, 154, 158, ლიტერატურა იხ. იქვე). იგი რელიგიურ ლიტერატურას დედნებშიც კითხულობდა. რამდენიმე ხელნაწერი მის პირად ბიბლიოთეკას დღესაც ამშვენებს (100:114). „დროების“ მონაცემების თანახმად აკაკის 1. შეუკრებია ცნობები ზურაბ წერეთლის ბიბლიოთეკაზე (შდრ. გვ. 89); 2. შეუდგენია ნ.დადიანის წიგნსაცავის კატალოგი (გვ. 81-82); 3. შეუძენია მინიატურული სახარება და გიორგი XII-ის ნაქონი ლოცვანი (1884, 19.XI, N 202) (182:84).

ჩვენი მიზანი აღნიშნული ხელნაწერების ძიებაა.

„დროებაში“ გვხვდება „სხვიტორელის“ ანუ დავით წერეთლის (114:44), აკაკის ძმის, სტაგია „არხეოლოგიური სახარება“ (1875, 7.XI, N127), რომელიც დათარიღებულია ი/წ 4 ნომბრით და გამოგზავნილია საჩხერიდან. იქ ნათქვამია: ვნახე „გულსაკიდი პატარა სახარება... რომელიც არის დაწერილი ქართული ხუცური ასოებით ეტრატზედ ... სიგრძით ორი ვერშოკია, სიგანით ერთნახევარი ვერშოკი და სისქე აქვს ერთი ვერშოკი. ხელი მშვენიერი და სწორი... ასოები ისეთი მცირე, რომ ძლიერ გამჭრიახი თვალი უნდა ჰქონდეს წამკითხველს და ფრიად განვითარებული იყოს სამღვთო წერილში, რომ ლიტონის თვალთ წაიკითხოს ... არის დაწერილი პირველად მგალობელის და შემდეგში თბილისის სიონში მყოფი მღვდლის პავლესაგან ქრისტეს აქეთ უკა-ს წელსა (421)“.

ამ შთაბეჭდილებაზე („ქრისტეს აქეთ 421“) დაყრდნობით ავტორი თითქოს აქარწყლებს თეორიას ქართული ანბანის მესროპ-მამტოცის სახელთან დაკავშირების შესახებ; იზიარებს იმდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომ მხედრული ანუ „სამოქალაქო ანბანი“ შეადგინა ფარნავაზ მეფემ 320 წელს (ძვ.წ.); ფიქრობს, რომ „ხუცური ასოები უნდა გვქონოდა უწინარეს სამოქალაქო ანბანისა...“; მათ „საიდუმლოდ ინახავდნენ კერპთმსახური ქურუმები“. წარმართობისდროინდელი ქართული ლიტერატურის მოუღწევლობას იგი სამღვდელოებას აბრალებს.

„სხვიტორელი“ განაგრძობს: მინიატურული სახარების ანდერძში თბილისი არ არის მოხსენიებული ქალაქად; „პავლე მღვდელი არ სწერს თფილისის ქალაქის ანუ სიონის სობორში მყოფმა მღვდელმა, არამედ — თფილისის სიონში მყოფმაო“. დასკვნა ასეთია: თბილისში ვახტანგ გორგასლამდეც იყო დასახლება და ბაზილიკა, სადაც შეიქმნა ეს ხელნაწერიო.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ინფორმაცია აკაკი წერეთლის მიერ



1884 წელს მინიატურული სახარებისა და ლოცვანის შექმნაზე. ანონიმი ავტორი ყურადღებას პირველ ხელნაწერზე ამახვილებს და აღნიშნავს, იგი „ამ დღეებში ვნახეთო“. აქვე გვთავაზობს მოკლე აღწერილობას, რაც ცხადყოფს: აკაკის შეუქმნია ხელნაწერი, რომელიც „სხვიტორელმა“ ცხრა წლის წინათ საჩხერეში ნახა.

ჩანს, ამ ინფორმაციის ავტორისათვის ცნობილია „სხვიტორელი-სეული“ დათარიღება. „ზედნანერა, აღნიშნავს იგი, ზოგიერთს აფიქრებინებს, რომ სახარება მეხუთე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს... ჩვენის აზრით, ეს სახარება 1733 წელს უნდა იყოს გადაწერილი“. როგორც ვხედავთ, თარიღი — „ქრისტეს აქეთ უკა“ — ანონიმი ინფორმატორს ქორონიკის მიხედვით გაუშიფრავს ( $1312+421=1733$ ).

საარქივო მასალებითაც დასტურდება, რომ აკ. წერეთელს მართლაც ჰქონდა მინიატურული სახარება, რომელიც 1884 წლის 27 სექტემბერს შესთავაზა ქმნკგს-ს, მაგრამ მისი შესყიდვა ვერ მოხერხდა, — „გამგეობამ ფასი იუცხოვა“ (41:340,377). 1901 წელს მფლობელმა ეს ხელნაწერი შესწირა საეკლესიო მუზეუმს, რაც საზოგადოებას „ცნობის ფურცელმა“ აუწყა (1901, 4.VIII, N 1544).

სად შეიძინა აკაკიმ მინიატურული სახარება? პასუხს გვაძლევს მისივე წერილი „ძველი ნაშთები“ (1911 წ.)<sup>34</sup>, სადაც ნათქვამია: საეკლესიო ნივთების აუქციონზე „შევიძინე ის სახარება, ხელნაწერი, რომელიც ყოვლადსამღვდელომ კირიონმა შეიტანა საეკლესიო მუზეუმში“. იგულისხმება 1884 წლის სექტემბერი, როდესაც, ამავე წერილის თანახმად, თბილისში, სინოდის კანტორის შენობაში, გაიმართა ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანილი ნივთების გაყიდვა. უნდა ვიფიქროთ, რომ 1875 წელს, დავით წერეთლის ინფორმაციის გამოქვეყნების დროს, მინიატურული სახარება საჩხერის ეკლესიაში ინახებოდა და შემდეგ ჩამოიტანეს თბილისში ეგზარქოსის ცნობილი დად-

<sup>34</sup> ავტოგრაფი: ხელნაწერთა ინსტიტუტი, ა.წერეთლის პირადი საარქივო ფონდი, N 338, ფ. 4.

გენილების ძალით. შესაძლებელია, იმავე აუქციონზე შეიძინა აკაკიმ მეორე ხელნაწერიც — ლოცვანი.

ეს სახარება სწორედ საეკლესიო მუზეუმის ფონდში აღმოჩნდა (728). გადამწერის ანდერძი მოთავსებულია 216 V-ზე. რეგისტრაციის დავთარსა და, შესაბამისად, აღწერილობაში არც ადრინდელი მფლობელი და შემწირველი — აკაკი წერეთელი და არც მუზეუმში მისი შემტანი — ეპისკოპოს კირიონი — მოხსენიებული არ არის. გიორგი მეთორმეტისეული ლოცვანის იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა.

### **3.5. რამდენიმე ახალი ცნობა „სვანეთის სულთა მატიანის“ შესახებ**

“სვანეთის სულთა მატიანე” შემორჩენილია სამი ტყავის გრაგნილით. დღემდე ცნობილი იყო პეტერბურგში დაცული გრაგნილის წარმომავლობა. ვიცოდით, რომ იგი დიმიტრი ბაქრაძეს სვანეთიდან ბოქაულმა გამოუგზავნა. ამჯერად სამივე გრაგნილის ადრინდელი დაცულობის კონკრეტული ადგილი, მათი სვანეთიდან ჩამოტანის, სიძველეთსაცავებში დაბინავებისა და ლიტერატურაში მოხსენიების ზოგიერთი აქამდე შეუნიშნავი დეტალი ზუსტდება.

\* \* \*

სვანეთის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ძეგლებმა განათლებული საზოგადოების ყურადღება ადრევე მიიპყრო. მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად თანამედრობის პირები იქიდან ხელნაწერების გატანას ახერხებდნენ, რაზეც მოგვითხრობს „დროების“ კორესპონდენტი ლაზარე დადვანი წერილში „დროების“ რედაქტორს, რომელიც გამოგზავნილია სოფ. ბეჩოდან 1876 წლის 29 ივნისს.

„... 1866 წელში, როდესაც აქ, სვანეთში, პრისტავათ იყო უფ. ილია მაცოვი, მან წაიღო ერთი აქაური ეკლესიიდან სამი დიდი ტყავის ქალა-

დი. ახლა ვილაცასაგან გავიგონე, რომ უფ. მამაცოვი გარდაიცვალაო და ვთხოვ იმ პირთ, რომლებიც მის ოჯახობას იცნობენ, მოაძებნინონ ეს ქალაქები და სადაც რიგი არის, იქ წარადგინონ.

ამ ეტრატებში სწერია შემდეგი: საიდგან მოვიდნენ ან როდის სვანები? რა იყო მათი გადმოსახლების მიზეზი? რა სარწმუნოებისა იყვნენ სვანები, როდესაც ისინი დაესახლენ სვანეთში? საიდგან წარმოსდგენ მთელი სვანეთის გვარები? ვინ იყვნენ მათში გლეხნი, თავადნი და აზნაურები? საიდგან მოვიდნენ ან როდის თავადები დადიშკელიანები? რაგვარი მმართველობა იყო თავდაპირველად სვანეთში? რა იყო მათი პირველი მუშაობა? ხვნა, თესვა, ნადირობა და სხვა ქვეყნებში საჩუბრათ გამგზავრება? თითო საზოგადოებაში რამდენი მცხოვრები იყო? ...

აქ აინერებიან უმთავრესი ჩხუბნი და ჟამიანობანი... როგორც მახსოვს, იმ ეტრატში სწერია, რომ თუ ვინმე რამე ცუდს წარმოთქვამდა, ენას ამოსჭრიდნენ, ეკლესიიდგან თუ რამეს მოიპარავდა, თვალებს ამოსჭრიდნენ... კაცს თუ მოჰკლავდა, ხან მდულარე წყალში ჩააგდებდნენ და ხან გახურებულ რკინაზე დააჯენდნენ. კუდიანს გახურებულ შანით დასწავდნენ საჯდომს, კატის მკვლელს შამფურს გაუყრიდნენ გულში და სხვ.

ანერილი არის იმაში ეგვიპტელების და სკვითების ჩხუბი ერთს დიდს მინდორში, მაგრამ კარგათ არ ვიცი, თვითონ სვანეთში თუ მის მახლობელ ადგილებში და ვისი მხარე ეჭირათ სვანებს ამ ჩხუბის დროს...

იმედია, უფ. რედაქტორო... მიიღებთ თავის თავზე შრომას და ზოგიერთ პირსაც ეტყვიით და ეცდებით მის მოძებნას.

ამისთანები სვანეთის ეკლესიებში ბევრი იპოება, მაგრამ რადგანაც ზოგიერთს პირებს ამნაირათ მიაქვსთ და ჰკარგავენ, სვანები დაშინდნენ და აღარავის აღარ უჩვენებენ... ეს ეტრატები არიან დანერვილი მშვენიერს ძველს ქართულს ენაზედ და საკვირველი დიდებიც არიან. ასე რომ, თითო ძლივს გაიშლება მცირე ოთახში..." (1876, 18.VII, N74).

კორესპონდენციით დაინტერესდა რედაქცია და მკითხველებს აცნობა:

"ჩვენ შევიტყვეთ, რომ ის ეტრატი, რომელზედაც ჩვენი სვანელი კორესპონდენტი უფ. ლ.დადუანი გვწერდა ამას წინათ, ამჟამად პეტერბურლის სამეცნიერო აკადემიაში არისო. სვანეთის ადრინდელ პრისტავს, მიცვალებულ ი.ქ. მამაცოვს უფ. დ.ზ.ბაქრაძისთვის გადაუცია, რომელსაც ის გაურკვევია. იმისი გარკვევა აკადემიაში იბეჭდება და თვით ეტრატი, აკადემიის თხოვნით, სსენებულ აკადემიაში გაუგზავნია. მაშასადამე, ეტრატი დაკარგული არ არის. უფ. დ.ზ. ბაქრაძემ დაგვპირდა ჩვენ, რომ შენიშვნას გამოგვიგზავნის იმ ეტრატის შესახებ" (1876, 1.IX, N93).

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ლ.დადვანის ინფორმაციაში ლაპარაკია არა ეტრატზე, არამედ ეტრატებზე. ამიტომაც ბუნებ-

რივია უკმარისობის ის გრძნობა, რასაც რედაქციის განცხადება ბადებს, რადგან გაურკვეველი რჩება დანარჩენი ორი ეტრატის ბედი. უნდა ვიფიქროთ, რომ დ. ბაქრაძეს ი.მამაცაშვილმა გაუგზავნა მხოლოდ ერთი გრაგნილი. რაც შეეხება დაპირებას, — დ.ბაქრაძე ამ საკითხზე „შენიშვნას“ გამოაქვეყნებსო, ამგვარი რამ ჩვენ „დროებაში“ ვერ დავადასტურეთ. ჩანს, დ.ბაქრაძე დაკმაყოფილდა იმ ახსნა-განმარტებით, რომელიც დაურთო შენიშვნებს ა.ი. სტოიანოვის შრომაზე „სვანეთში მოგზაურობა“ (205:191).

სახალხო განათლების მოღვაწემ ა.ი. სტოიანოვმა ზემო სვანეთში ეთნოგრაფიული მიზნით მოგზაურობის დროს, მისივე მინიშნებით, 1874 წლის ზაფხულში, ძველ ხელნაწერებზეც გაამახვილა ყურადღება და გვამცნო შემდეგი:

29 ივნისს ეცერის საზოგადოებაში ყოფნისას, ქურაშის ეკლესიის დათვალიერების შემდეგ, „После обеда мы отправились в Лантели осматривать тамошнюю башню с надеждою найти в ней какие-нибудь древние рукописи... в этой башне хранилось много рукописей и драгоценностей...“

Рукописи были забраны и где они теперь — неизвестно. Таинственный голос народа говорит, что в этих рукописях были указаны старинные права на земли некоторых эцерских крестьян, бывших некогда свободными землевладельцами. Мне говорили, что там была рукопись XIII или XIV века, заключающая в себе договоры, решения общинных судов и постановления древнего сванетского республиканского совета. Рассказывают, что эту рукопись увез с собою г. Мамацев, бывший приставом в Сванетии. В гПутешествии” г. Радде выписаны старые сванетские имена из годной рукописи на пергаменте, бывшей некогда собственностью церкви и хранящейся теперь у сванетского пристава”. В 121 N гКавказа” за 1872 г. есть статья гЗаметки о Сванети” Ильи Мамацева. Из этой статейки,

трактующей в конце о древнем сванетском суде, о заседаниях старого республиканского совета и приводящей древние цены за кровь, очевидно, что автор пользовался сведениями, нигде еще не напечатанными. Предполагаю, что автор или тот самый г. Мамацев, что был приставом в Сванети, или его родственник. Во всяком случае он имел в руках упомянутую рукопись. Обращаюсь к нему с покорнейшею просьбою обнародовать имеющуюся у него рукопись или передать ее в Тифлисскую публичную библиотеку. За это ему будут гораздо более признательны все, интересующиеся Сванетиею, чем за печатание статей, в роде вышеупомянутой, переполненной самыми грубыми ошибками”(205:322-323).

ამრიგად, ილია მამაცაშვილის სვანეთში ბოქაულობის დროს, XIX ს-ის 60-იანი წლების პირველ ნახევარში, სოფ. ლანტელის კოშკიდან (ეცერის საზოგადოება) გაუტანიათ, შესაძლებელია, თვით მამაცაშვილის განკარგულებით, ხელნაწერები. „ხალხში მოარულ ხმას” (“Тайнственный голос народа”) თუ დაუფუჯრებთ, მათ ფურცლებზე აღნიშნული ყოფილა ზოგიერთი ეცერელი გლეხის, ოდესღაც თავისუფალი მინათმესაკუთრის, ძველი უფლება მინაზე... ა.ი. სტოანოვი ამ ინფორმაციას დაუინტერესებია და ეს ხელნაწერი ინტუიციით გ.ი. რადეს მიერ ნასარგებლებ პერგამენტის ხელნაწერთან გაუიგივებია, აგრეთვე იმ დოკუმენტებთან, რომლებიც გამოუყენებია ილია მამაცაშვილს სტატიის სვანეთის ძველ სამართალზე.

დ.ბაქრაძემ აღნიშნა:

“О судьбе этой рукописи вот, что можно сказать. Она была передана мне покойным Мамацовым и я поместил её краткий анализ в Приложениях моей монографии “Чурук-су, Адчара и Гурия”, ныне печатаемой Императорской Академией наук. Академия была ею заинтересована и выразила желание иметь её. Она ныне в руках ее и, как мне сообщают, академик Броссе

готовит об ней статью. Упомянутая рукопись ничто иное, как пергаментный свиток в 5 аршин длины, заключающий в себе, на грузинском языке, перечисление множества сванетских фамилий по поводу приношений, делаемых ими церквам в поминовение умерших и живущих их членов. Это так называемые Грузинские агапы или, как сам свиток именует, მარტიანე. В нем фамилии группируются по общинам: Ецери, Лалавери, Квемо-Лалавери, Монастери и Земо-Ушкули. Некоторые из его фамилий суть: Милдани, Ручегиани, Дадишкелиани и пр. Слово Дадишкелиани пишется различно: დადიშგელიანი, დადიშქელიანი и დადიშქელიანი. Неизвестно, к какому веку относится этот свиток”(191: # 80).

დ.ბაქრაძის მონოგრაფიის „Археологическое путешествие по Гурии и Аджарии“ (СПб., 1878, с. 197-200) მე-3 დანართი დღემდე პირველ ცნობად ითვლებოდა სვანეთის საალაპე გრაგნილზე — P 13.

მოამზადა თუ არა მ.ბროსემ სპეციალური სტატია, ცნობილი არაა. ფაქტია, რომ ეს ხელნაწერი 1894 წელს უკვე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საკუთრებად ითვლებოდა. იქ იგი უნახავს ჟურნ. „კვალის“ თანამშრომელს „თ.ს.“-ს, — თედო სახოკიას (99).

უდავოა, რომ ლ.დადვანი და ა.ი. სტოიანოვი საუბრობენ ერთი და იმავე დოკუმენტის შესახებ, ოღონდ პირველს, ჩანს, საკუთარი თვალთ უნახავს იგი კორესპონდენციის გამოქვეყნებამდე 10 წლის წინათ, 1866 წლამდე, მეორეს კი ერთ დროს ლანტელის კომპი დაცული ხელნაწერების შინაარსზე წარმოდგენა შეუქმნია ადგილობრივი ინფორმატორების მეშვეობით.

რადგან დ.ბაქრაძის მიერ აღწერილი და ნაწილობრივ გამოქვეყნებული ხელნაწერი გრაგნილის ამჟამინდელი დაცულობა გარკვეულია, დანარჩენი ორის — ლ.დადვანის მიერ მასთან ერთად მოხსენიებულის — იდენტიფიკაციის პრობლემაც გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამ გრაგნილის დანარჩენ ორთან ტექსტოლოგიური

მიმართების საკითხები დღეისათვის დამუშავებულია (61:94).

ასე რომ, საისტორიო წერილობითი ძეგლი, რომელიც ოდესღაც უნახავს XIX ს-ის სვან ჟურნალისტს, უდრის ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ „სვანეთის სულთა მატთანეს“ (ე.თაყაიშვილი) ანუ „მატიანე სვანეთისა კრებისაჲს“ (პ.ინგოროყვა), რომლის დედანი სწორედ „სამი დიდი ტყავის ქალაღდითა“ ჩვენამდე მოღწეული. ესენია: ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2401, Q 267 და ზემომითითებული P 13.

ესადაგება თუ არა ა.სტოანოვის ცნობა ტექსტის შინაარსს?

„სვანეთის სულთა მატთანე“ მოიცავს ზემო სვანეთის სხვადასხვა „წვეის“ საეკლესიო კრებათა დადგენილებებს, — მოსახსენებლებს ანუ აღაპებს და ბუნებრივია, რომ ადგილობრივი მკითხველების მეხსიერებაში ამოტივტივდა ცნებები: „სვანეთის ძველი თემი“, „სასამართლო“, „დადგენილებები“, რაც რუსმა სწავლულმა თავის ქრონიკაში ასე დააფიქსირა: „...Заключавшая в себе договоры, решения общинных судов и постановления древнего сванетского республиканского совета“.

1864 წლის ზაფხულზე გუსტავ რადე სწორედ ამ ძეგლს გაეცნო, რასაც მისი „ძველი სვანური სახელების“ სია გვაფიქრებინებს:

მამაკაცებისა: Альп, Пилосань, Кики, Табуга, Неке, Бебе, Пуртухь, Индо, Петкунь, Дуда, Гуа, Бесси, Тохто, Чавахь, Шалва, Муштила, Лула, Нуаг, Сурам.

ქალებისა: Гурнана, Аджалар, Халине, Алтуина, Хатута, Натела, Твалшави, Русудань, Тамара”(204:120-121).

ზოგი: თაბუგა, ბებე, ინდო, მუშტილა, თვალშავი, რუსუდანი და ვადასტურეთ მხოლოდ H 2401 და Q 267 გრაგნილებში; გუა, ბესი, ალტვინა, ხატულა — P 13-ში. უმრავლესობა კი — სამივეში. ასე რომ, რადეს მიერ მითითებული ხელნაწერი, ოდესღაც ეკლესიის საკუთრებად რომ ითვლებოდა, გულისხმობს „სულთა მატთანის“ სამივე გრაგნილს. საფიქრებელია, რომ ამ გრაგნილებს, ერთად დაწყობილს და, შესაძლებელია, ერთმანეთში არეულსაც კი, გარეშე და შემთხვე-

ვითი თვალი ერთ ხელნაწერად აღიქვამდა.

გ.ი. რადეს ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია დავა-ზუსტოთ ერთი დეტალი: ბოქაულ მამაცაშვილს ლანტელის კოშკი-დან „სამი დიდი ტყავის ქალაღი“ გაუტანია 1864 წლის ზაფხულამდე. დ.ბაქრაძის სიტყვები: „Несколько лет тому назад присланный мне из Сванетии бывшим сванетским приставом Мамацовым“ გვაფიქრებინებს, რომ ი.მამაცაშვილმა სამი გრაგნილიდან ერთი ბოქაულობის დროს გამოგზავნა თბილისში. ჩვენ ვერ მოვახერხეთ მისი სვანეთში მოღვაწეობის წლების დაზუსტება, მაგრამ ცხადია: 1874 წლის ზაფხულში, სტოიანოვის მოგზაურობის დროს, იგი აღნიშნულ მოვალეობას აღარ ასრულებდა. არც 1872 წლის სტატიის ხელმოწერაში იკითხება მისი თანამდებობა, რაც მიგვანიშნებს, რომ ი.მამაცაშვილი იმ დროს უკვე სვანეთის ბოქაული აღარ იყო. შესაძლებელია, ლ.დადვანის განცხადება — მამაცოვმა 1866 წელს „ნაილო ერთი აქაური ეკლესიიდან სამი დიდი ტყავის ქალაღი“, — გულისხმობს ილია მამაცაშვილის მიერ იმა წელს თანამდებობის დატოვებას და დარჩენილი ორი გრაგნილითურთ სვანეთიდან გამგზავრებას. თუკი ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ დ.ბაქრაძემ გრაგნილი მიიღო 1864-1866 წლებს შორის.

შესაძლებელია ისიც დავუშვათ, რომ ი.ქ. მამაცაშვილს გრაგნილებიდან P 13 შემთხვევით არ შეურჩევია.

„მატიანე“ აერთიანებს სხვადასხვა ეპოქასა და ვითარებაში ჩამოყალიბებულ ორ სააღაპე წიგნს, რომლებიც ფორმითა და შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან (35:94-95). ძველი ტექსტი, გადანერილი დემეტრე ლოღელიანის ხელით, რომელშიც შემწირველთა და შემვედრებელთა სახელები დაჯგუფებულია ხეცების მიხედვით, ცნობილია „პირველ მატიანედ“<sup>35</sup>. ახალი ტექსტი — „მეორე მატიანე“

<sup>35</sup> გამოაქვეყნა პავლე ინგოროყვამ სათაურით: „მატიანე სვანეთისა კრებისაჲ“ (მე-13 საუკუნის მეორე ნახევრისა): პ.ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკ. II. ტექსტები, თბ., 1941, გვ. 117-160.



ნედ<sup>36</sup>. ვ.სილოგავას დაკვირვებით, „სვანურ მოსახსენიებელთა მეორე ტიპი... ე.წ. საოჯახო-საგვარეულო სულთა მატიანეებია. აქ პირები, რომელთა სახელზეც მოსახსენებლებია დადებული, გაერთიანებულია არა ჴევების, არამედ ცალკეული საგვარეულოების, სახლების ანუ ოჯახების მიხედვით”(102:249-250). სულთა მატიანის ეს ორი ვარიანტი თავდაპირველად წარმოდგენილი იქნებოდა ცალ-ცალკე. ვინ როდის გადააბა ისინი ერთმანეთს და გააერთიანა სამ გრაგნილად, გაურკვეველია. ცხადია ერთი: ამკინძავს მიზნად დაუსახავს პირველი და მეორე მატიანის შემცველი კეფების დაჯგუფება. მართლაც: H 2401 და Q 267 უმთავრესად პირველი მატიანის ტექსტს შეიცავს, P 13 კი — მეორისას. საფიქრებელია, რომ ტექსტოლოგიური, პალეოგრაფიული და შინაარსობლივი თვალსაზრისით ნიუანსურ სხვაობას, ერთის მხრივ, H 2401 და Q 267, და, მეორეს მხრივ, P 13-ს შორის ასე თუ ისე ამჩნევდნენ სვანი მკითხველები XIX საუკუნეშიც კი. მათ, მაგალითად, P 13 უნდა აღექვათ „სვანეთის სულთა მატიანის” ვარიანტად. თუკი ასეა, ილია მამაცაშვილს, ვფიქრობთ, ვინმე საქმეში გარკვეული კონსულტანტის რჩევის საფუძველზე ხსენებული „მატიანის” ან პირველი ვარიანტი უნდა გაეგზავნა დ.ბაქრაძისათვის, ან მეორე, ან ორივე. მას კი ამოურჩევია უმთავრესად საგვარეულო-საოჯახო მოსახსენიებელთა შემცველი გრაგნილი, P 13.

„სვანეთის სულთა მატიანის” გრაგნილთა ადრინდელი დაცულობის ლოკალიზაციაზე მიგვანიშნებს ა.ი. სტოიანოვი: მის თანახმად სვანებს ახსოვდათ, რომ სათემო კრებების დადგენილებათა შემცველი ხელნაწერები გაიტანეს ლანტელის კოშკიდან, რომელიც ეცერის თემში, ქურაშის ეკლესიის მახლობლად, ყოფილა აღმართული. აქ კი დასაზუსტებელია ერთი საკითხი: სტოიანოვმა თავად გამოთქვა ვარაუდი ამ ძეგლის გაიგივების თაობაზე იმ ხელნაწერთან,

<sup>36</sup> პირველად გამოაქვეყნა გ.გასვიანმა ე.თაყაიშვილის არქივში დაცული ასლის მიხედვით: „მაცნე”, ისტ., არქ. და ეთნოგრაფიის სერია, 1972, N2. გვ. 114-123; ხოლო დედნის მიხედვით — ვ.სილოგავამ (102:272-306).

რის შესახებაც გ.ი. რადე გვამცნობს: „Рукопись эта была некогда собственностью церкви, а теперь хранится у сванетского пристава”(204:120). მაგრამ ამ გარემოებას ანუ მითითებული გრაგნილის ადრინდელი დაცულობის შესახებ ერთგვარად განსხვავებულ ცნობას სტოანოვის იდენტიფიკაციისათვის ხელი არ შეუშლია. იგი, ვფიქრობთ, ითვალისწინებდა ფაქტს: სვანეთში ყოველი ხელნაწერი ამა თუ იმ ეკლესიის საკუთრებად ითვლებოდა მიუხედავად იმისა, თუ სად ინახებოდა იგი მოცემულ შემთხვევაში. მაგალითად: ადიშის ოთხთავი ამავე სახელით ცნობილი სოფლის მაცხოვრის ეკლესიის საკუთრებად ირიცხებოდა, თუმცა შემდეგ გადაუსვენებიათ თათაგ ქალდანის ხუთსართულიან კოშკში (176:112). საფიქრებელია, რომ ის „სამი დიდი ტყავის ქალაღიცი” რომელიც ეკლესიის, შესაძლებელია, ქურაშის საკუთრება ყოფილიყო.

ასე რომ, ლ.დადვანის ცნობა — მამაცაშვილმა „სამი დიდი ტყავის ქალაღი... წაიღო ერთი აქაური ეკლესიიდგან”, შეიძლება გავიგოთ ორგვარად: 1. სვანეთის ბოქაულმა მიითვისა ეცერის თემის ერთ-ერთი ეკლესიის საკუთრება, რომელიც იმხანად ლანტელის კოშკში ინახებოდა; 2. ლანტელის კოშკი, როგორც კომპლექსი, მოიცავდა ეკლესია-სამლოცველოსაც და ამან ზოგიერთს ათქმევინა: „სამი დიდი ტყავის ქალაღი” ადრე ეკლესიაში ინახებოდაო.

ჩანს, ი. მამაცაშვილმა ეტრატის იშვიათი გრაგნილის (P 13) სვანეთიდან გაგზავნის წინ იზრუნა ასლის გადაღებაზე. ასე უნდა შექმნილიყო ორი ხელნაწერი, რომელთა შესახებ ე.თაყაიშვილი ამბობს: „მეორე სვანური სულთა მათიანის დედანი ჩვენ არ გვინახავს, ხოლო მისი ორი ასლი, კოპიო გვაქვს ხელში. ერთი გადაწერილია ცნობილის კალიგრაფის ალექსი ბაქრაძის მიერ გასულს საუკუნის მეორე ნახევარში. მეორე არ ვიცით, ვისი გადაწერილია, მაგრამ ისიც მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს”(35:4). ეს ასლებია: ე.თაყაიშვილის ფონდისა (N 166) და H 2514. მათგან პირველის ფურცლები

მოკლებულია გადამწერის შესახებ რაიმე ცნობას. ვფიქრობთ, ე.თაყაიშვილი ალექსი ბაქრაძის მიერ შესრულებულ ნუსხად გულისხმობდა H 2514-ს, ვინაიდან, როგორც ამ ცხრაფურცლიანი ხელნაწერის აღწერილობა გვარწმუნებს, მის გარეკანზე მინერილი ყოფილა: „Сванетия священника А.Бакрадзе”<sup>37</sup>, რაც მიგვანიშნებს: მღვდელმა ალექსი ბაქრაძემ ეს ასლი სვანეთში გადაიღო. ალბათ მითითებული ასლების პალეოგრაფიული შედარება დაედო საფუძვლად უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომ მათი გადამწერი ერთი და იგივე პიროვნებაა (202:257), — ქართული ხელნაწერების მოამაგე ბერი ალექსი ბაქრაძე, რომელიც სწორედ XIX ს-ის 60-70-იან წლებში მოღვაწეობდა ზემო სვანეთში და, უნდა ვიფიქროთ, მაშინდელი ბოქაულის კონსულტანტის როლსაც ასრულებდა. 1864 წელს იგი მუშაობდა სვანეთის სიძველეთა აღწერაზე და, სავარაუდებელია, მანვე გაუმართა ხელი გ.ი. რადეს გრაგნილებიდან ონომასტიკური მასალის ამოკრეფის მხრივ. ალექსი ბაქრაძეს 1864 წლის ახლო ხანს, P 13-ის სვანეთიდან გატანამდე, ზემომითითებულ ორ ასლთაგან უნდა შეესრულებინა თაყაიშვილის ფონდისეული, რომელსაც, ჩვენი დაკვირვებით, პირველადობის ბეჭედი აზის და, ამდენად, H 2514-ის დედნად გვევლინება.

ქართულ ხელნაწერთა „აღწერილობებში” მითითებული არაა, თუ „სამი დიდი ტყავის ქალაღდაგან” ორმა (H 2401 და Q 267) რა გზით დაიდო ბინა შესაბამის ფონდებში<sup>38</sup>. მეტადრე უცნობია Q 267-ის ხელნაწერთა ფონდში მოხვედრის ისტორია. სავარაუდებელია, რომ იგი 1933-1934 წლებში შეიძინა სახელმწიფო მუზეუმმა და აღრიცხა იმხანად მოპოვებულ დოკუმენტებს შორის. H 2401-ის შესახებ კი ე.თაყაიშვილი გვამცნობს: „ეს ძეგლი შეეძინა განსვენებულს რაჟდენ დათეშიძეს და გადაეცა

<sup>37</sup> მოგვიანებით ეს დოკუმენტი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების (H კოლექცია) NN 2507-2522 ხელნაწერებთან ერთად აუკინძავთ, რამაც, სავარაუდებელია, შეინირა მისი გარეკანი ზემონარმოდგენილი წარწერით.

<sup>38</sup> შდრ.: ხელნაწერთა აღწერილობა, H, V, გვ. 276-277; Q, I, გვ. 273-277.

ქუთაისის მუზეუმისათვის. მუზეუმის გამგეს ბ-ნ ტრიფონ ჯაფარიძეს ჩვენ დროებით გამოვართვით და დავტოვეთ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში”(33:452). თუ ვიზრუნებთ, ლ.დადვანის მსგავსად, რომ 1866 წლის ახლო ხანს სვანეთიდან გატანილი ხელნაწერები ი.ქ. მამაცაშვილის გარდაცვალების შემდეგ მოექცა მისი მეუღლის მფლობელობაში, დასაშვებია: ჯერ რაჟდენ დათეშიძემ და შემდეგ სახელმწიფო მუზეუმმა ორივე გრაგნილი შეიძინეს XIX საუკუნის ამ მოხელის მემკვიდრეთაგან.

ამრიგად, „სვანეთის სულთა მატეანის” შესახებ ძველ პერიოდიკაში წარმოდგენილი ცნობები ცხადყფს, რომ გრაგნილები 1864 წლამდე ინახებოდა სოფ. ლანტელის კოშკში (ეცერის საზოგადოება, ქუერაშის ეკლესიის მახლობლად). ფაქტი, რომ ა.ი. სტოანოვის ყურამდე ასე თუ ისე სწორი ინფორმაცია მივიდა დაკარგული ხელნაწერის შინაარსის შესახებ, ადასტურებს: XIX ს-ის 60-იანი წლების სვანეთში კვლავ ცხოვრობდნენ წერილობითი ძეგლების მკითხველები.

### **3.6. ჰ.კარბელაშვილის ინფორმაციის კვალდაკვალ (ეპრატის ორი ხელნაწერის ისტორიისათვის)**

ამ ინფორმაციას<sup>39</sup>. შემოკლებით წარმოვადგენთ:

„ამას წინათ გორის მაზრის სოფ. ქვემოჭალაში ვიყავი. აქ ორი პატარა ეკლესიაა. ერთ მათგანში ...ძველი ხელნაწერი წიგნები შევნიშნე ... ერთი წიგნი პერგამენტზედ ნაწერია ... ეს წიგნი არის „სადღესასწაულო”; შესდგება ორი ნაწილისაგან; ერთში სულ „დაბადებიდამ” საკითხავებია, მეორეში „საგალობლები”. სულ 774 გვერდია. დაწერილია ძველი ხუცურით... ესხანდელ ხმარებულ „სადღესასწაულოსა” და მას შორის საზოგადო არა არის რა: საკითხავები მეტია, საგალობლები სულ სხვაა, სხვა ტიპიკონზე აგებული და ლექსებიც კი არის. მაგ. „ნათლის ლებაზედ” ერთი გრძელი ლექსია, რომლის სათაური ასოებიდან ერთი მშვენიერი კილოიანი „დასდებელი” გამოდის. მეორე ლექსია, მაგრამ თავი არა სჩანს. ეს ორი ლექსი ამოსანერი დამრჩა. მესამე ლექსი კი ამოვსწერე და აი წაიკითხავთ. ეს წიგნი მეთათე საუკუნეში დღის უნდა იყოს დაწერილი, არა გვიან. აი ამ წიგნის ზედ-წარწერანი:

<sup>39</sup> ჰ.ცხვილოელი [ჰ.კარბელაშვილი], ერთი უძველესი საეკლესიო წიგნი და სხვ., „დროება”, 1882, 24.VI, N 130.

1. „მამა წმიდა ზებედე იყო პატრონი დიდის მღვიმის უფალი, პურადი და გულადი, კელმნიფეთაგან პატივცემული და სახელოანი. ქკს უიზ”. 1729 წ.

2. „ცოდვილი დავით იყო ერთი დიაკონი, კლდეში ჩავარდა და ფეხი მოიტეხა. დაშავდა. ქკს უიზ”. 1729 წ.

3. „ღმერთო, ღვთაებავ, შემენიე და მაცხოვრე მე ამილახვრის შვილი ოთარ”.

4. „სულსა იოანესსა შეუნდნეს ღმერთმან”.

5. „ღმერთო მოიხსენე ცოდვილი დიაკონი გრიგოლ”.

6. „ამის მწერლისა დედასა შეუნდნეს ღმერთმან”.

7. „მე, ბევაროზ, დავწერე”.

8. „ღმერთო, აღღეგრძელე ერისთავი შანშე, მე, დავით, დავწერე. ამინ”:

9. „წმინდაო შიო, მეოხ მექემენ”.

10. „შენვენითა ღვთისათა ეს სადღესასწაულო გავათავე ამილახვრის დამ ეკატერინამ ა სეკტემბრიდამ მოყოლებული ვ სეკტემბრამდინ”.

11. „ამისა მშრომელსა ბასილსა შეუნდნეს ღმერთმან”.

12. „ღმერთო, შეენიე გაბრიელს”.

13. „სახელითა ღვთისათა და მეოხებითა წმიდისა სამებისათა და ყოველთა სათნო ყოფილთა მისთა და ღვთისმშობლისათა ღირს ვიქმენ არაღირსი ბასილი აღწერად წმიდისა ამის წიგნისა. ღმერთმან იცის, რომელ ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, მომჭირვება; ან ვინცა აღმოიკითხვიდეთ და იხმარებდეთ, შენდობასა ღირს მყავით, რათა ღმერთმან თქვენცა ღირს გყვნეთ, რამეთუ ნაშრომი ჰგეის, ხოლო მშრომელი წარვალ გლახ. ვამე და დიდად ვაიმიე, რომელი ვთესავ ამას ცხოვრებასა, სამკალათ მზათ არს საუკუნესა. ესე წიგნი მე, ბასილმა, ბასილათა შვილმან, დავწერე და დავდეც წმიდისა სამებისა წინაშე პირველ სულისა ჩემისა სალოცველად და მერმე მშობელთა და გარდაცვალებულთა და ყოველთა მომავალთა ჩემთათვის...”

„დიდს ორშაბათს” სტიქარონის შემდეგ: კოზმასი. ხვედრნი მხილესა (ე.ი. მოიხილესა, ნ.პ.) ზ გ ~ ი:

„მივსცეთ, ერნო, დიდება დღეს უფალსა, ღმერთსა ჩვენსა, ლამპრითა ბრწყინვალითა მივეგებოთ ქრისტესა.

განვიფრთხოთ, მორწმუნენო, ძილისა მისგან მძიმისა,

შორად განვიშოროთ ჩვენ მოწყინება სულისა დღეს.

განვაშრავლოთ ტალანტი უფლისა მრავალ ნაწილად.

მოვედით, მორწმუნენო, და ვიქმოდით წყალობასა.

გალობა ღმობიერი შევწიროთ ქრისტეს ღმერთსა;

შემრაცხე მე, მაცხოვარ, მარჯვენით კრავთა მათ თანა.

განსჯასა საშინელსა ნუ შემრაცხ თიკანთა თანა,

დამამტკიცე, სახიერ, ბრძენთა მათ ქალწულთა თანა.

სამებაო წმიდაო, მისსენ მაქებელნი შენნი.

მადიდებელნი შენნი გვაცხოვენ ღვთის მშობელო”.

... ამ ზომისავეა ის ორი დანარჩენი ლექსიც...<sup>40</sup>.

ამრიგად, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ისტორიკოსსა და ძველი ქართული წერილობითი ძეგლების რედაქტორ-გამომცემელს, მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილს (1855-1936), რომელიც ზოგჯერ პ.ცხვილოელის ფსევდონომით აწერდა ხელს (187:149), მშობლიური სოფლის, ქვემოჭალის, ერთ-ერთ ეკლესიაში 1882 წლის 24 ივნისის ახლობანს უნახავს და აღუწუხებდა ლიტურგიკული კრებული. იგი თურმე ორი ნაწილისაგან შედგებოდა: 1) ძველი ალექსიეული საკითხავებისაგან და 2) საგალობლებისაგან. მკვლევარს მისთვის „სადღესასწაულო“ დაურქმევია, თუმცა შეუნიშნავს, რომ „ეხლანდელ ხმარებულ „სადღესასწაულოსა“ და მის შორის საზოგადო არა არის რა“: ისინი სხვადასხვა ტიპიკონისაგან არიანო.

მართლაც, სხვა არა იყოს რა, თანამედროვე (XIX-XX სს.) ქართული საეკლესიო-ეორტალოგიური პრაქტიკისათვის განკუთვნილ წიგნში, „სადღესასწაულოში“, რომლის საბოლოო რედაქცია ანტონ კათალიკოსს ეკუთვნის, ბიბლიური საკითხავები და საგალობლები შერწყმულ-გაერთიანებულნი არიან გარკვეული ტიპიკალური პრინციპის მიხედვით. შესაბამის საკითხავს ძველი ან ახალი ალექსიდან დღის განგებაში თითქმის ყოველთვის განსაზღვრული ადგილი აქვს მიჩნეული: საცისკრო კანონამდე „დიდს მწუხრსა ზედა“. ამ სათაურით წარმოდგენილი წიგნი, რომელსაც ბერძნულ-სლავურ ეკლესიაში შეესაბამება. Anthologion, Трефологион, Трефологий, Праздничная минея (196:146-148;211:2279), „გულისხმობს ისეთ კრებულს, რო-

<sup>40</sup> ავტორს ქვემოჭალის ამავე ეკლესიაში კიდევ სამი ხელნაწერი წიგნი უნახავს. მათგან ორის შესახებ ამბობს: ისინი (?) „არაფრით არიან შესანიშნავნიო“. მესამე კი ყოფილა „სვინაქსარი“, რომელიც, ჩვენმიერი იდენტიფიკაციით (ანდერძ-მინაწერებზე დაყრდნობით), უდრის A 809-ს (1693 წ.). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იგი საეკლესიო მუზეუმს თავად პ.კარბელაშვილმა გადასცა. ამავე სოფლის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში 1877 წელს პ.კარბელაშვილს აღმოუჩენია აგრეთვე XVI-XVII სს-ის ხელნაწერი-გულანი (იხ. პ.კარბელოვი, გორის მაზრის ს. ქალის ღვთისმშობლის მიძინების „გულანზედ“ წარწერანი, „ივერია“, 1877, N43, გვ. 14-16). ესაა H 936.

მელშიც გაერთიანებულია ჰიმნოგრაფიული და სვინაქსარული მასალა, ამავე დროს, ახლავს საჭირო ლიტურგიკული მითითებანი და საკითხები ბიბლიური წიგნებიდან”(111:35). და რაც მეტად ნიშანდობლივია ამ შემთხვევაში, კრებული, დღესდღეობით „სადღესასწაულოს” რომ უწოდებენ, მოიცავს საკითხავ-საგალობლებს მხოლოდ და მხოლოდ უძრავ დღესასწაულთათვის.

ასე რომ, პ.კარბელაშვილის მიერ მიკვლეული ხელნაწერი მართლაც განსხვავებული ტიპის სადღესასწაულო ყოფილა.

\* \* \*

მსგავსი კრებული ქართულ ხელნაწერთა კოლექციებში ვერ მოვიძიეთ. არც სპეციალურ ლიტერატურაში შეგვხვედრია რაიმე მინიშნება. მხოლოდ პ.ცხვილოელის ინფორმაციაში წარმოდგენილი ანდერძ-მინაწერების იდენტიფიკაციამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ დღესდღეობით ამ ხელნაწერის ნაწილი — „დაბადებდამ საკითხავები” — დაცულია კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში A 672; ხოლო „საგალობლები” — საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (სცსსა), ფონდი 233, N 245. შესაბამის „აღწერილობებში” პირველს ეწოდება „სანინასწარმეტყველო” (“Паремийник или чтения из ветхозаветных и новозаветных книг Господские праздники и на дни великих святых”) (192:145),<sup>41</sup> მეორეს — სადღესასწაულოდ (121:214).<sup>42</sup> იგი ცენტრარქივისათვის 1925 წელს გადაუცია ვასილ კარბელაშვილს (1855-1936) 37 ხელნაწერთან ერთად<sup>43</sup>.

<sup>41</sup> სამწუხაროდ, თ.ჟორდანიას ამ ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები არ აღუწუსხავს. ხსენებული კოლექციის ახალ, უკვე გამოსაცემად მომზადებულ, „აღწერილობას” გავეცანით მისი ერთ-ერთი შემდგენლის, ქ-ნ თამარ ბრეგაძის, თავაზიანი ნებართვით.

<sup>42</sup> ამ წუსხის სახელწოდებად „საგალობელთა კრებულს” ვამჯობინებთ.

<sup>43</sup> ესენია სცსსა-ის ხელნაწერ წიგნთა ფონდის (233) NN 244-282. თვით პოლიევქტოს კარბელაშვილს კი იმავე 1925 წელს გურჯაანიდან ჩამოუტანია

„დროების” ინფორმაციის ამ ხელნაწერებთან შენამებამ დააზუსტა შემდეგი:

I. პ.კარბელაშვილს 1882 წელს სოფ. ქვემოჭალის ეკლესიაში ეტრატის ეს ორი ხელნაწერი მართლაც ერთად აკინძული უნახავს; გადაუთვალაიერებია იგი და ალაგ-ალაგ, ამიებზე (იხ. ცენტრარქ. 245, 114v, 115r), ფანქრით საკუთარი შენიშვნები და დაკვირვებანი დაუფიქსირებია. ამავე ფანქრით შეუსრულებია ხელნაწერის ფურცლობრივი პაგინაცია. ამიტომ: სადაც მთავრდება A ფონდისეული წიგნი — 194 ფურცელზე, იქიდან იწყება (ძველი პაგინაციით) ცენტრარქ. 245-ის ფურცელთა ნუმერაცია, ე.ი. 195-იდან და მთავრდება 387-ით<sup>44</sup>.

II.ორივე ნაწილი სადღესასწაულო-ლიტურგიკულ მასალას აერთიანებს. ამის საფუძველზე უწოდებია პ.კარბელაშვილს ქვემოჭალისეული კრებულისათვის მთლიანად სადღესასწაულო.

III. პ.კარბელაშვილს აღუნუსხავს აგრეთვე კრებულის თითქმის ყველა საყურადღებო ანდერძ-მინაწერი, რომლებიც ამჯერად ასე ნაწილდება: N 1 — A 672, 18v. (მხედრული, ტექსტის ქვეშ); N 2 — A 672, 112v. (მხედრული, ტექსტის ქვეშ); N 3 — A 672, 161r. (მხედ.); N 4 — ცენტრარქ. 245, 70v (ნუსხურით); N 5 — ცენტრარქ. 245, 86r.

---

ხელნაწერების საკუთარი კოლექცია და ცენტრარქივისათვის გადაუცია (ფ. 233. NN 201-243).

<sup>44</sup> ასე რომ, ძველი პაგინაციის თანახმად ორივე ხელნაწერი სწორედ 774 გვერდს უნდა მოიცავდეს, მაგრამ, როგორც „აღწერილობები” მიგვანიშნებს, დღესდღეობით მათი გვერდების რაოდენობა მთლიანად უდრის 772-ს ანუ 386 ფურცელს (194+192). უნდა ვიფიქროთ, რომ ქვემოჭალისეული კრებულის მეორე ნაწილის, ცენტრარქივისეული ხელნაწერის, ერთი ფურცელი, კერძოდ, ძველი (პ.კარბელაშვილისეული) პაგინაციით — 233, 1882 წლის შემდეგ დაიკარგა და ცხადია, ამჟამად ფურცლების ეს ნუმერაციაც დეფექტურია: 232-ს მოსდევს 234, მაშინ როდესაც ახალი, ცენტრარქივისეული, პაგინაციით აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა: 37 (იგივე 232), 38 (234) და ა.შ. ამასთან, თვალში საცემია ტექსტის ნაკლოვანებაც: გაუჩინარებულია საბა განწმენდილისადმი (5 დეკემბერი) მიძღვნილი საცისკრო კანონის ნაწილი (აქებდითსა, განმანათლებელი და სხვ.).



(მხედრ.); N 6 — ცენტრარქ. 245, 139 v. (ტექსტის ხელით); N 7 — ცენტრარქ. 245, 20v (აშიაზე, ტექსტის ხელით); N 8 — ცენტრარქ. 245, 1r (მხედრ.); N 9 — A 672, 168v. (მხედრული, აშიაზე); N 10 — ცენტრარქ. 245, 23r. (მხედრ. ტექსტის ქვეშ); N 11 — ცენტრარქ. 245, 117v. (ნუსხ. ტექსტის ხელით); N 12 — ცენტრარქ. 245, 151v. (მხედრ.); N 13 — ცენტრარქ. 245, 164 v. (ნუსხ. ტექსტის ხელით).

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მინაწერთაგან ზოგი გადამწერის ხელითაა შესრულებული. მათი ნაწილი — NN 6, 11 და 13 — ტექსტშივეა ჩანერილი, ამა თუ იმ განგების ბოლოს. მინაწერთა ჯგუფი, შესრულებული მოგვიანო ხანის მხედრულით, ულაზათო და მდაბიური ხელით, — A 672, 22r. 53r., 59v., 102r., 130v., 143v., და სხვა, რომელთა ამოკითხვა და აზრის გამოტანა თითქმის შეუძლებელია (ისინი უფრო კალმით თამაშის შთაბეჭდილებას ტოვებენ) — უნდა ეკუთვნოდეს მე-10 მინაწერის (ცენტრარქ. 245, 23r.), ავტორს, ამილახვრის დას ეკატერინას (მელანი და ხელწერა ერთი და იგივეა). ეს ფაქტი კი, ვფიქრობთ, ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ A 672 და ცენტრარქ. 245 ოდესღაც ერთ კრებულს წარმოადგენენ: მათ ხშირად ერთი და იგივე მკითხველი და დამფურცვლელი ჰყავდა.

IV. ამ კრებულის მიმკვლევს ამასთანავე ყურადღება გაუმახვილებია იქ წარმოდგენილ სამ საგალობელზე (მეტრითა და კილოთი რამდენადმე გამორჩეულ დასდებლებზე), მისი თქმით — ლექსებზე. ესენია:

ა) ხუედრისაგანი: დიდი ორშაბათის დასდებელი „მოიხილესა“ ანუ იმა დღის საცისკრო კანონის — სამსაგალობლის პირველი გალობა (ცენტრარქ. 245, 92r-v), რომელიც შედარებით კარგად იკითხება. ამიტომაც მკვლევარს გადმოუწერია იგი და გამოუქვეყნებია კიდევ.

დანარჩენ „ლექსებად“, რომელთა გადმოწერა პ.კარბელაშვილს ვერ მოუხერხებია (გადმოსაწერი დამრჩაო), უნდა ვიგულისხმოთ:

ბ) ნათლისღების საცისკრო კანონი (პ.კარბელაშვილის თქმით, „გრძელი ლექსი“, ცენტრარქ. 245, 39v-41v.) ანუ „სხუანი გ(ალობანი),

რომლისა თავნი იტყვიან: დღეს იორდანეს ქ~ს ნა(თლისლე)ბას ყოველი განნათლდა და სამეხისა წმიდისა თაყუანის ცემად განცხადნა. იხარებენ ერთბამად ანგ(ელოზ)ნი (და) კაცნი. იამბიკონნი: ხუთ თ(ა) ვნი და თორმეტ მარცუალნი; იამბიკონნი ბერძულად ამას გუარსა ზედა არიან. უგალობდითსა: ჳმა ბ. ზღვსა ღ(ელვანი).

დაუსაბამოჲ ძე და სიტყუად მამისაჲ

ღ...ყოველთა .., და ნათლისღებად

ე ... ზსა ... ნისსა დღეს

სიმდაბლით ჩუენთვის და აცხოვნა სოფელი,

იხარებდით ყოველნი დაბადებულნი.

ჟ, სახიერო ღმერთო, ყ~დ ძლიერო,

რ...აჲ არს სიმდაბ(ლეჳ) ...მიუნდომელი,

დღეს განჰშიშულდები იორდანესა შინა

ადამის ბრალთა ავოცად მოწყალეებით

.....

.....

წარმოდგენილია კანონის რამდენიმე გალობა (განძლიერდითსა, მეს-  
მაასა, ღამითგანსა). დანარჩენი გაუჩინარებულია შესაბამის ფურცლებ-  
თან ერთად. ეტრატის შემორჩენილი ნაწილი დეფექტურია, ჭიანჭამი.

გ) „ლექსი“, რომლის „თავი არ აჩანს“, წარმოდგენილია ცენტ-  
რარქ. 245-ის 191r.-ზე (ხელნაწერი აქაც ძალზე გაუფერულებულია.  
სტრიქონთა ნაწილი გაცხოველებულია შავი მელნით):

.....

ადამის წყევად შეიცუალა კურთხევად,

სიტყუაო ღმრთისა, მამისა თანა სწორო,

ხრწნილება ჩუენი შესცვალედ უხრწნელებად,

აღსასრულთა რაჲ ჟამისა იშევ ჩუენთვის,

მძღავრება იგი მჴდომისა უჩინო ჰყავ

.....

შინაარსის მიხედვით იგი შობის განგების მცირე ფორმის საგალობელთაგან ერთ-ერთი ბოლო (სათაური არ იკითხება) უნდა იყოს. მას მისდევს (191v) ქრისტეს წინადაცვეთისა და ბასილი კაბადუკიელისადმი მიძღვნილი გალობანი.

\* \* \*

A 672 და ცენტრარქ. 245-ის კალიგრაფია და ნუსხვა-აღწერის სტილი ერთმანეთს რამდენადმე ჰგავს. საერთოა: 1. სპეციფიკურობა შემდეგი ასონიშნებისა: წ, ჯ. მ, ძ, ვ; 2. სასვენი ნიშნების ხმარება (ხაზს ზევით); 3. რვეულეზივი პაგინაცია: შესაბამისი ნომერი დაქარგულ კვადრატშია ჩასმული; კვადრატის თითოეული გვერდის 5 თუ 6 ხაზს პირამიდის ფორმა აქვს; 4. ყოველ გვერდზე ტექსტისათვის განკუთვნილი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები თითქოს ნარნარად გარსეველება ნაწერს. ამასთანავე, თითოეულ გვერდზე სტრიქონთა რაოდენობა ორივე ძეგლისა თითქმის ერთი და იგივეა: 24 — 28.

საგრძნობია სხვაობაც: 1. A 672 გამოირჩევა მძიმეთა სიჭარბით, რაც ცენტრარქივისეულში თითქმის არ გვხვდება; 2. რვეულის ციფრი A 672-ში ფურცლის შუაში ზის, ცენტრარქ. 245-ში მარჯვნივ; 3. A 672-ისათვის დამახასიათებელია ოთხკბილიანი ო, რაც ცენტრარქ. 245-ში ძალზე იშვიათია; 4. რამდენადმე განსხვავებულია საზედაო ასოების გაფორმება-ორნამენტირება; 5. ზოგიერთი სიტყვის (მაგ. ყ-დ) დაქარაგმების ტექნიკა და სხვა.

სხვადასხვა აგრეთვე მათი რვეულების პაგინაცია: მეორე პირველის გაგრძელებას არ წარმოადგენს.

ასე რომ, ხსენებული ორი ხელნაწერი — ადრე სოფ. ქვემოჭალის ეკლესიის ერთ ლიტურგიკულ კრებულში წარმოდგენილი — სხვადასხვა პირის მიერ უნდა იყოს გადანერილი.<sup>45</sup>

<sup>45</sup> ეს თვალსაზრისი დაგვიდასტურა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლამარა ქაჯაიამ.

„საწინასწარმეტყველოს“ გადამწერის ვინაობა ჩვენთვის უცნობია. საფიქრებელია, რომ მისი სახელი შთანთქა იმ ფურცლებმა, A ფონდისეული ნუსხის დასაწყისმა და დასასრულმა გვერდებმა, რომლებიც დღესდღეობით დაკარგულად ითვლება.

რაც შეეხება „საგალობელთა კრებულს“ (ცენტრარქივისეულ ხელნაწერს), უნდა გაირკვეს — მართლაც „ბასილათა შვილის“ ბასილის მიერაა გადაწერილი იგი? ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩამოთვლილ 13 მინაწერთაგან ტექსტის ხელით შესრულებულია ოთხი: NN 6, 7, 11, 13. მათ შორის სამი: NN 6, 11 და 13 უკავშირდება გადამწერ ბასილის პიროვნებას: მე-11 და, მეტადრე, მე-13 წარმოადგენს ჩვეულებრივ ანდერძებს, რითაც „ბასილათა შვილი“, სხვათა შორის, აღავლენს ლოცვა-ვედრებას მშობელთათვის. ამიტომაც, შესაძლებელია, სწორედ გადამწერ ბასილის დედა იგულისხმებოდეს მე-6 მინაწერში: „ამის მწერლისა დედასა შეუწდნეს ღმერთმან“. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ანდერძ-მინაწერთაგან მხოლოდ ეს სამია წარმოდგენილი ძირითად ტექსტთან ერთად, რაც გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, ჩვენს ხელთ არსებული ძეგლი მომდინარეობს ბასილის მიერ გადაწერილი ნუსხიდან.

ამასთანავე, ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ გადამწერის ანდერძი ამ ნუსხაზე წარმოდგენილია არაჯერისამებრ, ე.ი. არა თავში ან ბოლოში. თუ გავითვალისწინებთ ხსენებული ძეგლის კალენდრის პრინციპს,<sup>46</sup> გვენიშნება, რომ კრებული სწორედ იქ, ანდერძზე — იონანე ნათლისმცემლის თავისკვეთით — უნდა დასრულდეს, ვინაიდან კრებულის მესამე (ბოლო) ნაწილი წარმოადგენს იონანე ნათლისმცემლის ციკლს, ე.ი. ამ წინასწარმეტყველისა და წინამორბედის შობათავისკვეთას: 24 ივნისი — 29 აგვისტო. ამიტომაცაა მოულოდნელი და უცნაური ამ ანდერძის შემდეგ იმ საგალობლების წარმოდგენა, რომლებიც მათივე შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით ჩვენი

---

<sup>46</sup> ამ ხელნაწერების ჩვენეული აღწერილობა: „მრავალთავი,“ XVI, 1991, გვ. 226-228,

ძეგლის პირველ ნაწილში (სექტემბერ-მარტი) უნდა მოქცეულიყვნენ. ესენია: განგებანი კოზმან და დამიანესი (1 ნოემბერი), ეგნატე ღმერთშემოსილისა (20 დეკემბერი), იოანე ოქროპირის ნაწილთა აღმოყვანებისა (27 იანვარი). როგორც ჩანს, „ბასილათა შვილს“ ბასილს შეუდგენია, ანდა მხოლოდ გადაუნუსხავს, საგალობელთა წიგნის ის რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია ცენტირარქივისეულ ხელნაწერში 164V-მდე, შესაბამის ანდერძამდე. ეს ბასილი კი, შესაძლებელია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური ვარიანტის გადამწერიც იყოს (იხ. ქვემ. სქ. 47).

და თუ ეს ასეა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ნუსხის შემდგენელ-გადამწერს გამოუჩენია სათანადო პატივისცემა მის ხელთ არსებული დედნის მომმუშაკებლისადმი და ბასილისმიერი ანდერძ-მინაწერები უცვლელად გადაუტანია ახალ ეგზემპლარში (კვლავგადანუსხვის დროს ძველი ანდერძ-მინაწერების დატოვება თითქმის ჩვეულებრივი მოვლენაა).

იბადება კითხვა: ვინაა ბასილის ნუსხის გადამწერი?

ვფიქრობთ, პასუხი არც თუ ისე ბუნდოვანია — „საგალობელთა კრებულის“ გადამნუსხავად უნდა ვიგუღვოთ ავტორი იმ ანდერძ-მინაწერისა, რომელიც შესრულებულია ტექსტისავე ხელით, მოთავსებულია აშიაზე და გვამცნობს: „მე ბევაროზ დავწერე“. იგულისხმება: მე, ბევაროზმა, წინამდებარე ნუსხა გადავწერეო.

ამასთანავე უნდა ვივარაუდოთ, რომ თავისი ხელნაწერის ერთ-ერთ ბოლო (ჩვენამდე არმოღწეულ) ფურცლებზე ბევაროზი წარმოადგენდა სათანადო ანდერძს, რითაც გვამცნობდა საგალობელთა ამ კრებულის შექმნის ისტორიას, კერძოდ, თავად ხომ არ განავრცო ბასილის ხელიდან გამოსული რედაქცია? ე.ი. მხოლოდ გადამწერია იგი თუ შემდგენელ-რედაქტორიც? ამჯერად იმის თქმა შეგვიძლია, რომ ბასილის მიერ შედგენილი თუ მხოლოდ გადანუსხული და წმინდა სამების სახელობის ერთ-ერთი ეკლესიისადმი მიძღვნილი წიგნი შემდ-

გომ ბევაროზმა საკუთარი სამრევლოს ეორტალოგიურ-ლიტურგიკული პრაქტიკის კვალობაზე შეავსო და ამრიგად წარმოგვიდგინა ჰიმნოგრაფიული კრებულის კიდევ ერთი, შედგენილობისა და, მეტადრე, კალენდრის თვალსაზრისით საყურადღებო რედაქცია.

თუმცა A 672-ის გადამწერი უცნობია, ჩვენი აზრით, იგიც იმავე კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენელი უნდა იყოს, რომელსაც ეკუთვნოდა ბევაროზ გადამწერი. ამით აიხსნება ხსენებულ ძეგლებს შორის კოდიკოლოგიური მსგავსება. ამასთანავე ცხადია ისიც, რომ ეს ძეგლები: „სანელინდო-სანინასწარმეტყველო“ და „საგალობელნი“ თავიდანვე ერთ კრებულში გაერთიანებული არ ყოფილან. ისინი დიდხანს ინახებოდნენ ცალ-ცალკე, რაზეც მიანიშნებს A 672-ის ბოლო ნაწილისა და ცენტრარქ. 245-ის დასაწყისის გაუჩინარება.

ბუნებრივია, აქვე დავსვათ საკითხი ამ ხელნაწერების დათარიღებისა.

პ.კარბელაშვილი მთელ კრებულს X საუკუნემდედ ძეგლად მიიჩნევს, თუმცა მისი არგუმენტები: 1. „პერგამენტი ისეთი უხერხული შემზადებულია, ისეთი სქელი, ისეა გატყავების დროს დაჭრილი და დაჩვრეტილი, რომ უძველეს მწერლობას უნდა ეკუთვნოდეს“; 2. „დაწერილია ძველი ხუცურით“; 3. გამართულია სხვა ტიბიკონზე, — კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან 1. მასალის (ამ შემთხვევაში პერგამენტის) უხარისხობა; 2. „ძველი-ხუცური“ (?) და 3. ტიბიკონის ძველი რედაქცია მოცემული ხელნაწერის გადანუსხვის თარიღს ვერ დაგვიზუსტებს. არც კრებულის მეორე ნაწილის (ცენტრარქ. 245-ის) ანდერძები: ბასილის ლოცვა-ვედრება თავისი თავისა და ახლო ნათესავებისათვის და ბევაროზის ავტოგრაფი გვთავაზობს რაიმე ხელჩასაჭიდს. ამკარაა მხოლოდ, რომ ენისა და გრამატიკული ფორმების თანახმად (მაგ. საკუთარი სახელის მოთხრობითი ბრუნვა) ბასილის-მიერი ანდერძის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XII-XIII სს-ებს ვერ გადასცდება. ხოლო თუ X ს-ით ვერ თარიღდება ბევაროზის მიერ

შესრულებული ნუსხის წყარო ანუ დედანი, ცხადია, ქვემოქალისეული კრებულის „საგალობელნი“ და მასთან ერთად, როგორც მისივე კალიგრაფიული სკოლის ნაყოფი — „სანელინდო-სანინასწარმეტყველო“ მოგვიანო ხანის ძეგლებად უნდა იქნან ცნობილი. მართლაც, შესაბამის „აღწერილობებში“ ორივე ხელნაწერი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით პირობითად XIII-XV სს-ითაა დათარიღებული: „სანინასწარმეტყველო“ — XIII-XV სს-ით, „საგალობელთა კრებული“ კი XV ს-ით. და თუ შეესაბამება სიმართლეს ეს დათარიღება, უნდა ვაღიაროთ, რომ ხსენებული ძეგლების თავგადასავალი XVIII საუკუნემდე ჩვენთვის თითქმის უცნობია, რადგან ამ თვალსაზრისით სარწმუნო ცნობას ჯერჯერობით ვერ ვადასტურებთ. საყურადღებო ინფორმაციებს შეიცავს ზემონარმოდგენილი „ზედწარწერილობანი“. მათგან NN 1, 2, 9 მიანიშნებს, რომ კრებულის პირველი ნაწილი მაინც (A 674) ერთ დროს წმ. შიოს ანუ „დიდის მღვიმის“ მონასტერში ინახებოდა და იქაურ ბერებს მის აშიაზე წარმოუდგენიათ ზოგიერთი ცნობა.

რაც შეეხება ცენტრარქივისეული ნუსხის თავგადასავალს, მიწანწერთაგან მე-8, გვარწმუნებს, რომ „საგალობელთა წიგნს“ ერთ დროს ქსნის ცნობილი ერისთავის შანშეს მადიდებელნი კითხულობდნენ. პ.კარბელაშვილი სქოლიოში შენიშნავს: „ეს შანშე იყო მეორე გივი ამილახვრის მოპირდაპირე 1735 წ. მან წაუკიდა ცეცხლი ქალის ღვთისმშობლის (ამილახვრის) ეკლესიას და აიკლო. საფიქრებელია, რომ ეს წიგნი შანშეს წაეღო ახალგორს და იქ დაენეროთ ეს წარწერა. შემდეგ გივიმ აიკლო შანშეს სასახლე ახალგორში და მაშინ დაიბრუნებდა ამ წიგნს...“ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რამდენად საფუძვლიანია მკვლევრის ეს ვარაუდი, ე.ი. როდის აღიბეჭდა ხსენებულ ნუსხაზე შანშე ერისთავის სახელი: გივი ამილახვართან მეგობრობისას თუ მათ შორის პოლიტიკურ ნიადაგზე გამონვეული კონფლიქტის შემდეგ? ანგარიშგასაწევია ცენტრარქივისეული ნუსხის მხედ-

რულ მინანერთაგან ერთ-ერთი (47r), რომელშიც დღესდღეობით ეს-  
ლა იკითხება: „სახელითა ღმრთისათა, მამისათა, ძისათა და სულისა  
წმინდისათა მეოხებითა წმინდისა იოანე ნათლისმცემელისათა, იო-  
ანე მახარებელისათა ესე წიგნი გიბოძე მე ერისთავმან ვიძე (?) შენს  
გაყრილთა (?) ნიადაგ მგლოვარეს ესე ...არა ვიცოდი წერა, შემინდე  
ვინცა წაიკითხოთ, სიჩქარე...” სამწუხაროდ, წარწერა იმდენად ცუ-  
დი კალიგრაფიითაა შესრულებული და გაცრეცილია ეტრათი, რომ  
ჩვენთვის გაურკვეველია: რომელმა ერისთავმა ვის უბოძა ეს წიგნი  
და როდის? თუმცა ცხადია, რომ იგი ერთ დროს ქსნის ერისთავების  
საკუთრებასაც წარმოადგენდა.

ავტოგრაფული მინაწერები — NN 3 (A ფონდისეული) და 10 (ცენტრარქივისეული) — გვამცნობს, რომ ქვემოქალისეული კრებულის  
მკითხველთაგანნი ყოფილან: ამილახვრის შვილი ოთარი და და — ეკა-  
ტერინე. თუ რომელი ამილახვარი იგულისხმება ამ შემთხვევაში პი-  
როვნულად, ანდა: ხსენებული ოთარი ეკატერინეს ძმისწულია თუ არა,  
დაუზუსტებელი დარჩა თვით პ.კარბელაშვილსაც, რომელიც თურმე  
წლების მანძილზე იკვლევდა ამილახვართა ისტორიულ დოკუმენ-  
ტებს. (150;151;152). თუმცა ამ კრებულის ორივე ნაწილში ამილახვარ-  
თა მოხსენიება ცხადყოფს, რომ პირველიცა და მეორე წიგნიც XVIII-XIX  
სს-ში დაცული იყო იმ ეკლესიებში, რომლებსაც ამილახვრები მფარ-  
ველობდნენ. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ ორივე ხელნაწერის  
თავგადასავალი სწორედ შიომღვიმის ლავრასა და ქვემოქალასთა-  
ნაა დაკავშირებული. ამასთანავე უეჭველია, რომ კრებულის პირველი  
ნაწილი — „საწინასწარმეტყველო”, როგორც NN 1 და 2 მინაწერები  
მიგვანიშნებს, 1729 წლამდე შიომღვიმის საკუთრებად ითვლებოდა და  
შესაძლებელია, სწორედ იქაურმა ბერებმა დაუთმეს იგი იმდროისათ-  
ვის სახელგანთქმულ ამილახვარ გივის მათი სავანის აღდგენა-გამ-  
შენიერების მიზნით 1730 წელს გაღებული კტიტორული ღვანლის  
(195:24,32) სანაცვლოდ. ქართული კულტურის ეს დიდი მოამაგე კი, რა



თქმა უნდა, მონასტრისეულ ძღვენს თავის რეზიდენციაში მიიტანდა და საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით აღბეჭდა ამილახვრიშვილმა ოთარმა „სანელინდო-სანიანსწარმეტყველოს“ ერთ-ერთ ფურცელზე საკუთარი სახელი (მინან. N 3). აქ ბუნებრივად დაისმის საკითხი ხსენებული „ამილახვრიშვილის“ იდენტიფიკაციისა, მაგრამ სარწმუნო პასუხი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

ამრიგად, ქვემოქალისეული კრებულის ისტორია დაახლოებით ასე წარმოგვიდგება: მისი შემადგენელი ნაწილები ერთსა და იმავე ეპოქაში (XIII-XV სს-ს შორის) და ერთსა და იმავე კალიგრაფიულ სკოლაში გადაუნუსხავთ ძველი დედნებიდან. დიდხანს ისინი ცალ-ცალკე არსებობდნენ და სავარაუდებელია, რომ ბევრჯერ გამოიცვალეს ადგილი. ბოლოს კი, საფიქრებელია, XVIII ს-ის 30-იან წლებში, სოფ. ქვემოქალის ეკლესიაში გააერთიანეს უკვე საკმაოდ დეფექტური ხელნაწერები, მთელი წლის საჩინო დღეთათვის განკუთვნილი (I) ბიბლიური საკითხავები და (II) საგალობლები, ალბათ, სამრევლოს პრაქტიკული მოთხოვნილებების შესაბამისად, სადღესასწაულო ღვთისმსახურების დაუბრკოლებლად შესრულების მიზნით<sup>47</sup>.

### 3.7. „იოანე პეტრიწის წიგნი“

„დროების“ საინფორმაციო სვეტში ვკითხულობთ: „ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში ერთი ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნი მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ფილოსოფოსის იოანესი „პეტრიწეთ“ (!) წოდებულისა... ეს წიგნი ან „იოსებ ფლავიოსი“ უნდა იყოს და ან „ნე-

<sup>47</sup> სხვადასხვა დროს გადანუსხული ხელნაწერების ერთად აკინძვის შედეგად წარმოქმნილ კრებულთაგან დავასახელებთ H 600-ს, რომლის პირველი ნაწილი გადანერილია XIV-XV სს-ში ბასილის მიერ. შესაძლებელია, ანდერძთა ტექსტების მსგავსების საფუძველზე, ვიფიქროთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელიშური ნუსხა, A 215 (კურთხევანი), A 841 (მარხვანი), ქუთ. 376 (ოთხთავი) და ქვემოქალისეული კრებულის პირველი ნაწილის დედანი გადანერილია ერთი და იმავე ბასილის მიერ.

მესიოსი”, რომელნიც პეტრინემ სთარგმნა სხვათა მრავალთა ფილოსოფიურ თხზულებათა გარდა...” (1878, 2.IV, N 68).

იგულისხმება: (1) იოსებ ფლავიოსის „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი” ანუ „იუდეველთა სიძველენი”(43) და (2) ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა”(87).

ეს ინფორმაცია დამატებითი საბუთია იმისა, რომ XIX ს-ის მკვლევრები, პლატონ იოსელიანის გავლენითაც, იოანე პეტრინს ფლავიოსის შრომის თარგმანსაც მიაწერდნენ. ორივე ძეგლი შემონახულია რამდენიმე ხელნაწერით, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, თუ რომელი თხზულების ნუსხა ნახა კორესპონდენტმა. ვფიქრობთ, — ნემესიოს ემესელის თხზულებისა. სწორედ ამ თარგმანის პირებს ახლავს ანდერძი, სადაც აღნიშნულია იოანე პეტრინის სახელი. მათგან „ძველი” შეიძლება ვუნოდოთ S 2579-ს (XIV-XV), რომელიც იმხანად ავეტიქ ენფიანჯიანცის მალაზიის ქართული კოლეჯციის ნაწილს წარმოადგენდა (შდრ. გვ. 102).

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ინფორმაციის ავტორმა, სავარაუდებელია — ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელიც ხშირად აქვეყნებდა პრესაში ამ სახის მასალებს, ცნობილი ბუკინისტის ხელნაწერ წიგნთა შორის 1878 წლის მარტში იხილა ეს ხელნაწერიც. მისი შინაარსის დაზუსტება ვერ მოახერხა და გაზეთში სახელდახელო ცნობა გამოაქვეყნა, რითაც პირველად ეუწყა ქართველ მკითხველს მის მშობლიურ ენაზე კიდევ ორი საყოველთაოდ ცნობილი ძეგლის არსებობა.

### **3.8. ცნობები გაბრიელ გელოვანის წიგნზე**

ნათარგმნ სახელმძღვანელოებს შორის ცნობილია ხელნაწერი წიგნი „გეოგრაფია”, გადმოღებული რუსულიდან გაბრიელ გელოვანის მიერ 1730-1737 წლებში (96:154;62:24-25). ხელნაწერებიდან ორს (S 1743, A 1007) ერთვის მთარგმნელის „მცირე ანდერძი” ანუ „მემუარი” — ვახტანგ VI-ის რუსეთში გამგზავრება, რომელიც პირველად ფ.

„ივერიაში“ დაიბეჭდა (1879, N 5, გვ. 195-200). შემდეგ კი — რამდენიმეჯერ (50:540; 125:117-120); მიჩნეულია ილიას „განდევლის“ ერთი პასაჟის შთამაგონებლად (145:138).

შევნიშნავთ, რომ ამ თხზულების არსებობა ქართველ საზოგადოებას პირველად „დროებაში“ აუწყა 1878 წლის 8 იანვარს (N 5): „ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი პატარა ქართული წიგნი, რომლის პირველი ფურცლიდამ სჩანს, რომ ის არის გადმონერილი წარსულს საუკუნეში სვანეთის მთავრის შვილის თავადის გელოვანისაგან, რომელიც 1730 წლებში ყოფილა თბილისში და უსწავლია მაშინდელს აქაურს სემინარიაში ფრანგის მისიონერების ხელში ... არის ანერილი მეფე ვახტანგის თბილისიდან მოსკოვამდინ მოგზაურობა 1727 წელს და შეიცავს ისტორიისათვის გამოსადეგ მასალებსა“.

ყურადღებას იქცევს დეტალი, — 1730 წელს გელოვანის ყოფნა თბილისში და კათოლიკურ სემინარიაში სწავლა. ცხადია, აქ გაბრიელ გელოვანი იგულისხმება, — ზემომითითებული წიგნის მთარგმნელი, რომლის ბიოგრაფიასთან წინააღმდეგობაშია გაზეთის ცნობა, ვინაიდან 1730 წელს იგი უკვე რუსეთშია. არ დასტურდება მისი კავშირი თბილისელ მისიონერებთან. ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს პიროვნებების აღრევასთან. ქართული კულტურის ისტორიაში შემჩნეულია ვინმე გელოვანი, რომელსაც XVI ს-ში ნეაპოლის უნივერსიტეტი დაუმთავრებია (96:79). ეს ამბავი, მიმზიდველი და აღსანიშნად საამო, ჩანს, XIX ს-ის საქართველოში გავრცელებული იყო. ჩვენს ინფორმატორს, ალბათ, შემთხვევით ხელში ჩავარდნილი წიგნის შესწავლის საშუალება არ ჰქონდა. როდესაც მან იქ ამოიკითხა გვარი „გელოვანი“, გააიგივა იმ გელოვანთან, ვის შესახებაც ოდესღაც ყური მოუკრავს. ასე შეითხზა ინფორმაცია, რომლის ატრიბუციაზე ფიქრი ზაქარია ჭიჭინაძის სტილსა და მეთოდს გვახსენებს. გავითვალისწინოთ, რომ ზ.ჭიჭინაძე წლების მანძილზე აგროვებდა ცნობებს ქართველი კათოლიკების შესახებ და გაბრიელ გელოვანზეც მოეპოვება ეს კიზი

(171:12), რომელიც ემთხვევა „დროების“ ინფორმაციას.

ჩვენთვის არსებითია ამ „ერთი პატარა ქართული წიგნის“ იდენტიფიკაცია. სავარაუდებელია, რომ იგი უდრის იმ ხელნაწერს, რითაც „მცირე ანდერძის“ პირველი პუბლიკაცია მომზადდა და რომელიც, ჟურნალის ცნობით, ეკუთვნოდა ანჩისხატის დიაკვანს იოსებ ახალშენიშვილს. ეს პიროვნება ჩვენთვის ცნობილია (იხ. გვ. 22). მას 1867 წლის 7 იანვარს მესხიევისაგან შეუძენია ხელნაწერი S 3271 (შდრ. „აღწერილობა“), რაც მეტყველებს მის ინტერესებზე ძველი წიგნების მიმართ. ხელნაწერი, რომელიც მან „ივერიას“ მიაწოდა, უნდა იყოს A 1007. ჩვენი ფიქრით, ეგვევ ხელნაწერი აქვს მხედველობაში განხილული ინფორმაციის ავტორსაც, ვინაიდან მხოლოდ იქაა აღნიშნული ჩლდ (1730) წელი.

„დროებაში“ გელოვანის წიგნზე ცნობამ მეორედაც გაიჟღერა (1879, 14.VIII, N 168), მაგრამ არანაკლები ბუნდოვანებით. ამიტომ ვერ ვიტყვით დაბეჯითებით — დამონმებულ ინფორმაციებში სხვადასხვა ხელნაწერებზეა ლაპარაკი, თუ ერთსა და იმავეზე.

უნდა ვიფიქროთ, რომ პირველმა ინფორმაციამ შთააგონა ილია ჭავჭავაძეს დამონმებული ნუსხის მოძიება და მისი მემუარული ნაწილის პუბლიკაცია.

### **3.9. მ.საბინინის ინფორმაციის კვალდაკვალ „ჯვარშემოსილის“ შესახებ**

1881 წლის ივნისში საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა შემდეგი: გარეჯელ ბერებს მიხეილ-გობრონ საბინინის ინიციატივითა და მონაწილეობით „წმ. დოდოს საფლავი გაუხსნიათ, იქიდგან ამოუღიათ ძვლები და ნაუღიათ... დავით გარეჯის უდაბნოში“<sup>48</sup>, რაც ივანე

---

<sup>48</sup> ი.ბერძენოვი, წმიდა დოდოს მონასტერი, „დროება“, 1881, 10. VI, N 118 (შდრ. სფირიდონ [გძელიევის] თხრობა — S 3283 დ; „საქართველოს სამოთხე“, გვ. 636-639).

ბერძენოვმა საბინინის თვითნებობად შეაფასა. უკანასკნელმა ბრალდებათა გაქარწყლება სცადა და ბრალმდებელს კონტრბრალდებათა სერია წაუყენა:

„განა საჩივრათ უნდა გახადოს კაცმა, რომ სრულიად დაკარგულნი წმ. ნაწილნი... ვპოვეთ და დავკრძალებთ წმიდასა ეკლესიასა შინა და ცნობასა მივეცი? ... მაშ იხიც იგრე უნდა დაკარგულიყო, როგორც დაიკარგნენ საფლავნი წმიდათა გარეჰსჯისათა ლუკიანესი, პავლესი, თეოდოსესი, არსენისა, იოანესი, შიო-ახლისა და სხვათა მრავალთა, რომელთა მოთხრობანი შეგროვილიყვნენ ერთ წიგნში, რომელს ეწოდების „ჯვარშემოსილი“, რომელიც ერთ ეგზემპლიარათ იყო ნათლისმცემლის მონასტერში და რომელიც ვითარცა მპარავი (?) [მპარავებმა, ანდა — მოპარული] წამოიღეთ სხვათ წიგნთა თანა უდაბნოდგან, როდესაც გამოვაძია (?) [გამოვაძია, ე.ი. გამოვაძევა] მაკარიმ და მიკიტანხანებში და იარმურკებში ჰყიდდით ხოლმე. ამის გამო არამც თუ საუკუნოდ დავკარგეთ წმ. გარეჰსჯელთა საფლავნი, არამედ მათი ხსენებაცა. ვინმე მეწვრიმალე შესახვევად იყიდდა მიკიტნისაგან იმ წიგნსა ... ნეტარ ინებოს ღმერთმან, ვიშოვნო სადმე გადაწერილი „ჯვარშემოსილი“, რომ იმით სხვანი საუკუნოთ დაკარგულნი მოვიძიოთ და მეოხად ვიხადოდ იგინი...“<sup>49</sup>

დავაზუსტოთ: არქიმანდრიტი მაკარი ნათლისმცემლის წინამძღვრად განაწესეს 1864 წლის ოქტომბერში (გარედაიცვალა, მ.საბინინისავე ცნობით, 1892 წ.).<sup>50</sup> მ.საბინინი მას უარყოფით პიროვნებად ახასიათებდა (H-40, გვ. 225-228) და ამ კონტექსტში ბუნებრივი იქნებოდა მისი ბერძენოვის თანამდგომად გამოცხადება. აქ კი სხვა სურათია: „გამოვაძია“ არის ენობრივი ლაფსუსი. ავტორს, ვფიქრობთ, უნდოდა ეთქვა: „წიგნები წამოიღე, როდესაც გამოვაძევა მაკარიმ“. მაშასადამე, მ.საბინინის თვალთ, ერთ მავნებელს მეორე მავნებელი გამოუძევებია ნათლისმცემლიდან. მათ შორის რომ მართლაც დიდ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი, სხვა წყაროთიც დასტურდება (შდრ. გვ. 65).

ჩვენთვის უცნობია ი.ბერძენოვის ბიოგრაფია. თუმცა ფაქტია, რომ 1865 წლის აპრილამდე იგი გარეჯის მრავალმთაში ცხოვრობ-

<sup>49</sup> მ.საბინინი, ჩემი პასუხი იოანე გრიგორის ძე ბერძენოვს, „დროება“, 1881, 27.VI, N 133.

<sup>50</sup> შდრ. ზემოთ. სქ. 17.

და და სარგებლობდა იქაური წიგნსაცავებით, რასაც ადასტურებს მისი მინაწერები: A-107, 84 v; 120, 117 r; 126, 198 v; 161, 204 v; 176; 165, 29 v; 269, 24v; 1348, 135 v. მათგან NN 107, 120 და 126 ადრე ნათლისმცემლის საკუთრება იყო, ხოლო 161, 176, 265 და, ჩვენი მონაცემებით, 269 და 1348 — დავით გარეჯისა. A-265-ის მინაწერს ახლავს თარიღი: „ჩყჲგ წელსა, ოკდომბრის კ-სა“, რაც გვაფიქრებინებს, რომ 1863 წლის ოქტომბერში მორჩილი იოანე დავით გარეჯის სავანეში იმყოფებოდა. იქიდან გადასულა ნათლისმცემელში.

მ.საბინინი ი.ბერძენოვს ასე ამხილებს: „ჩემ თვალწინ მლოცველთა რუსთა (უფრო მათუშკებსა), ქართველები სრულიათ არ დაიარებიან, ურიგებდა (?) [ურიგებდი] ხოლმე ნაწილთა წმ. წამებულთა. რა მამიშენისა იყო, თუ შენი დედის მზითვებში მოყოლებულნი?.. რაც კი რამ კარგი წიგნი იყო, სამიკიტანხანო გახადეთ... შორ და მშვიდობით, მაგრამ წიგნებს ნულა დაგვიკარგავ, უმჯობესია მათი პოვნა“.

პოლემიკაში ჩაერთო არქ. მაკარი და უარყო მ.საბინინის ბრალდებანი<sup>51</sup>. მაგრამ კომენტარის გარეშე დატოვა ინფორმაცია „ჯვარშემოსილის“ შესახებ. ამიტომაც ვერ ვიტყვი, რამდენად ობიექტურად გადმოსცემს სინამდვილეს საბინინი, ანდა: მოჰყვა თუ არა მის თავდასხმას ი.ბერძენოვის „პასუხის პასუხი“? ვფიქრობთ, არქ. მაკარის მიერ მითითებული წიგნის მოუხსენიებლობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ძეგლი 1881 წელს ნათლისმცემლის წიგნთსაცავში აღარ იყო და, ბუნებრივია, გარეჯის სავანეებში შემდგომ მიკვლეულ ხელნაწერებს შორისაც (იხ. გვ. 66) იგი არ აღმოჩნდა. ამასთანავე ირკვევა, რომ ი.ბერძენოვის განმგებლობის ქვეშ იმხანად (XIX ს. 60-80-იან წლებში) მოქცეული იყო ხელნაწერებიც, რომელთაგან იგი ზოგს ასაჩუქრებდა. მათგან ჩვენთვის ცნობილია შემდეგი: 1. სცსსა ფ. 233, N 259 (სასულიერო შინაარსის კრებული) და 2. ეროვნ. ბიბ. N 3 (ანტონ I, კატიგორია, გადანერილი 1794 წელს). მინაწერები ცხადყოფს, რომ

<sup>51</sup> არქ. მაკარი, წერილი რედაქტორთან, „დროება“, 1881, 15.VIII, N 170.

პირველი ბერძენოვს 1864 წელს მიუერთმევია მოძღვრისა და პატიოსანი მგალობელი გრიგორისათვის. მეორე კი — სფირიდონისათვის, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი, საბოლოოდ ამავე მონასტერში დამკვიდრებული, სფირიდონ გძელიევი უნდა იყოს (H 40, გვ. 225). საფიქრებელია, ამ ხელნაწერთაგან პირველი მაინც გასაჩუქრებამდე ნათლისმცემელში ინახებოდა და ი.ბერძენოვმა, მონასტრის ბიბლიოთეკასთან რაღაც სტატუსით დაკავშირებულმა პირმა, უსახსოვრა იგი ცნობილ მგალობელ გრიგოლ კარბელაშვილს.

მამასადამე, გვაქვს საფუძველი, ნდობა გამოვუცხადოთ მ.საბინინის ინფორმაციას „ჯვარშემოსილთან“ დაკავშირებით.

ამ სახელწოდების კრებული, შედგენილი ნათლისმცემლის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლის — გაბრიელ მცირის მიერ († 1802), დღეს დაცულია ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში ოლივერ უორდროპის კოლექციაში — Ms. Wardrop. f. 6 (ფოტოპირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში — Rt. XVIII, 2 (209:346;212:76;213:140;59:6). იგი ინგლისში მარჯორი უორდროპს ჩაუტანია. 1933 წლის ივლისში „ჯვარშემოსილი“ აღწერა და ნაწილობრივ — უმთავრესად „ღვთისმშობლის თხრობანი სულთა ღმრთისმოყვარეთა ფრიად სარგებელნი“ (გვ. 98-192) — გამოაქვეყნა გრიგოლ ფერაძემ (107). მას უსარგებლია ეკა ჩერქეზიშვილის მიერ 1923 წელს ინგლისურ ენაზე შედგენილი კატალოგით, სადაც „ჯვარშემოსილი“ წარმოდგენილი ყოფილა 75 ქართულ ხელნაწერს შორის 56-ე ნომრით და დათარიღებული 1798 წლით. გ. ფერაძე შენიშნავს: „თუმცა ეს ხელნაწერი შეიცავს ცნობებს იოანე ნათლისმცემლის მონასტრის გარდა დავით გარეჯის მონასტრის ცხოვრებიდანაც, დავარქვი მას სახელად „ნათლისმცემლის ქრონიკა“, რადგანაც მისი ავტორი იყო წვერი ნათლისმცემლის მონასტრის და იქვეც ეწამა“. თეოლოგის შეფასებით, „ჯვარშემოსილის“ არსებითი ნიშანია ასკეტური სულისკვეთების აპოთეოზი: „ჩვენ თვალწინ იშლება ... ისტო-

რია საქართველოს ბერ-მონოზანობის და იმავე დროს თვით ეკლესიის მე-18 საუკუნეში ... აქ გვაქვს საქმე მხოლოდ დადებით ტიპებთან — აღტაცებულ, ვიზიონარულ — ენტუზიასტურ ხალხთან და ან ვინ გაბედავდა და წავიდოდა იქ ბერად, სადაც მას ყოველ წამს ლეკების თავდასხმა და გვირგვინი მოწამებრივი ელოდა, სადაც იყო უდაბნო ნამდვილი, უწყლო, უგზო და უკვლო, სახვე გველებით და ქვეწარმავლებით — დაშორებული ძლიერ ადამიანთა ბინებიდან! ამის გამო... ყარაიზის უდაბნო იზიდავდა ყოველთვის... ასკეტებს, რომელნიც თავის ცხოვრებას მართლაც ღვთის მადლზედ, კურთხევაზედ, ნებაზედ და განგებაზედ ამყარებენ — მათი გონება და გულისყური მიმართულია ზეცისადმი... ცხოვრობენ ყოველდღიურ სასწაულებით და ყველაფერში ხედავენ სასწაულს და საკვირველებას, და ამის გამო თვითეულის ცხოვრება არის, მიუხედავად გაჭირვებისა, პოეზია და რომანტიზმი...”(107:27-28).

გ.ფერაძე გამოთქვამს იმედს: „აღბათ მოიპოვებიან საქართველოში ჩვენ მუზეუმებში ან კერძო პირთა შორის ასლები ამ შრომის”(107:26). ეს ვარაუდი არ მართლდება: „ჯვარშემოსილის” ოქსფორდული ნუსხა დღემდე უნიკალურად ითვლება.

ძეგლის ერთადერთი მინაწერი (P.S.) მიგვანიშნებს, რომ „აღმწერელი წიგნისა ამის” თავად ავტორია — მღვდელმონაზონი გაბრიელი. მაშასადამე, ხელნაწერი ავტოგრაფია (109:81), რაც გვაძლევს საფუძველს დადებითად გადავჭრათ საკითხი მისი იდენტიფიკაციისა საბინინის მიერ პირველად ნუსხად ნავარაუდევ წიგნთან. გასარკვევია მხოლოდ გზა მონასტრიდან მარჯორი და ოლივერ უორდროპების ბიბლიოთეკებამდე. პ.იოსელიანი 1866 წელს დაბეჭდილ შრომაში „ჯვარშემოსილს” მოიხსენიებს „Грузинская моя рукопись”-ად (194:161, სქ.108). მან საოჯახო ბიბლიოთეკის ხელნაწერ წიგნთა ძირითადი ფონდი, 180 ერთეული, 1865 წელს გადაგზავნა იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკის წიგნსაცავში<sup>52</sup>. ხოლო რაც თავისთვის დაიტოვა,

<sup>52</sup> ზ.ჭიჭინაძე ამ ფაქტის ირგვლივ გვამცნობს: პ.იოსელიანს „ბევრნი ჰყვედ-



მას სავალალო ბედი ეწია(106:208;138:75, სქ.171): პ.იოსელიანის მე-  
ულემე ანა ნიკოლოზის ასულმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ქმრის გარ-  
დაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ (1881) წიგნები სათავადაზნაურო  
სასწავლებელს შესწირა, ხოლო სიგელ-გუჯრებითა და სხვადასხვა  
ისტორიულ-არქეოლოგიური ნივთებით, რომელთა მოძიებას მკვლე-  
ვარმა ენერგია შეაღია, ხელს ითბობდნენ ვაჭარ-მეწვრილმანენი.

ი.გრუზინსკისადმი გადაცემულ კოლექციაში რომ „ჯვარშემოსი-  
ლიც“ ყოფილიყო, პ.იოსელიანი კიდეც აღნიშნავდა. უნდა ვიფიქროთ,  
რომ ამ დროს, 1865 წლამდე, პ.იოსელიანს ეს კრებული ჯერ შეძენი-  
ლი არ ჰქონდა. სამაგიეროდ 1866 წელს იგი უკვე მის განკარგულება-  
ში ჩანს. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, „ჯვარშემოსილის“ პ.იოსელი-  
ანისეული ეგზემპლარი უდრის თუ არა მარჯორი უორდროპისეულ  
ნუსხას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ ძეგლის უნიკალურობას,  
სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ი.ლოლაშვილის იდენტიფიკაცია: „პ.იო-  
სელიანის გარდაცვალების შემდეგ ამ ხელნაწერს უნდა გასცნობოდა  
მარჯორი უორდროპი, რომელიც 1894-1896 წლებში საქართველოში  
ყოფნის დროს პირადად შეხვდა პ.იოსელიანის ქვრივს. აქედან კი გა-  
საგებია, რომ გაბრიელის „ჯვარშემოსილი“ ინგლისელი სტუმრისათ-  
ვის უბოძებია თვით პლატონის მეუღლეს — ბაგრატიონ-მუხრანს-  
კის ასულს”(59:24). ამდენად, საფიქრებელია, რომ პ.იოსელიანმა ეს  
ხელნაწერი მოიპოვა 1865-1866 წლებში. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია  
განვავრცოთ და დავაკონკრეტოთ მ.საბინინის ერთი ცნობა: არქ. მა-  
კარის მორჩილი ივანე ბერძენოვი [ბერძენიშვილი?] ნათლისმცემლის  
სავანიდან გამოუძევებია 1865-1866 წლებს შორის.

არ ვიცით, რა გზით შეიძინა პ.იოსელიანმა ი.ბერძენოვის მიერ მი-  
საკუთრებული ხელნაწერი: უკანასკნელმა, მსგავსად ზემოხსენებული

---

რიდნენ, რომ შენ საქართველოს ერს რათ გამოსწირე ეს წიგნებო, მაგრამ  
იგი იმით მართლულობდა თავს, რომ ეს ჩემგან კანონიერათ მოხდაო, ეს წიგ-  
ნები ბაგრატიონთ ეკუთვნოდათ ერთ დროს და მეც რიგისამებრ მათ მივყი-  
დეო...“ (168:21-22).

გრიგოლისა და სფირიდონისადმი გაღებული ძღვნისა, იგი საჩუქრად მიართვა მას, თუ შეისყიდა, მ.საბინინისავე თქმით, „იარმურკებსა და მიკიტანხანებში“? ვინაიდან „MS. Wardrop. f. 6“, განსხვავებით ზემომითითებულთა: სცსსა 259 და საჯ. 3, მოკლებულია წარწერას, საჩუქრად მის მიძღვნას რომ დაადასტურებდა და თვით ადრინდელი მფლობელიც, პ.იოსელიანი, არაფერს ამბობს ამის თაობაზე, უნდა ვიფიქროთ, 180 ძვირფასი ხელნაწერის პატრონმა ეს ძეგლი შეისყიდა, თუ უშუალოდ ი.ბერძენოვისაგან არა, ვინმე ბუკინისტისაგან. შესაბამისად, სავარაუდებელია, რომ ანა ნიკოლოზის ასულმა ბაგრატიონ-მუხრანსკომ მეუღლის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ეგვევ კრებული დაუთმო ნიგნით მოვაჭრებს და, ალბათ, მათი მეშვეობით დაეპატრონა საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის ამ დიდმნიშვნელოვან ძეგლს ინგლისელი ქართველოლოგი, რომელიც თავისი ძმის ოლივერის მსგავსად შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან წერილობითი ძეგლების შეძენისას (32:56,143).

ჰქონდა თუ არა მ.საბინინს წაკითხული „ჯვარშემოსილი“?

„ჩემ პასუხში“ წარმოდგენილ სიასა და მითითებული კრებულის „ხსენებათა“ შორის სხვაობა შესამჩნევია: „წმიდათა გარეჰსჯელთაგან“ გაბრიელ მცირის ხელნაწერი შედარებით ვრცლად მხოლოდ თეოდოსის, არსენისა და იოანეს შესახებ გვიამბობს. მათგან პირველი უნდა იყოს ნათლისმცემლის არქიმანდრიტი (გერმანეს შემდეგ, XVIII ს-ის 80-90-იან წწ-ში), რომელმაც, აგიოგრაფის ცნობით, ღირსი ონისიფორეს გვამი გააპატიოსნა (გვ. 213-214); მეორე — წმ. დავითის სავანის მოღვაწე, „სიმხნით მმარხველი, ახოვნებით მლოცველი და ყოველსა შინა მომთმინე“ (თხრობა 23, გვ. 180-184). მომდევნო სახელის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ მე-18 ს-ის ერთ-ერთი გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, რომელიც სწორედ გარეჯის უდაბნოში, ბერთუბანში, ეზიარა ბერობის მადლს და, სამღვდელმთავრო კათედრის მიხედვით, მანგლელის წოდება დაიმკვიდრა. ნიშანდობლივია, რომ კრებულში

ამავე სახელით ცნობილ რამდენიმე მოღვაწეს შორის მხოლოდ მას აქვს განკუთვნილი საგანგებო „თხრობა“ (4, გვ. 120-126). კრებულში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ერთ ბერს „სენაკსა შინა აქუნდა დაფარულად ხმელი იგი თავი შიო ტკბილისა დაყუდებულისა მის მონაზონისა“ (გვ. 163). ვფიქრობთ, აქ საგულებელია საბინინის მიერ ხსენებული შიო ახალი, — 1697-1700 წლებს შორის ხუთ მონესესთან ერთად ლეკთაგან მონამებრივად აღსრულებული, რომლის სახელზე ნიკოლოზ მაღალაშვილს განგებაც კი შეუდგენია სვინაქსარული საკითხავითა და საგალობლით (A — 1367) (154).

ოქსფორდული ნუსხა თუმცა არაფერს ამბობს „ჩემ პასუხში“ მითითებულ მოღვაწეთაგან დანარჩენი ორის — ლუკიანესა და პავლეს — შესახებ, ირკვევა, რომ მათი სახელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა გარეჯის ბერმონაზონთა წრეში. ამასთანავე, საბინინის დროს თურმე აღარ იყო შემორჩენილი ტრადიციული გადმოცემა დავით გარეჯელის თანამოსაგრე ლუკიანეს საფლავის შესახებაც კი. ცხადია ისიც, რომ მრავალმთის უდაბნოს მონესეთა თუ მლოცველთა შორის იმხანად ფრიადი პატივი ჰქონია მოხვეჭილი პავლეს, რომლის ვინაობა ჩვენთვის მთლად ნათელი არაა. გარეჯის ისტორიულ საბუთებში დამონშებულია რამდენიმე პავლე (109:156). მ.საბინინის „პასუხში“ ხსენებულ პავლედ სავარაუდებელია ცნობილი წინამძღვარი, XIX ს-ის გარეჯელ მეუდაბნოეთა მიერ აღმატებული პატივით მოხსენიებული, რომლის შესახებაც გვიამბობს სფირიდონ გძელიევის „ცხოვრება და მოღვაწება სანატრელისა მამისა ქრისტესისა მონაზონისა, შემდგომ ქრისტეფორედ წოდებულისა“ (155), დასრულებული 1880 წელს და მიძღვნილი იმავე საბინინისადმი, — დამკვეთისადმი. შემონაზვნების სურვილით გამსჭვალულ ქრისტესიას, ვკითხულობთ იქ, მოძღვარი შთააგონებდა: „წარვედ, შვილო... სადა ღირსი მამა და წინამძღვარი გარესჯისა პავლე ეტყოდა ძმათა: „იოვანე ღვთისმეტყველი მოგვცემსო, ძმანო, საზრუნავს თქვენსა და მყის მოიტანა ცოც-

ხალი თევზი ორბმა და შთამოუტევა ძმათა დღესასწაულთა იოანე ღვთისმეტყველისასა”. გაბრიელ მცირის „თხრობანში” ანალოგიური სასწაული — სტავროფორის ყურამდე ასევე ზეპირგადმოცემით მიღწეული — მიეწერება წინამძღვარ მარკოზს (თხრობა 15, გვ. 61-62): ვინაიდან თევზი არ ჰქონდათ, ხარებას წინამძღვარმა რამდენიმე ბერი გაგზავნა ველად მხალისათვის და „ვითარცა ვლეს ორ...უტევეან... მფრინველმან დაიკრჩხიალა... და გარდამოუტევა თევზი. ამისთვის ანცა კართა ზედა მონასტრისათა გამოსახულ არიან მფრინველნი და ფერწითა უპყრიეს თევზი”. ამ ორი ეპიზოდის ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი და, კერძოდ, წინამძღვარ პავლეს იდენტიფიკაცია ცალკე გამოკვლევის საგანია. ჩვენთვის კი არსებითია იმის დაშვება, რომ მ.საბინინისა და ს.გძელიევისეული პავლე ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნული წმინდანების ცხოვრება-წამებათა ცნობილ გამომცემელს ან ველარ მოუსწრია გაბრიელ მცირის კრებულის საკუთარი თვალით ნახვა (იგი, ჩვენი დაკვირვებით, 1865-1866 წწ-ში უნდა გაეტანათ ნათლისმცემლიდან) და მხოლოდ სმენიამის შესახებ, ანდა ოდესღაც წაკითხული წიგნის შინაარსის გახსენება სრულყოფილად ვერ მოუხერხებია. ასეა თუ ისე, ფაქტია: გაბრიელ მცირის ეგზეგეტიკურ-აგიოგრაფიული კრებული რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დაცული იყო ნათლისმცემლის საგანეში და ემსახურებოდა მეუდაბნოეთა რელიგიურ-ლიტერატურულ ინტერესებს.

### **3.10. გაიოზ რაქტორის ხელნაწიები და მისი გრამატიკა**

გრამატიკა შემონახულია ორი ხელნაწერით და ავტორის მიერვე მომზადებული გამოცემით (88:162). ავტოგრაფი, დაწერილი 1789 წელს, დაცულია სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში, იოანე ბატონიშვილის (გრუზინსკის) კოლექციაში, N 160 (207, ტ.1 вып 3:

209;17:42-43).<sup>53</sup> მეორე ნუსხა კი, ასევე ი. ბატონიშვილისეული, — ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 2255 (108:268). იგი დათარიღებულია 1783 წლით.<sup>54</sup>

დღემდე ცნობილი არ იყო, თუ რა გზით მოიძია იოანე ბატონიშვილმა ეს ეგზემპლარები. ამიტომაც გვესახება საყურადღებოდ დიმიტრი ჯანაშვილის კორესპონდენცია, რომლის თანახმადაც მას 1871 წლის აგვისტოში სიღნაღში „უფ. გ.“-სთან უნახავს ძველი ხელნაწერი რვეულები. ავტორის ცნობით, „ამ რვეულებში ურევია, სხვათა შორის, გრამატიკა გაიოზ ეპისკოპოსისა. ის არის დაწერილი თვით მისი ხელით და იმის სიკვდილის შემდეგ იგი მიუღიათ იმის მონათესავე, მაღაროს ნაცვალოებს. დაწერილია შავ ქალაღზე, მაგრამ წმინდათ და გარკვევით... ამ რვეულზედვე არის მიკერებული სხვა ხელთ ნაწერი, რომელიც არის სია ქართველთა უწინდელი წიგნებისა. თუმცა მე ის სრულიად ვერ წავიკითხე, მაგრამ, როგორც უფ. გ. ამბობდა, იქ თურმე ისეთი წიგნების სახელები არიან მოხსენებულნი, რომელთა სახელები სხვა კატალოგებში არ მოიხსენებიან. რადგან ამისი პატრონი ამ გვარი აზრისაა ამ წიგნთა სიაზე, ამისთვის, როგორც ამბობდა, თვითონვე ის ემზადება მის დასაბეჭდავათ...“<sup>55</sup>

გაიოზ რექტორის პირადი ქონების თავგადასავლის შესახებ ერთადერთ სარწმუნო წყაროდ დღემდე ნ.პალმოვის მიერ მოძიებული საარქივო მასალები ითვლება (201:38,48). დ.ჯანაშვილის ინფორმაცია კი რამდენადმე ავსებს და აზუსტებს მათ და გვაფარაუდებინებს, რომ გურგენ თადეოზის ძე ნაცვლიშვილს 1822 წელს ასტრახანიდან სიღნაღში ჩამოუტანია განსვენებული ბიძის ხელნაწერები. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი თავდაპირველად ნაცვლიშვილების — გაიოზ

<sup>53</sup> ახალი ნომერია 268 (ცნობა მოგვანოდა ციალა კახაბრიშვილმა †).

<sup>54</sup> ალბათ ამ ხელნაწერის საფუძველზე აცხადებდა ნ.გამრეკელი, რომ გაიოზ ეპისკოპოსს „გრამატიკა“ მზად ჰქონდა 1785 წლამდე (H 2876, 32v.).

<sup>55</sup> ინგილო (დიმიტრი) ჯანაშვილი, ჩვენს ლიტერატურაზე საუბარი სიღნაღში, „დროება“, 1871, 22.X, N 42.

რექტორის დის ქმრის — ოჯახში ინახებოდა, სოფელ მაღაროში. შემდეგ კი სიღნაღში „უფ. გ.“-სთან დაუდევთ ბინა.

პრობლემატურია მხოლოდ ამ ფსევდონიმის გაშიფრვა.

ფსევდონიმით „გ...“ XIX ს-ის ქართულ პერიოდიკაში ცნობილია ერთ-ერთი ქიზიყელი კორესპონდენტი (115:232). ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მისი გაიგივება დ.ჯანაშვილის მასპინძელსა და ინფორმატორთან — „უფ. გ.“-სთან. იგი უნდა იყოს იმდროისათვის ცნობილი მწერალი, მთარგმნელი და არქეოფილი ნიკოლოზ გამრეკელი (+1896)<sup>56</sup>, რადგან ამ უკანასკნელის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ზოგიერთი დეტალი ემთხვევა საანალიზო კორესპონდენციის მონაცემებს. კერძოდ: 1. ნიკოლოზ გამრეკელი ცხოვრობდა სიღნაღში; 2. იგი იყო ძველი ქართული წერილობითი ძეგლების შემკრები, გადამწერი და მკვლევარი. მისი მდიდარი ბიბლიოთეკის ხელნაწერებიდან, ე.წ. „ხელნაწერი რვეულებიდან“, ზოგიერთმა ჩვენამდეც მოაღწია (S 63, 2780-2790; H 1318, 1745, 2857, 2861, 2962, 2866-2876); 3. ხელნაწერი H 2876 ადასტურებს, რომ ნ.გამრეკელი დაინტერესებული იყო გაიოზ რექტორის შემოქმედებით; 4. დ.ჯანაშვილი დასძენს: „უფ.გ.“ სტატიის გამოქვეყნებას აპირებს არგონავტების, პელაზგებისა და სხვათა შესახებო. ნ.გამრეკლის შრომებს შორის მართლაც დასტურდება ანალოგიური შინაარსის წიგნი<sup>57</sup>; 5. „დროების“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „უფ.გ.“ იცნობს ბოდბის „წმიდა ნინოს სობოროს“ წიგნსაცავს. მართლაც, ნ.გამრეკელის „რვეულებს“ შორის წარმოდგენილია „ბოდბის მონასტრის აღწერა“ (H-2861).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ განხილულ სტატიაში იგულისხმება ნ.გამრეკელის საოჯახო ბიბლიოთეკა, სადაც 1871 წლამდე ინახებოდა რვეული — გაიოზ რექტორის გრამატიკის ავტოგრაფული ნუს-

<sup>56</sup> ნეკროლოგი: „ცნობის ფურცელი“, 1898, 10.I, N 422

<sup>57</sup> საქართველოს სიძველენი, ეგვიპტელები საქართველოში და ქართველები ეგვიპტეში, შედგენილი ნ.გამრეკელისა და მისგანვე გამოცემული (პირველი რვეული), თბ., 1885.

ბა. ამავე ნუსხაზე ყოფილა მიკერებული სხვა რვეული — სია ძველი ქართული წიგნებისა. გამოვთქვამთ ვარაუდს: შესაძლებელია, მასზე დაყრდნობით შეადგინა ნ.გამრეკელმა ძველი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ბიბლიოგრაფია, რაც წარმოდგენილია ხელნაწერში H-2876.

ასეა თუ ისე, დასტურდება: გაიოზ რექტორის გრამატიკის ავტორაფული ნუსხა — ან პეტერბურგის ბიბლიოთეკისეული, ან H 2255 (თუკი იგი ავტორაფია), ან, შესაძლებელია, ორივე — ინახებოდა, 1871 წლის აგვისტომდე მაინც, სიღნაღში ნიკოლოზ გამრეკელთან. ამდენად, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სიძველეთა ცნობილმა კოლექციონერმა — იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკიმ (+1880) — ორივე ნუსხა მისგან შეიძინა 1871-1880 წლებს შორის.

### 3.11. მიუკვლაველი ხელნაწერები

*ა) ყორხმაზ დანიბეგაშვილის კრებული*

ინფორმაცია, რასაც იოსებ დავითაშვილი გვთავაზობს (გვ. 51), ყურადღებას იქცევს შემდეგი ასპექტებით:

1. წიგნის შინაარსი: ა) რომელი საჭმელი და სასმელი მავნებელია უდროვოდ; ბ) შეტყობა მავნებელი ვარსკვლავისა და მთვარისა; გ) სიზმრის ახსნა; ე) ძვრისა და ქუხილისათვის, ცისარტყელისა და ელვისათვის; ჰ) მზისა და მთვარის დანიშნულება რას მოასწავებს რომელ თვეში; ზ) სწავლა ბრძენისა მამისა პლატონისა, რომელი ასწავლა ნათანელსა, ძესა თვისსა; ჟ) წამება წმიდისა მარინესი; თ) შესხმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა; ი) ლოცვა წმიდისა დიდებულისა მოწამისა ტურფინოსი; ია) კარაბადინი ადამიანთა სნეულობისა; იბ) მართალი და ჭეშმარიტი კარაბადინი ცხენისა; იგ) მცნებანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელი მოიღეს ზეცით რომისა საყდარსა, წმიდასა საკურთხეველსა.

და კიდევ, რისთვისაც, ეტყობა, მომზადდა ეს ინფორმაცია, — წმიდა შიო მღვიმელის „ლექსი“, რომელიც ი.დავითაშვილს ამოუწე-

რია და კორესპონდენციისათვის დაურთავს შენიშვნით: „ვერ შეგვიძლიან დასაბუთებით ვთქვათ, რომ ეს ლექსი უთუოდ შიოს კალამს ეკუთვნოდეს და მხოლოდ ამ წიგნის და გადამწერის მიხედვა გვაფიქრებინებს ამას“. ბოლო სიტყვები ამ ნაწილის ძირითადი ტექსტისაგან განუყოფლობაზე მიგვანიშნებს.

საგულისხმოა შემდეგი: ა) სახეზეა რომაულ-კათოლიკური ეკლესიოლოგია: თავი იგ და ბ) ჩვენს პუბლიცისტიკაში ეს პირველი ცნობაა ათცამეტაგანი ასურელი მამის პოეტური მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც მეცნიერულადაა განსჯილი და კრიტიკულად შეფასებული, რაც ავტორს ქართული ლიტერატურის საკითხებზე დაფიქრებულ პიროვნებად წარმოაჩენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნუსხულია 10 ხელნაწერი, რომლებიც შიო მღვიმელის ჰიმნებს შეიცავს (72 I:192). მათ შორის ჩვენი კრებული ყველაზე ძველი ნუსხა უნდა იყოს. სამწუხაროდ, ი.დავითაშვილის ამონაწერის პუბლიკაცია რედაქციამ გადადო და დავინყებას მიეცა. ამიტომ მის ტექსტოლოგიურ საკითხებზე მსჯელობის საშუალებას მოკლებული ვართ.

2. *გადამწერი და თარიღი.* ნაწილი, თავამდე 3, გადამწერილი ყოფილა „ქორონიკონსა ტკთ კათათვის დამდეგსა“, ნაწილი, თავები ზ - ი, — „ქორონიკონსა ტლ“, დანარჩენი, ალბათ, — შემდეგ. ასე რომ, ხელნაწერი ინუსხებოდა ნაწილ-ნაწილ, სავარაუდებელია, სხვადასხვა დედნიდან 1641-1642 წლებს შორის.

ჩვენი დაკვირვებით, მნუსხველი შემდგენელ-რედაქტორის მოვალეობასაც ასრულებდა და ქმნიდა ფართო პროფილის კრებულს, რომელსაც მკითხველთა პრაქტიკულ-ყოფითი ინტერესებიც უნდა დაეკმაყოფილებინა და სულიერ-რელიგიურიც. მისი სახელი და გვარია ყორხმაზ დანიბეგაშვილი, რომელიც, ინფორმაციის მიხედვით, ოთხჯერ მოიხსენიებს თავს მორწმუნეობრივი სიმდაბლით. ამ სახელისა და გვარის პიროვნება ჩვენ ვერსად მოვიძიეთ, თუმცა დანიბეგაშვილების გვარი ცნობილია. ისი-



ნი, წარმოშობით მესხები (ასპინძიდან), ქართული კულტურის ასპარეზზე სწორედ XVII ს-იდან ჩანან; საქმიანი კონტაქტები აქვთ გორთან და კონფესიით კათოლიკები არიან (27:83,87,102). ამდენად, გვაქვს საფუძველი, ნდობა გამოვუცხადოთ გასული საუკუნის პოეტისა და მკვლევრის ინფორმაციას ხელნაწერის დათარიღების თვალსაზრისითაც.

3. *დაცულობა*. 1883 წლისათვის ხელნაწერი გორელ ვაჭარს ისაკ ამირალოვს ეკუთვნოდა და, ალბათ, მის ოჯახში ინახებოდა. სავარაუდებელია, რომ იგი იყო ქართველი კათოლიკე და აღმსარებლობითი სულისკვეთების წიგნს განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. ი.დავითაშვილის მიზანს „წერა-კითხვის საზოგადოების“ ახლადმექმნილი ბიბლიოთეკის ამ ხელნაწერით დაინტერესება წარმოადგენდა. შესაძლებელია, რომ სათანადო ზომებიც იქნა მიღებული, მაგრამ მფლობელმა ხელნაწერი არ დათმო.

ვფიქრობთ, იგი დღესაც გორის კათოლიკეთა თემშია საგულვეტელი.

ბ) *„ვახტანგიანის“ ამირეჯიბისეული ნუსხა*

ამ ძეგლის შესახებ უადრეს ინფორმაციად დღემდე ითვლებოდა „ეგრის“ ანუ მ.ჯანაშვილის სტატია „ახლად ნაპოვნი ხელნაწერი ისტორიული პოემა“ („ივერია“, 1886, 21.IX, N 204) (126:175). ჩვენი მასალების მიხედვით კი ცნობა „ვახტანგიანის“ არსებობის თაობაზე პირველად „დროებას“ გამოაქვეყნა 1878 წელს.

23 იანვრის (N 123) „დღიურში“ ვკითხულობთ: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმერეთში, სოფ. მესხეთში, აზნაურთ ამირეჯიბების ოჯახში იპოება ერთი ძველი ხელნაწერი ქართული წიგნი, პოემა, სახელად „ვახტანგი“ თუ, მგონია, „ვახტანგიანი“. ამბობენ, ამ წიგნში ვახტანგ მეფის და მის თანამედროვე მწერლების ცხოვრება არის აღწერილი. რადგან ეს წიგნი ჩვენში არ მოიპოვება ... კარგი იქნება ... პატრონები რომ იმის გამოგზავნას ინებებდნენ „დროების“ ანუ „ივერიის“ რედაქციაში; აქ განიხილავენ და თუ მართლა კარგი და სასარგებლო

ნიგნია, დაიბეჭდება; თუ არა და პატრონი დარწმუნებული იყოს, რომ თავის ნიგნი არ დაეკარგება”.

არ ვიცით, რა ბედი ენია ამ ხელნაწერს. მ.ჯანაშვილის ხელთ არსებული ნუსხა შემონახულია შიფრით S 101. ცნობილია კიდევ სამი ხელნაწერი (126:176-178; კეკელიძე მ., შატბერაშვილი გ., „ვახტანგიანის“ ახლად აღმოჩენილი ხელთნაწერი. „ლიტერატურა და ხელოვნება,“ 1944, 27.X, №36, გვ. 4), მაგრამ ამირეჯიბებისეული არც ერთი არ ჩანს. მისი კვალი სავარაუდებელია იმ სოფელში, რომელსაც გაზეთი ასახელებს — მესხეთში (წყალტუბოს რაიონი). ჩვენთვის საყურადღებოა ფაქტი, რომ ეს თხზულება იქაურ მნიგნობართ შორის პოპულარული ყოფილა და კორესპონდენტს დედაქალაქში მისი შინაარსის თაობაზე სწორი ინფორმაცია გამოუგზავნია.

*გ) „საქართველოს მოკლე ისტორია“*

ამ ნიგნის შესახებ ზ.ჭიჭინაძემ ორი ცნობა შემოგვინახა.

პირველი 1880 წელს გამოქვეყნდა „დროებაში“ (31.X, N 230):

„... ამ მოკლე ხანში ერთს მეწვრიმლის დუქანში ვნახე ხელთნაწერი მოკლე საქართველოს ისტორია, რომელიც ამ მეწვრიმალისთვის ქალაქის ფასათ მიეყიდნათ. რამდენიმე ძველი ქართული ხელთნაწერი ნიგნები ყოფილიყო და სხვათა შორის ეს ისტორიაც მათში, რომლის ბოლო უკვე მოეხიათ და სახმარებელ პარკებთ გაეკეთებინათ. ისტორია იწყება პირველ დანაყვებით საქართველოს ერის ცხოვრებიდან და თავდება მეთერთმეტე საუკუნის დასასრულამდე... როგორც ერთის ფურცლიდან სჩანს, ეს ისტორია დაწერილია 1826 წ. ერთ ფურცელზე მიწერილია შემდეგი შენიშვნა: „ეს წერილი არის ჩართული საეკლესიო ნიგნში, რომელიც იპოვება ნესტორ წერეთლის სახლში და რომელსაც აქვს ეს შენიშვნა: არხიმანდრიტმან გენათისამან ზაქარიამ, რათა უცხადეს იყოს ცნობად ყოველთა მიმართ წარმკითხველთა და სწავლის მოყვარეთაგან წელ ჩ.ყ.ვ.ბ. (!) [ჩეკებ] თვეს ნოემბერსა ა-ს. ხოლო მე პროთოიერმან იოსე ზაქარია მოძღვრის ძემან გაბაონმან გარდმოვსწერე, გვედრებით მთხოვნელმან აღმომკითხველთა შენდობის მიერ, წ. 1823 მარტს 19 ექსორიობასა შინა მყოფმან ქალაქ ბელლოროდს, მონასტერსა შინა წმიდასა საკურველთმოქმედისა ნიკოლოზისა“. ამ სიტყვების შემდეგ წერია „ბაქრაძე“. არ ვიცით — ეს რომელი ბერი ბაქრაძე უნდა იყოს... ახლა მივმართავ ყველა ჩვენი ქვეყნის მოყვარულ პირებს, რომ, თუ იციან რამე ამ წერილში ნახსენებ პირებზედ... ან მოეძებნებთ სადმე ამისთანავე ისტორია, წარმოადგინონ

თბილისს „დროება“ - „ივერიის“ რედაქციაში ან ჩემ მაღაზიაში. ენა ახალი ენაა და სენ-მარტენი და რამოდენიმე სხვადასხვა ამ საუკუნის ევროპის ისტორიკოსებსაც ახსენებს. იმედი გვაქვს, რომ ამ წერილს ყურადღებას მიაქცევენ აგრეთვე ნესტორ წერეთლის მემკვიდრეები და ნაცნობები, რადგანაც ეს ისტორია ამ რამდენიმე ხნის შემდეგ გამოიცემა ცალკე. ზ. ჭიჭინაძე. 28 ოქტომბერს“.

ეგევე ხელნაწერს ვგულისხმობთ ამ ინფორმაციაშიც:

პ. იოსელიანის „... დანარჩენი წიგნები 40 ფუთამდე მენვრიმლები-სათვის მიეყიდნათ, ქალაქის ფასათ. ამ წიგნებიდამ რამდენიმე ფუთი... მე ვიყიდე... აქვე ვიპოვე ერთი პატარა ისტორია საქართველოსი, მირგოროდის გუბერნიაში გადანერილი, 1825 წ. ვილაც ქართველის ბერისაგან, ეს ისტორია 1878 წ. ილ. ჭავჭავაძეს გადავეცი და თან დავავალე „ივერიაში“ დაბეჭდვა, მაგრამ ეს არ დაიბეჭდა და დღეს აღარ ვიცი, მოიპოვება კიდევ თუ არა? ...” (168:23). მეორე ცნობას ყურადღება მიაქცია პროფ. ნინო მახათაძემ, რომელიც ამბობს: „საფიქრებელია, პლ. იოსელიანს ხელთ ჰქონდა გურამიშვილის წრის შთამომავალთაგან შედგენილი „საქართველოს ისტორია“ (67ა: 72).

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზ.ჭიჭინაძე კვლევის პროცესში ძირითადად ეყრდნობოდა საკუთარ მეხსიერებას და ძიებას უმთავრესად წყაროებთან კონტაქტის გარეშე წარმართავდა. ამასთანავე, მეორე ინფორმაცია მას უნდა დაენერა საგაზეთო პუბლიკაციიდან 13 წლის შემდეგ. ამიტომაც გასაგებია ნიუანსური სხვაობა, რაც შეინიშნება ამ ცნობებს შორის. თუმცა, ვფიქრობთ, ეს ორი ინფორმაცია ერთმანეთს ავსებს; ამდიდრებს ერთი და იმავე წიგნის თავგადასავალს და მიგვანიშნებს, რომ „მოკლე საქართველოს ისტორია“ ანუ „ერთი პატარა ისტორია საქართველოსი“ ადრე პლატონ იოსელიანის საკუთრება ყოფილა (მისი ხელნაწერების სავალალო ბედზე იხ. გვ. 177). ერთი შეხედვით ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ეს წიგნი შენიშვნითურთ პლატონ იოსელიანს მიაწოდა „ბაქრაძემ“. ვგულისხმობთ XIX ს-ის მე-2 ნახევრის საეკლესიო მოღვაწეს ბერ ალექსის (გვ. 155). იგი ცნობილი კალიგრაფი იყო, მუშაობდა დასავლეთ საქართველოს

სხვადასხვა საოჯახო-საგვარეულო ბიბლიოთეკებში. მას მართლაც შეეძლო ამოეწერა მასალა ნესტორ წერეთლის მდიდარი სანიგნობლის ერთ-ერთი ხელნაწერი კრებულიდან (შდრ. გვ. 88).

ამ კრებულის ძიების გზაზე ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ფაქტმა: ზ. ჭიჭინაძის მიერ დამონმებული მინაწერი თითქმის იდენტური აღმოჩნდა დავით აღმაშენებლის ანდერძის პირველ პუბლიკაციაზე<sup>58</sup> დართული შენიშვნისა: „ეს ნაწილი არის ჩართული საეკლესიო წიგნში, რომელიც იპოვება ნესტორ წერეთლის სახლში და რომელსაც აქუს ეს შენიშვნა: ესენი გარდმოვსწერე მე პროთოიერმან ოსე ზაქარია მოძღვრის ძემან მაისს კ. ჩყკბ. ესე ეთარგმნა რუსულით ქართულსა ენასა ზედა სიბრძნის მოყუარეს ქართველს იოანეს ვისმე ბაზალაძეს, პერეოჩიკსა, გარნა უჩუჭულებისათვის ჩუჴნ განვმართეთ ჩუჴნისამებრ ენისა ქართველთა მე მდაბალმან არხიმანდრიტმან გაენათისამან ზაქარიამ, რათა უცხადეს იყოს ცნობად ყოველთა მიერ წარმკითხველთა და სწავლის მოყვარეთაგან. წელსა ჩყკბ, თთუჴსა ნოემბერსა ა-სა. ხოლო მე პროთოიერმან ოსე ზაქარია მოძღვრის ძემან გაბაონმან გარდმოვსწერე ვედრებით მთხოვნელმან აღმომკითხველთა შენდობის მიერ წელსა ჩყკგ, თთუჴსა მარტსა ით, ექსორიობასა შინა მყოფმან ქალაქსა ბელლოროდისასა, მონასტერსა შინა წმინდისა და საკვრველთ მომქმედისა ნიკოლაოსისა. ბაქრაძე“ („ცისკარი“, 1863, N 1, გვ. 57-58).

როგორც ვხედავთ, ოსე გაბაშვილის ანდერძი ზ. ჭიჭინაძის სტატი-აში წარმოდგენილია ერთი დეტალის — იოანე ბაზალაძესთან დაკავ-შირებული ფაქტის — გამოტოვებით, რაც, ცხადია, აბუნდოვანებს ფრაზას. მიუხედავად ამისა, არა გვაქვს საფუძველი, ერთი და იმავე

<sup>58</sup> „ცისკარი“, 1863, N1, გვ. 57-60. მეორედ დაიბეჭდა „მნათობში“ (1872, N 4-5, გვ. 63-64). ეს გამოცემები უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში გათვა-ლისწინებული არ არის. შდრ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ.სილოგავამ, ნ.შოში-აშვილმა, თბ., 1984, გვ. 61.

გადამწერის სხვადასხვა ანდერძად მივიჩნით ზემონარმოდგენილი ტექსტები. საფიქრებელია, რომ მათი წყარო — დამოწმებული „საეკლესიო წიგნი“ — იყო კრებული.

ეს კრებული ახლახან გამოვლინდა. ბერ ბაქრაძეს უსარგებლია ამჟამად ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერით — N 3, რომელიც შედგენილი და გადაწერილია არქ. ზაქარია გაენათელისა და დეკ. ოსე ზაქარიას ძე გაბაშვილის მიერ 1822-25 წწ-ში. იგი მოიცავს სხვადასხვა ჟანრის სასულიერო თხზულებებს. მეფე-აღმაშენებლის ანდერძი (და სხვა საისტორიო მასალა) წარმოდგენილია 210-212 ფურცლებზე, გადამწერისა კი — 248 v-ზე. ერთ-ერთი მინაწერი გვამცნობს, რომ ხელნაწერი ნესტორ წერეთელმა 1883 წლის 10 ოქტომბერს აჩუქა არქ. სიმეონს; უკანასკნელმა კი ხობის მონასტერს შესწირა 1904 წლის 6 აპრილს (7v-8r). აქედან ცხადია, 1863 წელს ეს ძეგლი ნესტორ წერეთლის საკუთრება იყო და, რა თქმა უნდა, ამავე ოჯახში მოამზადებდა ბერი ალექსი ბაქრაძე ზემომითითებულ პუბლიკაციას.

„საქართველოს მოკლე ისტორია“ (ან მსგავსი რამ) ამ კრებულში არ აღმოჩნდა, თუმცა ხელნაწერი სრულადაა შემონახული. მაშასადამე, გვაქვს საფუძველი კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ საკითხი ოსე გაბაშვილის ანდერძის კავშირისა საქართველოს ისტორიის დასახელებულ წიგნთან შემდეგი გარემოებების გამო: 1. წარმოდგენილი ანდერძი ერთვის აღნიშნული კრებულის ერთ მონაკვეთს — „მაგალითნი კეთილმსახურებისანი“, გადაწერილს 1823 წლის 19 მარტს, რაც გამორიცხავს ოსე გაბაშვილის მიერ იმავე რიცხვში სხვა ნუსხის განსრულებას; 2. ხელნაწერ A 301-ში (სწავლანი კეთილმსახურებისანი. 1822) წარმოდგენილია ხსენებული გადამწერის მიერ ბელლოროდში, იმავე მონასტერში, დამზადებული წიგნების სია (104 v). „საქართველოს მოკლე ისტორია“ მათ შორის მითითებული არაა; 3. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, აღნიშნულ თხზულებაში მოხსენიებული ყოფილა ცნობილი

ფრანგი ისტორიკოსი სენ-მარტენი, რომელმაც ქართველოლოგიაში სიტყვა შედარებით გვიან თქვა (153:12). ამიტომაც არქ. ზაქარია გაენათელის — 1823 წელს გარდაცვლილი მოღვაწის (73:179) — მიერ რედაქტირებულ ნიგნში მისი დამონმება მოსალოდნელი არაა.

ასე რომ, „საქართველოს მოკლე ისტორიის“ რედაქტორ-გადამწერებად დასახელებულ სასულიერო პირებს ვერ ვიგულებთ. ჩვენი ვარაუდით, ეს თხზულება შედგენილი უნდა იყოს 1830 წლის შემდეგ.

რის საფუძველზე დააკავშირა ზ.ჭიჭინაძემ ოსე გაბაშვილის ანდერძი „საქართველოს მოკლე ისტორიასთან“, ბუნდოვანია, მაგრამ ფრაზა — „ერთ ფურცელზე მიწერილია შემდეგი შენიშვნა“ — ჩვენ აპრიორულად და ინტუიციურად იმ ფურცელზე მიგვანიშნებს, რომლებზედაც იქნებოდა ბერი ბაქრაძის შენიშვნა. ეს ფურცელი ჟურნ. „ცისკრის“ რედაქციამ, შესაძლებელია, გადასცა პ.იოსელიანს, რაც მან ალბათ ჩადო ზემოაღნიშნულ (ჯერჯერობით არაიდენტიფიცირებულ) ნიგნში<sup>59</sup>. ეს ნიგნი სხვა ნიგნებთან ერთად, მფლობელის გარდაცვალების შემდეგ, გადაინაცვლებდა მენწრილმანე-მედუქნეთა დახლებზე (შდრ. ზემოთ გვ. 177) და მოექცეოდა ზ. ჭიჭინაძის მხედველობის არეში. ჩანს, ე.წ. „საქართველოს მოკლე ისტორიის“ ფურცლებს შორის მექანიკურად ჩართული ბერი ბაქრაძის ავტოგრაფი გახდა არაზუსტი საგაზეთო ინფორმაციის წყარო.

ამრიგად, ზ.ჭიჭინაძის ცნობების ქვეშ იგულისხმება ორი ხელნაწერი: 1. „საქართველოს მოკლე ისტორია“, რომლის ამჟამინდელი დაცულობა ნათელი არაა და 2. ოსე გაბაშვილის ანდერძის ბერი ალექსი ბაქრაძისეული პირი კომენტარით.

---

<sup>59</sup> შესაძლებელია, ეს „ხელნაწერი“ პარიზის ქრონიკის ანუ „ცხოვრება საქართველოსას“ ლითოგაფიული გამოცემა იყოს (პარიზი, 1831).

## შედეგები და დასკვნა

გაზეთ „დროების“ მასალების დამუშავების შედეგად გამოვლინდა ფაქტები, რომელთაგან ბევრი „აღწერილობებსა“ და სხვა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნუსხული და გათვალისწინებული არაა. გამოვყოფთ რამდენიმეს:

*I. ატრიბუციისათვის:* 1. დ.ბაქრაძეს უნდა ეკუთვნოდეს სტატია ათონის ხელნაწერების შესახებ; 2. ნ. ნიკოლაძეს — რეცენზია მარი ბროსეს შრომაზე კორიდეთის ოთხთავის შესახებ; 3. სერგეი მესხს — ა) სტატია „ძველი წიგნების გამოცემაზე“ (1870, 14.V, N 19), ბ) განცხადება ა.ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიის ქართულ ხელნაწერებზე, გ) გამომხაურება ლ.დადვანის ცნობაზე „სვანეთის სულთა მატეიანის“ შესახებ; 4. ზ.ჭიჭინაძეს — ა) ინფორმაცია სვეტიცხოვლის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდზე, ბ) ხახულის მონასტერზე, გ) „სია ძველი ქართული წიგნებისა“, დ) თუშეთიდან ძველი წიგნების ჩამოტანაზე (1879, 23.VIII, N 175), ე) „იოანე პეტრინის წიგნზე“, ვ) გაბრიელ გელოვანის წიგნზე და სხვა.

დ.ჯანაშვილის კორესპონდენციაში (1871, 22.X, N42) ნახსენები „უფ.გ.“ არის ნიკოლოზ გამრეკელი.

*II. ხელნაწერებისა და ხელნაწერთსაცავების ისტორიისათვის:* 1. ხანძარი ათონის მთაზე 1866 წლის ახლო ხანს და ქართული ხელნაწერების გადარჩენა; ბერი იონასა და ანთიმოზ ჯუღელის ცნობა XIX ს-ის შუა წლებში ათონის ქართული ხელნაწერების კლდის გამოქვაბულში შენახვის თაობაზე; 2. 1855 წელს სვეტიცხოვლისა და სხვა ეკლესია-მონასტრების ხელნაწერთა აღნუსხვა დ.ფურცელაძის მიერ, რომლის სიე-

ბი ჯერ მიკვლეული არაა; 3. სასამართლო ნათლისმცემლის ორ მოღვაწეს: არქ. მაკარსა და მორჩილ ივანე ბერძენოვს შორის ხელნაწერების თაობაზე; 4. 1879 წელს თბილისში, დარიის მონასტერში, შიომღვიმის ხელნაწერების სარესტავრაციოდ ჩამოტანა არქ. კესარიოსის ინიციატივით; ნაწილის უკან დაბრუნება, ნაწილის იქვე დატოვება; 5. 1865 წელს შუამთის (ხახულის) და კახეთის ზოგი სხვა მონასტრის გაძარცვა და ძველი ხელნაწერების გატაცება; 6. ართვინის 1241 წლის ოთხთავის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის გადაცემა დ.ბაქრაძის მიერ; 7. ნიკო დადიანის ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების სიის შედგენა აკაკი წერეთლის მიერ 1871 წლის ზაფხულში; 8. ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ყველაზე მდიდრად ილუსტრირებული ნუსხის (S 5006) ჩამოტანა თბილისში დიმიტრი ყიფიანის მიერ; 9. დ.ბაქრაძე გრ.ჩარკვიანის წიგნის მალაზიის ხელნაწერთა ბაზაზე აპირებდა ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაარსებას, რისთვისაც 1879 წლის აგვისტოში წესდებაც მზად ჰქონდა; 10. კამპანია საქართველოს ეკლესია-მონასტერთა კოლექციების გაერთიანებისათვის, რაც 1876 წლიდან დაიწყო; 11. ცილობა ქმნკვკს-ს, სემინარიასა და საჯარო ბიბლიოთეკას შორის XIX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანილი ხელნაწერების დაბინავების საკითხზე; გუსტავ რადეს აქტიურობა; 12. 1884 წელს თბილისში, სინოდის კანტორის შენობაში, საეკლესიო ნივთების აუქციონის გამართვა და ა.წერეთლის მიერ იქ მინიატურული სახარების შექმნა.

*III. მონაცემები, რომელთა „აღწერილობაში“ ჩართვა სასურველია:* 1. S 113-ის მინაწერი ქვედა ყდის შიდა მხარეზე, რომლის თანახმადაც ეს ხელნაწერი ეკუთვნოდა „კაპიტანს რაზდენ შალიკოვს“; 2. S 2595-2597 და ზოგიერთ მომდევნო ნომერს — 2605-მდე, ახლავს მფლობელის ა.ენფიანჯიანცის სომხური მინაწერები ადგილისა და თარიღის მითითებით; 3. ცენტრარქ. 245 და A 672 ქვემოქალის ეკლესიაში გაუერთიანებიათ ერთ კრებულად, რომელიც 1882 წელს



აღწერა და ფურცლობრივი პაგინაცია გააკეთა პ.კარბელაშვილმა; 4. ხელნაწერი S 118, ა.ბარამიძის ცნობით, შეიცავდა მინაწერს — „პოე-მა მეფე არჩილს დაუწერია“, რაც დღეს აღარ ჩანს.

*IV. პირველი წერილობითი ინფორმაციები:* ჩოლოყაშვილისეულ ვეფხისტყაოსანზე; ინგილო ხუციშვილების კოლექციაზე; ივანე იერონიმეს ძე მესხიშვილის 55 წიგნზე; ქსნის ოთხთავზე; „სვანეთის სულთა მატრიანეზე“; „ჯვარშემოსილზე“ და ა.შ.

*V. ადრინდელი დაცულობის პუნქტები:* 1) ბოდბე — A 518; 2) გორდი — იხ. ნ.დადიანის წიგნები; 3. გორი — ეროვნ. ბიბლიოთეკა 50 (S — 60), S 195; 4. ა.ენფიანჯიანცის მალაზია — S 2560-2605; 5. თელავი — იხ. ივანე მესხიშვილის ხელნაწერები; 6) მეჯვრისხევი — გორი 3; 7. ლანტელის კოშკი — „სვანეთის სულთა მატრიანე“; 8. ნათლისმცემელი — S 1357-1380, ოქსფ. „Ms. Ward. f. 6“; 9. საჩხერე — A 728; 10. სიღნაღი, ნიკოლოზ გამრეკელის ოჯახი — ი.გრუზინსკი 268 ან H 2255; 11. სტეფანწმინდა, ა.ყაზბეგის სახლი — A 1097; 12. ქვემოჭალა — A 672, 809, ცენტრარქ. 245;

*VI. მფლობელები და შემწირველები:*

**მფლობელები**

1. „თ. ა. დავითის ძე წერეთელი“ — S 2829
2. ავეტიქ ენფიანჯიანცი — S 2560-2605
3. ზ.ჭიჭინაძე — 42 ცნობილ ხელნაწერს უნდა დაემატოს 24 .

**შემწირველები**

1. ივანე იერონიმეს ძე მესხიშვილი — 55 ხელნაწერი, რომელთაგან იდენტიფიცირებულია 51.
2. ნიკო დადიანი — S 247-426.
3. ილია ჭავჭავაძე და იოსებ შალიკაშვილი (ერთად შეუწირავთ) — S 13, 17 (?), 21, 42-44, 62, 71, 113, 115, 141, 157 — 159, 163.

4. მიხეილ ყაზბეგის ქვრივი  
კნეინა ელისაბედი — A 1094.

5. ილია მამაცაშვილი —  
„სვანეთის სულთა მატია-  
ნის“ სამი გრაგნილი.

6. იოსებ ახალშენიშვილი —  
A 1007.

7. ნიკოლოზ გამრეკელი —  
სალტ. შჩედრ., ი. გრუზინსკი  
— 268 ან H 2255.

4. ნიკოლოზ ხიზანაშვილი —  
S 532.

5. გიორგი ზალიკიანი — S 10,  
150.

6. მურადოვები — საჯ. 50(S-  
60)

7. ნიკოლოზ სამხარაძე —  
ქსნის ოთხთავი.

8. აკაკი წერეთელი — A 728.

9. მიხეილ ყიფიანი — S 102,  
103, 105, 106. 155, 169, 1613,  
4631.

#### *VII. მიუკვლეველი ხელნაწერები :*

1. ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიის“ ათონური ნუსხა; 2. ამბროსი ნეკრესელის სააღდგომო ქადაგების ნუსხა, რომელიც ინახებოდა ვეჯინის ღვთაების ტაძარში; 3. „ლეჩხუმელი თავადის“ (?) ხუთი ხელნაწერი წიგნი; 4. ქობულეთელი ბეგის ოჯახში დაცული დავითნი და სახარება; 5. კარაბადინი შავშეთიდან, რომელიც ი. გვარამაძეს უნახავს და აღუწერია; 6. XVI-XVII სს-ის ფაშნი და კონდაკი, რომლებიც კონსპირაციულად ინახებოდა მოსე ხუციშვილის ოჯახში (საინგილო); 7. სახარების ორი ხელნაწერი სპარსეთში: სომეხთა ეკლესიისეული და გამაჰმადიანებული ქართველისაგან გაყიდული; 8. კლიმენტოსისა და იოანე ოქროპირის თხზულებათა კრებული (ი. ჭავჭავაძისა და ი. შალიკაშვილის შენაწირთაგან); 9. ზ. ჭიჭინაძის „სიაში“ არაიდენტიფიცირებულ თხზულებათა შემცველი ნუსხები; 10. თუშეთიდან ჩამოტანილი ხელნაწერები, რომლებიც ნახსენებია გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიასთან დაკავშირებით; 11. „საქართველოს ისტორია ანტონ კათალიკოსისა“ და „კანონი მალაქია კათალიკოსისა“, რომლებიც გრ. ჩარ-

